**N5/2015**

ეროვნული ბიბლიოთეკა

644
2015

# ცისკარი

1852



ნიკო ნიკოლაძე - მამულის სიყვარული და მსახურება

სიმონ ჯაფარიძის ანტისაბჭოთა მოთხრობა

ზურაბ ლავრელაშვილი - „ცვილი და ოქრო, ფერფლი...“

რეზო ჩხეიძის უკანასკნელი ინტერვიუ

ახალი თემა - ცენზურა და ლიტერატურა

ჟანრი ლოლაშვილი ხელოვნების არსსა და ხელოვანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრებულო

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსს „თბილისი“.

კონკურის ჩატარების მიზანი — ხელი შეუწყოს ლიტერატურის, ფერწერის, არქიტექტურის, სკულპტურის, სიმღერის და ფოტოგრაფიის დარგში მოღვაწე შემოქმედთა აქტივობას, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვას.

კონკურსის პირობები:

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, შეუძლია კონკურსში მონაწილეობა.

კონკურსში განიხილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი/გამოცემული საავტორო ნაწარმოების პირველადი (გადაუმუშავებელი) ვერსია.

კონკურსანტს (პირადად) შეუძლია თითო ნომინაციაში მხოლოდ ერთი ნაწარმოების წარმოდგენა.

პროზის, პოეზიისა და ესეს ქართულენოვანი ვერსია წარმოდგენილ უნდა იყოს ელექტრონული ან ბეჭდური სახით.

სიმღერის, ნახატის, ქანდაკების, ფოტოს, არქიტექტურული ნამუშევრის წარმოდგენა შესაძლებელია გამოხატვის ნებისმიერი ფორმითა და ხერხით. (MP3, CD, JPJ, PDF ვერსია და სხვა...)

კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კონკურსზე რეგისტრაციის პირობები:

სავალდებულოა შეივსოს ელექტრონული განაცხადი, სადაც მიეთითება ავტორის პერსონალური მონაცემები, გვარი, სახელი, ფსევდონიმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნაწარმოების დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge

ნამუშევრების წარდგენის ალტერნატიული მისამართია: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 2.

საკონკურსო ნაწარმოებების მიღების ბოლო ვადაა 10 სექტემბერი (2015წ) 18:00სთ. სამუშაო დღეებში განაცხადები მიიღება 09:00-დან - 18:00 საათამდე.

კონკურსთან დაკავშირებით, ელექტრონული ფოსტით, შეგიძლიათ გამოაგზავნოთ კითხვები: konkursitbilisi@tbsakrebulo.gov.ge

საკონტაქტო პირი, ტელ: ნატო აბრამაშვილი; 555-459-643

საკონკურსო ნომინაციები:

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;

წლის საუკეთესო ესე („ჩემი თბილისი“ - სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის);

წლის საუკეთესო სიმღერა;

წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები;

წლის საუკეთესო ქანდაკება;

წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები;

წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები;

და ჟიურის სპეციალური პრიზი.

გამარჯვებულთათვის დაწესებული ჯილდო:

ნომინაციაში გამარჯვებულებს ერთჯერადად გადაეცემათ კონკურსის პრიზი და ფულადი პრემია - 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები:

I ეტაპი (20 ივლისი — 10 სექტემბერი) - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსება და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა;

II ეტაპი (11 სექტემბერი — 25 სექტემბერი) - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა და შეფასება;

III ეტაპი (30 სექტემბერი) — გამარჯვებულების გამოვლენა;

IV ეტაპი — გამარჯვებულების დაჯილდოება „თბილისობის" ღონისძიებების ფარგლებში;

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისის“ საორგანიზაციო კომისია

01.06.2015წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი 1852

2015/5

ყოველთვიური ლიტერატურულ -
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები
**ბალათერ არაბული**
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი
**ანდრო ბუაჩიძე**
**თამარ გელიტაშვილი**
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ქეთევან მერკვილაძე**

გრაფიკული ილუსტრაციები
**მარიამ გოგილიძისა**

---

გარეკანის პირველ გვერდზე – **მუხრან მაჭავარიანის მემორიალი საჩხერეში**
ავტორები: **ბიძინა ავალიშვილი, გოგი ჟღენტი** (გაიხსნა – 17.05.2015 წ.)

გარეკანის მეოთხე გვერდზე – ფოტოკოლაჟი **ჟანრი ლოლაშვილის** გამოფენიდან

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარედაქციო საბჭო

**ანდრო ბედუკაძე**
თავმჯდომარე

**ვანო ამირხანაშვილი**
**ნაირა ბეპიევი**
**ლევან ბრეგაძე**
**დავით თედორაძე**
**ზვიად კვარაცხელია**
**ესმა კოკოსკერია**
**გიორგი ლობჟანიძე**
**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
**ნინო სადღობელაშვილი**
**თამაზ ტყემალაძე**
**რეზო ჭეიშვილი**
**თემურ ჭკუასელი**
**ბესიკ ხარანაული**

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**ნიკო ნიკოლაძე** 3
მამულის სიყვარული და მსახურება

**პოეზია**
**ანიკა ლაზვიაშვილი** 7
**მურმან ჯგუბურია** 12

**პროზა**
**სიმონ ჯაფარიძე** 20
ჩარგაზიას ანტისაბჭოთა უნიტაზი

**პოეზია**
**როინ აბუსელიძე** 36
**ვაჟა ხორნაული** 40

**პროზა**
**ზურაბ ლავრელაშვილი** 44
ცვილი და ოქრო, ფერფლი...

**ინტერვიუ**
**ამირან დოლიძე** 69
უკანასკნელი საუბარი რეზო ჩხეიძესთან

**ცენზურა და ლიტერატურა**
**ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე** 76
ცენზურა და ფრანგული მწერლობა

**ჩანაწერები**
**ამირან არაბული** 84
სულუქცევრად საკითხავნი

**ესეისტიკა**
**ემზარ კვიტაიშვილი** 91
მუსიკაც, ფერიც...

**ახალი თარგმანები**
**ფაზილ ისკანდერი** 101
ხელჩხინკა
თარგმნა **გიზო ზარნაძემ**

**გიორგი ლეონიძე** 123
(ოსურ ენაზე)
ნატვრის ხე
ორი შემოხედვა
მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი
თარგმნა **რაზიათ ქუმარიტოვმა**

**წიგნები. რეცენზიები**
**ნინო სადღობელაშვილი** 137
თანამედროვე ებრაული დრამატურგია

**არტრევიუ**
**მარიკა კახაძე** 140
რეპორტაჟი საგამოფენო დარბაზებიდან (**ჟანრი ლოლაშვილი**, გამოფენა **„კონტრასტი“**)


---


ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე:
591 20 25 40;
599 56 56 44;
591 30 75 09


შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ნიკო ნიკოლაძე



## მამულის სიყვარული და მსახურება*

მამულის მსახურება, ჩვენში ჯერ იმდენად როდია გავრცელებული, რომ ყველამ კარგად იცოდეს, რაში მდგომარეობს ეს მოვალეობა ან ყველას ესმოდეს, თუ რაგვარად უფრო ადვილი და გამოსადეგია მისი ასრულება.

მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?

სხვადასხვა პირს სულ სხვადასხვა ნაირად ესმის ეს კითხვა, სულ სხვადასხვა ნაირად ეხატება თავში ეს სიკეთე. ჩვენს ქვეყანაში იმისთანა პირიც მოიძებნება, რომელსაც იქნება ეგონოს, რომ საქართველოს სიკეთე მაშინ იქნებაო დაფუძნებული, როცა ყოველი ქართველი, ყოველი კაცი, საქართველოს ნიადაგზე მცხოვრები, მართლმადიდებელი სარწმუნოების იქნებაო. შესაძლებელია, რომ იმგვარი მოაზრენიც მოვნახოთ ჩვენში, რომელთა აზრით საქართველოს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა ქართველმა ან საქართველოში დასახლებულმა პირმა წერა-კითხვა და თვლა იცოდესო. სხვებს, უფრო მომეტებულ რიცხვს ის აზრი სწამს, კარგი მაშინ იქნებაო, როცა ქართული ენა ყველას ჩინებულად ეცოდინებაო... ყველას შეხედულებას აქ არ მოვიყვან, რამდენი კაცია, იმდენი შეხედულებაც არის ჩვენში. საქმე ისაა, – რომელი ამ შეხედულებათაგანი სწორეა, და რომელი – შემცდარი.

მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ ათასი ამისთანა შეხედულება რომ ჩამოვთვალო, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული, ყველა ერთიანად ცალ-მხრივი იქნება. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ წერა-კითხვის და თვლის ცოდნა კარგი ან სასარგებლო არ იყოს? მაგრამ საკმაოა, განა, მარტო წერა-კითხვის ცოდნა კაცის ბედნიერებისთვის? რამდენი იმისთანა კაცი გვინახავს, რომ წერა-კითხვა კი არა, ისტორიაცა და გეოგრაფიაც ცოდნოდეს, მაგრამ მაინც უძლური ან უბედური დარჩენილიყოს? ასე ითქმის ქართული ენის ცოდნაზედაც. იყო დრო, როცა მთელი საქართველო მარტო ქართულ ენას ხმარობდა, მარტო ქართული იცოდა, და კარგადაც იცოდა; როცა შკოლებში კი არა, სასამართლოებშიაც ხმარობდენ ამ ჩვენს ენას... მაგრამ ნუ-თუ იმ ბედნიერ დროში არაფერი ჰკლებია ჩვენს ქვეყანას და ხალხს? ნუ-თუ მარტო ქართული ენის ცოდნამ გააბედნიერა საქართველო, და ნუ-თუ ჩვენი მამულის დაცემის მიზეზი

30970

* ფრაგმენტი წერილიდან.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა ქართული ენა დაივიწყეს? რასაკვირველია, დედა-ენა ძვირფასი რამ არის: ის ისეთი მძლავრი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას უადვილებს. მაგრამ, როგორც კავშირი, როგორც ძალა, ის მარტო საშუალებას შეადგენს, და არა მიზანს, მაშასადამე, საქმე ის უნდა იყოს, თუ თვითონ ეს მიზანი რაში უნდა მდგომარეობდეს?

ამ კითხვის გარჩევა იმ კითხვის გამოკვლევაზეა დამოკიდებული – თუ რამ დასცა ჩვენი მამული.

როცა ამ უკანასკნელ კითხვას გამოვიკვლევთ, პირველიც განმარტებული გვექნება.

– როგორ თუ რამ დასცაო ჩვენი მამული, შემომკივლებს ვინმე ცრუპატრიოტი, იმან დასცა, რომ პატარა ხალხი ვიყავით, და დიდრონები შემოგვესიაო. ვერ გაუძელით, და ის იყოო ჩვენი დაცემის მიზეზი! მოითმინეთ, ბატონო. პატარა, ძლიერ პატარა ხალხი იყო საქართველოს ხალხი, სპარსელებთან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასცა ჩვენი მამული დიდმა სპარსეთმა? დიდრონი ხალხი გახლდენ ის ხალხი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მურვან-ყრუმ, ჩინგის-ყაენმა ან თემურ-ლანგმა დაასია, მაგრამ ამ ხალხებმა ხომ ვერ მოსპეს ვერც ჩვენი განვითარებული არსებობა, ვერც ჩვენი თვისტომობა? ოსმალეთი ჩვენზე ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იყო, მაგრამ ხომ ვერ მოგვერია მაინც, ხომ ვერ ამოხოცა ისტორიიდგან ჩვენი სახელი და დიდება? თუ კი ოცი საუკუნე გავუძელით ამდენ დიდრონ ხალხებს, თუ კი ამ ოცი საუკუნის ბრძოლამ იმდენათაც ვერ დაგვლალა, რომ მათს დამძლევს ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწყინვალე და სახელოვანი მეფობა ეღირსა, როგორც ერეკლე მეორისა, – რომლის მსგავსიც ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის იქით აღარ გვინახავს, – ნუ-თუ ეს იმას არ მოასწავებს, რომ ამ შემთხვევაში მარტო დაღალულობას კი არ უმოქმედია, მარტო მცირე ტომობას კი არ უმუშავნია? პატარა ხალხი ვიყავით, დიდრონებთან შეტაკებული, დიდრონების მებრძოლი, მაგრამ მაინც ვძლებდით, მაინც მარჯვენი ვიყავით. რა იყო მიზეზი? ის იყო, რომ თვითონ ეს დიდრონი ხალხი ჩვენ მარტო რიცხვით გვერეოდენ, და ხანდისხან მარტო იმით გვჯობნიდენ, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალოს ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ სჯობნიდა პირველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ორივე ერთნაირად გაზრდილი იყო, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლ-კარის, ცოლ-შვილის დასაცველად იბრძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის ასაკლებად. მტრისთვის სულ ერთი იყო, აიკლებდა – ქართველს, თუ ლეკს, თუ ოსს, თუ რუსს. რაკი იმას ქართველი გამწარებულად უწინააღმდეგებდა, მტერი მას თავს ანებებდა და სხვაგან მიდიოდა, იქნება გამარჯვება და აკლება იქ უფრო ადვილად შევძლოო... ყველამ იცის რამსიდიდე ძალას შეადგენს ომში და ბრძოლაში ის თავგანწირულობა, რომლითაც კაცი თავის ოჯახსა და კერას იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვამარჯვებინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჯობდით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ასი ქართველი ათას ამკლებს ერეოდა და უკუაქცევდა... თორემ სხვა მხრით ყველაფერში სწორნი ვიყავით მტერთან, რიცხვს ან რაოდენობას გარდა.

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეცნიერებამ ერთობ დააწინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას არ მიეკარა, ის უწინდელივით სუსტი დარჩა. ომის ხასიათიც შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი შემოიღეს, რომლის გაკეთებასაც და ხმარებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ცოდნა და მოხერხება სჭიროდა. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს, რომელსაც წინ ვეღარ დაუდგა ვერც ერთი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამა-პაპური ციხეები ქართლში და იმერეთში, თათრებმა ამ ახალი ზარბაზნებით, ცხრა მთის სიშორიდან დაგვინგრიეს. იმათ ევროპაში ეშოვნათ ეს ზარბაზნები, და ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამ ნაირი მანქანა სადმე არსებობდა... და რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებამ წაგვართვა: მაშინ უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დავკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდან გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ" წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს... ამის მაგალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ ინდოეთში. ორასი მილიონი ინდოელები მორჩილებაში ყავს ოცი ათას ინგლისელებს... რას უზამს ეს ოცი ათასი კაცი, თუ გინდ თითოს კრუპის ზარბაზანიც ჰქონდეს, მთელ ორასი მილიონისგან შემდგარ ხალხს, ეს ხალხი რომ გონებითად დაჩოქებული არ იყოს ამ ოცი ათასი კაცის მეცნიერების წინ?

აი, ბატონო ჩემო ცრუპატრიოტო, რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან დასწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიაო, რომ ვსთქვი, სწორი სიტყვა არ მიხმარია. დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქართველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, ან მეჩვიდმეტე, ამ მეთვრამეტე საუკუნეში ისე მამაცურად თავს იჩენდა. ხალხიც მომეტებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს უფრო დაწინაურებულია, სიმდიდრეც უფრო გავრცელებულია, – ერთი სიტყვით, ყველაფრით უფრო მძლავრია დღეს ჩვენი ხალხი, ვინემ უწინ იყო. საუბედუროდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსავით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად. დღეს ყველა ჩვენი მეზობლები, და მთელი უცხოეთი, ათი-ათასჯერ, ან ასი ათასჯერ უფრო დაწინაურდენ უწინდელზე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გავმაგრდით... აი, ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი მეზობლები რომ ჩვენზე უფრო არ დაწინაურებულიყვენ, დღესაც ისე ადვილად შეგვეძლებოდა მათი მორევა და მათ შუა მარჯვედ გამოჯგიმვა, როგორც უწინ გვჩვეოდა...

ეს მიბრძანეთ ახლა, რა წაგვწევს წინ, რა დაგვაწინაურებს იმოდნათ, როგორც სხვა ხალხი დაწინაურებულა? ამაში ხომ ყველა თანახმანი ვართ, რომ მათი მოწევა, მათთან გასწორება შეუძლებელი საქმე არ არის, მაგრამ ის უნდა გავშინჯოთ, რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიწევნა?

ნუ-თუ შესაძლებელია სხვის ჯობნა, თუ კი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ? ნუ-თუ მარტო ის დაგვაწინაურებს, თუ ჩინეთის კედლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი ქვეყანა? თუ კი სხვის მწერლობას არ შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძენთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუ-თუ მარტო ძველი ჩვენი ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოპოვება, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს? ნუ-თუ მარტო ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება ჩვენ – ან შეეძლება ჩვენს ახალგაზრდობას – ის მეცნიერება შეიძინოს მოკლე დროში, რომელიც სხვებს მთელი საუკუნოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში მოუგროვებიათ? ნუ-თუ პატრიოტულ გრძნობას ახშობს ან სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი ცხოვრების გაცნობა? ნუ-თუ ვაშინგტონი ნაკლები ან უხეირო პატრიოტი იყო იმით, რომ ფრანგული ენა იცოდა, ან ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შესწავლილი ჰქონდა? ნუ-თუ ბატ. ილ. ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერის და ნამდვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნებით გამოზდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზრდობა? კაცი იყოს, თორემ, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება. მარტო უსუსურები ხდებიან და ფუჭდებიან სხვის გავლენის ქვეშ, და უსუსურს გინდ სიკვდილამდე ძიძად გაუხდე, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდე, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...

რასაკვირველია, ჩინებული საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ ახლა საშუალება გვქონდეს მთელი ევროპის მეცნიერება გადავცეთ ჩვენს ხალხს ან ჩვენ ახალგაზრდობას ქართულ ენაზე, ქართულ სასწავლებლებში. მშვენიერი რამ იქნებოდა ეს, და მთელი ჩვენი შეძლება ან ღონე იმას უნდა მივმართოთ, რომ ოდესმე დაარსდეს ჩვენში ამ გვარი ნეტარი მდგომარეობა, მაგრამ დღეს, როცა ამის საშუალება არა გვაქვს, და როცა აუცილებლად საჭიროა, რომ უწინდელს გონებითს სიბრმავეში არ დავტოვოთ ჩვენი საზოგადოება, ბრმაც კი უნდა მიხვდეს, რომ ყოველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას გონებას განუვითარებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს ან მხარში ძალას მისცემს, სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისთვის. ნუ-თუ, მაგალითად, კარგს იზამდენ ილ. ჭავჭავაძის მრჩევლები 1856-ში, რუსეთში წასვლა რომ დაეშალათ მისთვის და ეთქვათ,– სჯობს ქართულად გამოიზარდო, რომ ქართველობის გრძნობა არ დაგეკარგოსო? ნუ-თუ ამით სარგებლობას მოუტანდენ ისინი საქართველოს? ხომ არა? მაშ, სწორედ ამნაირადვე შემცდარია ის, ვინც ახალგაზრდობის აღზრდის და საზოგადო განათლების საქმეში მარტო ენას ან გარეგან გამართულებას შეჩერებია, და არსებით მხარეს, – სწავლის შინაარსს ან მიმართულებას კი ივიწყებს...

მაცხოვარმა ბრძანა, – როცა ჰკითხეს, რომელს ტაძარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიაწიოსო, – „ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს, და სადაც უნდა ითქვას, ყოველგნით ზეცას ავაო: ტაძარშიაც რომ არ იყოს კაცი, თუნდ მინდორში ლოცულობდეს წრფელის გულით, ღმერთი მის ლოცვას მაინც შეისმენსო". ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის შკოლაშიაც ჩვენ უნდა მოვემზადოთ, ოღონდ კი გულში მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნაყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება... საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალება, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ, ვნება გვაკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანიტა ლაზვიაშვილი



## კვირა

ყველაფერი იწყება ასე:
ან ვინმე უნდა მოკვდეს,
ან ზაფხული იყოს,
ან ძალიან მენატრებოდეს ჩემს ეზოში
ბლის ხის ქვეშ ჯდომა,
ან აღდგომა იყოს,
ან მამაჩემისთვის სანთელი ასანთები.
მოკლედ, რაღაც ასეთი უნდა იყოს,
რომ ჯინსები და კედები ამოვიცვა,
რომ ნაქსოვ ჟაკეტში გამოვეხვიო,
გარეუბნიდან დიდუბემდე გამოვაღწიო
და მერე მთელი გზა გული ხელით მეკავოს,
სანამ არაგვი გამოჩნდება,
სანამ სოფლის პატარა მაღაზია გამოჩნდება,
სანამ მწვანე ჭიშკარს დავინახავ,
სანამ თავშლიან ბებიაჩემს დავინახავ.

მოკვდა ერთი ქალი და ჩამოვედი.
მდინარესთან ახლოს ცხოვრობდა.
წყლიდან რომ ამოვიდოდით და მზეზე დავეყრებოდით,
მოვიდოდა, თმას დამიწნავდა,
ბიჭებს გადაყვლეფილ მუხლებს მოურჩენდა.
საშინელ საჭმელს აკეთებდა –
დიდი ხახვები დაცურავდნენ წვნიანში,
კარტოფილი იყო ნახევრად უმი.
მაინც ვჭამდით, ეზოს ბოლოში
დახავსებულ საქანელაზე ვქანაობდით,
და ნამიანი თმით შებინდებისას ვბრუნდებოდით
შინ.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომკვდარა ეგ ქალი.
დაუძინია და მორჩა.



ეზოში მოჭრილი ყვავილები მივიტანეთ.
არც ხმამაღლა ტიროდა ვინმე,
არც ვინმე ყოფილა მოსასულიერებელი.
ერთი-ორი ქალი იჯდა, შავი კაბებით,
მუხლებზე ხელებდაწყობილები.
ლაპარაკობდნენ ჩუმად, უფრო სერიალებზე.
მიყურეს, მიყურეს და – როგორ გაზრდილაო,
სულ მამამისს დამსგავსებიაო.
მე კიდევ ვიდექი ჩამომპალ ღობესთან
და ჩუმად ვჭამდი გამოზამთრებულ კაკალს.
და ძაღლის წკმუტუნი იყო გულისწამლებად სევდიანი.
მალევე მთავრდება ასეთი ამბები.

სანამ შებინდდება და წამოვალ,
ბებიაჩემის ძველ კაბებს ვისინჯავ –
ფრიალებს, ჭრელებს, ზაფხულისებს,
ჩაცმა რომ არ დასცალდა.
დავაშრიალებ ამ კაბებს გაზაფხულის სიგრილეში,
ბალახამოწვერილ ეზოში, ბებიაჩემის ნარცისებში,
ასეთ დროს შეიძლება ლამაზგოგოობის ამბავიც დაიჯერო.

და, როცა მკრთალ, ქარიან მზეში
აყვავებული ალუბლის ხის ქვეშ ვზივარ,
როცა დათოვლილ მთებზე ტყდება საღამოს მზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ფანჯრის კუთხეში მიშენებული ბუდიდან
ნაადრევად დაბრუნებული მერცხლების ხმა ისმის,
როცა გწერ, რომ შენ გარეშე ეს ჩაი,
ეს კვამლისგემოიანი ნამცხვარი არც ისე გემრიელია,
ვფიქრობ, რომ მეტი არც არაფერია სიცოცხლე,
არც სიყვარული.

...............

აქაური გაზაფხული არის ასეთი:
კვამლის სუნი აქვს,
შებინდებისას თივის ნარჩენებს წვავენ,
გადმოდგებიან თავშლიანი ქალები,
ჩამოასვენებენ ღობეზე მკლავებს,
გამოამზეურებენ ნაზამთრალ მუხლებს,
და შემოდიან სოფლის ორღობეში
ჭრელი ხბორები ეჟვნების ჟღარუნით.
საღამოს მზეზე თვლემს ჩემი ძაღლი
და სანამ ერთად ყვავის ყველა ხე,
სანამ ჭიანჭველა მოცოცავს მუხლზე
და ჩემი ხელები ნაწვიმარი მიწიდან
ბალახის ამოზრდას ელოდებიან,
ვხედავ,
რომ მუხლამდეც ველარ მომწვდება ზამთრისთვის მოტანილი შეშა,
რომ ბებიაჩემი კვერცხებს ღებავს მინავლულ ცეცხლზე
და მახსენდება – მკვდრებს უნდა მივაკითხოთ ხვალ,
კვერცხები გავუგოროთ, ღვინო დავუქციოთ.
ამაღამ პასკებს გამოაცხობს ბებიაჩემი,
დაძარღვული ხელებით ზედ ჯვრებს დაასვამს
და როცა პასკის სუნით გაბრუებულს ლუმელთან ჩამთვლემს,
პატარა გოგო-ბიჭები ჩამოივლიან ხის კალათებით,
ნამძინარევი ბებიაჩემის ჟაკეტში გამოვეხვევი
და ძაღლების გაბმულ ყეფაში ხელისცეცებით მივალ კართან,
რომ კვერცხები ჩავულაგო კალათაში იმ გოგო-ბიჭებს.
სულ ასე იყო და ასეა ახლაც.

და ბლის ხის ქვეშ ჩამომჯდარს სიცივე რომ ამიტანს,
გწერ წერილს, ამ ხეების მაღლა რომ ვარსკვლავებია
და რომ არ ჩანან იმ პლანეტების გავლით,
რომ შენი მხრები ჩემი სახლია
და რომ წარმოვიდგენ –
თბილისის რომელიღაც ქუჩაზე მიმავალი
როგორ კითხულობ ამ წერილს,
უცნაური სიმშვიდე მიდგება ტანში
და აღარ მცივა.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

...............

ვერ მოგიყვები, როგორი ბედნიერი ბავშვობა მქონდა,
როგორ დავქროდი ველოსიპედით, როგორ თოვდა ბაკურიანში,
რომ მამაჩემმა ხეზე საქანელა ჩამომიკიდა ან
რომელიღაც დაბადების დღეზე ლეკვი მაჩუქა.
როგორ მოგიყვე, მსგავსი არაფერი გადამხდენია.

ჩემი მარტოსული ზაფხულ-ზამთრები კიდევ ვერაფერი მოსაყოლია.
მინის სუნი, ბალახის ხმა სასაცილოდაც აღარ ჰყოფნის უკვე არავის.
ჩემი ხელების მახსოვრობა კიდევ მხოლოდ ეგ არის.
საღამოსპირზე ეჟვნების ხმა, ჭრელი ძროხები.
კარაქის დღვება, ჭინჭრის დაჭრა, ჭახრაკინები,
მზეზე წოლა. ყვავი ჩხავის, ძაღლი ყეფს, ვიღაც მოკვდება.
წამოიშალნენ მთის წვერიდან შავი ღრუბლები,
სანამ დაუშვებს, ზვინები უნდა გადავარჩინოთ.
ჩემი ზღაპარიც ეგ არის და სინამდვილეც.
შემიძლია გითხრა, როგორი ფერი აქვს პურის ყანებს,
რომელია წვიმის ღრუბელი, როდის გამოიდარებს,
რა ტკბილია არაგვზე გაპარვა ზაფხულის ცხელ დღეს
ან როდის მოდის გაზაფხული ტყისპირა სახლში.

კიდევ ისიც შემიძლია მოგიყვე,
როგორ გავიდა ერთ დილას მამაჩემი სახლიდან,
სიგარეტი მაყიდინა და წასვლისას აღარც შემოუხედავს.
რომ მერე უამრავ სიზმარს ვიგონებდი და ვყვებოდი,
ვყვებოდი გაუთავებლად, რომ დამესიზმრა, როგორ მოკლეს.
როგორ წავიდა ომში, როგორ გაუსკდა გული დარდისაგან შუა ქუჩაში.
მერე სიზმრებიც გამომელია.

მერე დაჯერებაც უფრო გამიჭირდა, რომ არის ვიღაც, ვისაც უყვარხარ,
თან უყვარხარ და თან წასვლასაც არსად აპირებს,
მერე ყველაფერი ასე გართულდა.

და როცა ადრიან გაზაფხულზე გვერდით მომყვები,
გამუდმებით შენკენ ვიხრები, დავიჯერო –
არსად წასულხარ, ღამეს არ შეერია შენი ფეხის ხმა.
და სულ უფრო მიჭირს, გითხრა, გიყვარდე
მე, გოგო, რომელიც ყოველწუთას უნდა გადაარჩინო.

...............

აღარ მელაპარაკება დედაჩემი, აი ასე, წყალი ჩაიგუბა.
ერთი ამომძახა წყლის ქვემოდან აღარ გჭირდებიო და
თევზი გახდა, მე რა წყალში გადავვარდე.

## ანიკა ლაზვიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტო იყო, ცხელოდა მაგრად.
თავზე შავი შალი შემოიხვია
და აგვიკიდა მე და ჩემი ძმა.
და ჩვენ ვიყავით ისეთი მძიმეები,
როგორც უშეშო ზამთრები,
როგორც მარილმოყრილი პური,
როგორც მამების კრებაზე დედას სიარული,
როგორც ნახმარი წიგნები ახალ სასწავლო წელს,
როგორც მარჩენალდაკარგულის ცნობა,
როგორც ზამთრის ღამეებში ჩემსა და ჩემს ძმას შორის წოლა,
როგორც ჩემს ექსკურსიებზე შავების ჩაცმა.

ხელზე ერბოკვერცხის შეწვა არც მიფიქრია.
უფრო რთულით დავიწყე.
დედაჩემი ვარ-მეთქი და აღარ გავიცინე,
არ მოვწიე სიგარეტი,
აღარ წავედი კლუბში,
აღარ ვიცეკვე.
ეს ნაპრალები ფეხსაცმელზე მდინარეებია-მეთქი,
ეს გაცრეცილი ჯინსები გაზაფხულის ცას ჰგავს-მეთქი,
ავდექი და გავიზარდე და
მერე, როცა უკვე დიდობაში ვნახე,
როგორ გულიანად იცინოდნენ გოგოები,
როგორი წითელი თმა ჰქონდათ 14-15-წლისებს,
როგორ ეწეოდნენ ცეკვისას,
ჭინჭარი რომ უცებ დაგსუსხავს, ეგრე მივხვდი –
იმ წყალმა უკვე ჩაიარა,
მე ამათ ვერც ერთი მოკლე გზით ველარ წამოვეწევი.
ვეღარც ისინი დამინახავენ,
გამჭვირვალე ვარ.

და არც ისე გვიან როცა ვბრუნდები შინ წვიმაგამოვლილი თმით,
ვუყურებთ მე და დედაჩემი ერთმანეთს და უკვე ვატკინე, უკვე მატკინა.
არც შუბლზე მკოცნის, არც თმას მისწორებს, ისე მიდის და მწერს, რომ თევზია. და
გაზრდილ შვილებს დედათევზის მზრუნველობა აღარ სჭირდებათ.

დედათევზო, მოდი, კედელს ხელი მოადე,
ჩემი ცხელი შუბლი დაგხვდება.



# მურმან ჯგუბურია

## გუბერნატორად გამწესების წინ დონ-კიხოტმა სანჩო-პანსას ჭკუა დაარიგა

*(პოემა-შეგონება)*

1.
უწინარესად ზენაარი ვახსენოთ, სანჩო,
ვინაც გვიბოძა ლუკმაპური და დღეის სარჩო
და ესოდენი წარმატება გვარგუნა ბედად.
თუმცა იოლად მოგენიჭა, მე როგორც ვხედავ,
თანამდებობა ამდაგვარი... სად თქმულა, როდის,
ვინ მოგაშავებს უანგაროდ, გარეშე შფოთვის,
გარეშე ქრთამის, გარეწრობის, ტყუილის, ლიქნის,
ავაზაკობის, სამწუხაროდ, რაც ბევრზე ითქმის...

2.
რა დაგიმალო, ჩლუნგი ჭკუის პატრონად გთვლიდი,
რასაც გაჩხრეკა და დასტური არ უნდა დიდი,
დილაადრიან აღარ დგები, არც ღამეს ტეხავ,
რაზედაც გულში გეცინება კიდევაც ეხლა.
ერთი უქნარა ვილაცა ხარ, მქექავი ნაცრის,
არას-მოხელე, ძლივს რომ დააქვს მი და მო ნაცი,
რაინდთა სუნთქვა მოგეკარა ოდნავ და მორჩა.
დაგაჭერინა რამაც ხელში ახალი დროშა.

3.
გავიმეოროთ: მთავარია, ღვთის შიში გქონდეს,
რაც სიბრძნეს უდრის და მფარველობს რაინდთა ორდენს,
თვალი მიმართე შენს შინამოს, შეიძლო რათა,
ღარი გაუჭრა საკუთარი ტყუილს და მართალს.
შეიცნო რათა, ვინ ხარ, რა ხარ, მოდიხარ სიდან,
თუმცა, მე გატყობ, ხარის ტოლად გახდომა გინდა,
რაკი არ გახსოვს, რა შეემთხვა გაბერილ ბაყაყს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ გირჩევ, თავს საკუთარს მოუხსნა ალყა
და განარიდო სამარცხვინო შური და გესლი,
ბოლოს და ბოლოს ვინ იყავი – ღორების მწყემსი.
გვარიშვილობას ვერ იყიდი – ისა ხარ, რაც ხარ,
სადა გაქვს, მაგრამ ფიქრში მაინც ჩახედე დავთარს.
არ ითაკილო გვარი შენი, გახსოვდეს მიწყივ,
ზნეობას ველარ გადაწონის ვერასდროს სისხლი.
და რაკი ყველა ასეა და, ასეა მართლაც,
მრავალი რამის შენს კუნძულზე მოგიწევს გათვლა.

4.
ხამს, ცოლი გვერდით იყოლიო – გავუსვათ ხაზი,
რადგან უცოლო დიდმოხელეს აქვს ჩალის ფასი,
ასწავლე, ძალა დაატანე, გაწვრთენი ფრიად,
თორემ, შენ რასაც მოინაგრებ, გაატანს ნიავს.
ვინიცობაა, რომ დაქვრივდე (რა არა ხდება),
ხელახლა ქალი რომ შეირთო, ვინ გართმევს ნებას,
მაგრამ იმგვარ ქალს ნუ მოიყვან, ანკესად გექცეს,
ჩაგჩიჩინებდეს დღენიადაგ უიღბლო ბედზე,
ვითომ შენზე კარგს გაჰყვებოდა და შენზე მდიდარს,
გამორიცხული არარაა – აქ მინდა გითხრა –
მალე დაიწყოს მან ფარულად აღება ქრთამის
და მოგეძრება სამუდამოდ კიდევაც თავი.

5.
კაცთა ბუნება გარყვნილია, გახსოვდეს კარგად,
ლმობიერება ზოგჯერ ხმალზე მეტადრე ვარგა,
თუ დარიგებას უერთგულებ, მოიგებ კიდეც
და გზა გექნება ყველგან ხსნილი, გინდ სითაც ვლიდე.
და გაიხარებს მოდგმა შენი, ბადიში შენი
და წამავალი არ მოხედავ ცხოვრებას წყენით.

6.
ზომიერება არის, სანჩო, ყველაფრის თავი,
ხომ იოლია გასარჩევად თეთრი და შავი,
მაგრამ მრავალი ვერ ასხვავებს ბოროტს და კეთილს,
რატომ დამჭირდა აქ ხსენება შავის და თეთრის?
დამჭირდა, რათა განვასხვაოთ ურგი და სარგი,
თუკი არ იცი, რაა ცუდი, არ იცი კარგიც.
ვერ დააფასებ სათანადოდ, რიგით და წესით.
ეს იოლია, ვინემ გემო გაიგო ლექსის,
მაგრამ მოვეშვათ ამაღლებულს, მიწაზე დავრჩეთ,
მიწა იგია, სანჩო, რაიც ავაზაკს არჩენს,
აქ „ავაზაკი“ ც-ნაწილაკს მოითხოვს წესით
და უნდა მეთქვა, „ავაზაკსაც“ – გაუწყრეს ღმერთი!

ცისკარი 1852

ჯოჯხის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7.
ზომაზე ჭამე, ზომაზე სვი, ზედმეტის ხუხვა
კვლავ სანანებელს და საწუხარს შეგამთხვევს უხვად,
სტომაქი ჩვენი არის მგელი, გახსოვდეს უნდა,
მტერმა იარა მის ჭკუაზე, ვით თოვლის გუნდა
აღარ შერჩება ხეს, დარი რომ გამოვა კარგი,
ამრიგად არის ის კაცთათვის ზედმეტი ბარგი.
ხომ ანა-ბანად გეუბნები, გამიგო რათა,
ამრიგად, ზამთარ-გაზაფხული ჰგავს მტყუან-მართალს,
მე ხომ არ ვამბობ, რომ არსებობს ზედმეტი სივრცე,
ერთი კაცისკენ, თუმცა თქმულა, და ერთიც მგლისკენ,
ვაჟია მგელი, ვით იანვრის ჭალაში ქარი,
და მოხელთება მისი, სანჩო, ამაო არის.
მაგრამ მითხარი, გიფიქრია ოდესმე, შვილო,
რით იკვებება, მაგალითად, ვეება სპილო,
ხორცი რომ ხორცს ჭამს, გიფიქრია, რომ გკითხო კიდევ,
მოვა ზამთარიც, მიპასუხებ რაიმეს ვიდრე.
თან აქვე გეტყვი: გამუდმებით გახსოვდეს ისიც,
ზედმეტმა ღვინომ საიდუმლოს გამხელა იცის.
არ მიეძალო ხახვს და ნიორს, რომ მძაღე სუნით
არ შეაწუხო საკრებულო, არ დაგდონ წუნი.
ნუ „ერუტირებ“ ნურავის წინ, რაც ნიშნავს ბოყინს,
ლათინურია, რასაც სარგოდ მიიჩნევს ზოგი
და ზოგი კიდევ გამდიდრებას ეძახის ენის,
რა გავაგრძელო, მშობლიური არ არის ჩვენი.

8.
ამასთანავე გეტყვი, სანჩო, მოეშვი იგავს,
ანდაზებს ნულა ჩააკერებ შიგადაშიგა,
ვინც ბევრს ლაქლაქებს, მას შეცდომაც მოუდის ბევრი,
იყავი მშვიდი, ვით მარანში პირსავსე ქვევრი,
უფრო უბრალოდ გეტყვი, სანჩო, იყავი სწორი,
როგორც მოხრილი ხმალი არის, როდესაც ომი
შედის ძალაში და გაისმის ძახილი ბუკის,
ორიოდ სიტყვას თავის დროზე მოიხმობ თუკი,
უფრო მჭრელია, ვიდრე ხმალი ან ენა ქალის;
ერთი ალაგის მოერიდე საჯაროდ ქავილს.

9.
წიგნი არ გიყვარს, სანჩო, ვიცი, და არას გეტყვი,
მაგრამ ხამს, გულთან მიიტანო შენ სხვათა ბედიც.
ბევრს უჭირს, სანჩო, ქვეყანაზე არ არის კაცი,
რომ არ ეწვნიოს განზილება სოფლისგან მკაცრი.
ჭირს ჭირი აღარ მიუსართო, გახსოვდეს, სანჩო,
სხვას არ არგუნო მისაბაძი სხვისათვის სარჩო
ან სულაც დარჩი, გეძნელება რაკიღა წასვლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ვინ შეძლებს პატრონობას სხვადასხვა კაცთა.
მაგრამ ხომ ვიცი, მაინც წახვალ, შენ შენსას იზამ
და, რაკი ძლიერ განბილდები, მომძებნი ისევ,
მარტოდენ მე ვარ სულელი და ნამდვილი გიჟი,
რომელიც მუდამ შეგივრდომებს, რაც კარგად იცი –
რაინდთა წესი ამდაგვარი ყოფილა მუდამ,
კაცთა სისუსტე მათ ყოველთვის მიჰქონდათ გულთან;
მეც შეგეჩვიე, რა დავმალო, ანუ რა გითხრა,
ცრემლები მახრჩობს; წერილები მომწერე, ვითა
იქნები მარტო; დარიგებებს მე კვლავაც მოგცემ,
გზა გიდევს, ცოტა შევისვენოთ ამ წმინდა მოლზე.

10.
სიყვარულია, დაიხსომე, საწყისი ყოვლის,
სხვა ყველაფერი შარშანდელის მსგავსია თოვლის,
დავუგდოთ ყური, მაცხოვარი გვასწავლის რასაც,
თუმცა აქამდე აინუნშიც არ არის მასა,
მასა სხვა არის, სანჩო, როგორც სხვა არის ხალხი,
უფრო მარტივად, სხვაა თეთრი და სხვაა თალხი.
თუმც დღეს და ღამეს, დარს და ავდარს, ბოროტს და კეთილს,
ვით მრუდს და მართალს, ზამთარ-ზაფხულს, აქვს ძირი ერთი,
გვაცთუნებს, ვინაც არჩევანის უფლებას გვაძლევს,
და ადამიდან მოყოლილი რაც ცოდვა გვაწევს,
რომ ვთქვათ გულღიად, არჩევანის ბრალია, ცხადლივ,
და არეული გვაქვს ერთურთში ცოდვა და მადლი.
არ გვესმის, რასაც შეგვაგონებს პირველი მცნება
და უფლის ნებას საკუთარი ვარჩიეთ ვნება,
დააგდეთ ყველა და მომყევით – უფალმა გვითხრა,
მაგრამ შევუშვით განა გულში მაცხოვრის სიტყვა.
– მე გიყვარდეთო, – გავიგეთ და შევიგნეთ განა,
ზეციერ ყანას მიწიერი ვარჩიეთ ყანა,
თუმც სიყვარულმა არჩევანი არ იცის, რაიც
არის მაცხოვრის შეგონების თავი და თავი.
სიყვარულია, ვთქვათ ერთხელაც, საწყისი ყოვლის,
სხვა ყველაფერი შარშანდელის მსგავსია თოვლის.
გამიგე ვითომ, რაც გითხარი – არაფერს ამბობ,
დუმილი მუდამ კი არ არის იმდენად სანდო,
რასაც, ცხადია, სამწუხაროდ ვერ ხვდება ბევრი,
მაგრამ არჩევანს მივუბრუნდეთ: ჯობს, იყო წევრი
და მსახურებდე სახელოვან რაინდთა ორდენს,
თუ გუბერნიას თავკაცობდე და ვითომ ფლობდე,
მიზანი ჩვენი სანუკვარი, რაც კალთას გვახევს,
ბევრის მთქმელია ისე, როგორც შეშლილის სახე,
თუმც წამკითხველი მსგავსი სახის და მსგავსი მიზნის
იშვიათია, და სავსეა შურით და ლიზღით
გული მავანთა – სისპეტაკე ალონებთ ჩვენი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რასაც შევწირეთ უანგაროდ მრავალი დღენი.
მიდიხარ, სანჩო, მიმავალის წასვლა ჯობს,თქმულა,
დაფიქრდი მაინც, განა კაცი, ვით ღრუბლის ქულა
დადგება ხოლმე, დაფიქრდება ერთხნობას, გზის წინ,
თუმც გადაშლილი არის მის წინ უბოლო სივრცე,
ჩვენგანი ყველა პატრონია თავისი ბედის,
და ნავს მაგონებ, სანჩო, აწ რომ ღელვაში შედის.
ნაცვლად იმისა, რომ საკუთარს მიხედო ოჯახს,
ოჯახში ხოლმე სახელმწიფოს ღირსებაც მოსჩანს.
შვილები გიყვარს, მათ უყვარხარ თუ არა, ვინ თქვას,
მაგრამ, ვით რითმას ბუნებრივად მოჰყვება რითმა,
მათაც მოჰყვებათ მოდგმა მათი წესით და რიგით
და, ვიც მშობელზე არა ზრუნავს, ბრიყვია იგი.
ხოლო მთავარი, სანჩო, გწამდეს, ეგაა მხოლოდ:
უანგარობა არის ყოფნის თავი და ბოლო.
სიკეთე ჰქენი, ნუ მოითხოვ სანაცვლოდ ქირას,
მსგავსნი ვართ ყველა, ვით შაბათი ვერ ჯობნის კვირას,
კაცმა კაცს ძნელად რომ აჯობოს, ხომ გესმის ჩემი,
რაა ცხოვრება, თუ არ ზღვაში გასული გემი,
მგზავრნი ვართ ყველა, ყველას ერთი გვიჭირავს გეზი
და, რომ გგონია, არსად მიხვალ, მაშინ ხარ ფეხზე!

11.

ენამასწარა ნუ იქნები, თან მინდა გითხრა,
ჯერ გონმა უნდა უპასუხოს წამოჭრილ კითხვას
და გული უნდა გაიაროს, შინამო ჩვენი,
რომ იწონიდეს ზუსტად იმდენს, რამდენსაც ენა.
არ იშლი, სანჩო, ვერც დაგიშლი (მიმიხვდი, ვითომ?),
ქვეყნად იმდენი არის „რატომ“, რამდენიც – „მიტომ“,
მე რომ შემეძლოს, ის გადმოგცე, რაც ჩემში არის
(გუბერნატორად გაწესებას დაუდგეს თვალი),
აღარ მისცემდი ხელაღებით უგუნურ დასტურს
და არ არჩევდი რაინდობას ამაო ფაცურს,
მიზანს – უწმინდესს, უსპეტაკესს, სიკეთის მოქმედს –
ანაცვალებდა განა კაცი ქალალდებს, ოქმებს,
მერყევ საზრძანისს, ჭამს რომელსაც ნიადაგ ჩრჩილი...
ნუ მოგერევა, გეხვეწები, მცირე ხანს ძილი.

12.

ამასთან გირჩევ, სანჩო, უფრთხილდი სახელს,
„ყველა მთავრობა – ნატრობს გლეხი – კუბოში ვნახე,“
რადგან გლეხკაცის მთავრობაა სტომაქი მისი,
რომლის ასაგის-გასაგისი შენ უკეთ იცი;
მოდარაჯე ხარ მუცლის, რაღა დავმალოთ, სანჩო,
იმსახურებდი ხოლმე ჩემგან, გეთაყვა, პანჩურს,
რა მიგემნია უგემური, მითხარი, შენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოვიდეთ პირველ სიტყვას, გახსოვდეს-მეთქი
კაცის მთავრობა არის მისი აზრი და გონი
და, სადაც ვეძებთ, იქ არ არის ხანდახან ფონი.
აქ ჯობდა, გონთან გამერითმა, ცხადია, ომი.
რადგან ომია ხსნა-საშველი მარადი მონის,
თავის უფალი თუ არ არის, ან კი რას აქნევს
მშვიდობას კაცი, რაც მინდოდა და გითხარ აქვე.
ყველა ომების დასაბამი, გახსოვდეს კარგად,
ღობეა, სანჩო, თუმც ულობოდ კაცი არ ვარგა,
ცდებიან კაცნი, მამა-ღმერთმა არ იცის ზღვარი
და დედა-მიწა ერთადერთი სამშობლო არის.
შენჩემობია ღუპავს სოფელს, რომ გითხრა კიდევ,
გაიაზრებდე შეგონებას წინარეს ვიდრე –
ანუ ომების ისტორიას, რაც ღობეს ნიშნავს,
თუმცა იცრება მეცნიერთა აზრი, ვით ქვიშა,
აღარა რჩება საგულისხმო, რომ ცნობად ღირდეს,
შენჩემობია ღუპავს სოფელს, რომ ითქვას კიდევ.
თუმცა მეტადრე უშრომელი ქონება ღუპავს,
უფრო მდაბიო ენით რომ ვთქვათ – არამი ლუკმა.
უსამართლობა სხვა რაღაა მიწიდან ცამდე –
ერთი ოფლს ღვრიდეს და მეორე ნაოფლარს ჭამდეს.
ჭამა შენ აღარ გესწავლება, რაც ბევრჯერ ითქვა,
რაც სახარების ჰგავს მგლის თავზე ამჯერად კითხვას,
რადგან არ გესმის გულით არც როს, მე რასაც გირჩევ,
და ყურით აღქმულს, როგორც წესი, ივიწყებ იქვე,
აგრეთვე თვალით, დაბადებით რადგან ხარ ხარბი
და სამოთხიდან ჯოჯოხეთში ახლა რომ გარბი,
ამაზედ ვწუხვარ, ამას ვჩივი და ამას ვდარდობ,
ფათერაკებთან საბრძოლველად რომ მიშვებ მარტო,
თუმც მარტოკაციც თავთან მარტო აროდეს რჩება,
განაგებს რასაც უხილავის მაღალი ნება,
კაცი კაკალი სადაც არის, იქვეა ღმერთიც,
ხამს, დაივიწყო ყველა რჩევა, გარნა ამ ერთის,
ხამს, გულის კოვზზე დაიწერო ეს ერთი მხოლოდ,
რაც ორთავ სოფლის არის თავი და არის ბოლო!

13.

იგავ-არაკებს, რომ გითხარი, მოეშვი-მეთქი,
რატომ გითხარი? ვინაიდან ხარ ბრეტისბრეტი
და უადგილოდ იცი ხოლმე მოხმობა მათი,
თან ჯამში გიდევს, რომ საუბრობ, მსუქანი თათი.
ნურაფერს იტყვი, გადაყლაპავ ვინემდის ლუკმას,
რომ სიცილი არ დაგაყარონ მალვით, პირს უკან.
რაც შენ გგონია, ახალია, არს ოდენ ძველი
და იქ ყვავილობ, სადაც უკვე მწიფეა რთველი.
ავი და კარგი ერთურთს დასდევს, რა გითხრა მეტი,

30910

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოეზიე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამე დაჰყვება დღეს, ბოროტი დაჰყვება კეთილს.
და ნუ გგონია, სხვაზე მეტი რაღაცა იცი,
ჭეშმარიტების უარმყოფი – მოწმეა მისი;
თუ გული გტკივა, სიხარული ახლოა, გწამდეს,
რწმენა სივრცეა – ალმავალი მიწიდან ცამდე,
სივრცე წიგნია – გადაშლილი და წიგნთა წიგნი,
რაც არის გარეთ, რადგან მუდამ იგია შიგნით,
მარად უცვლელი, მარად მტკიცე და მარად მყარი,
ასე არა ჩანს, მაგრამ ცოცხლობს რტოებში ქარი.
არ ვიცი, სანჩო, ეს ყოველი ჯობდა, რომ მეთქვა
თუ აღარ მეთქვა, საორჭოფო გამიხდა ერთხანს,
ღირდა კი თავის გადადება კაცთათვის შველად,
როცა ისე ჰქუხს ამა სოფლად, როგორც რომ ელავს!

14.

ამბავი ჩვენი დედა-მიწას მოივლის როსმე,
რომლის მე და შენ ვერ გავხდებით, ცხადია, მოწმე,
თუმცა კარგ საქმეს მოწმე რამედ სჭირდება განა?
ეს გაიტარე გონებაში და გწამდეს თანაც,
რომ უსახელო გმირი არის ნამდვილი გმირი
და არა იგი, წამდაუწუმ რომელიც ყვირის:
მე ვარ, რაც ვარო! – თავის ქება არა ღირს ჩირად,
ანდაზა ესე შეაგონო უნდა თავს ხშირად.
თუ თავი შენი შენვე გახლავს, ვით ამბობს შოთა,
ვინაც პოემა უებარი აზრებით მორთა,
თუმცა პოემის მახსოვარი შენ არ ხარ, მაგრამ
ეს ერთი მაინც დაიხსომე ნიადაგ, რადგან
უფრორე კარგი არა თქმულა მოკვდავი ენით:
„რასაც გასცემ (მარტოოდენ) ის არის შენი."
ამასთანავე, მიაყურე, აქ რასაც გეტყვი,
ბედის მეორე სახელია ამ სოფლად ეტლი,
ჟამთა ტრიალში, აი, კიდევ რა მინდა გესმას,
გამორიცხული სულ არ არის, გარდათქვას ლექსად
კაზმული სიტყვის მოყვარულმა, აქ გირჩევ რასაც,
და ჩაუღრმავდეს ჩვენს შინამოს და არა ფასადს,
ვთქვათ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რა გვაცვია ანდა რა გვმოსავს,
რამეთუ გული მაცხოვარმა ჩაგვიდგა ლოცვად
და სული ჩვენი აღამაღლა მიწიდან ცამდე,
რომ, თვალი რასაც ვერა სწვდება, ის უნდა გვწამდეს,
რადგან ხილული, ისე, როგორც წისქვილი ქარის,
ვითომდაც არის, მაგრამ ცხადლივ აღარსად არის.
ამადაც ვომობ მთელი ჩემი ძალით და ღონით,
სახსენებელი რომ არ დარჩეს ამ სოფლად ომის!

19
ეროვნული
ბიბლიოთეკა

15

ცაში იყავი, ვით გვაუწყე, სულ ერთი ციდა
რომ მოგეჩვენა დედამიწა შორეულ ციდან,
რა ციდად, ღილად მოგეჩვენა, იმგვარად ჩანდა,
რა ბედენაა იყო მისი პატრონი ანდა –
მთლად უარესი – მისი ერთი ნამცეცა მხარის,
თუმცალა ვიცი, რასაც ვამბობ, წყლის ნაყვა არის,
შენ ზომა-წონა რომ არ იცი, ამიტომ ვწუხვარ,
ნუ მიწყენ, მაგრამ ხომ გეტყობა, რაოდენს ხუხავ –
რომ აღარ გითხრა, ხეთქავ-მეთქი – და უვლი სტომაქს,
ჩემზე უკეთესს ვერ იპოვი შენ ვერსად ქომაგს,
და გული მტეხავს, თავს რომ გახვევ შენიშვნას ამდენს,
თუმც, ხატი, რჯული, მართალი ვარ მიწიდან ცამდე.
დაფიქრდე, იქნებ, იქნებ, კიდევ არ იყოს გვიან,
და ნუ გაატან შეგონებებს ქარსა და ნიავს...
გამომრჩა, სანჩო: ნუ ატარებ წვირიან ფრჩხილებს,
სირცხვილი არი, გუბერნატორს კილავდეს ვინმე.
ღარიბი ქალი შეიწყალე, არ ენდო ლამაზს,
მომაპყარ ყური, როგორც შვილმა საკუთარ მამას,
მე შენი ცოდვით უფრო ვიწვი, ვინემდის ჩემით.
თუკი მოხდა და წაემტერა როსმე თემს თემი,
მშვიდად განსაჯე, აჩქარება არ უყვარს საქმეს,
მართალს პატივი მიაგე და მტყუანი დაგმე.
ხამს, ჩაუღრმავდე საქმეს სწორად, დიდსა და წვრილმანს......
მაგრამ ვაი, რომ აღარ მისმენ და... კიდეც ხვრინავ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმონ ჯაფარიძე

## ჩარგაზიას ანტისაბჭოთა უნიტაზი

პროფესორმა ჩარგაზიამ მოსკოვში ზღაპრული უნიტაზი იშოვა. ამ ბედნიერ შემთხვევას შოვნაც არ ეთქმის, ვინაიდან უნიტაზის ყიდვა აზრადაც არ მოსვლია. ყველაფერი სრულიად მოულოდნელად, მეტად უცნაურ ვითარებაში მოხდა.

პატივცემული პროფესორი დიადი საბჭოეთის დედაქალაქში მაღალი ენერგიების მქონე ელემენტარული ნაწილაკების სიმპოზიუმზე ჩამობრძანდა და უნიტაზის ყიდვას სულაც არ აპირებდა: მორიგი სხდომის შემდეგ ქუჩაში მისეირნობდა, რატომღაც სანტექნიკის მაღაზიასთან შეჩერდა და ვიტრინაში გამოფენილ საქონელს თვალი შეავლო.

– Унитаз желаете?[1] – ხმადაბლა შეეკითხა გვერდით მდგომი უცნობი მამაკაცი.

– Какой унитаз? [2] – გაუკვირდა.

– Редчаиший, здесь такой не найдете,[3] – იდუმალი ხმით წარმოთქვა უცნობმა ისე, რომ ვიტრინისთვის თვალი არ მოუცილებია. – Образец высокого искусства[4].

– Высокого искусства?[5] – ასეთი, ნეტავ, რა უნდა იყოსო.

– Унитаз что надо, пальчики оближете.

– А сколько стоит? [6] – იკითხა მექანიკურად, რადგან ყიდვას სულაც არ აპირებდა.

უცნობი მისკენ მიიწია და ხმადაბლა გადაულაპარაკა: – Недорого. Такой вам и не снился. Пошли.[7]

უცნობმა მიიხედ-მოიხედა, იქაურობა დაზვერა და დინჯად გაუყვა ქუჩას. წაყოლას სულაც არ აპირებდა, მაგრამ თითქოს რაღაცამ უბიძგა და მისდა უნებლიეთ აედევნა, ერთხანს მოშორებით მიჰყვებოდა, მერე წამოეწია. მდუმარედ გაიარეს ერთი კვარტალი, მეტროს სადგურთან უცნობმა ირგვლივ თვალი მოავლო, აქ დამელოდეო, უთხრა, თვითონ ტაქსის გაჩერებისკენ გაემართა და ყვითელი „ჟიგულის“ მძღოლს გაუბა ლაპარაკი. იმან ერთხელ გამოხედა კიდეც, მცირე ხანს შეთქმულებივით საუბრობდნენ, მერე უცნობმა ხელით უხმო, უკან დასვა, თავად კი მძღოლის გვერდით მოთავსდა. ამათი მოქმედება, ცოტა არ

---

[1] – უნიტაზი გნებავთ?!
[2] – რა უნიტაზი?
[3] – იშვიათი. აქ ამნაირს ვერ ნახავთ.
[4] – მაღალი ხელოვნების ნიმუშია.
[5] – მაღალი ხელოვნების?
[6] – ისეთი უნიტაზია, თითებს ჩაიკვნეტთ.
– და რა ღირს?
[7] – ძვირი არ არის, ასეთი არც დაგესიზმრებათ. წავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, საეჭვოდ მოეჩვენა, მაგრამ მხდალად რომ არ ჩაეთვალათ, აღარ უკითხავს თუ სად მიდიოდნენ.

მანქანა ულიმღამო, ნაცრისფერ კორპუსთან გაჩერდა, ლიფტით მეშვიდე სართულზე ავიდნენ, ფაიფურის ფირფიტაზე უცნაური გვარი – Каценчушбоген Р. Я.[8] – ამოიკითხა. უცნობმა ორჯერ მოკლედ და ერთხელ გაბმულად დარეკა. კარი გაიღო. ჯერ სიბნელეში აღმოჩნდნენ, მერე კი განათებულ ოთახში. აქ გაურკვეველი ასაკის წითელხალათიანი ქალი დახვდათ, სტუმარი ეჭვით შეათვალიერა და უკმაყოფილომ კაცს რაღაც გადაულაპარაკა. ჩარგაზიას ეგონა, რომ კაცენჩუშბოგენი მამაკაცი იქნებოდა, ქალის გამოჩენამ ოდნავ დაამშვიდა, ხოლო ოთახში დახვავებულმა საქონელმა ეჭვი საბოლოოდ გაუფანტა. ბროლის ჭაღებით დახუნძლულმა ჭერმა, ნაირგვარმა ავეჯმა, ტელევიზორებმა, მაგნიტოფონებმა, ნაირფერმა სერვიზებმა, განსაკუთრებით კი ფანჯრის უქონლობამ სული შეუხუთა, სავარძელზე ჩამოჯდა, მაგრამ ქალის გამკილავი მზერა იგრძნო და დამნაშავესავით წამოდგა, იმან კი სავარძელს ხელი გადაუსვა და მაგიდის ქვეშ შესწია. კაცმა თოვლივით ქათქათა პენოპლასტში შეფუთული კვერცხივით საგანი მაგიდაზე დადგა.

– Вскрывай![9] – უბრძანა ქალმა შეფიქრიანებულ კაცს, რომელიც ყოველი მხრიდან აკვირდებოდა კვერცხს, მერე ირგვლივ შემოუარა, ხელით მოსინჯა და ისევ ჩაფიქრდა.

– Ну, чего уставился, вскрывай![10] – მკაცრად გაუმეორა ქალმა.

– Заткнись, дура,[11] – თავისთვის ჩაილაპარაკა, ქურქი გაიძრო, კვერცხს ჯერ ყური მიადო, ვითომ იმას უნდა ეკარნახა თავისი გახსნის ხერხი, მერე მკლავები ისე მოუჭირა, თითქოს საზამთროს უმოწმებდა სიმწიფეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ამის შემდეგ გაშლილი მტევანი წიბოთი დაჰკრა და კვერცხი ზუსტად შუაში გადაიხსნა. ნახევრები ორივე მხარეს გადაგორდა და ვარდისფერი, უთავო წეროსავით ცალ ფეხზე შემდგარი ულამაზესი ლარნაკი გამოჩნდა. უცნობის მანიპულაციამ ილუზიონისტის ფოკუსი მოაგონა, ოვალური ლარნაკი კი თითქოს ჰგავდა კიდეც უნიტაზს და თითქოს არც ჰგავდა. ფრთხილად შეეხო, შიგ ჩაიხედა, ქალმაც დაათვალიერა, შიგ ხელიც კი ჩაყო და გაოცებული მიაჩერდა. ეტყობა, ასეთი უცნაური უნიტაზი იმანაც პირველად ნახა.

– Правительственный унитаз![12] – წარმოთქვა ისე დამაჯერებლად, წყალი არ გაუვიდოდა.

– Правительственный?[13] – ეჭვიანად შეათვალიერა და, მართალია, მოეწონა, მაგრამ რატომღაც არ ესიამოვნა, სამთავრობო რომ იყო.

– А сколько стоит?

– Пятсот.

– Четыреста,[14] – თავისდა უნებლიეთ შეევაჭრა.

– Четыреста пятьдесят, унитаз-то правительственный, всю Москву обоидешь, такой не сыщешь.[15]

მიუხედავად იმისა, რომ ძველი, გაბზარული უნიტაზი დიდი ხანია შესაცვლელი ჰქონდა, ასეთი ძვირფასი, მით უმეტეს,

---

[8] – კაცენჩუშბოგენ რ. ი.

[9] – გახსენი!

[10] – რას დამდგარხარ, გახსენი!

[11] – ხმა ჩაიკმინდე, შტერო,

[12] – სამთავრობო უნიტაზი.

[13] – სამთავრობო?

[14] – მაინც რა ღირს?
– ხუთასი!
– ოთხასი.

[15] – ოთხას ორმოცდაათი, სამთავრობო უნიტაზია, მთელი მოსკოვი რომ მოიარო, ასეთს ვერ ნახავ.

სამთავრობო უნიტაზის შეძენას სულაც არ აპირებდა, მაგრამ აქაც თითქოს რაღაცამ უბიძგა, ხელი უნებლიეთ ჯიბისკენ გაექცა, ჩაის სერვიზისთვის გადადებული ფული გადათვალა და ქალს გადასცა.

– Упакуй![16] – უბრძანა იმან კაცს.

ამან პენოპლასტები უნიტაზს შემოადო, ხელები შემოჰკრა, გაამთლიანა, მერე კანაფი ჯვარედინად გადააკრა და პროფესორს წინ დაუდო.

– Здорово повезло, вещь редкая,[17] – უთხრა და კარამდე მიაცილა.

უნიტაზი საკმაოდ მძიმე იყო, წვრილი კანაფი თითებს ჭრიდა და შეიძლება გამწყდარიყო კიდეც, განსაკუთრებით ხელის შენაცვლების დროს. ახლა რომ მის სტუდენტებს დაენახათ, საქვეყნოდ მოეჭრებოდა თავი და, მართალია, ყურადღებას არავინ აქცევდა, სულ ეჩვენებოდა, თითქოს ყველა მას უცქერდა. მიუხედავად იმისა, რომ ტვირთს ხელსაც უნაცვლებდა და ხშირად ისვენებდა კიდეც, წელი და მკლავები ეტკინა და მეტროს ნაცვლად ტაქსის რიგში ჩადგა. ერთსაათიანი ლოდინით ფეხები დაუმძიმდა, მაგრამ იმის შიშით, შეფუთვა არ გახსნილიყო, უნიტაზზე მაინც არ ჩამოჯდა. მძღოლმა უნიტაზის საბარგულში ჩადება დააპირა, მაგრამ არ დაანება, ფეხებს შორის მოითავსა და მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, სასტუმროში შეუმჩნევლად როგორ შეეტანა.

სასტუმროს კიბემდე გულზე მიხუტებული მიიტანა, კანაფს ცხვირსახოცი დაახვია და ლიფტისკენ გაემართა. ნომერში, ტუალეტში შესულს, თვალში წყლის ავზი მოხვდა. ახლაღა გაახსენდა, რომ მის უნიტაზს ეს აკლდა და გული მოუვიდა – როგორ გამაბრიყვესო. გახსნა დააპირა, საიდან აღარ მიუდგა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ბოლოს მაგიდაზე დადგა, ჯერ ხელი დაარტყა, შემდეგ მუშტი, თუმცა ამაოდ, მერე კი გულმოსულმა ორივე მუშტი მთელი ძალით ერთდროულად დაჰკრა და უეცრად კვერცხი შუაზე გაიპო. ამ დროს კარზე დააკაკუნეს და უნიტაზი მაგიდის ქვეშ შეაცურა.

– Вам белье поменяли?[18] – მორიგე ცდილობდა, ოთახში შემოეხედა, როგორც ჩანს, მისი უნიტაზი აინტერესებდა.

– Поменяли, поменяли,[19] – მიუგო და კარი მიუხურა.

უნიტაზი კვლავ მაგიდაზე დადგა, თავად სავარძელში ჩაეშვა და ვარდისფერ ლარნაკს მიაჩერდა. რაც უფრო დიდხანს უცქერდა, მით უფრო მეტად იხიბლებოდა, მერე მასში ჩაწყობილი წითელი ვარდები წარმოიდგინა და ამ პროცესმა იმდენად გაიტაცა, რომ დაავიწყდა დაკლებული წყლის ავზი, გადატანასთან დაკავშირებული უხერხულობა და ფასიც აღარ ეძვირა, რადგან ეს იყო მართლაც, «Образец высокого искусства»[20], როგორც იმ კაცმა თქვა. ამასობაში დაბინდდა კიდეც, უნიტაზი მაგიდის ქვეშ შედგა, პენოპლასტები მიაფარა და რესტორანში ჩავიდა.

წვნიანი რომ დაამთავრა, მაგიდას ქერათმიანი, სიმპათიური ქალი მიუჯდა, მენიუ გაშალა და შამფურზე შემწვარი ზუთხი შეუკვეთა.

– Обожаю осетрину на вертеле.[21] – თქვა და მომხიბლავად გაიღიმა.

– Я тоже.[22] – გაუღიმა, შამპანური შეუკვეთა და საუბარი გაუბა. ლიუდმილა მეცმუშაკი აღმოჩნდა, კიევიდან მივლინებით ჩამოსულიყო და ამავე სასტუმროში ცხოვრობდა. პროფესორი ანეკდოტებს უყვებოდა, ქალი კი კისკისებდა, შამპანურს მიირთმევდა და თვალები ეშმაკუ-

[16] – შეფუთე.
[17] – გვარიანად გაგიმართლა, იშვიათი ნივთია.
[18] – თეთრეული გამოგიცვალეს?
[19] – გამომიცვალეს, გამომიცვალეს.
[20] – მაღალი ხელოვნების ნიმუში.
[21] – ვგიჟდები შამფურზე შემწვარ ზუთხზე.
[22] – მეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უციმციმებდა. დრო შეუმჩნევლად გაიპარა. ოფიციანტს ორი შამპანური მოატანინა, თანამესუფრეს ლხინის გაგრძელება თავის ნომერში შესთავაზა.

კარში ჯერ ქალი გაატარა და მაღალ ქუსლებზე შემდგარ მის მოხდენილ სხეულს ვნებიანი მზერა გააყოლა – წინ მეტად სასიამოვნო ღამე ელოდა.

– А под столом видимо странный предмет скрываете?[23] – რატომღაც დაინტერესდა ლიუდმილა.

– Ничего особенного,[24] – სიტყვა ბანზე აუგდო და ინანა, რომ კარადაში არ შეინახა.

– А все же?

– Да, сервиз...[25]

ქალს ღვინო მოეკიდა, უმიზეზოდ კისკისებდა და წამდაუწუმ იმეორებდა, вдребезги напилась-ო[26].

– А сервиз, между прочим, должен находиться не под столом, а на столе![27]

უნიტაზზე ასეთმა უმიზეზო ჩაციებამ, ცოტა არ იყოს, დააეჭვა, წელზე ხელი შემოხვია, მიიზიდა, თვალებში ჩახედა და, ის იყო, საკოცნელად ერთმანეთისკენ მიიწიეს, რომ კარზე კაკუნი გაისმა. გასუსულები კარს მიაჩერდნენ. კაკუნი განმეორდა. უხალისოდ წამოდგა და კარისკენ გაემართა.

– После двенадцати гостьям в номерах находиться не положено![28] – მკაცრად წარმოთქვა მორიგემ და შეეცადა, ოთახში შემოეხედა.

– Почему?

– Согласно инструкций, запрещено. Надеюсь, вам не придется напоминать![29]

ცხადია, ეს არ მოასვენებდა, ამიტომ მოილაპარაკეს, რომ ლიუდმილას ნომერში გადაინაცვლებდნენ. ქალი გაისტუმრა, ცოტა ხანში მეხუთე სართულზე ჩავიდა და მაგიდასთან მჯდომ მორიგეს ისე ჩაუარა, მისკენ არც გაუხედავს.

– Мужчина, вы куда?

– К женщине.

– После двенадцати не положено!

– Всего на пять минут.[30]

ხუთი წუთიც არ გასულა, რომ დაუკაკუნეს.

– Освободите номер![31] – მოითხოვა მორიგემ.

– Не освобожу!

– Не хулиганте, мужчина, а то милицию вызову![32]

განბილებული თავის ნომერში დაბრუნდა, ქალს დაურეკა და მეორე დღის სამი საათისთვის დაიბარა. ამის მერე სინათლე ჩააქრო და დაწვა. ესენი ხომ ადამიანები არ არიანო, ფიქრობდა, რა მშვენიერი საღამო ჩაუშხამეს, თუმცა ხვალინდელი პაემნის იმედით თავს დამარცხებულად მაინც არ თვლიდა. ფიქრში წასულმა გვერდი მოინაცვლა, მოციმციმე საგანი შენიშნა და გაუკვირდა – შუქს უნიტაზი გამოსცემდა. სინათლე ჩართო,

[23] – მაგიდის ქვეშ, როგორც ჩანს, რაღაც უცნაურ ნივთს მალავთ.

[24] – ისეთი არაფერი.

[25] – მაინც რა არის?

– სერვიზია.

[26] გვარიანად გამოვთვერიო.

[27] – სერვიზი, სხვათა შორის, მაგიდაზე უნდა იყოს და არა მაგიდის ქვეშ.

[28] – თოთხმეტი საათის შემდეგ ნომრებში სტუმრების ყოფნა აკრძალულია.

[29] – რატომ?

– ინსტრუქციის თანახმად, აკრძალულია. იმედი მაქვს, თქვენ ამის შეხსენება არ დაგჭირდებათ!

[30] – მამაკაცო, თქვენ საით მიდიხართ?

– ქალთან.

– თორმეტი საათის შემდეგ აკრძალულია!

– სულ ხუთიოდე წუთით.

[3] – გაათავისუფლეთ ნომერი!

[32] – არ გავათავისუფლებ!

– ნუ ხულიგნობთ, თორემ მილიციას გამოვუძახებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიტაზი მაგიდაზე დადგა და შუქი გამორთო. სიბნელეში ნაცნობი კონტურები აკიაფდა, ალბათ, იმისთვის, გაჭირვებულ ადამიანს უნიტაზისთვის იოლად რომ მიეგნო. ეს მართლაც სამთავრობო უნიტაზი იყო, მაგრამ ნათების უნარიც თუ ჰქონდა, ალბათ, იმ ქალმაც არ იცოდა, თორემ უფრო ძვირს დაუფასებდა. ერთხანს იმისი სილამაზით ტკბებოდა, მერე კი პრაქტიკული შემოწმების მიზნით კუთხეში მიდგა, ფრთხილად დაეშვა უჩვეულოდ რბილ, ნაზ დასაჯდომზე და სწორედ აქ მოხდა საოცრება – უნიტაზმა ერთბაშად სიმღერა დასჭექა, პროფესორი კი გველნაკბენივით წამოხტა, რადიო და ტელევიზორი შეამოწმა, ამის მერე უნიტაზს ჩააჩერდა და, იმის გასაჩუმებლად, აღარ იცოდა, რა ეღონა. არადა, ასეთი გასაოცარი უნიტაზიდან ნებისმიერი, ჩვეულებრივი სიმღერაც რომ გაეგო, იმდენად აღარ შეშფოთდებოდა, მაგრამ უნიტაზიდან, არც მეტი, არც ნაკლები, დიადი საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჟღერდა: Союз нерушимый республик свободных /Сплотила навеки великая Русь, /Да здравствует созданный волей народов, / Единый, могучий Совет-ский Союз!..[33]

იმის შიშით, ჰიმნი ვინმეს არ გაეგო, უნიტაზს ჯერ სახურავი, მერე ბალიში და საბანი გადააფარა, მაგრამ ხმა მაინც ვერ დაუხშო. ის კი აღარ უფიქრია, რომ ამ სასტუმროში არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, საბჭოთა კავშირის ჰიმნს მაინცდამაინც უნიტაზი თუ ასრულებდა... Слався отечество наше свободное, /Дружбы народов надежный оплот, / Знамя советское, знамя народое /Пусть от победы к победе ведет. / Сквозь грозы сияло нам солнце свободы /И Ленин — великий нам путь озарил, /Нас вырастил Сталин на верность народу, / На труд и на подвиги нас вдохновил. / Мы армию нашу растили в сраженьях / Захватчиков подлых с дороги сметем, / Мы в битвах решаем судьбу поколений, /Мы к славе отчизну свою поведем. / Слався отечество наше свободное / Славы народов надежный оплот, / Знамя советское, знамя народное / Пусть от победы к победе ведет.[34]

...ამასობაში სიმღერაც დამთავრდა და შვებით ამოისუნთქა. უნიტაზს ბალიში და საბანი გადახადა, სიფონში ხელი ჩაჰყო, გადააბრუნა, შეატრიალ-შემოატრიალა, ყურიც კი მიადო, მაგრამ ხმის გამომცემი ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. არადა, შეიძლება მოეჩვენა და ამ ჰიმნს უნიტაზი არ გამოსცემდა, თუმცა შესამოწმებლად ზედ ჩამოჯდომა ველარ გაბედა და ამდენი ნერვიულობით დაღლილი სავარძელში ჩაესვენა. ეს სამთავრობო კი არა, ნამდვილი ანტისამთავრობო, უფრო სწორად, ანტისაბჭოთა და, რაც მთავარია, მისი თანამოაზრე უნიტაზი აღმოჩნდა და უეჭველად რაღაც ხიფათს გადაჰყრიდა, ვინმეს რომ დაესმინა ჩარგაზიას უნიტაზიდან საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჟღერსო. შეიძლება დაეჭირათ კიდეც. არადა, ასეთი ამბავი სტალინის დროს ვინმეს რომ შემთხვეოდა, დახვრეტა ნამდვილად არ ასცდებოდა. მართალია, სტალინის დრო დიდი ხანია წავიდა, მაგრამ მოსასაქმებლად ჩამომჯდარ ადამიანს უნიტაზი საბჭოთა კავშირის ჰიმნს რომ უმღერებს, ეს რას უნდა ნიშნავდეს?.. ჰიმნი სახელმწიფოს სიმბოლოა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიადი საბჭოეთის საქმემ საბოლოოდ

---

[33] თავისუფალი რესპუბლიკების ურღვევი კავშირი, /ისინი შეადუღაბა საუკუნოდ დიდმა რუსეთმა, /დიდება ხალხის ნებით შექმნილ / ერთიან, ძლიერ საბჭოთა კავშირს!

[34] გაითქვი სახელი, ჩვენო თავისუფალო მამულო, /ხალხთა მეგობრობის საიმედო საყრდენო, /საბჭოთა დროშა, სახალხო დროშა /დე, მიგვიძღვოდეს გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ. /სტალინმა გამოგვზარდა ხალხის ერთგულებით, /გვასწავლა შრომა და გმირობა შთაგვაგონა. /არმია ჩვენი გამოვაწრთეთ ბრძოლებში. / საზიზღარ დამპყრობლებს გზიდან ჩამოვიშორებთ, /ჩვენ ბრძოლებში გამოვჭედთ თაობათა ბედს, / ჩვენ ჩვენს მამულს დიდებას შევძენთ. /იდიდე, ჩვენო თავისუფალო მამულო, /ხალხთა მეგობრობის საიმედო საყრდენო, /საბჭოთა დროშა, სახალხო დროშა /დე, მიგვიძღვოდეს გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაისვარა. საჯაროდ ამის თქმას ვერავინ გაბედავდა, უნიტაზმა კი გაბედა და ამისთვის შეიძლება ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა დაებრალებინათ და, რაც უფრო მალე მოიცილებდა, მით უკეთესი იქნებოდა. სასტუროს ნომერში ვერ დატოვებდა, რადგან მისი ვინაობა ცნობილია და საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, უსათუოდ მოაგნებდნენ. ქუჩაში ან რომელიმე სადარბაზოშიც ვერ მიაგდებდა, შესაძლოა, ასაფეთქებელი მოწყობილობა ჰგონებოდათ და ტერორისტად ჩაეთვალათ. რასაკვირველია, შეეძლო, უბრალოდ, სანაგვეში გადაეგდო, მაგრამ ასეთ მამაც თანამოაზრეს როგორ უნდა შელეოდა?.. ოთხას ორმოცდაათი მანეთი, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი უნიკალური, ალბათ, ერთადერთი ანტისაბჭოთა უნიტაზი ცხოვრებაში აღარასდროს ეღირსებოდა და, მართალია, თავისი გაბზარული უნიტაზის ნაცვლად ვერ დააყენებდა გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ დაგროვილი პროტესტის გამოსახატავად და გულის მოსაფხანად ხომ მაინც გამოადგებოდა.

საქმე ის არის, რომ პროფესორის მშობლები მილიონობით უდანაშაულო ადამიანთან ერთად სტალინურ რეპრესიებს შეეწირნენ და როცა ჰკითხეს, კომპარტიაში რატომ არ შედიხართო, ძალიანაც უნდოდა, ეპასუხა, მკვლელების და ჯალათების პარტიაში რა მესაქმებაო, მაგრამ მოერიდა და წესიერი ადამიანი თქვენს პარტიაში შესვლას როგორ იკადრებსო. ცოტა ხნის მერე მისმა კოლეგამ, რომელიც ამავე დროს პარტკომიც იყო და მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ასეთი რამ ურჩია: თუ არ გინდა, რომ პრობლემები შეგექმნას, აწი მაინც ნუღა იტყვი ხმამაღლა იმას, რასაც ფიქრობო. მეც შენსავით ვფიქრობ, მაგრამ ხმამაღლა კი არ ვამბობო. ამის შემდეგ პარტიის ხმამაღლა ლანძღვას ერიდებოდა, პროტესტი გულში უგროვდებოდა, ახლა კი მის გამოხატვას სწორედ ამ ანტისაჭოთა უნიტაზის მეშვეობით მოახერხებდა.

თავისი ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილმა შუქი გამორთო, ერთხანს სიბნელეში ვარსკვლავივით მოციმციმე უნიტაზს უცქირა, მერე ყური მიადო, დარწმუნდა, რომ დუმდა, მაგიდის ქვეშ, რაც შეიძლება, ღრმად შესწია, დაღლილი დაწვა, მალევე ჩაეძინა და ისევ თავისი უნიტაზი დაესიზმრა, ოღონდ ამას უკვე ადამიანის სახე ჰქონდა, ეშმაკურად ულიმოდა, თვალიც კი ჩაუკრა და შეგაშინეო? – ჰკითხა ნიშნის მოგებით. მას, რასაკვირველია, არ სურდა იმის აღიარება, რომ პროფესორი კაცი უნიტაზმა შეაშინა და გადაჭრით იუარა, უნიტაზმა კი თითქოს ჯინაზე საბჭოთა კავშირის ჰიმნი ისევ ისე დასჭექა, ლამის მთელი სასტუმრო შეძრა... გულგახეთქილს გაეღვიძა და გაუხარდა, რომ ეს სიზმარი გამოდგა.

დილით უნიტაზის შეფუთვა დაიწყო, პენოპლასტებს ორივე მხრიდან ერთდროულად შემოჰკრა, მერე მკლავები მთელი ძალით შემოაჭდო, მაგრამ ვერაფერს გახდა და უნიტაზი კარადაში შემალა. შხაპი გადაივლო, გაიპარსა, თეთრი პერანგი ჩაიცვა და ბუფეტში ჩავიდა. საუზმის შემდეგ ნომერში დაბრუნდა, წამოწვა და ქალთან შეხვედრის მოლოდინში საამურ ფიქრებს მიეცა. მოულოდნე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. მორიგემ შეატყობინა, თორმეტ საათამდე ნომერი უნდა გაათავისუფლოთო. ფული ოც რიცხვამდე ჰქონდა გადახდილი და ვითარების გასარკვევად ადმინისტრატორს მიაკითხა.

– Из восемьсот пятого?[35] – შეეკითხა ის.

– Да.

– Черкезия?

– Чаргазия.

– Номер освободили?

– Тут какое-то недоразумение, у меня по двадцатое число уплачено.

– Ничем не могу помочь, сегодня иностранцы заезжают.

– Послушайте, ведь я...[36] – უნდოდა, ისევ აეხსნა, მაგრამ ადმინისტრატორი უკვე სხვას ელაპარაკებოდა.

სასტუმროში უცხოელთა ჯგუფი გამოჩნდა. არხეინად მოაბიჯებდნენ. უნიფორმიანმა კარისკაცმა ურიკა ლიფტთან მიაგორა და ლამაზი ჩემოდნები გადმოალაგა, ვითომ რითი მჯობიან ახლა ესენი, პრინციპის საკითხია და არ გავალო – დაიბოღმა და ლიფტისკენ გაემართა.

ოთახი ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში შეინახა, სავარძელში ჩაეშვა, ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და სიგარეტი გააბოლა. მაინც რატომ უნდა დაეთმო ნომერი ვიღაც უცხოელებისთვის, მის გარდა აქ უამრავი ადამიანი ცხოვრობს და რაღა მაინცდამაინც ქართველს მოადგნენ! გამოდის, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ქუჩაში გააგდონ და ხმასაც ვერ ამოიღებს, არადა, მასაც ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ნებისმიერ უცხოელს, მითუმეტეს, ოც რიცხვამდე ფული გადახდილი აქვს.

კარზე დააკაკუნეს.

– Освобождать будете?[37] – სართულის მორიგეს ყვითელი თვალები დაუწვრილდა.

– Нет.

– Вас же предупреждали, мы иностранцев заселяем.

– Я отсюда не выйду.

– Приказано и все, с вещами![38] – მორიგემ ოთახს თვალი ისე მოავლო, თითქოს რაღაცას ეძებდა. რომ სცოდნოდა, კარადაში საბჭოთა კავშირის ჰიმნის შემსრულებელ უნიტაზს მალავდა, უეჭველად დაასმენდა.

– Вы не командуете, я профессор и отсюда не выйду.

– Видали таких профессоров,[39] – აგდებით უთხრა.

– Как ты смеешь, дура!

– Будешь хулиганить, милицию вызову,[40] – ისე დაემუქრა, უეჭველად შეუსრულებდა.

მორიგე გავიდა და ვიღაც ზანგთან და ჩემოდნიან კარისკაცთან ერთად დაბრუნდა. ჩარგაზიამ გადახედა ქანდაკებასავით გახევებულ კარისკაცს, ქართველობის გამო მისდამი სიძულვილით

[35] – ოთმოცდამეხუთედან ხარ?

[36] – დიახ.
– ჩერქეზია?
– ჩარგაზია.
– ნომერი გაათავისუფლეთ?
– აქ რაღაც გაუგებრობაა, მე ოც რიცხვამდე მაქვს გადახდილი.
– ვერაფრით ვერ დაგეხმარებით, დღეს უცხოელები გვეწვევიან.
– მისმინეთ, მე ხომ...

[37] – გაათავისუფლებთ ოთახს?

[38] – არა.
– ხომ გაგაფრთხილეთ, უცხოელები უნდა შემოვასახლოთ.
– მე აქედან არ გავალ.
– ნაბრძანებია და მორჩა, დატოვეთ ოთახი!

[39] – თუ შეიძლება, ნუ მეუფროსებით ბრძანებას თავი დაანებეთ, მე პროფესორი ვარ და აქედან არ გავალ!
– გვინახავს ასეთი პროფესორები!

[40] – როგორ ბედავ, შტერო!
– იხულიგნებ და მილიციას გამოვუძახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსავსე მორიგეს, მიხვდა, რომ აქ ვერ გაიმარჯვებდა და როგორმე ღირსეულად უნდა დაეხია უკან. ერთხანს საზიზღარ მორიგეს მისჩერებოდა, მერე დინჯად გაემართა კარადისკენ და შიგვე დაიწყო უნიტაზის შეფუთვა, მაგრამ კვერცხი ვერაფრით ვერ გაამთლიანა. ჯერ პენოპლასტები მიაფარა, იატაკზე გადმოდგა, ამის შემდეგ კედელთან მიაჩოჩა და რომ არ გადახსნილიყო, სკამი მიადგა, თავად კი კანაფისთვის ტუმბოსკენ გაემართა. კვერცხი რომ არ გაშლილიყო, მარცხენა ხელი დააფარა, მარჯვენით კანაფი ქვემოდან ამოატარა და ამ დროს გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა – კანაფის გასანასკვად მარცხენა კვერცხს მოაცილა, ნაწილები გადაიშალა და უნიტაზიც გაშიშვლდა. სასწრაფოდ შეფუთა, მაგრამ გვიანღა იყო... სავარძელზე ჩამოჯდა და შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა. შავკანიანი გაოცებული ადევნებდა თვალს მთელ ამ ოპერაციას და ეტყობა, ვერაფერი გაეგო. პროფესორმა თავისი ნივთები ჩაალაგა, პალტო ჩაიცვა, ჩანთა მხარზე გადაიკიდა, უნიტაზი იღლიაში ამოიდო და კარისკენ გაემართა.

– Профессор с унитазом![41] – მოესმა ზურგს უკან. – Спекульянт![42]

ჩარგაზია გაშრა, ნელა შემოტრიალდა და გაფითრებული მიაჩერდა საძულველ მორიგეს.

– Сука![43] – გამოცრა კბილებს შორის და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, კარისკაცს რომ არ შეეჩერებინა.

ქუჩაში სუსხიანმა ქარმა ლამის ქუდი მოსტაცა, სასტუმროს მიაფურთხა და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გასცილდა. ორმოცდაათს მიაღწია და ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში ჯერ არ ჩავარდნილა – უბრალო მორიგესაც კი შეეძლო დაემცირებინა და სასტუმროდან გამოეგდო. მერე თავისი პაემანი გაახსენდა და უნიტაზი ასფალტზე დადგა. წვიმას პენოპლასტი გაელღო და რბილ, უფორმო მასად გადაექცია. იმ ქალს ხელში შიშველი უნიტაზით ხომ ვერ მიადგებოდა და გადაწყვიტა, ბარგის შესანახ საკანში ჩაებარებინა. სანამ ტაქსის ეძებდა, პენოპლასტი საბოლოოდ დაიძონძა, კანაფმა ზედაპირი ჩაჭრა, ნაჭრები გასძვრა და ხელში გაშიშვლებული უნიტაზი შერჩა. ბედად გაზეთების ჯიხური შენიშნა, უნიტაზს გაზეთები შემოახვია, კანაფი შემოავლო და კმაყოფილი დარჩა – კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, შიგნით რა იყო.

ტაქსით აეროპორტში გაემგზავრა, უნიტაზი ავტომატურ საკანში ჩაკეტა. გარეთ გამოსული ჩანთამ დაამძიმა და იმის შესანახადაც შებრუნდა. კარადაზე თავისი კოდი აკრიფა, მაგრამ კარი ვერ გააღო და აფორიაქებულმა მორიგეს მიაკითხა.

– Что там у вас?[44] — ჰკითხა იმან.

– Унитаз,[45] – უთხრა ხმადაბლა.

კარადაში ჩემოდანი აღმოჩნდა.

– Раз память изменяет, записывать надо![46] – გაბრაზებულმა მორიგემ კარი მიაჯახუნა.

– Записано у меня.[47] – ქაღალდი მიაწოდა.

– Номер ячейки спутали![48]

ამასობაში რამდენიმე ცნობისმოყვარეც მოგროვდა.

– Может этот?

– Может не может... так до утра искать можно![49] – იმან კარი გამოაღო და პრო-

[41] – უნიტაზიანი პროფესორი! — გადამყიდველო!

[42] – სპეკულანტო!

[43] – მანაკო!

[44] – რა გაქვთ მანდ?!

[45] – უნიტაზი.

[46] – რაკი მეხსიერება გღალატობთ, წიგნაკში უნდა ჩაინიშნოთ!

[47] – ჩანიშნული მაქვს!

[48] – შემნახველი საკანი აგერიათ.

[49] – იქნებ, ეს არის?
– იქნებ? ასე ხომ დილამდე უნდა ვეძებოთ.

პროზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფესორმა უნიტაზი იატაკზე გადმოილო.

– Разверните![50]

ძალიან არ უნდოდა გახსნა, მაგრამ რა ექნა, გაზეთი გადაწია, უნიტაზის გვერდი გამოაჩინა, თუმცა მორიგე ვერ დააკმაყოფილა და იძულებული შეიქნა, მთლიანად გაეშიშვლებინა. ცნობისმოყვარენი უჩვეულო უნიტაზს მიაჩერდნენ.

– А где брали, товарищ?[51]

– В «Интуристе» украл.[52]

უნიტაზი ისევ შეფუთა და ახლა ბარგის საკანში მიიტანა.

– Что это?

– Ничего особенного.[53]

მიმღებმა გაზეთი გადასწია, მაგრამ ვერ მიხვდა, შიგ რა იყო, მერე გაზეთი ისე სწრაფად მოაცილა, რომ ჩარგაზიამ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო.

– Унитаз,[54] – წარმოთქვა ნიშნის მოგებით და ხმამაღლა გამოაცხადა: – Унитазы не принимаем![55]

პროფესორი ოფლში გაიწურა, დათარსული უნიტაზი კედელთან გადაიტანა, ისევ შემოახვია გაზეთები და ზედ ჩამოჯდომა დააპირა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

– Такой унитаз я давно ищу. А где брали, если не секрет?

– Случайно попался.

– Мне понятно ваше смятение, не очень-то приятно такой унитаз на всеобщее обозрение выставлять. Что поделаешь, сплошное безкультурье у нас. Вы сами откуда?

– Из Тбилиси.

– Я у вас на море отдыхал. Жена эту вещицу увидит, ахнет. Цвет, форма как в сказке, о таком всю жизнь мечтала. А далеко брали?[56]

სანამ მისამართს არ გაიგებდა, ეს არაფრით არ მოეშვებოდა და რაღაც არარსებული მისამართი მოიგონა.

– А сколько платили?

– Четыреста пятьдесят.

– Дороговато.

– Зато в темноте светится.

– Серезно?.. Фантастика какая-то.[57]

ისიც რომ გაემხილა, საბჭოთა კავშირის ჰიმნსაც ასრულებსო, სულ გადაირეოდა ეს კაცი.

ამ დიალოგის შემდეგ უფრო მეტად დააფასა თავისი უნიტაზი, თუმცა უკვე აღარც იცოდა, სად უნდა შეენახა. ამ დროს შავგვრემანი მამაკაცი მიუახლოვდა, ეგონა, რომ ამასაც იგივე აინტერესებდა, მაგრამ შეცდა.

– Сунь ей трешку, она не то-что унитаз, а целый туалет возмет.[58]

ასეც მოიქცა და სამი საათისთვის უკვე სასტუმროში იყო. ლიუდმილას ნო-

---

50 – გახსენით!

5 – სად შეიძინეთ, ამხანაგო?

52 – „ინსტიტუტში“ მოიპარა.

53 – ეს რა არის.

– განსაკუთრებული არაფერია.

54 – უნიტაზია.

55 – უნიტაზებს არ მივიღებთ.

56 – ასეთ უნიტაზს რა ხანია ვეძებ. თუ საიდუმლო არ არის, სად შეიძინეთ?

– შემთხვევით წავაწყდი.

– თქვენი შეშფოთება გასაგებია, არც ისე სასიამოვნოა, ასეთი უნიტაზი საყოველთაო განხილვის საგნად აქციო. ვერაფერს გააწყობ. თქვენთან საშინელი უკულტურობაა. თქვენ თვითონ საიდან ხართ?

– თბილისიდან.

– მე თქვენთან ზღვაზე ვისვენებდი. ჩემი ცოლი რომ ამ ნივთს ნახავს, გადაირევა. ისეთი ფერი და ფორმები აქვს, ზღაპრის გეგონება. ასეთ ნივთზე მთელი ცხოვრება ოცნებობდა. სად იშოვეთ? შორს შეიძინეთ?

57 – რამდენი გადაიხადეთ?

– ოთხას ორმოცდაათი.

– ძვირია.

– სამაგიეროდ, სიბნელეში ანათებს.

– სერიოზულად?.. ფანტასტიკაა.

58 – ჩაუდე სამმანეთიანი და უნიტაზს კი არა, მთელ ტუალეტს ჩაიბარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერში ვილაც არაბი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ისიც გაასახლეს – მთელი სასტუმრო უცხოელებით იყო სავსე.

რამდენიმე სასტუმროს მიაკითხა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს „ინტერკონტინენტალის" წინ შეჩერდა. საბჭოთა მოქალაქეს ამ სასტუმროზე ოცნებაც კი არ შეეძლო, ფეხებს მაინც დავასვენებო, გაიფიქრა და შესასვლელისკენ გაემართა. ფოიეში პირდაპირ რბილ სავარძელში ჩაეშვა, საზურგე მდორედ გადაიწია, ქვემოდან ამოცურებულმა რბილმა საფეხურმა ფეხები აუწია, მიწოლილმა სხეულმა ნეტარება იგრძნო. თვალმილულულმა მისთვის მიუწვდომელი სასტუმროს ნომერი წარმოიდგინა და დაბოლმილმა გადაწყვიტა, ამათ რესტორანში ესადილა მაინც.

დარბაზის კუთხეში მყუდრო ადგილი მონახა, მენიუ გაშალა და უცნაურ კერძს წააწყდა: „Марешаль из рябчиков. Цена 25 руб.[59] სახელწოდებიდან და ფასიდან გამომდინარე, ძალიან გემრიელი უნდა ყოფილიყო და სწორედ ეს კერძი, სალათი და ერთი ბოთლი „გურჯაანი" შეუკვეთა.

– Можно присесть?[60] – ბაცკოსტუმიანმა მამაკაცმა მაინცდამაინც აქ ისურვა დაჯდომა, თუმცა ირგვლივ ყველა მაგიდა თავისუფალი იყო.

ოფიციანტმა ჩარგაზიას სალათი და „გურჯაანი" მოართვა.

– Марешаль из рябчиков,[61] – მენიუში ჩაუხედავად შეუკვეთა ბაცკოსტუმიანმაც.

ასეთი საეჭვო დამთხვევა ჯერ უბრალო შემთხვევითობას მიაწერა.

– Марешаль, к сожалению, закончился, есть Жульен,[62] – უთხრა უკან მობრუნებულმა ოფიციანტმა.

– Жульен не надо.[63]

ეს კი პაროლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ შეკვეთას, მითუმეტეს, შეუძლებელი ეჩვენა, რომ „მარეშალი" სწორედ ახლა გათავებულიყო.

– Всегда одно и тоже, заказываю Марешаль, а предлагают Жульен.[64]

ბაცკოსტუმიანის ხელში ფერადი ჟურნალი გაჩნდა ყდაზე უნიტაზის ფოტოთი – შემთხვევითობა აქ უკვე გამორიცხული იყო.

– Сантехникой не интересуетесь? [65] – ჟურნალი მიაწოდა.

ჩარგაზიას არ უნდოდა, ამ საეჭვო კაცს აჰყოლოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და უცხოური სანტექნიკის ზღაპრულ სამყაროში მოხვდა: რამდენნაირი უნიტაზი, ნიჟარა და აბაზანა აღარ ნახა, მაგრამ თავისი ანტისაბჭოთა უნიტაზის მსგავსიც კი არაფერი შეხვედრია, თუმცა ამან ვერ დაამშვიდა – აქედან დროზე უნდა გაესწრო. „მარეშალი" სწრაფად შეჭამა, მერე ოფიციანტი მოძებნა და დანახარჯი გადაიხადა.

ქუჩაში სუსხიანმა ქარმა ქუდი კინაღამ მოსტაცა, პალტოს საყელო აიწია, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, შენობის კუთხეს მოეფარა, დარწმუნდა, რომ არავინ არ ასდევნებია და სწრაფი ნაბიჯით ტაქსის გაჩერებისკენ გაემართა.

თავისუფალი საწოლი არც აეროპორტის სასტუმროში მოიძებნა. ღამე სავარძელში გაატარა და ასეთი უცნაური რამ დაესიზმრა: მისი ანტისაბჭოთა უნიტაზი კრემლის წინ იდგა, ზედ კი ცეკას გენერალური მდივანი იჯდა და იქიდან საბჭოთა კავშირის ჰიმნი ჟღერდა. მერე უნიტაზი თავის გენერალურმდივნიანად ჰაერში აფრინდა. ხალხმა ტაში დაცხო. ერთხანს ჰაერში ილივლივა, გენმდივანმა ხალხს ხელი დაუქნია და უნიტაზიანად კრემლის კედელს მიღმა გაქრა... თვალი

[59] გნოლ-ქათმის მარეშალი. ფასი 25 მან.

[60] – შეიძლება ჩამოვჯდე?

[6] – გნოლ-ქათმის მარეშალი.

[62] – მარეშალი, სამწუხაროდ, გაგვითავდა, გვაქვს ჟულიენი.

[63] – ჟულიენი არ მინდა.

[64] – ყოველთვის ერთი და იმავეს ვუკვეთავ, ესენი კი სულ ჟულიენს მთავაზობენ.

[65] – სანტექნიკა არ გაინტერესებთ?

გაახილა, სიზმარში რას აღარ ნახავსო კაცი, მძინარე მგზავრებს თვალი მოავლო და ისევ ჩასთვლიმა.

დილით ბარგის შესანახი საკნისკენ გაემართა. უნიტაზის გაშიშვლებულ ადგილებს გაზეთი დააფარა და კანაფი შემოახვია. უამინდობის გამო ფრენა ჯერ ორი საათით გადაიდო, მერე კი გაურკვეველი დროით.

დარბაზი მგზავრებით გაივსო, ზოგი ფეხზე იდგა, ზოგიც ბარგზე ჩამომჯდარი თვლემდა, თუმცა ყველას სახე ერთნაირ უიმედობას გამოხატავდა. ჩარგაზიას უკვე დიდი ხანია შიოდა, მაგრამ ბუფეტში გრძელი რიგი და უნიტაზის აქეთ-იქით თრევაც რომ წარმოიდგინა, ისევ სავარძელში ჯდომა ამჯობინა. მის გვერდით გრძელცხვირა, შავგვრემანმა კაცმა მუხლებზე კეისი დაიდო, თეთრი ნაჭერი გადააფარა, კვერცხები გაფცქვნა, ჯაყვით მრგვლად დაჭრა და მარილი მოაყარა. დინჯად ივახშმა ისე, რომ მისთვის არც კი შეუთავაზებია, სუფრიდან ნამცეცები გადაბერტყა, ყველაფერი ისევ კეისში შეინახა, კმაყოფილმა პირში სიგარეტი გაიჩარა, თუმცა არ მოუკიდებია და, ალბათ, ადგილი რომ არ დაეკარგა, მოსაწევადაც აღარ გასულა.

– Куда направляетесь?[66] – შეეკითხა გრძელცხვირა მცირე ხნის მერე.

– В Тбилиси.

– А я в Израиль. Наконец-то выберусь из этого рая. Десять лет разрешения ждал и вот с погодой не повезло. Меня там женщина ждет, между прочим, с огромным состоянием. Я сам ювелир, но здесь разве развернешся?.. Все время под страхом жил, слава богу, избавлюсь, свое дело разверну.[67]

ამ ებრაელს აქაურობა, ეტყობა, ისე სძულდა, ერთი სული ჰქონდა, ქვეყნიდან გაეღწია.

ცოტა ხნის მერე ჩასთვლიმა და ებრაელმა გააღვიძა.

– Прощаите, мой самолет объявили. Желаю вам удачи в нашей быстротекущей жизни.[68] – გახარებულმა ხელი ჩამოართვა და იმ ერთადერთი კეისით ხელში გასასვლელისკენ გაემართა. პროფესორმა შურით გააყოლა თვალი, საზურგეს მიეყრდნო, ფეხები უნიტაზზე დააწყო და თვალები მილულა.

რამდენიმე საათის შემდეგ თბილისის რეისიც გამოაცხადეს. ბილეთი რეგისტრაციაში გაატარა და უნიტაზი მეტალოდეტექტორის ლენტზე შედგა. ლენტი დაიძრა, ზარმა გაიწკრიალა და ლეიტენანტმა უნიტაზი იატაკზე გადმოდგა.

– Что здесь у вас?

– Ничего особенного.[69]

ლეიტენანტმა გაზეთი გადასწია. როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, რა იყო, კანაფის გადაჭრა დააპირა, მაგრამ ჩარგაზიამ დაასწრო და უნიტაზის მხოლოდ ერთი გვერდი გამოაჩინა. იმან ჯერ თითი მიუკაკუნა, მერე კანაფი გადაჭრა.

– Вот это унитаз,[70] – წარმოთქვა ერთგვარი სევდანარევი მოწიწებით და ერთხანს მისი სილამაზით ტკბებოდა.

– Быстрей, Николай, люди ждут![71] – გაისმა კონტროლიორის ხმა. ლეიტენანტმა სიფონში ხელი ჩაყო, შეანჯღრია, გადააბრუნა, ქვემოდან გულდასმით გასინჯა, მერე კვლავ გაატარა მეტალოდე-

[66] – საით მიემგზავრებით?

[67] – თბილისში.

– მე ისრაელში როგორც იქნა, მეშველა და თავს დავაღწევ ამ სამოთხეს. ათი წელია გამგზავრების უფლებას მოველი და ახლა ამინდმა მიმტყუნა. სხვათა შორის იქ ძალზე შეძლებული ქალი მელოდება. მე იუველირი ვარ, მაგრამ აქ განა რამეს გააწყობ? მუდამ შეშინებული ვცხოვრობდი, მადლობა ღმერთს, მეშველა და ახლა ჩემს საქმეს გავჩარხავ.

[68] – მშვიდობით, ჩემი თვითმფრინავი გამოაცხადეს. გისურვებთ წარმატებებს ჩვენს სწრაფმავალ ცხოვრებაში.

[69] – აქ რა გაქვთ?

– არაფერი განსაკუთრებული.

[70] – აი, უნიტაზიც ასეთი უნდა!

[71] – სწრაფად, ნიკოლაი, ხალხი გელოდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექტორში და ისევ გაიწკრიალა. ლეიტენანტმა მაიორი მოიყვანა, ამან უნიტაზი ეჭვიანად შეათვალიერა, თუმცა ხელი არ უხლია.

– Унитаз? [72] – იკითხა იმან.

– Умывальник, [73] – მიუგო ჩარგაზიამ.

– Шутить изволите? [74] – მაიორმა კოპები შეკრა, თვალმოწკურული უნიტაზს დაჟინებით მიაჩერდა. ჩარგაზიას მოეჩვენა, რომ ზედ დაჯდომაც დააპირა და შუბლი ცივი ოფლით დაენამა, თუმცა მაიორს ეს არ შეუმჩნევია – მთელი ყურადღება უნიტაზზე გადაეტანა. მერე მეტალოდეტექტორში გაატარა, მაგრამ იგივე განმეორდა. მაიორი გავიდა და მცირე ხნის მერე შავგვრემან პოდპოლკოვნიკთან ერთად დაბრუნდა. ეს ქართველს ჰგავდა და რაღაც იმედი მიეცა. გაატარეთო, ბრძანა იმან, ზარის გაგონებაზე წარბი შეიკრა, მერე ჯიბიდან პატარა, პრიალა ჩაქუჩი ამოიღო, უნიტაზს ოდნავ დაჰკრა და სწორედ აქ მოხდა სასწაული, – უნიტაზმა ჯერ ბროლის ლარნაკივით გაიჟღერა, მერე მუსიკალური ბგერა გამოსცა, ხმა თანდათან გაძლიერდა, პირველს მეორე შეეხმიანა, მეორეს – მესამე, უამრავი ზანზალაკი შეხმატკბილებულად ამღერდა და ჩარგაზიამაც შვებით ამოისუნთქა, შუბლი შეიმშრალა. გაღიმებული პოდპოლკოვნიკი კი სულგანაბული უსმენდა უცნაურ უნიტაზს. ცნობისმოყვარე მგზავრები მუსიკალურ უნიტაზს ათვალიერებდნენ, ვიღაც ქალს კი ისე მოეწონა, რომ მოეფერა კიდეც. პოდპოლკოვნიკმა წამიერი სისუსტე დაძლია და ისევ მოიღუშა.

– Где брали это устройство? [75] – შეეკითხა მკაცრად.

ანტისაბჭოთა უნიტაზის შეძენაში რომ არ დაედანაშაულებინათ, в магазине сантехники-ო[76], უპასუხა.

პოდპოლკოვნიკმა მაიორს ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა და გავიდა. ბილეთი დაუბრუნეს და უნიტაზის გატანის ნება დართეს. გაზეთები შემოახვია და შეფუთვა დაიწყო.

– А унитаз, чего, музыкальный? [77] – შეეკითხა ვიღაც.

– Унитаз есть унитаз, а не какой-нибудь музыкальный инструмент,[78] – შენიშნა ვიღაცამ.

– Так поет ведь!

– Чушь какаято.

– Я бы, от такого не отказался.

– Не унитаз, а камфетка.[79]

შეფუთვა დაამთავრა, შუბლი შეიმშრალა და შვებით ამოისუნთქა.

თვითმფრინავში ავიდა, ჩანთა თაროზე შეაგდო, უნიტაზი კი ფეხებს შორის მოითავსა. როცა თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკს მოსწყდა, უსიამოვნო ფიქრები მოეძალა – ერთი სული ჰქონდა, შინ მშვიდობით ჩაეღწია. მართალია, ბევრი უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ სამაგიეროდ, უნიკალური, თავისი თანამოაზრე ანტისაჭოთა უნიტაზის პატრონი გახდა.

– ძლივს არ გვეშველა, – თქვა გვერდით მჯდომმა თმაშევერცხლილმა მამაკაცმა. – სამი ღამე აეროპორტში გავატარე. სხვათა შორის, კარგი ქენით, უნიტაზი ბარგში რომ არ ჩააბარეთ, უეჭველად გატეხდნენ. უნიტაზთან დაკავშირებით მეც მოვხვედრილვარ უხერხულ სიტუაციაში – აქ ისედაც ყველაფერი უკვირთ და უც-

---

[72] – უნიტაზი?

[73] – პირსაბანი.

[74] – ხუმრობთ?

[75] – სად შეიძინეთ ეს მოწყობილობა?

[76] – სანტექნიკის მაღაზიაში.

[77] – ეს უნიტაზი რა, მუსიკალურია?

[78] – უნიტაზი უნიტაზია და არა რაღაც მუსიკალური ინსტრუმენტი.

[79] – აკი მღერის კიდეც!
– რაღაც უაზრობაა!
– მე ასეთ რამეზე უარს არ ვიტყოდი.
– უნიტაზი კი არა, პირდაპირ კანფეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოურ საქონელზე ხომ ჭკუას კარგავენ. მე თვითონ საერთაშორისო კლასის ექსპერტი ვარ, მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს და ძნელად თუ გამაკვირვებ რამით. იაპონიაში ვნახე უნიტაზი, რომელიც თვითონ მიგანიშნებს, გჭირდება თუ არა შარდისა და განავლის ანალიზი. ამერიკაში მინახავს გამჭვირვალე, დასაშლელი უნიტაზი. შემხვედრია სუნის გამანეიტრალებელი და ნებისმიერი სურნელის გამომცემი უნიტაზებიც – მათზე დამჯდარ ადამიანს თავი ედემის ბაღში გეგონება. თქვენ წარმოიდგინეთ, მუსიკალური უნიტაზებიც არსებობს – კლასიკური მუსიკა თურმე ხელს უწყობს გარკვეული პროცესების მსვლელობას. ამაზე მუშაობენ ექიმები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები. გამოანგარიშებულია, რამდენ დროს ანდომებს ადამიანი, სიცოცხლის განმავლობაში ტუალეტს, აბაზანას, ჭამას, ძილს და სხვა პროცედუ-რებს. მე მოძრავი უნიტაზებიც მინახავს – შედიხარ ტუალეტში და უეცრად იატაკიდან ამოდის უნიტაზი მართალი გითხრათ, პირველად შემეშინდა კიდეც, მერე მივეჩვიე. თქვენ, შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ მე გადასატანი, პორტატული უნიტაზებიც მინახავს – ხმარების შემდეგ სპეციალურ ჩანთაში იდება. რასაკვირველია, ყველაფერი ჰერმეტულად არის მოწყობილი. ტურისტებისთვის არსებობს ერთჯერადი უნიტაზები, რომლებიც გარემოს გაბინძურებისგან იცავს. ჩვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ უახლოეს მომავალში იაპონიაში საერთოდ აღარ დასჭირდებათ უნიტაზი.

– ეს როგორ?

– იაპონელმა კოლეგამ მითხრა, რომ ასეთი პროექტიც არსებობს. რა იქნება და როგორ, ეს ფირმის საიდუმლოა და არ ამხელენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად მიაღწევენ, ამ საკითხს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ, ჩვენთან კი, მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაც არის – ჩეჩმის დონეს ვერ გავცდით.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტის მიერ ჩამოთვლილ უნიტაზებს მართლაც განუსაზღვრელი შესაძლებლობანი გააჩნდა, ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებდა საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესრულებას, უნდოდა, ამით მაინც გაეკვირვებინა ყოვლისმნახველი ექსპერტი, მაგრამ გადაიფიქრა – ამას ხომ მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, მაშინ, როცა საბჭოთა მოქალაქისთვის საზღვარგარეთ წასვლა არც თუ ისე იოლი საქმე იყო და სწორედ ამან დააეჭვა აგენტი ხომ არ არისო, მერე კი სულ იმაზე ფიქრობდა – თუ რა შეიძლება გამოეგონებინათ იაპონელებს უნიტაზის ნაცვლად, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი მოისაზრა, ცივილიზებული ადამიანის არსებობა უნიტაზის გარეშე წარმოუდგენლად მოეჩვენა.

როცა თვითმფრინავის თვლები თბილისის აეროდრომს შეეხო, შვებით ამოისუნთქა...

ტაქსიდან ფრთხილად გადმოიტანა თავისი უნიტაზი და სწრაფად გაემართა სადარბაზოსკენ. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, სარდაფში გადაემალა, მაგრამ, სამწუხაროდ, გასაღები არ ჰქონდა. კიბე ისე აათავა, არავის დაუნახავს. უხმაუროდ შეიპარა სახლში და სწორედ მაშინ, როცა უნიტაზის კარადაში შედება დააპირა, ოთახში ცოლი შემოვიდა. ლაბორატორიისთვის ოსცი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოჰალიოგრაფი ვიყიდეო – არ დაიბნა, მეშინია ბავშვებმა არ გამიტეხონო. უნიტაზი დროებით ტანსაცმლის კარადაში შედო, რაღაც ნაჭერი გადააფარა, ღამე კი სარდაფში ჩაიტანა და ისე საიმედოდ გადამალა, ეშმაკიც ვერ მიაგნებდა.

მეორე დღეს ინსტიტუტში მისულს ერთმა თანამშრომელმა ჰკითხა, რამე საინტერესო ხომ არ ჩამოიტანე მოსკოვიდანო. ამ ღლეყვას ჩამშვების რეპუტაცია ჰქონდა და ყოველი შემთხვევისთვის გაიკვირვა კიდეც, სავაჭროდ ხომ არ წავსულვარ, რა უნდა ჩამომეტანაო, მაგრამ, როცა ჩააცივდა, რამეს აუცილებლად ჩამოიტანდი, ისე არ ჩამოხვიდოდიო, ეჭვი გაუჩნდა, რაღაც ხომ არ იცისო. არადა, საიდან უნდა გაეგო, უნიტაზი აქ არავის დაუნახავს, იმისი არსებობაც კი არავისთვის გაუმხელია და შემთხვევით რამე რომ გაეგო კიდეც, იმას როგორ წარმოიდგენდა, უნიტაზს საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესრულება თუ შეუძლია.

ერთი თვე ისე გავიდა, საიდუმლო ოჯახის წევრებისთვისაც კი არ გაუმხელია. არადა, ერთი სული ჰქონდა ვინმესთვის გაენდო, მაგრამ შიშს, მოგეხსენებათ, დიდი თვალები აქვს, ამას, შესაძლოა, ორგანოების ყურამდეც მიეღწია და, ვინ იცის, რაღა არ დაებრალებინათ.

ერთ მშვენიერ კვირადღეს თავისი უნიტაზის მონახულება გადაწყვიტა. საგარეოდ გამოეწყო, სტუმრად მივდივარო, გამოაცხადა და სარდაფში ჩავიდა. კარი შიგნიდან ჩაკეტა, ნათურა ჩართო, დიდხანს ეძება და წამით ისიც კი დაუშვა, ვაითუ, მოიპარესო. როგორც იქნა, მიაგნო, სწრაფად მოაცილა გაზეთები და, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად მისი უნიტაზი იყო, გახარებულმა ნაზად გადაუსვა ხელი. უჩვეულოდ თბილი მოეჩვენა. მაგიდაზე შემოდგა, შუქი გამორთო, ერთხანს სიბნელეში მოციმციმე სილამაზით ტკბებოდა, მერე სიმღერის უნარის შესამოწმებლად ზედ ჩამოჯდომა დააპირა, თუმცა იმისიც ეშინოდა, მეზობლებს ჰიმნის ხმა არ გაეგოთ. კარის ღიობში გაიჭვრიტა. ირგვლივ არავინ იყო. უნიტაზი კუთხეში მიდგა, ზედ ჩამოჯდა და ჰოი, საოცრებავ, უნიტაზიდან ამჯერად საბჭოთა საქართველოს ჰიმნი აჟღერდა: იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ, / გმირთა კერა ხარ გაუქრობელი, /ქვეყანას მიეც დიდი სტალინი, / ხალხთა მონობის დამამხობელი. / შენი ოცნება ასრულდა, /რისთვისაც სისხლი ღვარეო, / აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, / ილხინე, ქართველთ მხარეო. /დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა / შენ გაგინათა მთები ჭაღარა, / სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა, / გადაგაქცია მზიურ ბაღნარად. / მოძმე ერების ოჯახში / დამკვიდრდი, გაიხარეო, აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, / ილხინე ქართველთ მხარეო. / უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი / აზრი, ხმალი და გამბედაობა, / დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს / სჭედს სტალინური წრთობის თაობა. / საბჭოთა დროშა დაგნათის, / მზესავით მოელვარეო, /აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, /ილხინე, ქართველთ მხარეო.

დაბნეულმა პროფესორმა აღარც კი იცოდა, როგორ მიეღო ასე მოულოდნელად აჟღერებული საქართველოს ჰიმნი. მართალია, ეს საბჭოთა საქართველოს ჰიმნი იყო, მაგრამ როგორი მოსასმენია შენი სამშობლოს, თუნდაც საბჭოთა ჰიმნი პირდაპირ უნიტაზიდან და ასეთი გასაოცარი ვერსია გაუჩნდა: თუ ამ მართლაცდა, უნიკალურმა უნიტაზმა მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჰიმნი იმღერა, თბილისში – საქართველოს ჰიმნი, პარიზში, ალბათ, საფრანგეთის ჰიმნს შეასრულებდა, ლონდონში – ბრიტანეთის, რომში კი იტალიისას და გული დასწყდა, რომ ამ ვერსიის შემოწმებას ვერასდროს შეძლებდა – ხელისუფლება ყველანაირად უშლიდა ხელს საბჭოთა მოქალაქის მოგზაურობას კაპიტალისტურ ქვეყნებში უნიტაზთან ერთად ხომ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.

კიდევ ერთი თვე ისე გავიდა, საიდუმლო არავისთვის გაუმხელია, არადა, ბოლოს და ბოლოს რამე გადაწყვეტილება მაინც უნდა მიეღო, სამუდამოდ სარდაფში ხომ ვერ ჩატოვებდა ამ უნიტაზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი გაზზარულის ნაცვლად, ცხადია, ვერ დააყენებდა – ნებისმიერი ქართველი უნიტაზიდან საქართველოს ჰიმნის გაგონებისას თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა და ვინმეს უეჭველად მოუყვებოდა, ქალაქში ხმა გავრცელდებოდა და შეიძლება, ორგანოების ყურამდეც მიეღწია. გაყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – როგორ უნდა შელეოდა მაღალი ხელოვნების ამ განუმეორებელ ნიმუშს, რომელმაც ღიად გამოთქვა პროტესტი მახინჯი კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ, რასაც ჩარგაზია მთელი სიცოცხლე ვერ ბედავდა. გარდა იმისა, რომ ასე ძვირი გადაიხადა, რამდენი ნერვიულობა, დამცირება და შეურაცხყოფა გადაიტანა, სანამ აქამდე ჩამოაღწევდა და საცოდაობა არ იქნებოდა, ასეთი უნიკალური, ანტისაბჭოთა უნიტაზი სარდაფში უქმად დაეტოვებინა?.. მერე გაახსენდა სიზმარში ნანახი თავისი უნიტაზი ზედ ჩამომჯდარი ცეკას გენმდივნიანად. კრემლის წინ, ცხადია, ვერ დადგამდა, მაგრამ ხომ შეეძლო, თბილისში, ცეკას შენობის წინ დაედგა. მართალია, ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა, მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა გაებედა პროტესტის საჯაროდ გამოთქმა ამ უნიტაზში ჩასარეცხი მძღნერების წინააღმდეგ, ბოდიშიც რომ არ მოუხდიათ იმ რეპრესიებისთვის, მის ოჯახს და მილიონობით უდანაშაულო ადამიანს თავს რომ დაატეხეს, შემდეგ კი რეაბილიტაციის ცნობები დაურიგეს, თითქოს ამ ცნობებით დახვრეტილი ადამიანების გაცოცხლება შეიძლებოდა. უკან შეიკვეხონ ეს რეაბილიტაცია! მერე ამ პროტესტის განხორციელების გზებზე ფიქრობდა – ცეკას წინ უნიტაზის დადგმით პროტესტს სრულყოფილად იმ შემთხვევაში გამოხატავდა, ზედ თუ ჩამოჯდებოდა და საქართველოს ჰიმნს შეასრულებინებდა, მაგრამ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ვინმე ნაცნობს რომ დაენახა, ხომ მოეჭრებოდა თავი მთელ ქალაქში. მოკლედ, ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

კვირას, როცა მთელმა ოჯახმა დაიძინა, სარდაფში ჩავიდა, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონა მოსალოდნელი საფრთხე, ხუმრობა ხომ არ იყო, პირდაპირ ცეკას ცხვირწინ საბჭოთა საქართველოს ჰიმნის შემსრულებელი უნიტაზი უნდა დაედგა, ამისთვის შეიძლება დაეჭირათ კიდეც და... ეს რომ წარმოიდგინა, გული რაღაც უჩვეულოდ მოეკუმშა. წამით შეპარულმა შიშმა კინაღამ უკან დაახევინა და თავისივე თავის შერცხვა... არა, ჩარგაზია მხდალი არასდროს ყოფილა და არც ახლა დაიხევს უკან. უნიტაზი დიდ ჩანთაში ჩადო, მანქანაში გვერდით დაიდო და გეზი ცეკასკენ აიღო. მანქანა ძერჟინსკის ქუჩაზე გააჩერა. ღამის 4 საათი შესრულდა. ქუჩა ცარიელი იყო. ჩანთით ხელში კიბეზე დაეშვა, ირგვლივ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი, ქაჯეთის ციხედ შერაცხულ ცეკას შენობის წინ უნიტაზი სწრაფად ამოიღო ჩანთიდან და იქვე ისე დადგა, წამითაც არ შეჩერებულა, თავად თვალის დახამხამებაში გაეცალა იქაურობას მაგრამ გაქცეულად რომ არ ჩაეთვალათ, ნაბიჯი შეანელა, მეტროს სადგურს ჩაუარა, რუსთაველზე გავიდა, ლენინის მოედნიდან კიროვის ქუჩით კვლავ იმ ადგილას მივიდა, საიდანაც დაიწყო სვლა უნიტაზთან ერთად, კიბიდან გადაიხედა – ქვემოთაც არავინ ჩანდა, ცეკას წინ კი ამაყად თავაწეული იდგა მისი მომლოდინე ანტისაბჭოთა უნიტაზი და, ზედ ჩამოჯდომას თუ გაბედავდა, მაშინ გათენებამდე უნდა მოეცადა, ქუჩაში ხალხი რომ გამოჩნდებოდა, ზედ ჩამომჯდარიყო და საქართველოს ჰიმნი შეესრულებინა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდებოდა. არადა, თავად თუ არ გაბედა, ვინ იკისრებს ცეკას წინ უნიტაზზე ჩამოჯდომას?.. რაც მთავარია, მან გაბედა პროტესტის ნიშნად პირდაპირ ცეკას ცხვირწინ უნიტაზის დადგმა, თავისი გასაკეთებელი გააკეთა და ზედ ვინმე თუ ჩამოჯდება – რაც ძალიან საეჭვოა – ხომ კარგი, თუ არადა, რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის. უნიტაზს გადახედა. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა დაქოქა და ადგილიდან დაძრა. მართალია, ცოტათი გული კი დაწყდა, რადგან პროტესტი სრულყოფილად ვერ გამოხატა, მაგრამ, რომ ჩამომჯდარიყო კიდეც და საქართველოს ჰიმნი შეესრულებინა, ვითომ შეიცვლებოდა რამე?.. ეს ჩასარეცხი მძღრენები თავ-თავიანთ კაბინეტებში დარჩებოდნენ, ხოლო თვითონ ციხეში იჯდებოდა და ღირდა კი ამისთვის თავის გაწირვა?..

ორშაბათს ინსტიტუტში მისულს ასეთი ამბავი დახვდა: პირდაპირ ცეკას წინ უნიტაზი იდგა და საბჭოთა კავშირის ჰიმნს მღეროდაო. ვინ დაიჯერა, ვინ არა. შენ თვითონ თუ ნახეო, ჩაეკითხნენ ამ ამბის მომტანს და მე არა, მაგრამ ყველა ამაზე ლაპარაკობსო. ჩარგაზიას უნდოდა დაეზუსტებინა, ნამდვილად საბჭოთა კავშირის ჰიმნს თუ ასრულებდა და ზედ ვინმე თუ იჯდაო, მაგრამ თავი შეიკავა, მით უმეტეს, ღლეჟვამ რალაც ეჭვით გამოხედა. თუ მართალია, მაგი ვიღაც ხულიგნების გაკეთებული იქნებაო, ივარაუდა „ზავხოზმა“ ქლიბაძემ, პერესტროიკაა, ძმაო, პერესტროიკა და აღარ ეშინია ამ ხალხსო, – თქვა გრიშა კუტუბიძემ, ღლეჟვამ კი ისე განაცხადა, ეს ეროვნული მოძრაობის მოწყობილია, მეტი ვერავინ გაბედავდა მაგასო, – თითქოს მის დასკვნას წყალი არ გაუვიდოდა. ჩარგაზიას ძალიანაც უნდოდა, წაეტრაბახა, ეს მე ვქენიო, მაგრამ, ჯერ ერთი, არავინ დაუჯერებდა, ღლეჟვა კი უეჭველად ჩაუშვებდა – ტყუილად ხომ არ ჩააცივდა, მოსკოვიდან აუცილებლად რამეს ჩამოიტანდიო – და ხმა არ ამოუღია, ისედაც კმაყოფილი დარჩა, რომ გაბედა თუნდაც არასრულყოფილი პროტესტის გამოხატვა და, რაც მთავარია, მისმა უნიტაზმა საქართველოს ჰიმნის ნაცვლად საბჭოთა კავშირის ჰიმნი შეასრულა. გული მხოლოდ იმაზე სწყდებოდა, რომ ველარასდროს შეიტყობდა, თუ რა ბედი ეწია მის ზღაპრულ ანტისაბჭოთა უნიტაზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როინ აბესელიძე

## გაუგზავნელი წერილები შენ
(მე, შენ, ღმერთი)

I

როცა ქუჩები ხმაურისგან ველარ გფიქრობენ,
სახელდახელოდ,
სანუგეშოდ,
როცა ქუჩები
დაიცლებიან სიმშვიდით და
სუსხის მიკრობებს,
ძრწოლის მიკრობებს გაფეთებენ
და ეურჩები –
ქალაქს,
რომელმაც შეიწირა შენი ლირიკა
დაუკითხავად,
უსაფუძვლოდ,
ამავე ქალაქს,
ვგონებ, არ ახსოვს,
სიკვდილიც რომ მან გაგირიგა,
ან, იქნებ, ახსოვს
და მეძავი ქალივით მალავს
პასუხებს, წარსულს,
იმ კითხვებზე, რომლებსაც სვამენ,
სულერთნაირად,
სულიგივედ,
და სულაგდებით,
მეც ჩემს პოეტში დიდი ხანი ვეძებდი
სხვა მეს,
ახლა არ ვეძებ...
მაგრამ ვერა და ვერ ვლაგდები
თიხაში, სადაც ჩაეტია ნაზარეველი
მაშინ, როდესაც დაათენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო პროზელიტს,
იდგა ბოსელი სინათლეში
და სარეველას
იცლიდა ზეცა,
დედამიწა,
ღამე,
ბოსელი...
და ზედმიწევნით დაიხვეწა
ზიზლის ეთიკა,
ცოდვის ეთიკაც ზედმიწევნით
(თუმცა ჰარაკირს,
როგორც გმირობის უტყუარ და ბოლო ეტიკეტს,
ისე ვხედავდი,
ისე ვგრძნობდი,
მწამდა)!
ახლა კი
გადავლილია ყველა მთა და
ყველა ფერდობი,
სიზმრებით,
ლოცვით,
ოცნებებით,
ჭენებ-ჭენებებით,
ვიცი, რთულია, დაიჯერო
კაცის ღმერთობა,
მაგრამ ჩვენ ღმერთის კაცობასაც
არ ვიჯერებდით...

## II

და იმ დროს, როცა ხმაურისგან ველარ გფიქრობენ
ქუჩები და შენ ამ ხმაურში
მარტივად ფიქრობ
ხალხზე,
რომელიც ნოესავით შემოიგროვე
ირგვლივ და მიკროკიდობანიც არა გაქვს,
მიკრო –
იმედს რომ თავი დავანებოთ,
იმედს. არადა –
პასუხს ელოდნენ (ბავშვებივით)
იმ დღეს კითხვები.
უფლის ენაზე გვესაუბრა, დაგვეზარა და
თუ ვლოცულობდით,
ვლოცულობდით
ჩვენი სიტყვებით.
ასე შევცვალეთ უნებლიეთ
მთელი ბიბლიაც,
ეს იგივეა, დავივიწყოთ,

ცისკარი 1852

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არანაკლები –
ხელით დაწერილ სტრიქონებს რომ
მეტი ხიბლი აქვთ,
ვიდრე სტრიქონებს
ძირითადად ვორდში აკრეფილს.
აქ იკამათო, ეს იმდენად სისულელეა,
რომ ეკამათო მიცვალებულს,
საფლავს,
სახელებს
და, სანამ სიტყვით დასერილი სასულეები
ხატებთან ბოლო „მაპატიეს“ ამოახველებს,
ვიდგები მზესთან,
რომლის სხივიც იქცა პრიზმებად
(ერთ დროს თბილები, კეთილები და გულუხვები).
ჩვენც ამ ბოლო დროს
არაფერი არ გვესიზმრება,
თუ გვესიზმრება –
შიში გვიპყრობს და წყალს ვუყვებით...

### III

და ეს წერილიც იზრდებოდა თურმე შიშივით,
შემდეგ ეს შიში მაგ თვალებშიც
მარტივად იშვა,
შენ შეგიძლია, რადიოთი ჩართო შიშინი,
რომ არ შეგიპყროს
მარტოდმარტო დარჩენის შიშმაც.
ჩვენ ვთამაშობდით დიდობანას,
შემდეგ სრულიად
აუღელვებლად ვაჯავრებდით
მკვდრებსა თუ მკვიდრებს
და, რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ უფრო რთულია,
ჩვენი ბავშვობა ვითამაშოთ, ძვირფასო,
ვიდრე
ცხოვრებაში რომ არასოდეს
არ ვითამაშოთ!..
რომ არასოდეს არ მოვირგოთ
ერთი ნიღაბიც,
მაგრამ კაცი ხომ ვერ გაუძლებს
ამდენ ქარაშოტს,
ამდენ ტკივილს და
თუ ოდესმე ხალხი ვიყავით,
ველარ ვიჯერებ,
როცა ვხედავ, როგორ ფატრავენ
დღეები დღეებს,
როცა ვხედავ
(უბრალოდ, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსების წერა ავიჩემე), წერაც ადრეულ
წარსულში უფრო მაგონებდა,
ძვირფასო, ლოცვებს,
ლოცვებს, რომლებიც ერთიანად
გავიზეპირეთ.
ველარ გავიგე, ვის რა ვუთხრა,
ვის რა ვედავო,
ჩვენ ამოვგმანეთ ის კედელი
და ის ჯებირი,
რომლის გადაღმაც ქრისტე იყო საყოველთაო.
ასე სრულდება ეს ბარათი,
არც ვეურჩები
და რა ხანია შევეჩვიე
სუსხის მიკრობებს,
თუმც ყოველ დილით მახსენდები,
როცა ქუჩები,
როცა ქუჩები
ხმაურისგან ველარ მფიქრობენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვაჟა ხორნაული

## ბრწყინავენ გზები

გუმბათის ჯვრიდან
მტრედი აფრინდა
და მელოდია
ისმის ჭავლების
ამაღლებული
ღრუბლის სარკმლიდან
შემოგხარიან
ღმერთის თვალები.

კვლავ დაინახეს
წყალში გედებმა
აისის ოქრო
და ზეცის სითბო
ბრწყინავენ გზები
ისე თენდება
მთელი სამყარო
ლოცულობს თითქოს.

## ცხადის წყურვილი სიზმრის მხარეში

თეთრი კედლები
მწვანე ფარდები
ჩიტები –
ნისლით დანამულები
დრო ამაღლებულ
ხმათა ნათების
სითბო
ჩავლილი გაზაფხულების.

ცის სიღრმეებში
ფერთა ხატობა
(ბედნიერება
სევდის ჩრდილშია)
სიცოცხლისათვის
ეტყვი მადლობას
უფალს რომელიც
გტკივა ძილშიაც.

ცხადის წყურვილი
სიზმრის მხარეში
ბილიკი კლდეზე
უცხო არილი
თოვლი და ცეცხლი
ექოს ალერსი
ფიქრი – უმტვერო
სანთლის ალივით.

წუთისოფელი –
ბრძენი დღეგრძელი
და უცვეთელი
მისი ალმასი
აყვავებული
ძველი მეწყერი
მთას მოწყვეტილი
ქვებით ლამაზი.

## მაგრამ მაინც მზესთან დარჩები

არავინ იცის რა მოგელის
რა დრო იქნება
მაგრამ წამებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ განირავს
სიბრძნე ზარების
მშვენიერია
ფრენაცა და წაბორძიკებაც
როცა ახალი
მწვერვალისკენ მიემგზავრები.

არავინ იცის რომელ ბაღთან
რომელ წყაროსთან
დაგებულია უცვეთელი
მახე სატანის
მოდის ხიფათი
(ნარეკლიან ხრიოკს გამოსცდა)
რომ ვარსკვლავების
თვალწინ მოკლას
გული მართალი.

მაგრამ სიმართლე
უკვდავების ძუძუნაწოვი
ასჯერ წაშლილი
ას მეერთედ მოვა ღმერთიდან
და გადარჩება ძველისძველი
გზა და სასწორი
და მეომარი რომლის ყოფაც
ბეწვზე ეკიდა...

კაენის ჩრდილი
სამავნეოდ
მიდის ტაძართან
კოხტა ხეები
მისთვის არის
მხოლოდ საცულე
მისგან დამწვარი სათიბები
ისევ ამწვანდა
მისგან დამშრალი ნაკადული
ისევ გვარწყულებს.

ბედნიერების და ტკივილის
მძიმე თაროდან
აიღე წიგნი
(გინდ თავიდან გინდა ბოლოდან)
იქ დაინახავ
წინაპარი როგორ ხარობდა
როგორ იწვოდა
როგორ წამდა
როგორ ომობდა.

ზოგი წავარნას მიუყვება
ზოგი – შარაგზას
ხან იხურება ხან იხსნება
ღრუბლის ფანჯრები
ელდა – სწრაფი და ულმობელი
როგორც ავაზა –
შეგაკრთობს წამით
მაგრამ მაინც
მზესთან დარჩები.

ზეცის მტერია ვერაგობა
და ბოროტება
და სისასტიკე – გამგლეჯელი
რკინის ალვირის
ბევრის სავალი
იცი როგორ დაბოლოვდება-
ზურგში ჯერ მზერა
გაეყრება
მერე მახვილი...

დიდი დარდების ნაკვალევი
არა მკრთალდება
და ლოცავ სითბოს
სამოთხიდან
სად არ მოფენილს
შენი სიცოცხლე –
სანთლისა და სიტყვის ნათება
არის ზესკნელის
და ქვესკნელის საგალობელი.

## ღმერთს გაახარებს

გზებს აფერმკრთალებს
სუსხი დროისა
(გამშვენებს სითბო
და ხმა ტაძრების)
არ დაინდობენ
მართალ მოისარს
გულეკლიანი ავაზაკები.

უდაბნოს მტვერში
ბროლი მოძებნე
(ღმერთს გაახარებს
ამის ჩამდენი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მარადიულ
ჰორიზონტებზე
ყოველთვის ენთოს
შენი სანთელი.

## იქნება დიდი სამაგიერო

ეს ანგელოზი
თუ ის დემონი
როგორც ყოველთვის
ამბობს თავისას
მომრავლდებიან
უღირსებონი
რომ იავარყონ
მხარე ხვალისა.

ვარდი ვარდია
და არ იელობს
და მფარველია
სითბო ელვათა
იქნება
დიდი სამაგიერო
და განწირული
მივა მწვერვალთან...

## მზისყანის ხატთან

გაიხსნებიან სარკმლები
ჩრდილი გაათბობს ჩრდილსაო
ყვავილთან მივა ყვავილი
ნამს უსახსოვრებს ტკბილსაო
მგზავრი დალოცავს წყაროსა –
ცისა და მიწის შვილსაო
გალობა გაალამაზებს
მდინარეების ლხინსაო.

ზესკნელ-ქვესკნელის ქარები
არ შეირცხვენენ პირსაო
გაბრწყინდებიან სანთლები
სიცოცხლე-სიკვდილისაო.

## მშვენიერი და მსუბუქი

სასწაულია ღრუბელი
გინდ ღამით
გინდა დილითა
ხან თვითონ გადაგეხვევა
ხან გეფერება ჩრდილითა
ხან დაბინდული გახარებს
ხან – თეთრი სადაფივითა
მეწყერი მწვანედ შემოსა
(გვალვა არიდა მდელოსა)
ყანა დალოცა წვიმითა
ნერგებს გალობა ასწავლა
ხმით – ნექტარივით ტკბილითა
ცასა და მიწას უცინის
მზისგან ნაკოცნი პირითა
მშვენიერი და მსუბუქი
ღვთიშობლის მანდილივითა.

***

სიყვარული რომ არა –
არ გამოჩნდებოდა
უდაბნოს შუაგულში გვირილა
და ჩიტი ოკეანის თავზე.

***

მლოცველი –
ერთ ადგილს მიჯაჭვული
როგორც ფუტკრიანი ყვავილი.

***

დარდი და სიხარული
ერთად კი არიან
მაგრამ ვერ ხედავენ ერთმანეთს
როგორც ერთი სახის თვალები.

***

სხვაგვარად მშვიდია
როდესაც
საბატკნეს ასუფთავებს
არყის ტოტებისგან
შეკონილ ცოცხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

მიწის სარკმლებიდან
გამოწვდილი
ხელები გეგონება
ახლად შემოთოხნილი
ნერგები...

***

და გული დამშვიდდა
როდესაც დაინახა
რომ მზის ბზარი
სარკმლისა ყოფილა.

***

მატარებლის ფანჯრებმა
სწრაფად ჩაიქროლეს –
თითქოს
წიგნი გადაიფურცლაო.

***

მდინარე – ზვავისაგან
ცისარტყელასავით
ლამაზად გალუნული
და ისევ ძველი გზით
მიმავალი...

***

და ძაღლს დაესიზმრა
მისი მძიმე ჯაჭვი
მიჰქონდა მდინარეს
რგოლებად დაშლილი.

***

რა ქნას შველმა
როდესაც ტყის გარეთ
მზე და სიკვდილია
ხოლო ტყეში
სიჩუმე მგლებისა.

***

ზოგჯერ მიწისძვრა
ისეთი მსუბუქია
თითქოს ზეციერმა
ახლად ამწვანებულ
ჰორიზონტს გადაუსვა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურაბ ლავრელაშვილი

## ცვილი და ოქრო, ფერფლი...

*„...და აჰა, ცხენი სპეტაკი და მჯდომარესა მას ზედა... მიეცა გვირგვინი...“*

**გამოცხადება, 6:2**

მდიდარი ლატაკიელი მონათვაჭრის ერთადერთი ასულისა და ახალგაზრდა მხედრის – მაქსიმუს სენეციუსის – ნიშნობა, რალაც ბედად, სწორედ იმ წელს დათქვეს, როცა მოციქულმა პავლემ ლიკაონის ქალაქები მოიარა და წარმართებს ახალი სჯული უქადაგა. შემთხვევით თუ განგებ, ოღონდ ისე მოხდა, რომ მსმენელთა შორის მაქსიმუსიც ერია, საპატიო ოჯახში აღზრდილი ჯერაც პირტიტველა ყმაწვილი, ვისაც, ტრადიციისამებრ, განათლება ათენში კი მიეღო, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაური მოძღვრება საკმარისად ვერ შეეტკბო, რაღაი მოციქულთან შეხვედრის შემდეგ მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა, საპატარძლოსთან ნიშნობაც გააუქმა და სიმდიდრისაგან განძარცულმა მახლობელ მთას მიაშურა, რათა დარჩენილი წუთისოფელი ასკეტური ღვაწლით გაელია... ეგ კია, ნათესავებისაგან შელონებული, მის დაყოლიებას რომ ცდილობდნენ ლამის ყოველდღე – დაგვიბრუნდიო, მაქსიმუსი მშობლიური ქალაქიდან გადაიხვეწა და აღარავის სჩვენებია...

ერთადერთი ვაჟის უმადურობით გულგასენილ მამას დამბლა დაეცა და გარდაიცვალა; ოჯახის ესოდენ უეცარი გაპარტახებით მარტოდ შთენილი დედაც მალევე მიჰყვა მეუღლეს ჰადესის სამეფოში; სარძლო კი მაქსიმუსისა, პომპონია, სასწრაფოდ მეზობელ ქალაქში მიათხოვეს ფრიად პატივცემულ და მდიდარ კაცს, აქაურ სენატორს, მეცენატსა და საზოგადო მოღვაწეს, ვინაც ერთგულებისა და სინაზის წილ ბედნიერება და ოჯახური სიმყუდროვე არგუნა პირმშვენიერ მეუღლეს... პომპონიამ ქმარს ორი ბიჭი გაუჩინა და დიდადაც ემადლიერებოდა ფორტუნას, რაღაი ესოდენ საპატიო და გამოჩენილი ოჯახის ფრიად სასურველ მატრონად დაედგინა ოდესღაც საქმროს უარით სახელგატეხილი ქალი; ბედის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო პომპონია, ღმერთების მადლიერი, რაკიღა მაქსიმუსთან თანაცხოვრება, ვინ იცის, რა მოულოდნელობას უმზადებდა... საქმროს ღიმილით თუ მოიგონებდა, სიბრალულით, იმ ადამიანის ჩაფიქრებით, ვისაც, უეცარ ხიფათს გადარჩენილს, ახლა უწინდელი წინდაუხედაობა უკვირს და ეოცება, როგორ თუ მაშინვე ვერ მივხვდი, რა მომელოდაო... მართლაც, რა ელოდა პომპონიას მაქსიმუსის გვერ-

დით? საბოლოოდ მაინც – ღალატი, შერცხვენა და ტანჯვა-წამება მიტოვებული ქალის ხვედრის გამო, რადგან, ცხადია, რომ მაქსიმუსს თავისი უცნობი ღმერთი უფრო უყვარდა, ვიდრე საპატარძლო... პომპონიას მანამდეც და გათხოვების შემდეგაც ხშირად შეხვედრიან ახალი სჯულის მიმდევრები და ისინი, ნებით თუ უნებურად, მუდამ პირველ დანიშნულს ახსენებდნენ... მაქსიმუსის საქციელი ღალატი იყო, რანაირადაც არ უნდა განესაჯა, და პომპონიამაც აპატია ღალატი დანიშნულს, თუმცა თავად მაქსიმუსი კი გულიდან ვერ ამოეღო, ვერ დაევიწყებინა... უყვარდა კვლავ თუ მისი საქციელი ვერ აეხსნა და ეს იყო მიზეზი ამდენი ხნის ფიქრისა, ველარ გაეგო, მაგრამ მაქსიმუსი არ ეხსნებოდა, არ ანებებდა თავს და მოულოდნელად სიზმრად ან ცხადად მოევლინებოდა ხოლმე: იდგა, შორიდან უღიმოდა და თითქოს სადღაც უცნობ ადგილას იწვევდა თუ უხმობდა, იმ სამეფოსკენ, საიდანაც აღარავინ ბრუნდება, რაღაი იქ სხვა ცხოვრებაა, კაცთათვის გაუგებარი და ცოტათი საშიშიც; ყოველ შემთხვევაში, ასე იყო პომპონიასათვის, ვისაც ყოველთვის უცნაურად ეჩვენებოდა ღვთისმოსავთა მისწრაფება, მალე დაევიწყებინათ აქაური წუთისოფელი და იმ უცნობ ალაგას გამგზავრებულიყვნენ...

***

ასე განვლო ათმა წელმა და პომპონიამაც ერთ დღეს შეიტყო, რომ ქალაქში ვიღაც წინასწარმეტყველი დასახლებულიყო, უცნობი ღმერთის სახელით რომ ქადაგებდა ცისა და მიწის განახლებას. ახალ მქადაგებელს მრევლიც საკმაოდ შეეძინა და პომპონიამ, თავისდა გასაკვირად, მის მიმდევართა შორის ბევრი ნაცნობი აღმოაჩინა... ამეტისტა, მისი მოახლე, როგორც გაირკვა, ასევე ამ ახალი წინასწარმეტყველის მესავი იყო... ის უთხრობდა ხოლმე ქალბატონს, რა სასწაულები და ნიშნები ექმნა ამ კაცს, ბაზრის ახლო, ფაცხაში რომ დაყუდებულიყო, თუმცა მორწმუნენი უფრო უკეთეს სადგომს სთავაზობდნენ, ზოგიერთი კი მზად იყო, თავისი მდიდრული სახლიც დაეთმო მისთვის...

პომპონიამ ჰკითხა, რად არ სთანხმდებაო... ნუთუ მდიდრულ სახლში ცხოვრება არ ჯობს ქარსა და წვიმაში კანკალს...

– ის სხვანაირია, ქალბატონო... ამბობს, სამარადისო სახლში ვარ უკვე და მეტი თავშესაფარი არ მჭირდებაო...

– ამპარტავანი ყოფილა, – შენიშნა პომპონიამ, – მე ასე არ მოვიქცეოდი.

– გინდათ, ნახოთ? აქვეა, ვესტას ტაძრის ახლო... – შესთავაზა მსახურმა.

პომპონია დაფიქრდა და მერე უარი განაცხადა... გულში კი უსიამოდ გაკენწლა, რომ უცნობ კაცს ასე დაეინტერესებინა ფუჭი აღთქმით, თითქოს საიდუმლო იცოდა რამე... ცაც და მიწაც უცვალებლად ჰგიეს და წუთისოფელსაც ვერავინ შეცვლის, თვით უკვდავი ღმერთებიც კი, რადგან ისინიც ბედისწერას მორჩილებენ... ის კაცი ხალხს აბრიყვებდა... არ უნდა აჰყოლოდა ცდუნებას, არ უნდა ენახა ეს ცრუ-მესიტყვე, რათა ამაო აღთქმით არ დაერღვია ესოდენ მშვიდად მდინარი ყოფა, ფუფუნებით, ოჯახზე ზრუნვითა და ქალური ბედნიერებით შემოგარსული...

***

ბაზრის სიახლოვეს გავლა კი მაინც მოუხდა, იმ ადგილას, უცნობი მქადაგებელი რომ ეყუდა და პომპონიამაც ცნობისმოყვარე მზერა შეავლო ოთხ ლატანზე დაყრდნობილ სადგომს, რომლის შიგნითაც განდეგილი ცხოვრობდა... მოედანზე არავინ იყო და პომპონიაც წამით შეყოვნდა, რათა ფაცხაში შეეჭვრიტა, მაგრამ ვერაფერი დალანდა... შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და მანაც კაბის კალთები აიკრიფა ნაწვიმარი გუბის გადასავლელად, როცა მოულოდნელად ფაცხის უკნიდან განდეგილი გამოვიდა – თურმე უკანა კედელს იყო მოფარებული და იქიდან უჭვრეტდა... პომპონიას შერ-

ცხვა, აირია და სწრაფად გააბიჯა სახლისაკენ, თან იმას ფიქრობდა, განდეგილს რა ნაცნობი გამოხედვა ჰქონდაო... მერე და მერეც ვერ მოიცილა ეს სახება და სერნაწრი უკვე ჭაღარა თმა-წვერით მოსასხამი მოიბურა, – გავალ, გავივლი...

საწოლი ოთახიდან ატრიუმში ჩავიდა, ოჯახის მფარველი ღმერთების ქანდაკების წინ გაჩერდა. ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკები უმეტყველოდ შემოსცქეროდნენ. ჩანს, არც სათქმელი ჰქონდათ რამე და პომპონიაც დაიხარა, აუზიდან პეშვით წყალი ამოილო, შუბლი გაიგრილა... მერე პერისტილში გავიდა და იქიდან ცას ახედა. ვარსკვლავები სუსტად კრთოდნენ, სიო თმას უწეწდა, ღამის სიგრილე ამშვიდებდა და შეეძლო, დაწყნარებით ეფიქრა კაცზე, ვინც ამდენი ხანია სიზმრად სდევდა, როგორც ბერძნულ ტრაგედიებში ფურიები სდევნიან მანიაკ მკვლელს ან ღმერთების ნების ურჩს... ის იყო, მაქსიმუსი, წარსულიდან ულოდნელად დაბრუნებული, თითქოს იმ თავისი ღმერთის საწამებლად, მაგრამ პომპონია კი ვერ მოატყუა... მის კვალს ასდევნებოდა, აქამდე მოჰყოლოდა, ქმრის სახლამდე, რათა თავისი გამოჩენით ეცდუნებინა და მისი სიმშვიდე შეერყია, თითქოს ამას, პომპონიას, ჩაეშალა ნიშნობა და გაეტეხა სიტყვა და არა თავად ის გამქრალიყო ასე ანაზდეულად, პირუმტკიცოდ... უფრო აგრილდა და პომპონიამაც მჭიდროდ შემოიხვია მოსასხამი, მოიკუნტა, შეიმალა კოლონებს შორის, თითქოს წარსულის აჩრდილს აქ უკეთ დაემალვოდა...



სილი კაცისა, ანაზდად რომ შემოხედა და ასე ააფორიაქა... წამიერი იყო ეს მზერა, უცაბედი, თითქოს შემთხვევითი, მაგრამ პომპონიას მაინც ენიშნა, ვილაცისას მიამსგავსა და არც შემცდარა, რალაი მომდევნო ღამეს, როცა რატომლაც მაქსიმუსი გაახსენდა, მყისვე მქადაგებლის სახეც წამოაგონდა და საწოლში შეხტა.

– რა მოგივიდა, გენაცვალე? – ჰკითხა ქმარმა და მზრუნველად მოუთათუნა.

– არაფერი, ცოტა დამცხა... – პომპონია ლაჭანზე წამოჯდა და მსუბუქი მო-

დიდხანს იჯდა ასე, განთიადამდე, სანამ ლოდინით შეურვებულმა ქმარმა არ გადმოსძახა ფანჯრიდან და პომპონიაც შეეხმიანა, გააგონა ხმა, გაუცინა კაცს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან დილის სინათლეს დროებით გადაევიწყებინა საფიქრალი და ამასაც მტკიცედ გადაეწყვიტა, მაქსიმუსი აღარ ენახა...

***

ველარც ნახავდა, რადგან ერთ დღეს, როცა ამეტისტა თმას უწნავდა და თან ახალ ჭორებს უყვებოდა, პომპონიამ კი, ვითომ სხვათა შორის, მქადაგებელი მოიკითხა, მოახლემ გულმტკივნეულად წამოიძახა:

– მოკვდა, ქალბატონო.

– მოკვდა? ვინ?

– ის კაცი, წინასწარმეტყველი. ხვალ ასაფლავებენ.

პომპონიას თითქოს შორიდან შეესმა მოახლის ნათქვამი. ამეტისტას ხელი გაამვებინა და ჩაძიებით ჰკითხა:

– ვინ კაცი, ამეტისტა, კარგად გამაგებინე, რას ამბობ!

– მე რომ გიყვებოდით, ქალბატონო, ბაზრის სიახლოვეს ჩვენი სჯულის მქადაგებელი დასახლდა-მეთქი... გუშინ ფაცხაში ენახათ უკვე გარდაცვლილი... ჩანს, ღმერთმა სამოთხეში აიყვანა...

ამეტისტა მწუხარედ განაგრძობდა ამბის თხრობას, პომპონიას კი კვლავ ღალატზე ფიქრი არ ასვენებდა... ჰო, მაქსიმუსი მუდამ მოღალატე იყო, გადამწყვეტ წუთას გაქცევა სჩვეოდა... აჰა, ახლაც ჯერ კარგად არ დანახვებოდა პომპონიას, არ გაემხილა ვინაობა და უკვე გამქრალიყო, გაუჩინარებულიყო ისევ, მართლა აჩრდილივით ან სიზმრისეული ფანტომივით, თითქოს ქალს კუკუდამალობანას ეთამაშებაო... პომპონია უცებ წელში გაიმართა და ამეტისტას უთხრა:

– უნდა ვნახო.

– ვინ, ქალბატონო? – განცვიფრდა მოახლე.

– ის... წინასწარმეტყველი... – პომპონია წამოდგა, – მაჩვენებ, ამეტისტა, მიცვალებულს?

– რა თქმა უნდა, ქალბატონო, ოღონდ... – სიტყვა არავისთან დაგცდეს. ეს ამბავი მხოლოდ მე და შენ გვეცოდინება.

ამეტისტამ უხმოდ დაუქნია თავი. ალბათ, ფიქრობდა, რომ მისი ქალბატონი ახალ სჯულს მოეხიბლა... დაე, ასე ეგონოს... სულერთია ახლა ეს პომპონიასათვის, რადგან მაქსიმუსი აუცილებლად უნდა ენახა, თუნდაც მკვდარი და უმეტყველო... რაღაცით ხომ მაინც მიანიშნებდა მათ შორის სიყრმიდანვე გაჩენილ საიდუმლოს, რამაც ერთმანეთს გაჰყარა და სხვადასხვა გზებით ატარა ორნივე... გრძელ სტოლაზე მოსასხამი მოიხვია და მოახლეს უბრძანა, გასძღოლოდა... ბიჭი გაიყოლეს, შინიდან შებინდებისას გამოვიდნენ და უკაცური ქუჩებით ქალაქგარე სამლოცველომდე იარეს, სადაც მაქსიმუსი დაესვენებინათ დაკრძალვამდე... ამეტისტას თქმით, ახლა სამლოცველოში ხალხი არ იქნებოდა, რადგან სამლოცველო შორს იყო და მორწმუნეები იქ მარტო უქმეებზე დაიარებოდნენ; თანაც ამეტისტას ყველა ცნობდა და შიგნით შესვლა არ გაუჭირდებოდათ.

მალე ოთხკუთხა, არაფრით გამორჩეულ შენობას მიადგნენ.

– აქეთ, ქალბატონო, – მოახლე განზე გადგა და პომპონია შიგნით შეუშვა, – მე სანთლებს ავანთებ და გეახლებით.

სამლოცველო საკმაოდ ვრცელი დარბაზი იყო. პომპონია მისმა სადა მორთულობამ გააკვირვა. აქ არც ღმერთების ქანდაკები ჩანდა სადმე და არც იატაკი მოერთოთ ფერადი მოზაიკით, როგორც ეს წესად იყო მის ქვეყანაში. კედლები კირით შეელესათ და აქაურობა უფრო მღვიმეს ჰგავდა, ვიდრე სამლოცველოს... დარბაზის შუა, პატარა ტახტზე სუდარაგადაფარებული მიცვალებული ესვენა. პომპონია ტახტს მიუახლოვდა და მკვდარს სუდარა გადახადა. მაქსიმუსი მშვიდად იწვა, მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული, თითქოს თავს იცავსო; თითქოს წინასწარ იცოდა, პომპონია რომ უნდა მოსულიყო და ამასაც შეეჯავშნა თავი, განრიდებოდა ქალს, გაუცხოებო-

და სიკვდილითაც კი, რათა საბოლოოდ მოეკვეთა ამქვეყნიურობასთან დამაკავშირებელი ძაფის მისხალიც კი... პომპონია დაიხარა და შუბლზე ეამბორა. უცებ მოეჩვენა, რომ მაქსიმუსმა შემოსცინა, მაგრამ ეს მხოლოდ ლითონის ბრჭყვიალი იყო, მიცვალებულის სხეულიდან გამომკრთალი. პომპონიამ საქმროყოფილს თითები ცივ მკერდზე მოუფათურა და ოქროს რგოლს წააწყდა – საქორწინო ბეჭედს, მაქსიმუსი რომ უჩვენებდა ხოლმე დაწინდვის წინა დღეებში.

– საწყალი, – ამეტისტას ხმა მოესმა ზურგსუკან, – ნეტავ, ნათესავი ან ცოლი თუ ჰყავდა, დაიტირებდნენ მაინც, ქალბატონო, თორემ ძალიან მებრალება, ასე უპატრონოდ რომ მოკვდა უცხო მხარეს.

პომპონიამ ბეჭედი მუჭში დამალა.

– უცხო რად იყო, ამეტისტა, – თქვა შემდეგ, – აკი ღმერთს უყვარდა...

ამეტისტამ ამოიოხრა.

– ეგ კი მართალია, ქალბატონო, მაგრამ ვინმე ხომ უნდა დარჩენოდა ამქვეყნად მომგონებელი.

– ალბათ, დარჩა კიდეც... – პომპონია გასასვლელისაკენ გაემართა, – თუმცა ვინ იცის, იქნებ, თავად ირჩია ასე, რომ აღარავის გახსენებოდა...

და მან ნიშნის მოგებით გახედა მიცვალებულს, მაგრამ ის ისევ უძრავად იწვა და პომპონიასათვის არც ამჯერად უპასუხნია...

***

მაქსიმუსის დაკრძალვიდან ორი კვირის შემდეგ (პომპონია ცერემონიას არ დასწრებია) სენატორის ოჯახი ქალაქგარე ვილაში გადავიდა ზაფხულის სიცხის გადასაჩრდილებლად. წინაპართაგან დანატოვარი აგარაკი მთებით შემოზღუდულ ტაფობზე იდგა, მწვანეში, ოთხივ მხრივ თვალისათვის საამო მინდვრებით აღალანებულ ველზე, მზის ნათელს რომ გაებრწყინებინა... პომპონია აქ ბავშვებსა და მსახურებთან ერთად ცხოვრობდა. სენატორი კი მარტო უქმეებზე თუ ამოვიდოდა ცოლ-შვილის სანახავად და პომპონიამაც, ცოტა არ იყოს, მოიწყინა... მაქსიმუსი აღარ ახსენდებოდა და თუ მაინც მოიგონებდა, ისევ ძველებური სინანულით, როცა ის სხვა მხარეს იყო გადახვეწილი და პომპონიას კი საიდუმლო აწამებდა, რაკი საქმროყოფილის გაუჩინარების მიზეზის შეტყობა სურდა... მაშინ ეგონა, მაქსიმუსი მართლა რწმენის გამო გასცლოდა აქაურობასაც და დანიშნულსაც, მაგრამ ახლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ცხადი გამხდარიყო, მარტო მას რომ გაურბოდა – ამას, პომპონიას, სასურველ ქალს, ვისაც, ალბათ, რაღაცით დამნაშავედ თვლიდა, თორემ ისე რად უნდა მიეტოვებინა საპატარძლო, მანამდე სიყვარულს რომ ეფიცებოდა გახელებით... რამ შეუცვალა ასე უცებ გუნება მაქსიმუსს, პომპონია ვერაფრით მიხვდა, მერე კი ისღა დაასკვნა, ალბათ, გონება აერიაო, და სვეუბედური დანიშნულიც გულიდან ამოიღო – ყველას თავისი ბედი ჰქონებიაო...

ზაფხული თბილი, მზიანი და ამო იყო. პომპონია ადრიანად იღვიძებდა, ბავშვებს დახედავდა, ჩაკოცნიდა, ათამაშებდა, აბანავებდა და მერე ძიძას ჩააბარებდა, თავად კი სამზარეულოში გავიდოდა და მსახურებს სანოვაგის მოტანას დაავალებდა. ნაშუადღევს ჩეროში ისვენებდა, საღამოს კი მარტო ან ბიჭებთან ერთად აგარაკის ახლო სეირნობდა. ბუნება უყვარდა და დაისით ტკბებოდა, ზოგჯერ ყვავილს მოწყვეტდა ან ფერად ლინჭილას აიღებდა მიწიდან – ღმერთების საჩუქარს, უხვად რომ მიმოებნიათ გარშემო ადამიანის გასახარად... ცხოვრება სასიამოვნო იყო და პომპონიაც მადლიერებით ეგებებოდა არსებობის სიხარულს, რაც მაქსიმუსის სიკვდილმაც კი ვერ გაუფერმკრთალა აქამდე... ჯანსაღი ინსტინქტით შეიგრძნობდა მიწის სინოყივრეს, მზის სიტკბოს, ჰაერის სილბილეს... სიყვარული? თავდავიწყება? აკი, შვილები ჰყავდა, დათვის ბელებივით ბომბორა ორი ბუთხუზა ბიჭი, ვნების სინაკლულეს რომ უცვლიდნენ, რაღაი მათზე ზრუნვით და ფიქრით ათენებდა და აღამებდა, არაფერი დაემართოთო... სიყვარული შეცდომად ესახებოდა პომპონიას, მაქსიმუსთან განცდილი მარცხი კი უცილოდ არწმუნებდა ყოველივე მირაჟი და მოჩვენებააო... ფორტუნა თითქოს ათამაშებდა, როცა ბედნიერების აჩრდილი ჯერ შორიდან დაენახვებინა და მერე კი მოულოდნელად გაექრო იმისი სერნაწრიც კი, ვითომ არც არსებულიყო... განა ბედნიერი კი იქნებოდა მაქსიმუსთან? განგების გამოცანაც ეგ იყო, მაინცდამაინც მაქსიმუსი რომ შეერჩია მის მეწყვილედ და რაყიფად, მერყევი და გაუბედავი კაცი, ვისაც თავადაც ვერ გაეგო ქვეყნიერების აზრი და ლერწამივით აქეთ-იქით ირხეოდა, იდრიკებოდა სხვათა სიტყვის გავლენით... ღმერთსა და ადამიანს შორის ირყეოდა მაქსიმუსი და ვერც ერთი ვერ დაეთმო, ვერ შეერჩია; ხან ერთს შეუდგებოდა მესავად და ხან მეორეს ვერც ერთის მპოვნელი, მუდამ დამკარგავი... პომპონია კი თავად ამ არჩევანის აუცილებლობას ვერ მიმხვდარიყო, კაცისა და ღვთის დაპირისპირებას, როცა ან ერთი უნდა ირჩიო, ან მეორე; ისე გამოდიოდა, ღმერთები არ ასვენებდნენ ადამიანს, მშვიდ ცხოვრებას უკრძალავდნენ, ეჭვით და შურით აღვსილნი, რათა თავიანთკენ ძალით მიეხედებინათ კაცი, ვისაც, ამაოებით გართულს, სანიადაგო ცხოვრებას აყოლილს, აღარც კი ახსენდებოდა ისინი; დავიწყებოდა, რომ ღმერთებს მსახურება ესაჭიროებათ, ყურადღება, პატივის მიგება... ნეტავ, ჩვენგან რაღას ითხოვენო, ხშირად უფიქრია პომპონიას, როცა საკმელს უკმევდა ღვთაებათა ქანდაკებს ან ტაძარში ღვთისმსახურებას ესწრებოდა... სამყარო საბრძანებლად ჰქონდათ ღმერთებს, ვრცელი, უკიდეგანო, და მაინც ადამიანის საცხოვრისში იჭრებოდნენ მოურიდებლად, თავიანთ ნებას ჰკარნახობდნენ, ჭირვეულ და გაუგებარ სურვილს, რომელსაც, თუკი არ აასრულებდი, საშინელი ტანჯვა-წამება სდევდა თან, სულიერი მღელვარება და ზოგჯერ გონის დაკარგვაც, როგორც ეს მაქსიმუსს დაჰმართნოდა... აკი, არ ეცლიათ მისთვის სიცოცხლით გახარება, ბედნიერებით ტკბობა და საყვარელი ქალი ძალით გამოეგლიჯათ ხელიდან, რათა მის გულში თავად გაედგათ ფესვი, ოღონდ კი იმას ცოცხალი ადამიანი არ ჰყვარებოდა... ჰო, ღმერთებმა მოიტაცეს მაქსიმუსი, სიამოვნებით პირთამდე სავსე თასი გააგდებინეს სწორედ იმწუთას, როცა უნდა შეესვა ამქვეყნიური ეგ ტკბილი სასმელი, და ცივ საიქიოში გადაკარგეს, გადამალეს...

სიყვარულს შესწირვოდა მისი საქმრო, ღმერთების ეჭვიანობას, მათ ახირებას... მსხვერპლად წაეყვანათ თან, პომპონიასათვის გაერიდებინათ, რათა ამასაც არ ეგემნა სიამე ტრფობისა და მარტო მშვიდ ცხოვრებას დასჯერებოდა... წყალობა იყო ეს თუ სასჯელი? ამას კი ჯერ ვერ მიხვდებოდა, რადგან ცოცხალი იყო ისევ, მაქსიმუსისაგან განსხვავებით, ვისი ბედისწერის რკალიც გასრულებულიყო, გათავებულიყო და ამოსაცნობიც აღარაფერი დაშთომილიყო მისთვის – უკვე იქ იყო მაქსიმუსი, ღმერთების წინაშე და ველარ მოაწვდენდა ხმას პომპონიას, ვერ განუმარტავდა მე და შენ რად დაგვაშორესო... ამიტომ უნდა ელოდნა პომპონიას, მანამდე უნდა ეცადა, სანამ კვლავ მინიშნებას გამოუგზავნიდა ცხოვრება, რათა საიდუმლოს ამოხსნა შეძლებოდა როგორმე...

მინიშნება და ქარაგმა რომ წარმართავდა ადამიანის ცხოვრებას, პომპონიამ ეს ზაფხულის მიწურულს საბოლოოდ ირწმუნა, როცა მოულოდნელად სტუმრად ბიძაშვილი ეწვია. ერთად აღზრდილიყვნენ ბალღობიდანვე და პომპონიასაც ძმასავით უყვარდა ეს ქერა და ჭორფლიანი ბიჭი, ვინც ახლა უცებ დაკაცებულიყო, დავაჟკაცებულიყო, თუმც ძველებური სილაღე და ხუმარა ხასიათი კი შერჩენოდა ისევ... სტუმარს თან მეგობარი ახლდა, მარკუს ავილა, დედაქალაქელი კვირიტი, ერთობ განსწავლული და დინჯი კაცი, პომპონიას მაშინვე რომ მოაწონა თავი... უცნაური კი იყო ამ ორი ადამიანის მეგობრობა, რადგან პომპონიას ბიძაშვილს, ხასიათის გარდა, ავილასაგან ისიც განასხვავებდა, რომ თავად სამხედრო კარიერას მიელტვოდა, ის კი, სტოელთა მიმდევარი, უქმ ჭვრეტას იყო აყოლილი... მჭმუნვარე და მელანქოლიურ განწყობას დედაქალაქელი სტუმარი განგებისი ხუმრობითაც ვერ ფარავდა და პომპონიამაც ერთხელ პირდაპირ ჰკითხა, ნუთუ არაფერი გახარებთო...

– მხოლოდ ის, რომ მალე გავქრები, – უგემურად მიუგო სტუმარმა.

სამზარეულოში ისხდნენ, ფართო სამყოფში, და პომპონია ხახვს ჭრიდა სავახშმოდ... მან აცრემლებულ თვალზე მაჯა გაისვა და სტუმარს ცნობისმოყვარედ შეხედა:

– სიყვარულის გამო იტანჯებით? – ჰკითხა მერე.

ავილას გაეცინა.

– ნუთუ გგონიათ, რომ ადამიანი მარტო სიყვარულით უნდა იტანჯებოდეს? სხვაც ბევრი მიზეზი არსებობს საამისოდ...

– მაინც რომელი? – არ მოეშვა პომპონია.

– თუნდაც ჩვენი არსებობა ზოგადად, პატარა ქალბატონო, – ღიმილით უპასუხა ავილამ და პომპონიასაც ემცხეთა, რომ სტუმარი ასე მოურიდებლად მიმართავდა, თითქოს ბავშვად თვლისო...

– ასე რამ გაგამწარათ? ამქვეყნად სასიხარულო ვერაფერი ნახეთ?

ავილა ისევ იღიმოდა და პომპონიას წამით მოეჩვენა, ამასაც მაქსიმუსის სევდა უკრთის მზერაში, რაღაი თითქოს რაიმეს მამუნათებსო...

– სიხარული ვერაფერს გვშველის, მარტო გზას გვაცდენს, – დაილაპარაკა სტუმარმა, – ვხედავ, თქვენ სადარდებლად არ გცალიათ... ბედნიერი ოჯახი გაქვთ, ჯანმრთელი შვილები გყავთ, მოყვარული მეუღლე... პორკუსმა მითხრა, რომ თქვენი ქმარი ცნობილი მეცენატია, სიძველეთა მოყვარული... თქვენ კი არც ისე ხნიერი ჩანხართ...

ეს გამოწვევა იყო და პომპონიაც კარგად მიუხვდა ქარაგმას სტუმარს... ჩემს მოხიბვლას ცდილობსო, გაიფიქრა უცებ და გული სიხარულით შეუხტა... მარკუსს კი მერე და მერე არაფრით გაუმჟღავნებია სიმპათია პატარა დიასახლისისადმი, როგორც თავად ეძახდა პომპონიას; ეგ კია, არ ეკრძალვოდა და სიამოვნებითაც ესაუბრებოდა ხოლმე, სადაც კი მოუხდებოდათ. სტუმრები რომ გაერთო, პომპონიას ისინი ქმრის მამულში დაჰყავდა და პიკნიკს უწყობდა, ერთხელ კი საკმაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორსაც გაისეირნეს – ჩანჩქერისაკენ. ეს იყო თითქმის მიუვალი, ველური ადგილი, მთებს შორის მჩქეფარე წყალვარდნილი რომ ახმიანებდა, და პორკუსიც კი აღაფრთოვანა, რომელიც მანამდე ბუზღუნით იკლებდა ბიძაშვილს, შუადღის ძილს რომ მოსწყვიტა და ამ სიცხეში მთის ბილიკებით სიარულს აიძულებდა...

ვიწრო ტაფობზე, რომლის მახლობლადაც ჩანჩქერი გადმოქუხდა, მსახურებმა ნადიმი გამართეს და სანამ პორკუსი იმათ ხორცის შეწვას ასწავლიდა, პომპონიამ და ავილამ წყლისკენ გაისეირნეს. პომპონია კაცის მკლავს ეყრდნობოდა. ჩუმად მიდიოდნენ. წყალვარდნილის ხმაური სიტყვას ახშობდა. პომპონიამ ჩქერალს პეშვი შეუშვირა და შენიშნა, რომ მის თანამგზავრს დამცინავმა ღიმილმა ბაგე დაუზიდა. პომპონიას ეწყინა, წყალს გაერიდა, მერე კი სტუმარს მიზეზი ჰკითხა...

– ალბათ, ქათინაურს ელოდით და ეს გეწყინათ, – დინჯად მიუგო კაცმა, – ფიქრობდით, ვითომ აგყვებოდით და წყლის ფერიას შეგადარებდით... ქალებს მოსწონთ, ასე რომ ეპირფერებიან.

– სულაც არ მინდა, რომ მაქოთ! – პომპონიამ ჩაიმუხლა და ლოდზე ჩამოჯდა, – მაგრამ ადამიანურ ლაპარაკს კი არავინ გიშლით.

– პომპონია, საყვარელო, ნუ მიბრაზდებით, – ავილა მის წინ გაჩერდა და პომპონიას ხელში მისწვდა, – ის კაცი როდი ვარ, ვისაც შეიყვარებდით...

– ვითომ რატომ უნდა შეგიყვაროთ? თანაც ქმარი მყავს...

ავილას ისევ გაეღიმა.

– თავს ნუ იკატუნებთ, – თქვა გულღიად, – ვიცი, რომ მოგწონვართ, მაგრამ ჩემს შეყვარებას არ გირჩევთ.

– იკბინებით?

– უარესი... მე მკვდარი ვარ, პომპონია.

– მკვდარი?

– ჰო, ამქვეყნისთვის...

– ერთ კაცს ვიცნობდი, ვინც თქვენსავით ფიქრობდა და ამიტომ მიმატოვა, – ახლა უკვე ჩუმად თქვა პომპონიამ.

– მართლა? ვინ იყო ის კაცი?

– ჩემი დანიშნული.

– მიზეზი, პომპონია?

– არ უთქვამს. ადგა და მიმატოვა. ზუსტად ნიშნობის წინა დღეს.

– მიზეზი მაინც უნდა ჰქონოდა, რაკი ასე უცნაურად მოქცეულა... თქვენნაირი მშვენიერი ქალი რომ მიუტოვებია...

– ვიღაც მქადაგებელს გაჰყვა და სამშობლოდან გადაიხვეწა... ათი წლის შემდეგ კი მოულოდნელად დაბრუნდა, მაგრამ ვინაობა არ გაუმხელია, მე კი ვიცანი...

ავილა დაიხარა და ბაბუაწვერას ყვავილი მოწყვიტა.

– ჩანს, იმ კაცს სამშობლო არც ჰქონია... ან სხვაგან ეგულებოდა თავისი ნავსაყუდელი... ამ ყვავილს შეხედეთ, პომპონია, განა ლამაზი არ არის?

– ძალიან.

– ჰოდა, იცოდეთ, რომ სილამაზეს ხრწნა და წარმავლობა მატებს მხოლოდ, – კაცმა ბაბუაწვერას შეუბერა და ბუსუსები ჰაერში გაფანტა, – რაც წარმავალია, ლამაზიც ის არის...

პომპონიას სახეზე ჩრდილმა გადაუარა, წამოდგა, პირი იბრუნა.

– წამიყვანეთ აქედან, – თქვა თვალდახრილმა, თითქოს თანამგზავრს არც კი მიმართავდა, – პორკუსი, ალბათ, უკვე გვეძებს, მარტოობა მოსწყინდებოდა...

უბრად დაიძრნენ ბანაკისაკენ და მერეც არ გაუციათ ხმა ერთმანეთისათვის, გარდა იმ სავალდებულო თავაზიანი მიმართვისა, რასაც სტუმარმასპინძლობა ავალებდათ... პორკუსს არ შეუნიშნავს ქალ-ვაჟის ნამდურაობა, რაღაი ნადიმით აღფრთოვანებული დაუზოგავად ილუკმებოდა და ბოლოს იმდენად გაილეშა ღვინით, რომ მსახურებმა ფორანში ჩააწვინეს და სახლამდე ისე მიიყვანეს.

***

პაპანება თანდათან შემოდგომის სიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილემ შეცვალა და ქალაქად დაბრუნების ჟამიც დადგა. პომპონიამ მსახურებს ბარგი ჩაალაგებინა და ქმარსლა უცდიდა, რათა მზიანი ამინდების სიმშვიდით საბოლოოდ დამტკბარიყვნენ. სენატორიც მალე ამოვიდა აგარაკზე, ორი დღის შემდეგ კი მცირე ალალი ქალაქისაკენ დაიძრა.

დარი იყო, მზიანი დღე. პომპონია და ბიჭები ფორანში ისხდნენ, სენატორი კი ცხენით მიჰყვებოდა ალალს გვერდით. ქალაქს რომ დაუახლოვდნენ, ქმარმა პომპონიას უთხრა:

– აქ, ვესტას ტაძარში, წინამძღვარი უნდა ვინახულო, გენაცვალე, და თუ გინდა, შენც წამოდი... ქალაქის ბიბლიოთეკისათვის წიგნები აქვს გადმოსაცემი.

– შორს არის ეგ ტაძარი?

– რამდენიმე ლიგა იქნება... არ მინდა კი დაიღალო.

– არა უშავს, გავუძლებ როგორმე... მე უფრო ბავშვები მედარდება.

– ბავშვებს ძიძას გავატანთ. ნუ გეშინია, ჩემი კაცები გაჰყვებიან, მშვიდობით მივლენ შინ.

ქმარმა პომპონიას სამარქაფო ცხენზე შეჯდომა უშველა და ტყეში გადაუხვიეს. დაახლოებით ორი ლიგის შემდეგ ტაძარიც გამოჩნდა. ის ტყეში იდგა, გალავანშემოვლებული. წინ პატარა ჭალაკი იყო, რომელსაც ნაკადული კვეთდა. ნაკადულთან ფავნის ქანდაკი დაედგათ. ბანჯგვლიანი, თავდახრილი არსება ცბიერი ღიმილით დასცქეროდა თავისივე ანარეკლს წყალში და წარბები ისე მოეჭმუხნა, თითქოს ორეულის სერნაწრი უკვირს და ეოცებაო...

წინამძღვარი, არცთუ ხნიერი და გოგონასავით ლამაზი ქალი, სტუმრებს გულღიად შეეგება, პომპონიას მიუალერსა, ქმარი შეუქო, მერე სასაუზმოდ მიიწვია, ხიჩატელით, არაჟნით, ნაღებითა და უმცროსი ხარისხის ქურუმქალების მიერ მომზადებული ქადა-ნაზუქით უმასპინძლა. საუზმის შემდეგ წინამძღვარი წიგნთსაცავში შეუძღვა, სასაჩუქრედ გადარჩეული ხელნაწერები აჩვენა და ვიდრე პომპონიას ქმარი ეტრატებს ჩაჰკირკიტებდა, ქალებმა ბაღს მიაშურეს, ხის ქვეშ დაივანეს დასასვენებლად. ბაღში სიჩუმე იყო და რაღაცნაირი მიუსაფრობა იგრძნობოდა, თითქოს აჩრდილების სამეფოში იყვნენ და სიცოცხლე სამუდამოდ ჩამკვდარიყო გალავნით შემოსაზღვრულ ამ პატარა ეზოში, სადაც ადამიანებიც კი ლანდებივით იძვროდნენ იმის შიშით, ვაითუ ვინმე მძინარე გაეღვიძებინათ, ვინც შემდეგ სასტიკ რისხვას დაატეხდა მათ. პომპონიას ისიც უკვირდა, რომ წინამძღვარი – ჯერაც ახალგაზრდა და ლამაზი ქალი – ვესტას ქურუმქალად განმარტოებულიყო ამ მივარდნილ მხარეს და გაველურებულ მაღნარში მიტოვებული ვარდივით ჭკნებოდა... ვესტას მსახურთ ქალწულობის მკაცრი აღთქმა გამოარჩევდათ სხვა ღვთისმსახურთაგან და პომპონიამაც უნებურად იფიქრა, წინამძღვარსაც უთუოდ სიყვარულის მარცხი შემთხვევია ჩემსავით და ამან თუ გადააწყვეტინა, ალბათ, აქ, ტაძრის კედლებს შორის ცოცხლად თავის დამარხვაო... მერე ავილა მოაგონდა, კითხვა რომ გაუტრიზავა, განდეგილობისა და წუთისოფლისაგან განზე გასვლის მიზეზი მარტო უიმედო ტრფობა როდიაო, და საშინელმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ისე მოუნდა საიდუმლოს გაგება...

მაგრამ წინამძღვარი დუმდა და ზოგჯერ ღიმილით შემოხედავდა ხოლმე პომპონიას, თითქოს მის წადილს მიხვედრილი...

– რაღაც გინდათ მკითხოთ და გერიდებათ, – უთხრა ბოლოს, – თქვით, პომპონია, გისმენთ.

პომპონია გაწითლდა და თავი დახარა. წინამძღვრის გულთამხილაობამ გააკვირვა.

– დიახ, დედაო, მაგრამ მიკვირს, როგორ მიმიხვდით...

წინამძღვარმა ისევ გაიღიმა.

– როცა დიდი ხანი ადამიანებს მოშორებული ხარ, მათ უკეთ ხედავ, – თქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, – განმარტოება დაკვირვების ნიჭს გვიმახვილებს, ჩემო გოგონი.

– მაგრამ აქ ხომ სულ მარტო არა ხართ, სხვა ქურუმებიც არიან.

– ეგ არაფერს ცვლის. განმარტოებისათვის სურვილიც საკმარისია, – წინამძღვარი ისევ ილიმოდა, მაგრამ პომპონიამ თვალის კილოების გარშემო მსუბუქი ნაჩრდილი შეამჩნია და მიხვდა, რომ ღიმილი ცარიელი თავაზიანობა იყო და მეტი არაფერი.

– მინდოდა მეკითხა, აქ როგორ ძლებთ-მეთქი... ამ საშინელ ტყეში...

– ტყეში? ჰო, ეგ მართალია, მაგრამ განა თქვენც ასევე არ ცხოვრობთ, პომპონია? აბა, მითხარით, რით არის საშიში ტყე? იმით, რომ აქ მხეცები დაძრწიან და მუდამდღე ხიფათი ჩაგვსაფრებია, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ქალაქშიც იგივე განსაცდელი გელით... შეიძლება უფრო მეტიც, რადგან თქვენს გარშემო ადამიანები არიან...

– ნუთუ ადამიანები გაშინებთ, დედაო, და იმიტომ......

– ვიცი, რაც უნდა მითხრათ, – გააწყვეტინა წინამძღვარმა, – ფიქრობთ, თითქოს შიშმა მაიძულა, ამ ტაძარს შევხიზნოდი... მაგრამ მარტო ეგ არ არის მიზეზი, აქ რომ მხედავთ...

– მაშ რა, დედაო?

– მრწამსი, პომპონია.

– მრწამსი?

– ჰო, იმის რწმენა, რომ ჩვენი ცხოვრება ის არ არის, რაც გვგონია.

პომპონია დაიბნა და გაჩუმდა. წინამძღვარი წამოდგა.

– თქვენი მეუღლე, ალბათ, უკვე გვეძებს, ნუ ვალოდინებთ, – მან ტაძრისაკენ გააბიჯა, მაგრამ უცებ შედგა, – თუკი ამის შესახებ გულითადი საუბარი მოგინდებათ, მესტუმრეთ, ძალიან გამახარებთ...

***

იმავე საღამოს ცოლ-ქმარი შინ დაბრუნდა და პომპონიამაც ჩვეული სიმშვიდე იგრძნო მფარველ პენატებს შორის... ჰო, შინ იყო ისევ, მყუდრო სავანეში, სადაც უცხო ველარ შემოაღწევდა, რათა უსაზმნო იჭვნეულობით აეფორიაქებინა და ეწამებინა... სიზმრისეული აჩრდილებივით განქარდნენ იმ ადამიანთა სახეები, მის ცთუნებას რომ ცდილიყვნენ უშედეგოდ, რაღაი პომპონიას უგუნურება გამოეჩინა და ყური მიეპყრო მათთვის, თითქოს რაიმეს უთხრობდნენ ისინი ქარაგმულად, მოიარებით, თანაც ისეთი კილოთი, ვითომ საიდუმლო სცოდნოდეთ და ამ საიდუმლოს ცოდნით აღმატებულიყვნენ სხვებზე... ცხადი და ხელშესახები ბედნიერებით ტკბებოდა პომპონია, ცოლქმრული სისავსით, ბავშვებზე ზრუნვით, რომლებსაც სწორედ ახლა ეჭირვებოდათ აღმზრდელი და გზის გამკვლევი და სენატორმაც, ვინც ელინოფილი იყო და არისტოკრატთა წრეში ფესვგადგმულ წესსაც უყოყმანოდ ადგა – ლათინელნი უთუოდ ბერძნებმა უნდა აღზარდონო – ვაჟებს ბერძენი ოსტატი დაუქირავა... მასწავლებელს დორიონი ერქვა. ოდესღაც მონას ყურის ბიბილოს ნაცვლად ხორცის ნაგლეჯიღა შერჩენოდა – ურჩობის ნიშანი – და იერითაც და ქცევითაც ელინთა მოდგმას ეკუთვნოდა: შავგვრემანი იყო, თმახუჭუჭა, პირის კანი ცვილივით გაჰყვითლებოდა და წვერჭაღარას მსხვილი ტუჩები ღია ჭრილობასავით მოუჩანდა ხშირი, ჯაგარა ბალნიდან... დორიონი ცალი ფეხით კოჭლობდა და თავადვე ხუმრობდა ამის გამო – ჰომეროსის ღმერთებივით მკელობელი რომ იყო... ხელში მუდამ ცვილის ბურთულას ასორსოლავებდა უნიადაგოდ, უმიზნოდ, ალბათ, სხვათა ყურადღების მისაქცევად, რათა ამ დროს თავად მზერისაგან შეუვალი დარჩენილიყო... პომპონია მალე შეეჩვია ახალ აღმზრდელს და არცთუ იშვიათად ბავშვებთან ერთად გაკვეთილებსაც ესწრებოდა, რომლებსაც დორიონი, რა ცუდი ამინდიც უნდა მდგარიყო, ეზოში მართავდა. პომპონია რომ ეტყოდა ბიჭები გაცივდებიანო, დორიონი არისტოტელეს მოიშველიებდა: პერიპატეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსებს ვბაძავო... შეგირდებს დორიონი მეცადინეობის დროს სიარულსა და ზოგჯერ სირბილსაც აიძულებდა მოკლე ტუნიკის ამარა, თითქმის შიშვლებს, თან ქალბატონს აწყნარებდა, ბრძენს სიშიშვლე მართებსო...

– რას ამბობ, დორიონ, როგორ თუ სიშიშვლე? – გული უწუხდა პომპონიას, აღმზრდელის აზრი რომ ვერ გაეგო და ბიჭებს ლამის უკან სდევდა წამოსასხამებით ხელში, რათა ავდრისაგან დაეცვა ისინი. მასწავლებელი კი არწმუნებდა მინდა თქვენი შვილები სისადავესა და საღ აზროვნებას მივაჩვიოო...

– ფეხზე რომ ეცვათ, ისე კი ვერ მიეჩვევიან? – ეკითხებოდა პომპონია და ხან ერთ შვილს ეძახდა და ხან მეორეს – ტუნიკა ჩაიცვითო...

– სამოსისაგან რომ განიძარცვებიან, სხვათა აზრებსაც ასევე იოლად მოიშორებენ, – პირქუშად პასუხობდა ბერძენი და თავადაც აღსაზრდელებივით მოუჩქარებდა ხოლმე ნაბიჯს, ცალფეხა ყვავივით, წინილებს მიტანებული, ჯოხიანი დიასახლისის დანახვისას სასაცილოდ რომ ხტის და მოქნეულ კეტსაც ფაფხურით გაურბის...

და პომპონიასაც ეცინებოდა დორიონის კოჭლაუხობაზე, თუმცა ბერძენი აღმზრდელი, როგორც ჩანს, არც ისე ხუმარა გამოდგა... ამეტისტამ მალევე წვრილად ჩაუკაკლა ქალბატონს, ვინ იყო და რა იყო ნამდვილად მონაყოფილი, დედაქალაქიდან რაღაც საეჭვო ამბებს რომ გამოჰრიდებოდა და ახლა აქ, პროვინციაში, გეგმავდა ბუნტსა თუ არეულობას... როგორც გაირკვა, დორიონი რომელიღაც საიდუმლო სექტის წევრი იყო და აქაც საიმისოდ ჩამოსულიყო, მოქალაქეები ამ სექტის წევრობაზე დაეყოლიებინა... ბოლო დროს მოხშირებულ ყაჩაღობასა და მონათა გაქცევასაც ამ სექტას უკავშირებდნენ, თურმე მთებში ფარულად იკრიბებიან და ბატონებზე დიდ თავდასხმას გეგმავენო... მთავრობას რამდენჯერმე დამსჯელი ჯარი გაეგზავნა ურჩების შესაპყრობად, მაგრამ, ეტყობა, სექტანტებს ქალაქშიც მოენეები ჰყავდათ და წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, რაღაი მათ კვალს ვერსად მიაგნეს...

– ძალიან საშიში ხალხია თურმე, ქალბატონო, – ხმას დაუწია ამეტისტამ და ქალბატონის ყურისაკენაც დახარა, რათა ნათქვამისათვის დამარწმუნებლობა შეემატებინა, – ვაითუ ჩვენი დორიონიც უმოწყალო მკვლელი გამოდგეს...

– რას ამბობ, ამეტისტა, დორიონი და მკვლელი? აჭარბებ, ჩემო კარგო.

– რა გითხრათ, ქალბატონო, ასე კი ლაპარაკობენ და...

პომპონიამ გადაწყვიტა, ბერძენს მოლაპარაკებოდა, მაგრამ დორიონი გულშეუძვრელად დაუხვდა, აკლდამასავით ჩაგმანული. მშვიდი ღირსებით იცავდა თავს და ზოგადი ფრაზებით პასუხს ერიდებოდა.

– ღირსი არა ვარ თქვენი ყურადღებისა, ქალბატონო. ტყუილად შიშობთ, – იმეორებდა მონაყოფილი და პომპონიამაც პირდაპირ ჰკითხა, აკი საიდუმლო, აკრძალული სექტის წევრობას გაბრალებენო...

– თქვი, რას აპირებ, დორიონ, და გპირდები, არ გაგამხელ.

დორიონმა ცვილის ბურთულა მოსრისა მოშავო თითებით, მწარედ გაიღიმა.

– განა რა შეგვიძლია, ქალბატონო, ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ... მონა თუ ბატონს გაექცევა, ეს დანაშაული რად უნდა იყოს? პირიქით, ადამიანის დამონება განა უსაზიზღრესი დანაშაული არ არის?

– შენ როგორ შეცვლი მერე ამ წესს, დორიონ, ნუთუ მკვლელობით და ბუნტით?

– ჩვენ არავის ვერჩით, ქალბატონო, ზოგჯერ თავს ვიცავთ.

პომპონია ჩაფიქრდა და უცებ წამოიძახა:

– რა იქნება, იმ თქვენს წრეში რომ მიმიღოთ? ქალები ხომ გყავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძენმა ახლა კი ალალად გაიღიმა.

– იქ თქვენ რა გინდათ, ქალბატონო, იქ მონები და ბოგანოები მოდიან, ვისაც თავისუფლება სწყურია.

– მერე, დორიონ, განა მე კი არ მინდა თავისუფლება?

დორიონმა ყურადღებით შეხედა პომპონიას.

– არა მგონია, რამეს უჩიოდეთ... – თქვა შემდეგ, – მდიდრულად ცხოვრობთ, კარგი ქმარ-შვილი გყავთ, რასაც ინდომებთ, ყველაფერი გისრულდებათ... რაღა უნდა ინატროთ მეტი?

– მაინც, დორიონ, იქნებ, სხვა რამ არის...

· დორიონს უცებ სახე შეეცვალა, კერპს დაემსგავსა.

– სხვა არაფერია, – თქვა დიდაქტიკურად, როგორც ბავშვებს არიგებდა ხოლმე, – ადამიანს მარტო თავისი თავი აბარია და იმის იქით ვერ წავა... თავისუფლებაც ეგ არის, ქალბატონო, იმის არდავიწყება, რომ ვარსებობთ.

– ფარულად რატომღა იკრიბებით, თუ ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს? – ჰკითხა პომპონიამ, – შენი აზრით, ეს თავისუფლებაა?

– ადამიანი ბორკილისაგან რომ გათავისუფლდეს, ფიქრის საშუალებაც უნდა ჰქონდეს... მეტს ვერაფერს გეტყვით, ქალბატონო. – დორიონი გაჩუმდა და პომპონიას ჯიუტად მიაჩერდა, რაკი ეგონა, მისი ქალბატონი მყისვე მსახურებს უხმობდა და ძალით ამოგლეჯდა პირიდან საიდუმლოს, და თითქოს წამების ასატანად ემზადებოდა, მაგრამ პომპონიამ აღარაფერი უთხრა... აღმზრდელის ნათქვამმა ჩააფიქრა და ბერძენს ჩუმად გაეცალა, რათა თავის ოთახში ამოეცნო ეს ქარაგმა, შენივე თავი გახსოვდესო... ბევრი კი იფიქრა პომპონიამ ამაზე, მაგრამ მხოლოდ ის დაასკვნა, ბერძენს, როგორც ყოველთვის, მჭევრმეტყველების სურვილმა გადასძლია და ლამაზი ფრაზის გამო ჩემი დაბნევა სცადაო... მართლაც რა აკლდა? რაღა უნდა მიეღო ამქვეყნისაგან? ბედნიერი იყო და ამ ყოფას ვერაფერზე გაცვლიდა... მერე დორიონის ნათქვამი მოაგონდა, თავისუფლება მონის საწუხარიაო და ღმერთებს მადლი უძღვნა, მონად რომ არ გაეჩინათ და სხვათა საამებლად სიღატაკით არ მიაჩოჩიალებდა წუთისოფლის ულელს...

***

დორიონის საიდუმლო კი მაინც გამჟღავნდა, როცა ერთხელ პომპონიამ ვესტას ტაძრის წინამძღვრის მონახულება განიზრახა და ქმარმა ბერძენი აღმზრდელიც გააყოლა თან წიგნების გადასარჩევად.

– წინამძღვარი მწერს, რომ პლინიუსის თხზულებათა ნაწილი უკვე მზად აქვთ, მე კი ვერ მივდივარ, საქმეები არ მიშვებს... იქნებ, შენ წასულიყავი, გენაცვალე, წინამძღვარი, აკი, მუდამ გკითხულობს, მინახულოსო...

– ფიქრობ, რომ უნდა ვესტუმრო, ლუციუს?

– ნადი, გაერთობი, შინ როდემდე უნდა იჯდე მოწყენილი... წინამძღვარი ჭკვიანი ქალია და, იქნებ, ისეთი საქმეც გამოგიძებნოს, რაც შენს გულს გაუხარდება.

პომპონიამ შეპასუხება კი დააპირა, მოწყენილი სულაც არა ვარო, მაგრამ უცებ ქმრის ნათქვამში საყვედური იგრძნო და გაჩუმდა. ქმარი მუდამ ცდილობდა, პომპონია როგორმე აეყოლიებინა და საზოგადო საქმეში ჩაება; ამიტომაც ხან რა შეხვედრაზე დაჰყავდა და ხან რა საქველმოქმედო ღონისძიების გაძღოლას ავალებდა, მაგრამ პომპონიას ოფიციალურ წვეულებებზე მთქნარება ერეოდა, ქველმოქმედება კი სწყინდებოდა...ცხადია, ამას ქმარს ვერ გაუმხელდა და იტანჯებოდა... ახლაც უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ ქმარი ისე დაჟინებით სთხოვდა ხელნაწერების წამოღებას მონასტრიდან, თითქოს პლინიუსის თხზულებაზე ეკიდა მისი ბედი და უიმისოდ რაღაც საზარელი ხვედრი მოელოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– დორიონს ვთხოვე, კომენტარები იქვე ჩაასწოროს, განათლებული კაცია და იცის, რაც მინდა... ერთი-ორი დღე მონასტერში მოგიწევს ყოფნა... ამეტისტა წაიყოლე და არაფერი გაგიჭირდება...

– ნუ გეშინია, ლუციუს, რამდენიმე დღე სახლის გარეთაც გავძლებ, – სიცილით უპასუხა პომპონიამ, ქმარმა კი თითქოს სინანულით შემოხედა.

– ძალიან ნაზი მყავხარ, – თქვა მერე, – ვაითუ ძნელი გამოდგეს შენთვის ეს მგზავრობა.

პომპონიამ დაარწმუნა სულაც არ მეძნელებაო და მეორე დღეს გაემგზავრნენ კიდეც. ტაძარი არც ისე შორს იყო ქალაქიდან, მაგრამ ბოლო ხანს გზებზე მეკობრეები დაძრწოდნენ და ქმარმაც რამდენიმე შეიარაღებული მსახური გააყოლა მგზავრებს, რათა მშვიდობიანად ევლოთ.

პომპონია ახლაც ფორანში იჯდა, შარშანდელივით, როცა აგარაკიდან შინ ბრუნდებოდნენ, მაგრამ ახლა გაზაფხული იყო და თანაც ავდარმაც უსწროთ. როგორც კი ტყეში გადაუხვიეს ტაძრისაკენ, იჭექა და თქეშიც წამოვიდა. ცხენები ძლივსღა მიათრევდნენ ატალახებულ გზაზე ფორანს და ერთი-ორჯერ კინაღამ გადააყირავეს, მაგრამ მაინც მშვიდობიანად მივიდნენ ტაძარში და წინამძღვარმაც მყისვე ცეცხლი დაანთებინა ქურუმქალებს, პომპონია გააშრო, აჭამა, აბანავა და თავისი სუფთა სამოსიც მისცა, რაკილა პომპონიას სამგზავროდ წამოღებული ტანსაცმელი დასველებოდა. უკვე ღამდებოდა და მსახურები ეზოს შრამელებში დააბინავეს, დორიონს კი, რომელმაც ახლავე მოინდომა ხელნაწერებს ჩასჯდომოდა, ბიბლიოთეკაშივე დაუგეს ლეიბი. პომპონია და წინამძღვარი დაძინებამდე ცეცხლის პირას ისხდნენ და საუბრობდნენ. გარეთ ქარი ღმუოდა, სეტყვა სახურავს არაკუნებდა. გრიგალისაგან აწრიალებული ხეების გმინვა აღწევდა კედლებში. წინამძღვარს სახეზე შიში დაეტყო, მალიმალ სახურავს ახედავდა, ლოცვას ბუტბუტებდა.

– ეს ავდარი კეთილად არ დასრულდება, – თქვა მერე, – ბუნება ტყუილად როდი გვიწყრება, პომპონია!

პომპონიას უნდოდა, გაემხნევებინა წინამძღვარი, საშიში რა უნდა იყოს, როცა ტაძრის კედლებში ვართ და წვიმა და ქარი შიგნით ვერ აღწევსო, მაგრამ წინამძღვარი თითქოს მიუხვდა სათქმელს (როგორც პომპონია დარწმუნდა, წინამძღვარს უთუოდ სხვათა ნაფიქრის ამოცნობის ნიჭი ჰქონდა!) და თავად დაასწრო:

–ადამიანის ხელით აგებული ვერარა კედელი ვერ დაგვიცავს, პომპონია, თუკი ღმერთები განვარისხეთ!

– რით, დედაო? განა რა დავაშავეთ ასეთი?

– ჩვენ ცოდვილნი ვართ, პომპონია... თუნდაც იმით, რომ ამქვეყნად გავჩნდით... ღმერთებიც გვსჯიან ამის გამო...

მან აკანკალებული თითები ტუჩებთან მიიტანა და ლოცვას მოჰყვა. მერე უთხრა:

– ვიცი, რომ ამაღამ რაღაც მოხდება... ვგრძნობ ამას, პომპონია, ამიტომ, ინათებს თუ არა, უნდა წახვიდე... მაპატიე, თუ მასპინძლობის წესს ვარღვევ, მაგრამ დამიჯერე, ასე ჯობს.

– თუკი თქვენ ასე ფიქრობთ, დედაო...

– არა, არა, ვფიქრობ კი არა, უეჭველად ვიცი, – რაღაცნაირი აღგზნებით გააწყვეტინა წინამძღვარმა, – შენ გამო ვშიშობ, ჩემო გოგონი, და იმიტომ გეუბნები ამას... ახლა კი წამოდი, საძინებელს გაჩვენებ. მოახლე შენთან ერთად დაწვება თუ სხვაგან გავუშალოთ ლოგინი?

წინამძღვარი გაუძღვა და პომპონია მომცრო სენაკში შეიყვანა. პომპონია მიხვდა, რომ ეს წინამძღვრის სამყოფი იყო და ჰკითხა, თქვენ სად მოისვენებთო...

– უნდა ვილოცო, იქნებ, ღმერთებმა სასჯელი აგვარიდონ, – მჭმუნვარედ უპასუხა წინამძღვარმა და გაერიდა, მარტო დატოვა სენაკში პომპონია.

წინამძღვრის მღელვარება პომპონიასაც გადმოედო და ძილის წინ მანაც მხურვალე ლოცვა აღუვლინა ღმერთებს – ისინი, როგორც ცნობილია, ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს განაგებენ და მათ ნებაზე ჰკიდია კაცის ხსნაცა და დაღუპვაც...

***

ცა ისევ კუპრისფერ ღრუბელს ჩაელუსკუმებინა და არაფერი ჩანდა. მერე და მერე სიბნელე სისხლისფერმა ზორტმა გადასერა და ხანძრის არილი გაიყოლა თან. ცეცხლი მოსდებოდა ცისკიდურს, ქვეყნიერება ცეცხლში ინვოდა და პომპონიასაც ასე ეგონა, ხანძარს ველარ გადაურჩებოდნენ, როცა ანაზდად აალებული სიბნელიდან თეთრი ცხენი გადმოქანდა. ცხენს საზარლად დაეკრიჭა კბილები, ყალყზე მდგარი თავს აქნევდა და უხმოდ ჭიხვინებდა, გედივით მოხრილ კისერზე ღრმა ნაჭრილობევიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ დაფეთებული ცხოველი უფრო იმას გაეცოფებინა, რომ ყელზე ვილაცის მიერ ნასროლი ქამანდი შემონასკვოდა და ის აკავებდა, არ უშვებდა თავისუფლად... პომპონია სიბნელეს ჩააშტერდა და ოთხი მიბნედილი ფიგურა დაინახა... ლასო იმათ ეჭირათ, ისინი აოკებდნენ გაგიჟებულ ჰუნეს, შენყობილად ეწეოდნენ თოკს, რათა თავი არ დაეხსნა ცხენს, არ გაშვებულიყო, არ გასხლტომოდათ ხელიდან... პომპონიას თითქოს ეცნო და არც ეცნო ის კაცები, თუმცა მეოთხის სახე და სერნაწრი კი ვერაფრით გაარჩია, რაღაი ის ჩრდილში იდგა, მოშორებით, ბნელს მიფარებული, და ცხენის მხედნავთა შორის უჩინრად ყოფნას რჩეობდა... ხანძარი კი უფრო და უფრო მძვინვარდებოდა, გიზგიზებდა, მენამულ ანაშუქად ანათებდა სიბნელეს და სიზმრადაც კი შემოელწია დამწვრის სუნს, პომპონიას რომ აიძულებდა, გაქცეულიყო და, ბოლოს და ბოლოს, მანაც გაიღვიძა... სიბნელეში ინვა, მაგრამ ტაძარში კი რაღაც შეცვლილიყო, რადგან სენაკს იქიდან ყრუ ხმაური და შეკივლება ისმოდა... მოსასხამი მოიხვია და ის იყო, კარი უნდა გამოეღო, სენაკში რომ წინამძღვარი შემოვიდა.

– ცუდი ამბავია, შვილო, ყაჩაღები დაგვეცნენ. უნდა გაეცალო აქაობას.

პომპონიას თითქოს არც გაჰკვირვებია ეს ამბავი... თითქოს ელოდა კიდეც წინამძღვრისაგან მანამდე გაფრთხილებული... სასწრაფოდ ფერხთ ჩაიცვა და წინამძღვარს ჰკითხა:

– თქვენ, დედაო?

– მე ვრჩები. ტაძარს ვერ მივატოვებ.

პომპონია მიხვდა, რომ წინამძღვარს დარჩენას ვერ გადაათქმევინებდა და ქვითინით ჩაეკრა გულში... ვესტას ქურუმქალმა მიუალერსა.

– ყველას ჩვენი გზა გვაქვს, პომპონია, ჩემი აქ თავდება, – მერე ნაზად, მაგრამ მტკიცედ მოიცილა და ტკბილად უთხრა, – ამეტისტა გვირაბთან გელოდება... შენი მსახურები ცოტა ხანს კიდევ შეაკავებენ მეკობრეებს და მანამდე გვირაბით გასვლასაც მოასწრებთ... წადი, ჩემო გოგონი, და ეცადე ბედნიერი იყო...

წინამძღვარმა დერეფნით გაატარა პომპონია და საიდუმლო ტალანთან მიიყვანა, სადაც ამეტისტა და დორიონი უცდიდნენ. დორიონს ხელში მაშხალა ეჭირა. პირველიც ის ჩაძვრა გვირაბის ხახაში, მერე ამეტისტა მიჰყვა. პომპონია კიდევ ერთხელ მოეხვია დედა-წინამძღვარს და ცრემლით სახე დაუსველა. ვესტას ქურუმქალმა ოდნავ უბიძგა:

– წადი, პომპონია, და გახსოვდეს, რაც გითხარი...

სუსტი შუქი გვირაბის შესასვლელს ეფინებოდა. დორიონმა ქვემოდან ხელი შეაშველა. პომპონია გვირაბში ჩაეშვა და მყისვე უკუნში ჩაინთქა... სანამ ამეტისტას კაბის კალთაზე მოეჭიდებოდა, რათა დანალიკებით ევლოთ, მან მაღლა აიხედა, გვირაბის ჩამოსასვლელისაკენ... წინამძღვარი ჯერ კიდევ იქ იყო – მისი თეთრი სტოლა სინათლის ლაქასავით მოჩანდა წკვარამ სიბნელეში... მერე ქურუმქალი გვირაბს მოსცილდა და გარშემოც სრული სიბნელე გამეფდა...

***

ჰო, სრულ უკუნში იყვნენ და ხსნა არსად ჩანდა... დორიონი წინ მიაბიჯებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკუზული, თითქოს რაღაცის მძებნელი, ქვესკნელის ბინადარივით ალღოთი გზის გამკვალავი; ამეტისტა და პომპონია უკან მიჰყვებოდნენ, ხელიხელჩაჭიდებულნი, შიშით გატრუნულნი და ხმაკამენდილნი... დროდადრო დორიონი რაღაცას დაუძახებდა ქალებს, გამაფრთხილებელ შეძახილს აღმოუტევებდა ხოლმე სისინით, რათა გვირაბის ქიმს ან ღორღს არ წამოსდებოდნენ, და ესენიც მყისვე ეკვროდნენ ლიპსა და სველ კედელს, პომპონიას რაღაც ბინძური და უამური ცხოველის ზურგს რომ აგონებდა... უკვე საკმაოდ გასცილებოდნენ ტაძარს, როცა დორიონმა შესვენების უფლება მისცა ქალებს; ამათაც ჩაიმუხლეს, დაიღეს სული, საგულეს ჩაიყენეს შიშით ამოვარდნილი გული...

დორიონმა ჩირაღი ჩააქრო.

– ახლო ვართ, – თქვა ჩურჩულით, – სადღაც ხვრელია... ნიავს ვგრძნობ...

ქალები გააფრთხილა აქვე ისხედითო და დასაზვერად წავიდა. ცოტა ხანში უკან მობრუნდა და ლტოლვილები თან გაიყოლა... დაახლოებით ერთი სტადიუმის შემდეგ პომპონიამ ზემოდან ჩამოღწეული სხივი დაინახა...

– ჯერ მე ავალ, დავათვალიერებ, ვინმე ხომ არ გვდარაჯობს, – დორიონი წინ გაემართა, – თუ სიმშვიდე იქნა, ბუსავით დავიკივლებ და თქვენც წამოდით...

დორიონი გაუჩინარდა. ქალები გატვრენილები ელოდნენ ნიშანს და აჰა, როგორც იქნა, ზემოდან სუსტი შეკივლება მოისმა.

– წავიდეთ, ქალბატონო, – ამეტისტამ ხელში ხელი ჩასჭიდა პომპონიას და ორივენი გასასვლელისაკენ გაემართნენ.

***

ნაწვიმარ ტყეში მათ დორიონი უცდიდათ.

– უნდა ვიჩქაროთ, – თქვა ბერძენმა, – სადაცაა გათენდება...

უძილობით, მოულოდნელი თავდასხმითა და გვირაბში სიარულით დაზაფრული და გასავათებული ლტოლვილები აღმართს შეუყვნენ. დორიონი მალიმალ ხომლს აჰყურებდა, მნათობთა მოძრაობით მიმართულება უნდოდა განესაზღვრა, მაგრამ ცას უკვე სიფერმკრთალე შეჰპარვოდა და ვარსკვლავებიც გადასულიყვნენ, გადახვეწილიყვნენ კაბადონიდან, მათ ნაცვლად კი ცეცხლოვანი ბურთი მოიწევდა ტყის ზემოთ, ღამეული ცის გამნათებელი და საგნებისათვის სიცოცხლის მიმცემი... დორიონის ვარაუდით, ქალაქიდან არცთუ შორს იყვნენ, მაგრამ მიმართულება რომ არ არეოდათ, მაღლიდან უნდა გადაეხედათ და ისე გაეკვლიათ სავალი. პომპონია და ამეტისტა ძლივსღა მიაბიჯებდნენ, ხშირად ისვენებდნენ და დორიონსაც მათთვის ხელის შეშველება უხდებოდა; ბოლოს ქალები მწყემსის ჩალის ქოხში დატოვა და მარტომ აიარა აღმართი, წასვლამდე კი დაუბარა, უმისოდ ქოხიდან არ გამოჩენილიყვნენ... ქალებისთვის ეს გაფრთხილება მაინც ზედმეტი იყო, ისედაც დაღლილები ხომ იყვნენ და იყვნენ, მაგრამ უფრო მეტად შიში ულევდათ გულ-მუცელს და ყაჩაღების ხსენებაზე აკანკალებდათ. დორიონი ქოხიდან გავიდა თუ არა, ამეტისტა და პომპონია ერთმანეთს ჩაეკვრნენ და კარგა ხანს ასე ისხდნენ, გაყურსულები, მერე გაბედეს და ცალ-ცალკე მიწვნენ, მიილუშნენ ქოხის ფიცრულ იატაკზე, თან დამფრთხალნი აყურადებდნენ გარეთ ოდნავ ფაჩუნსაც კი... ქანცგაწყვეტილებს ძილი ერეოდათ, მაგრამ მცირე ხმაურზე თვალს აჭყეტდნენ და ზეზე წამოვარდებოდნენ ხოლმე, ტყეში ფოთლის შრიალიც კი მეკობრეების მოახლოებად ეჩვენებოდათ; ეგონათ, ვიღაც ფარულად გვეპარება და უნდა დაგვხოცოსო, მაგრამ ნაბიჯების ექო ან ციყვის ბრალი იყო, უცებ რომ გადაირბენდა ხმელ ფოთლებს, ან სხვა რომელიმე წვრილფეხა ნადირისა, ქოხს რომ მოადგებოდა და ჩალის კონებს შორის ხმამაღლა ქშენდა... პომპონიას არასოდეს განუცდია ესოდენ სისხლის გამყინავი შიში, გულს რომ უწურავდა და ჟრჟოლად უვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდა ტანში... მშობლიურ სახლს იქით მარტო არასოდეს ყოფილა, ისიც უღრან ტყეში და თანაც სასიკვდილო საფრთხის მომლოდინე, და ასე ეგონა, ღმერთებმა მხოლოდ მე გამწირეს საიმისოდ, რათა უღირსი და უსახელო სიკვდილით მოვკვდეო... თავად სიკვდილზე არასოდეს უფიქრია ან, თუ წარმოიდგენდა, მარტო რაღაც შორეულ და სხვის თავს გადანახად ამბად ეფიქრებოდა ამქვეყნიური სიცოცხლის აღსასრული და ახლა, როცა ეს აღსასრული აქვე იყო, ტყეში უდარაჯებდა, მან ადამიანური არსებობის სრული სიმყიფე შეიგრძნო – წარმავალი, მყისიერი, უგუნურებითა და ფუჭი გრძნობებით დაღდასმული არსებობა, უწვრილეს ძაფს რომ ჰგავს და იმ ძაფის ბოლო შემთხვევითობას უჭირავს ულმობელ თითებში... პომპონიას ბავშვობისას განაგონიც გაახსენდა, ბედისწერის ქალღმერთები, პარქები, თუ როგორ გადასჭრიან ხოლმე უცაბედად კაცის სიცოცხლის ნასკვს და თითქმის ცხადად წარმოუდგა თვალწინ უგვანი დედაბრის სახება, მაკრატელი რომ მოემარჯვებინა და მისი სიცოცხლის განყვეტას აპირებდა...

***

დორიონი მოსაღამოვებულზე დაბრუნდა და ვიღაც უცხო მოიყოლა: თქვა, მწყემსია და უახლეს სოფლამდე მიგვაცილებსო... მაღლიდან ტაძარიც დაენახა და ირწმუნებოდა, ხანძარმა სრულად გაანადგურა და ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდაო... მაშასადამე, მსახურების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ, რაკი ისინი, ჩანს, ან ყაჩაღებს დაეხოცათ, ან ცეცხლში გამომწვარიყვნენ, ანდა თავად დაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თუკი თავდამსხმელებს გაუსხლტებოდნენ როგორმე... ისიც ცხადი იყო, მონასტერში ვერ მიბრუნდებოდნენ, რათა ფორნით გამგზავრებულიყვნენ შინ; მეკობრეები ცხენებსაც წაიყვანდნენ და საზიდარსაც წაილებდნენ, ამიტომ, დორიონის აზრით, საპირისპირო მიმართულებით უნდა ევლოთ და როგორმე სენატორისათვის ხმა მიეწვდინათ, რათა იმას ეკიპაჟიც და მცველებიც გამოეგზავნა, მანამდე კი სოფლად უნდა დამალულიყვნენ, სადაც გამყოლი მიიყვანდა... როცა პომპონიამ ჩუმად ჰკითხა, სანდოა თუ არა ეგ კაციო, დორიონმაც ასევე ჩუმად მიუგო, ადამიანი, ზოგადად, სანდო არ არის, მაგრამ მეგზურს ვენდობი, რადგან ფარული მისალმებით მასში ჩვენი ძმობის წევრი შევიცანიო...

პომპონიას გაუკვირდა.

– დორიონ, ნუთუ თქვენი საძმო აქ არის?

– დიახ, ქალბატონო, აკი გეუბნებოდით, ქალაქებს და სოფლებს ვერიდებით და ცალკე ცხოვრებას ვარჩევთ-მეთქი... მეგზურმა მითხრა, რომ მთის გადაღმა ერთი ჩვენი პატარა დასახლებაა და თუკი ბოგანო ხალხთან ყოფნას არ იუკადრისებთ, იქ შეგვიძლია საიმედოდ დავიმალოთ. ჩვენები არ გაგვცემენ.

– ჰო, დორიონ, რაღა თქმა უნდა, წავიდეთ და გპირდები, რომ არც მე გაგცემთ... არ ვიტყვი, რომ თქვენი დასახლება ვნახე.

ბერძენს ღიმილი დააჩნდა ტუჩზე.

– ეჰ, ქალბატონო, მაგას ნუ იფიცავთ... არავინ იცის, ცხოვრება რას გვიმზადებს.

პომპონიას ეს უნდობლობა ეწყინა, მაგრამ აღარაფერი თქვა და სამივენი მეგზურს გაჰყვნენ, რომელმაც დაღამებამდე უცხო დასახლებაში მიიყვანა ისინი.

***

ვესტას ტაძარზე ყაჩაღთა თავდასხმისა და ტაძრის გადაწვის ამბავი გავრცელდა თუ არა, სენატორმა ავზონიუსმა ხელდებულნი და აზატები შეკრიბა, ქალაქის ცირკიდან გლადიატორები დაიქირავა, მონებსაც დაურიგა იარაღი და ცხენზე შემჯდარი რაზმს წინ წაუძღვა. ნაშუადღევამდე ტაძრად მივიდნენ და სენატორმა აქ საშინელი ნადგურისცემა იხილა: გადაბუგული შენობები, დამწვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახიჩრებული ცხედრები, გაპარტახებული საკურთხევლები, მეკობრეებს განძის პოვნის იმედით რომ მოენარეკლებინათ... თითქოს ზეციურ მეხს დაეწვა და დაეფერფლა აქაურობა ან განრისხებულ ღმერთებს ჭირის ღვარცოფი მოევლინათ ოდესღაც მათთვის სანუკვარი ადგილისათვის, ისე დაენაცრა ერთხანს აყვავებული მონასტერი მკრეხელთა თავნებობას... დახოცილთა შორის სენატორმა მეუღლე ვერ ამოიცნო და მისთვის ცხადი გახდა, რომ პომპონია ყაჩაღებს წაეყვანათ ტყვედ... მაშინ ავზონიუსმა დაიფიცა, შურს ვიძიებო, ქალაქში დაბრუნდა და სენატის სხდომა მოიწვია. სენატმა საკმაოდ ვრცელი არზა შეადგინა პროკონსულისადმი, რომელშიც ხატოვნად იყო აღწერილი პროვინციის ლამის უნუგეშო და საშიში ვითარება, როცა გაქცეული მონები და ფარული ორგანიზაციის წევრები მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ და უწყინარ მგზავრებს ხოცავდნენ, ხოლო მკრეხელნი უკვე სახელმწიფოს წმიდათაწმიდასაც აღარ ერიდებოდნენ და მლოცველთ ტაძრებში უვარდებოდნენ; შემდეგ სენატორები სთხოვდნენ პროკონსულს, ვითარცა უმაღლესი ხელისუფლების ნაცვალს პროვინციაში, ქმედითი ზომები მიეღო და აელაგმა გათავხედებულ მდაბიორთა თარეში, რათა მოსახლეობას იმპერატორის ძალაუფლებისადმი რწმენა არ შერყეოდა. პროკონსულმაც ყურად იღო ერთგულ მოქალაქეთა აჯა და გზებსა და გზაჯვარედინებზე ლეგიონერები ჩააყენებინა, ამავე დროს კი საიდუმლო სამსახურის უფროსს უბრძანა, ტყეში მიმალულ სექტანტთა შესახებ ცნობები შეეგროვებინა და მერე დიდძალი ჯარით თავს დასხმოდა და დაესაჯა ისინი... საიდუმლო სამსახურის უფროსმა პროკონსულის დავალება კარგად შეასრულა – რამდენიმე მაწანწალა შეიპყრო და, მართალია, წამებით ვერ გამოტეხა ისინი, მაგრამ შემდეგ ნაცადი ხერხი იხმარა: გაათავისუფლა და ფარულად უკან მსტოვრები გააყოლა... სექტანტთა დასახლების სავარაუდო ადგილმდებარეობა რომ შეიტყო, პროკონსულმა დამსჯელ ჯარს თავისი ახალი თანაშემწე უსარდლა – ერთობ უნარიანი ახალგაზრდა კაცი, ვინც დედაქალაქელი მფარველების წყალობით სწრაფად დაწინაურებულიყო კარიერის რთულსა და იკლიკანტურ კიბეზე და დიდ იმედსაც იძლეოდა, რომ ახლო მომავალში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იქნებოდა... პროკონსულის თანაშემწემ ჯარი ჩაიბარა და ქალაქიდან შებინდებისას გაიყვანა, რათა არავის ეგუმანა, სად მიდიოდნენ, ღამით უჩუმრად იარა და გათენებისას დასახლებას ალყად შემოადგა. ტყეში ჩასაფრებული ჯარი ბრძანებას ელოდა, რათა სექტანტებს თავს დასხმოდა, მაგრამ ჯართუფროსი შეტევას აგვიანებდა – უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ვერავინ გაუსხლტებოდა და, რაც მთავარია, სექტის მოთავეებს უეჭველად შეიპყრობდა. უკვე გათენდა, ბალახზე ნამი აშრა, ბუჩქებში ჩიტები აჟღურტულდნენ. ლეგიონერები ტყეწვრილში, მაღალ შამბსა და ბუჩქნარში ისხდნენ და დაბლა ამოჩენილ დასახლებას გადაჰყურებდნენ... თიხით შელესილი ფაცხებიდან თუ ღარიბული ქოხმახებიდან ნელინელ გამოდიოდა სელის კვართიანი ხალხი და მთავარ მოედანზე ერთადერთი ქვის შენობის წინ გროვდებოდა... შენობა, ეტყობა, სამლოცველო იყო, თუმცა არც ღმერთების ქანდაკებები ჩანდა სადმე და არც საზორავი პირუტყვი მიჰყავდა ვინმეს იქითკენ... ხალხი კი მუხლს იყრიდა, ამომავალი მზისკენ პირშექცეული, და როგორც ჩანს, ლოცულობდა. ჯარისკაცები ცნობისმოყვარედ უმზერდნენ ამ უცნაურ ადამიანებს, ვის შესახებაც მხოლოდ საზარელი ამბები სმენოდათ – ბავშვებს იტაცებენ და თავიანთ სისხლმწყურვალ კერპებს სწირავენო... სხვაც ბევრი ჭორ-მართალი დადიოდა ქალაქსა თუ სოფლად მიუვალ ალაგას გახიზნულ სექტანტთა შესახებ და ლეგიონერებს ახლა მშვიდობიანი ხალხის ნახვა უკვირდათ. მზე თანდათან მაღლდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთ აჩენდა უცნაურ დასახლებას, სადაც არც ერთი მდიდრული ნაგებობა არ ჩანდა და არც საზოგადო თავშეყრის ადგილები იყო – საცხოვრებლები აქ ყაზარმასავით მოეწყოთ და მცხოვრებლებსაც ერთნაირად ეცვათ; წარჩინების ნიშნების განუსხვავებლად... ლოცვა რომ გაასრულეს, მოედანზე შეყრილ ხალხთან შენობიდან თეთრსამოსიანი კაცი გამოვიდა და ხელები გაიწოდა; ალბათ, შეკრებილთ სიტყვით მიმართავდა... ლეგიონერები ფეხზე წამოდგნენ. დრო იყო, დასახლებისაკენ დაძრულიყვნენ. კარვიდან ჯართუფროსიც გამოჩნდა, ქვემოთკენ ყურადღებით მზირალი... მან ათისთავები იხმო და მოკლე დარიგება მისცა, მერე ტყეში ბუკი გახმიანდა და ლეგიონერები სირბილით დაეშვნენ მოედნისაკენ...

***

მოახლესთან ერთად პომპონია საცხოვრებლად ვარგის იმ ერთადერთ შენობაში დააბინავეს, რომელიც ერთდროულად სამლოცველოც იყო და ბიბლიოთეკაც. ბიბლიოთეკას მარკელუსი განაგებდა, ყოფილი გემთმფლობელი, ქონება რომ გაეყიდა და ნაწილი ფულისა თემის საერთო ხაზინისათვის გადაეცა, ნაწილით კი საღვთისმეტყველო თუ ფილოსოფიური წიგნები შეეძინა და აქ საკმაოდ დიდი არქივი მოეწყო მაშინდელი იმპერიის თითქმის ყველა მხრიდან მოზიდული ხელნაწერებით. ის თავადაც წერდა საღვთისმეტყველო ნაშრომებს და იმ ხნის განმავლობაში, რაც პომპონია აქ იყო, ხშირადაც უკითხავდა ხოლმე ნაწყვეტებს მაღალფარდოვანი სტილით ნაწერი თხზულებებიდან. მარკელუსი გნოსტიკოსი იყო და მტკიცედ სწამდა რჩეულთა ხსნა და გადარჩენა, თავიც ასეთ რჩეულად მიაჩნდა და დიდად იღვწოდა სულის ხსნისათვის, უმეტესად ენციკლოპედიური ცოდნის დაგროვებით, რასაც სამუდამო ცხოვრება უნდა შეეძლებინებინა მისთვის ამქვეყნიური არსებობის შემდეგ. პომპონია მალე გაუშინაურდა ამ მაღალ, მხრებში ოდნავ მოხრილ, მუდამ მოღიმარ კაცს, ვისი დაუშრეტელი ენერგიაც ბევრს აკვირვებდა, იმდენი თხზულება შეექმნა უკვე ღამეული ფხიზლობითა და რუდუნებით; თვალი რომ არ დაღლოდა, იმპერატორ ნერონივით, ის გათლილ ბროლს ხმარობდა ნაწერის გასარჩევად და ამ გამჭვირვალე ქვას თითქმის არასოდეს იცილებდა ხელიდან. ცოტას ჭამდა, ცოტა ეძინა და გამუდმებით უჩიოდა თემში არცთუ ხშირად მოსულ ღვთისმეტყველთ, სამყაროს არსი როდი გაეგებათო...

– თეოლოგია დღეს შარლატანების ხელთაა, ჩემო ძვირფასო პომპონია, – მიახალა პირველივე დღეს, როცა დორიონმა ისინი ერთმანეთს გააცნო, – თქვენ რომ მოგენდომებინათ ჩემს გვერდით ყოფნა, ამ მასხარებს მალე დავანახებდით, რომ კოსმოსი სულაც არ არის ისეთი, როგორიც ამ ბატისტვინებს წარმოუდგენიათ...

შემდეგ სამყაროს აგებულების შესახებ თავისი მოსაზრება გააცნო, ეჭვშეუვალად რომ მიაჩნდა: ხილული ქვეყანა მდაბალი დემიურგების მიერ არის შექმნილი და ამიტომაც ესოდენ ნაკლულია, თანაც იმდენად, კაცს ბალღის ჟინიან და ახირებულ ნამოქმედარად მოეჩვენებაო... უზენაეს ძალას კი, რომელიც ყველაფრის დამბადებელი და საწყისია, სულაც არ ანაღვლებს თურმე არც ადამიანი და არც სხვა ცოცხალი არსნი, რომელთა ბედიც ამ დემიურგების ხელშია... მარკელუსს სიცოცხლე ავადმყოფობად მიაჩნდა, ხოლო ბავშვის გაჩენა – ამ სნეულების ოდენ გამრავლებად, და ქალებსაც მტრულად უყურებდა, რაღაი სქესობრივ ცხოვრებას დანაშაულად თვლიდა, დედაკაცს კი მაცდუნებლად, ვინც დემიურგებს, ალბათ, შეცდომით გაეჩინათ და კაცობრიობაც ამ შეცდომის მარადიული მსხვერპლი გამხდარიყო... ხშირად იმოწმებდა ხოლმე თავის ქალთმოძულეობის გასამართლებლად ნაწყვეტს ესქილეს ტრაგედიიდან, მისი აზრით, სავსებით რომ გამოხატავდა პოეტის შეხედულებას ქალის შესახებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გახსოვთ, პომპონია, ის მწარე ამონაკვნესი, ესქილეს გმირს რომ დასცდება ხანგრძლივი ხეტიალისას, რის მიზეზიც ქალი იყო? აბა, მოიგონეთ! – მარკელუსიც თეატრალურად ასწევდა თითს და დეკლამატორობდა, ამ დროს კი ფრიად სასაცილო იერი ჰქონდა: „ო, ძევს, ეს რა უცნაური ტომი მოგვივლინე ქალთა სახით ჩვენდა დასაღუპად…“

პომპონიას არც ის ნაწყვეტი ახსოვდა და არც ესქილე წაეკითხა ქალწულობის შემდეგ, თუმცა მარკელუსისა მოეხათრა და მყისვე თავი დაუქნია, როგორ არა, გამახსენდაო… ეგ კია, მარკელუსისა დიდად არაფერი დაუჯერებია, რადგან ხმა დადიოდა, გარეგნულად ქალების მოძულე ბიბლიოთეკარი მნე ქალს ყვარობს დ არც სხვებს აკლებს თავის არცთუ წმინდად წიგნიერ ყურადღებასო… დაუჯერებლობა მით უფრო გაუმყარდა, როცა ამეტისტამაც შესჩივლა, მარკელუსმა საყვარლობა შემომთავაზაო…

– რას ამბობ, ამეტისტა, ის ხომ ღვთისმეტყველია, უამრავი წიგნი წაუკითხავს, – არ დაუჯერა პომპონიამ, მოახლემ კი თავისი ღმერთი დაიფიცა – მარკელუსი გარყვნილი და გათახსირებული ბებერია, თანაც მელოტიო… ამ უკანასკნელ ნაკლს ამეტისტასათვის კაცის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

– ღვთისმეტყველობისა კი რა მოგახსენო, ჩემო ქალბატონო, რადგან ეს კაცი არც ერთ ღმერთს არ ცნობს თავისივე თავის მეტს…

მარკელუსი ამეტისტას იმიტომაც შესძვავრებოდა, რომ იმას იესო ქრისტეს ღვთაებრიობა გაეტრიზავებინა – მესიის ხორციელება დაუჯერებელია, რაღაი ქრისტე დედათა წესით შებღალული ქალის წიაღიდან როდი მოევლინა წუთისოფელს, არამედ თხუთმეტი წლისა პირდაპირ ეონიდან დაეშვა მიწაზე და არც ჯვარცმულა, იმიტომ, რომ პლერომას მკვიდრის ტანჯვა შეუძლებელიაო… ამიტომაც მას ჯვარცმა გაუთამაშებია, თავისი მწამებლები გაუმასხრებია და მათივე თვალწინ ცად ამაღლებულა… მერე და მერე მარკელუსს უარესები ეთქვა საბრალო ქალისათვის: მესიას სისხლით როდი გამოუსყიდია კაცობრიობა, რამეთუ გამოსყიდვა აკი იმის ყიდვას ნიშნავს, რაც შენი არ არის, ასე კი კაცის ღვთაებრიობა ეჭვქვეშ დგებაო…

პომპონიამ ამეტისტას ურჩია, მარკელუსს მორიდებოდა და თავადაც ცდილობდა, ბიბლიოთეკარს ნაკლებად შეხვედროდა, ამიტომ მეტწილად დორიონთან ურთიერთობას რჩეობდა, მაგრამ თემში მოსვლის შემდეგ დორიონი თითქოს გამოცვალეს – გაპირქუშდა, გაკიდეგანდა და ბოლოს განაცხადა, აქ ვრჩებიო… პომპონია ჯერ ვერ მიუხვდა, მერე გაუკვირდა და ბერძენს ჰკითხა, ნუთუ ისე ცუდად გექცეოდით, რომ გაგვირბიო…

– ვერ დავიჩივლებ, რომ ავად მეპყრობოდით, – მიუგო აღმზრდელმა, – მაგრამ ეს მაინც ბატონისა და მონის დამოკიდებულებაა, აქ კი თავისუფალი ვარ…

– დაფიქრდი, დორიონ, რა უნდა აკეთო ამ მივარდნილ და ველურ ადგილას, უბირ ხალხში?… ჩვენთან კი მომავალი გაქვს, წინ წახვალ, ქონებას შეიძენ და, იქნებ, თავადაც მდიდარი მოქალაქე გახდე.

– აი, სწორედ მაგას გავურბი, ქალბატონო, – სიცილით უთხრა დორიონმა, – თქვენნაირ ხალხს ჰგონია, როგორც თავად ცხოვრობს, სხვამაც აუცილებლად ისე უნდა იცხოვროს, მე კი ქალაქად ყოფნა არ მხიბლავს, აქ მირჩევნია.

– ცოდო ხარ, ნუთუ შენი ნიჭი აქ უნდა დამარხო? თანაც ჩემს შვილებს ძალიან მოენატრები.

– ბავშვებისთვის სხვა აღმზრდელის ნახვა მოგიწევთ, – ცივად უთხრა ბერძენმა და გაეცალა.

მეტი ამ თემაზე აღარ ულაპარაკიათ, ისედაც ცხადი იყო, რომ დორიონი დარჩენას არ გადათქვამდა და პომპონიამაც მარტო ის ჰკითხა, ჩემს ქმარს ჩვენი აქ ყოფნა თუ შეატყობინეო…

– მაცნე ორჯერ გავუგზავნე და ჯერ არ გამოჩენილა, ალბათ, ქალაქში საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეებმა შეაყოვნა ჩვენი ხალხი, – მიუგო ბერძენმა და დაჰპირდა, თუკი ხვალ-ზეგ სენატორი არ გამოჩნდა, მარკელუსის დავალებით ქალაქში მიმავალ ხელოსნებს შინ გაგაყოლებთო... თემის კაცები არცთუ იშვიათად დადიოდნენ ქალაქში, რათა აქ მოწეული ჭირნახული ქალაქურ ნაწარმზე გადაეცვალათ, მაგრამ დორიონი მაინც ფრთხილობდა პომპონიასა და ამეტისტას გაშვებას, რადგან შარაგზებზეც კი მეკობრენი დაძრწოდნენ და ერთხელ გადარჩენილები, შესაძლოა, ისევ ავაზაკებს ჩავარდნოდნენ ტყვედ.

– რა გეჩქარებათ, ქალბატონო, ცოტა ხნით დარჩით, დაისვენეთ... აქაურებს კარგად გაიცნობთ და, იქნებ, აზრიც შეიცვალოთ ჩვენზე... ველურებად მაინც აღარ ჩაგვთვლით, – მწარე ღიმილით უთხრა მერე ბერძენმა.

პომპონიამ შეატყო, დორიონი ნაწყენი იყო, არჩევანი რომ არ მოუწონა და შეპასუხება სცადა, აქაური ხალხი ველურად როდი მიმაჩნია, მაგრამ შენ მაინც მებრალვი, უსახელოდ და უცნობოდ რომ უნდა დაასრულო სიცოცხლეო...

– სახელი რა ბედენაა, ქალბატონო, ბრიყვების ალტაცება სულაც არ მხიბლავს, მით უმეტეს, რომ არც არავინ მაქებს და მადიდებს, თქვენს ხალხს მარტო მონად და იაფ მუშაკად ვუნდივარ, აქ კი ძმასავით მეპყრობიან! გიჟი უნდა ვიყო, თავისუფლება ისევ ბორკილზე რომ გავცვალო.

პომპონიამ დორიონისაგანაც შეიტყო და თავადაც დაუკვირდა თუ როგორ სხვათაგან განსხვავებულად ცხოვრობდნენ თემში: უწინარესად, აქ არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები, ქონება ყველას თანაბრად ეკუთვნოდა, ყველა ერთნაირად მუყაითად შრომობდა და ნაშრომი საერთო ბეღელში მიჰქონდა; უფრო საოცარი კი ის იყო, რომ თემელები ზნეობრივი სისპეტაკით გამოირჩეოდნენ და ტყუილის თქმას სიკვდილი ერჩივნათ, ამიტომაც აქ ქურდი, უქნარა და მოძალადე ადამიანი ვერ გაიჭაჭანებდა; შესაბამისად, არც პოლიცია ჰყავდათ და არც სატუსაღო ჰქონდათ, იმ ერთი-ორ გზას აცდენილ დამნაშავეს კი, ვინც მაინც გამოერეოდა მათში, გამოსწორების შანსს აძლევდნენ და თუ არ მოინანიებდა, მერელა აძევებდნენ თემიდან...

შრომისა და დასვენების წესი აქ ლამის ყაზარმული იყო: დილით შრომისუნარიანი მოსახლეობა სამლოცველოში გროვდებოდა, სადაც ერთხმად ადიდებდნენ უსახელო ღმერთს და მერე ასევე საზეიმოდ ფიცულობდნენ, რომ არ იმრუშებდნენ, არ იცრუებდნენ, არ იქურდებდნენ და მოყვასს უთუოდ დაეხმარებოდნენ, რაც უნდა შემთხვეოდათ, თუნდაც სასიკვდილო საფრთხეც კი... ლოცვისა და დაფიცების შემდეგ თემელები თავიანთ სამუშაოს ეშურებოდნენ და დაღამებამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, საღამოს კი საერთო ტრაპეზს შემოუსხდებოდენ იმავე სამლოცველო სახლში და მდუმარედ ვახშმობდნენ; ყველა საქმე თემში საზოგადოდ ირჩეოდა – ხმათა სრული დამთხვევით... თუ გადაწყვეტილებას თუნდაც ერთი კაცი არ ეთანხმებოდა, თემელები მანამდე იმსჯელებდნენ, სანამ იმასაც არ დაიყოლიებდნენ, თუ არადა საკითხის განხილვა გადაიდებოდა...

აქაურები მეტისმეტად ასკეტურად ცხოვრობდნენ, მცირედით კმაყოფილდებოდნენ და ლუკმა პურისათვისაც კი ღმერთს ემადლიერებოდნენ; ერთმანეთს ძმურად ექცეოდნენ, დავრდომილებს პატრონობდნენ, უსუსურებს ეხმარებოდნენ და სიყვარულით ქორწინდებოდნენ... პომპონია გააკვირვა ამ ადამიანების ბედნიერმა სახეებმა, ამ ჩამოგლეჯილი, ნატანჯი და მაინც მუდამ მხიარული და მოცინარი ხალხის ალალმა ყოფამ, ამათმა სათნოებამ, უშურველობამ, მიმტევებლობამ და გაუტეხლობამ, რითიც თავს იცავდნენ წუთისოფელში, სხვათაგან განრიდებულნი და განცალკევებულნი... და პომპონიასაც ხშირად უფიქრია, იქნებ, დორიონი არც ცდება, აქ დარჩენა რომ გადაუწყვეტიაო... თავად თუ დარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა? დათმობდა კი უზრუნველ ყოფას, ფუფუნებას, წოდებრივ უპირატესობას? ვერ შეძლებო, ჩასჩურჩულებდა ვიღაც და პომპონიაც ეთანხმებოდა, ჯერ ადრეაო... მაგრამ როდის იყო დრო და ჟამი ან როდის იქნებოდა მზად საამისოდ, ეს კი არ იცოდა და მარტოკა სიზმრად თუ მოეახლებოდა ვიღაცის უსახური აჩრდილი, მას რომ ჟამის ნიშანი ეგონა, თუმცა ძალზე ნაცნობ ადამიანს კი ჰგავდა... პომპონია მზერას ძაბავდა, სიცარიელეში იყურებოდა და ლანდის ამოცნობას ლამობდა, მაგრამ მხოლოდ უამური განცდა ეუფლებოდა – იმის მსგავსი, როცა ადამიანი დაიმედებული ადგას გზას და მოულოდნელად უცხო ადგილას მოხვდება, ხიფათის მომლოდინე და შემცნობელი...

***

ლეგიონერები რომ მოედანზე შეყრილ ხალხს ალყად შემოადგნენ, პომპონიას ეძინა და გულგახეთქილმა ამეტისტამ გააღვიძა:

– ადექით, ქალბატონო, გავიქცეთ... უბედურებაა...

პომპონია ჯერ ვერ გაერკვა, რა მომხდარიყო და ამეტისტამაც სხაპასხუპით განუმარტა, ჯარი დაგვეცა და ყველანი შეიპყრესო.

– უკვე აქ არიან, გვეძებენ...

პომპონიამ ჩაიცვა და ლაჟანზე წამოჯდა. დერეფნიდან ბრაგაბრუგი და კარის ჯახუნის ექო ისმოდა. ჯარისკაცები ოთახებს ჩხრეკდნენ. ნაბიჯების ხმაური ახლოვდებოდა, მერე უცებ კარი მოფრიალდა და ოთახში ორი ლეგიონერი შემოვარდა. ერთი კარის ღიობში ჩადგა მცველად, მეორემ პომპონიას უბრძანა, წამომყევიო...

– სენატორ ავზონიუსის ცოლი ვარ, არ მომეკარო, – გააფრთხილა პომპონიამ, ჯარისკაცმა კი როყიოდ წამოიძახა:

– როგორ არა, დაგიჯერებ! – და ხელი წაავლო.

პომპონია უცებ დაუსხლტა, მკერდზე ჩამოკიდული მედალიონი მოძებნა აკანკალებული თითებით და ლეგიონერს დაანახა. ჯარისკაცი შეყოყმანდა, შეიკურთხა, ოთახიდან გავარდა და ასისთავი მოიყვანა. ასისთავმა პომპონიას მოუსმინა და სთხოვა, აქ დარჩენილიყო, სანამ უფროსს ამ ამბავს მოახსენებდა, მერე ერთი ლეგიონერი გუშაგად დაუყენა კართან და პომპონია და ამეტისტაც ამ ფხიზელი არგუსის მზერით გათანგულები უცდიდნენ თავიანთ ხვედრს. თუმცა ბევრი კი არ ულოდნიათ – ასისთავი ნახევარი საათის შემდეგ მობრუნდა და ქალები გარეთ გაიყოლა. შენობიდან გამოსვლისას პომპონიამ ხალხით სავსე მოედანი დაინახა. ლეგიონერებს სექტანტები ცალ კუთხეში მიერეკათ, მოედნის შუაგულში კი საკმაოდ მაღალი ფიცარნაგი იყო აღმართული. ზედ ფართო საკარცხული დაედგათ, რომელშიც ჯართუფროსი იჯდა, გვერდით ლეგიონის მწერალი ედგა. ფიცარნაგის შუაში, მაგიდაზე, იმპერატორის ბრინჯაოს ბიუსტი ჩანდა. მის წინ თეთრსამოსიანი ქურუმი მიდი-მოდიოდა და საცეცხლურს აქნევდა. ლეგიონერებს სათითაოდ აჰყავდათ სექტანტები ფიცარნაგზე. მათ ქურუმი ეგებებოდა. პომპონია მიხვდა, რომ თემის წევრებს იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდნენ, როგორც ეს წესად იყო იმ დროს, როცა განდგომილთ და ურჩთ ამ რიტუალით შანსი ეძლეოდათ, სიცოცხლე და ზოგჯერ ქონებაც კი გადაერჩინათ... ვინც ბიუსტს თაყვანს სცემდა, მის ვინაობას ლეგიონის მწერალი ცვილის დაფაზე ინიშნავდა და შენდობილიც ფიცარნაგის მეორე მხრიდან ჩამოდიოდა, სადაც ასევე გადარჩენილთა მცირერიცხოვან ჯგუფს უერთდებოდა. ისინი კი ცოტანი იყვნენ – სულ რამდენიმე კაცი.

– წამობრძანდით, ქალბატონო, ჯართუფროსს თქვენთან საუბარი უნდა! – უთხრა ასისთავმა პომპონიას და მოედანი გაატარა, ფიცარნაგთან მიიყვანა. პომპონიამ მანდილი ჩამოიბურა სახეზე და ხის კიბეზე ფეხი შედგა. ქურუმი მიეახლა, ბიუსტის წინ დააყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თაყვანს სცემ თუ არა კეისარს და აღიარებ თუ არა ღმერთად? – ჰკითხა მერე ჩახლეჩილი ხმით და ხელით ანიშნა დაიჩოქეო... პომპონიამ კი რატომღაც უკან მიიხედა – მდუმარედ მდგარი თემელებისაკენ და დორიონის მზერას წააწყდა... მყისვე მისი ნათქვამიც მოაგონდა, ამაოდ ნუ იფიცავ, რომ არ გაგვცემო და წატორტმანდა, მანდილი ჩამოუცურდა სახიდან...

– ბიძაშვილო, აქ რა გინდა? – მოესმა უცებ და საკარცხულში ნებივრად გადაწოლილი პორკუსი შენიშნა. პორკუსი მოსუქებულიყო, ჭორფლი გადაჰყროდა და სახეზე მოწყალე და ძალაუფლების შემცნობი კაცის იერი ეფინა. მან თითით ანიშნა მწერალს და რაღაც უთხრა. მწერალი ქურუმთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა ჯართუფროსის დანაბარები, მერე პომპონიასკენაც დაიხარა:

– მუხლი მოიყარეთ, ქალბატონო, და მე გამომყევით...

როცა ფიცარნაგიდან ჩამოდიოდა, პომპონიას დორიონისაკენ აღარ გაუხედავს – ძალა არ ეყო, კიდევ ერთხელ გაეძლო ბერძნის მზერისათვის, და თავდაღუნულმა, დამნაშავესავით მიწას ჩაჩერებულმა ჩაათავა კიბის საფეხურები...

***

პორკუსი მხოლოდ მოგვიანებით მოვიდა კარავში, მას შემდეგ, რაც თემის ყველა წევრი კეისრის ქანდაკის წინ გაატარა და ურჩებს ჩვეული სასჯელი გადაუწყვიტა – სამარცხვინო ბოძზე გაკვრა... მისი ბრძანებით ლეგიონერებმა ყველა შენობა დაანგრიეს და მიწას მარილი მოაყარეს, რათა ამ ადგილას აღარაფერს გაეხარა. თემის ქონება ჯარისკაცებმა ფორნებზე დატვირთეს და აღალი ქალაქში გაგზავნეს ტყვეებთან ერთად, ვისი ბედიც ამიერიდან პროკონსულის ნებაზე იყო დამოკიდებული... პომპონია კი ბიძაშვილის დაცვის თანხლებით უნდა წასულიყო სახლში... ასე უთხრა პორკუსმა, თან გაეხუმრა, შენი ქმრისაგან სამახარობლო მეკუთვნის, რაკი ტყვეობისაგან გიხსენიო...

– არა, პორკუს, მე აქ ტყვე არ ვყოფილვარ! – შეედავა პომპონია, – პირიქით, ამ ხალხმა შემიფარა და მიპატრონა, რაც ვესტას ტაძრიდან გამოქცევა მოვახერხე...

– ეგ სულერთია, – ბრაზით წამოიძახა პროკონსულის თანაშემწემ, – ეს ხალხი ისედაც კანონგარეშე იყო გამოცხადებული და უნდა დასჯილიყო... ვერავის შევიწყალებდი, პომპონია, კანონი ამის საშუალებას არ მაძლევს...

– ორი კაცის სიცოცხლე მაინც მაჩუქე, პორკუს, თუ, რა თქმა უნდა, უკვე გვიან არ არის...

პორკუსმა თავი გადააქნია და უხმოდ გავიდა კარვიდან... სალაშქრო საწოლზე მჯდარ პომპონიას მოესმა მისი მბრძანებლური შეძახილი, როცა ხელქვეითებს უხმობდა და რატომღაც გაიფიქრა არც დორიონი და არც მარკელუსი ცოცხლები აღარ არიანო......

გუმანმა არ მოატყუა – მარილმოყრილი გზით დასახლებას რომ ოდნავ გამოსცდნენ, პომპონიამ ფორანი ჯვარზე გაკრულ კაცთან გააჩერებინა და დიდხანს მწუხარედ მისჩერებოდა დასისხლიანებულ სხეულს, იმ იმედით, იქნებ, დორიონმა კიდევ ერთხელ შემომხედოსო, მაგრამ ბერძენს უკვე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა და პომპონიასაც ქვითინი წასკდა, ცრემლმა თვალი დაუბინდა. უცებ რაღაცამ გაიბრწყინა ბალახში. პომპონია ფორნიდან გადმოვიდა და ცვილის ბურთულა აიღო, რომელიც დორიონს გავარდნოდა აწ უკვე მილურსმული ხელისგულიდან...

***

რამდენიმე წლის შემდეგ სენატორმა ავზონიუსმა სახელმწიფო არქივარიუსის თანაშემწის ადგილი მიიღო პალატინზე და ოჯახიც იქ გადასახლდა საცხოვრებლად. შვილები სენატორმა საუკეთესო სასწავლებელში მიაბარა და პომპონიაც მარტო დარჩა. დედაქალაქის ცხოვრებას ჯერაც ვერ შესჩვეოდა, აქაურობა ეუც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოვებოდა, და ვერც ნაცნობები გაეჩინა, თუმცა კი ქმარს მუდამ დაჰყავდა წვეულებებსა თუ ოფიციალურ ღონისძიებებზე; ამიტომაც უფრო შინ ჯდომას არჩევდა, რაღაცაზე ჩაფიქრებული... პორკუსისაგან, ვინც აგრეთვე დედაქალაქში გადმოსულიყო ახალ თანამდებობაზე, მან ავილას მისამართი გაიგო და რამდენჯერმე მოწვევა გაუგზავნა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, ერთ დღეს კი თავად ავილამ მოსწერა მიპატიჟების ბარათი – მესტუმრეო...

მსახურმა, ვინც ავილას მეგზურად გამოეგზავნა, პომპონია მდიდრულ ვილასთან მიიყვანა და ატრიუმის გავლით ბაღში შეუძღვა. ავილა ბროწეულის ქვეშ მაგიდას უჯდა, წინ ღვინის თასი ედგა.

– მივემგზავრები, – მჭმუნვარედ უთხრა მან პომპონიას მისალმების ნაცვლად, თითქოს გუშინ დაშორებოდნენ ერთმანეთს, – წასვლამდე მინდოდა მენახეთ...

პომპონიამ ჰკითხა, სად მიდიხარო... ნუთუ დიდი ხნით...

– საიდანაც აღარასოდეს ბრუნდებიან, – ავილამ თასი მოიყუდა და მერე ისევ მაგიდაზე დადგა, – სადაც არც ხრწნაა და არც ადამიანები არიან...

სახე უცებ გაუფითრდა, მკერდზე ხელი იტაცა და ხის ტანს მიეყრდო.

– მშვიდობით, პომპონია, ალბათ, ოდესმე შევხვდებით, – მომაკვდავმა სახეზე ტოგის კალთა წამოიფარა, პომპონიამ კი დაინახა, როგორ მოსწყდა ბროწეულის ხეს ყვავილი და შხამიან თასში ჩავარდა...

***

კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ სენატორი გარდაიცვალა და პომპონია ისევ პროვინციაში დაბრუნდა, ქმრის ძველ სახლში. ბიჭები უკვე დიდები იყვნენ, სახელმწიფო სამსახურში იდგნენ და პომპონია კვლავ მარტო დარჩა. ეულობის გრძნობა რომ როგორმე დაეძლია, თეთრ კვიცს ზრდიდა, ვილაც ნაცნობმა რომ აჩუქა და პომპონია კი საოცრად შესჩვეოდა, გვერ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდან არ იშორებდა, თავისი ხელით რძეს ასმევდა, ბანდა, უვლიდა... როცა კვიცი წამოიზარდა, პომპონიამ ცალკე ქართა აუშენა და მოურავს მისი გახედნაც აუკრძალა – თავისუფლად იაროსო...

შემოდგომის ერთ ავდრიან ღამეს ქართას მეხი დაეცა და დაიწვა. თმაგაწეწილი და გაგიჟებული პომპონია აქეთ-იქით დარბოდა და მსახურებს ეხვეწებოდა, კვიცი გადამირჩინეთო, მაგრამ აალებულ ქართაში შესვლა ვერავინ გაბედა... პირუტყვის სადგომი თითქმის მთლიანად იყო დამწვარი და დაფერფლილი და შიგნიდან მარტო ხმამაღალი ჭიხვინი ისმოდა... მერე ეზოში შეყრილმა ხალხმა ყალყზე შემდგარი თეთრი ცხენი იხილა: ფაფარზე ცეცხლი ეკიდა და ისე ჩანდა, თითქოს ნიმბი შემოვლებოდა გასისხლიანებულ კისერზე; თითქოს ვიღაც უჩინარი ქამანდით იჭერდა და აკავებდა პირუტყვს და პომპონიაც მიხვდა, რომ ეს სიზმრის გამეორება იყო მხოლოდ, ვესტას ტაძარში რომ ეზმანა... ის სამი კაციც დაინახა თითქოს, ცხენს რომ აკავებდა, მაგრამ მეოთხე კი უჩინარი იყო ისევ, თუმცა, კარგად თუ მოინდომებდი, იქნებ, მისი ფარული სერნაწრიც ამოგეცნო როგორმე...

## ეპილოგი

ვესტას დამწვარ ტაძართან, ნაკადულის პირას, სადაც ფავნის ქანდაკი იდგა, იმპერიის შორეული მხრიდან მოსული მგზავრები ისვენებდნენ. სპარს ვაჭრებს ჰგავდნენ, ჭრელი ხიფთნები ეცვათ და წოწოლა ქუდები ეხურათ. კოცონი ენთოთ, სადილს იმზადებდნენ და გულის გასაქარვებლად დინჯად საუბრობდნენ. ნელი სიო ფოთლებს აშრიალებდა, ცეცხლის ენებს ათამაშებდა, მერე მგზავრებმა ტყიდან შორეული მოთქმა გაიგონეს...

– აფთარია, – თქვა ახალგაზრდა ვაჭარმა და კოცონს ფიჩხი შეუკეთა, – ალბათ, ხორცის სუნი იყნოსა და გვიდარაჯებს, როდის წავალთ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– ადამიანის ხმას ჰგავს, – გამოეპასუხა შუახნის მგზავრი, – ამბობენ, ამ ტაძარში ხალხი დაიწვა და მათი სულები დაეხეტებიან ახლომახლო და ისინი მოთქვამენო... აბა, ყური დაუგდეთ, თუ დაუმარხავის სულის ჩივილი არ იყოს?!.

ყველანი გაჩუმდნენ და სიოს მიაყურადეს, მაგრამ ფოთლის შრიალით ძნელი საცნობი იყო, მართლა სული მოთქვამდა თუ მარტო ტყე ხმიანობდა ნელა, ოდნავ გასაგონად...

– ოსტატო, ნუთუ აქაურები მხეცს ეთაყვანებიან? — წამოიძახა უცებ ახალგაზრდა ვაჭარმა და ქარავანბაში ფავნის ქანდაკისკენ მიახედა, – თანაც კაცის თავი ადგას... რა უცნაურია!...

– მხეცს ყველგან თაყვანს სცემენ, მაგრამ ადამიანმა ეს ხშირად არ იცის, – თქვა ქარავანბაშმა და შარბათი მოსვა კალის ფიალიდან.

ახალგაზრდა ვაჭარი კი წამოდგა და ქანდაკს მიუახლოვდა. ფავნს თავი დაეხარა, თავისივე ანარეკლს ჩასცქეროდა წყალში. ნელა, ოდნავ შესამჩნევად ილიმოდა... მეტად საზარი კი იყო ეს ღიმილი, კაც-მხეცს ბალნით დაფარულ ტუჩ-პირში რომ მიემალა...

ისადილეს თუ არა, მგზავრები ამხედრდნენ და ნანგრევები უკან მოიტოვეს. ქარავანბაში და ახალგაზრდა ვაჭარი გვერდიგვერდ მიაცორვებდნენ ცხენებს. ყმაწვილს, ჩანს, რაღაცის კითხვა უნდოდა მხცოვანი ოსტატისათვის, მაგრამ ქარავანბაში ფიქრს წაეღო და ყმაწვილმაც ჰუნეს ქუსლი ჰკრა, დაწინაურდა ცხენის ალღოს მინდობილი. მგზავრებიც ერთხანს ყმაწვილს მიჰყვნენ დაწალიკებით, სანამ ნაკაფში არ გავიდნენ, სადაც მოტიტვლებულ მინდორს მზე დაჰნათოდა და ჩიტებიც გულისწამღებად სტვენდნენ. აქ კი შეჩერდა ქარავანი, რაკიღა მწვანით შემოქობილ მინდორზე ნიშანი არ ჩანდა, გეზს რომ აპოვნინებდათ. გამოცდილი ქარავანბაშიც კი ამაოდ დაწრიალებდა აქეთ-იქით, მცირედ ნაკვალევს დაეძებდა, მაგრამ ახალგაზრდა ვაჭარმა აღარ აცალა და ცხენს ისევ ქუსლი ჰკრა, ტყეში შეაჭენა... მგზავრები ერთხანს ყოყმანობდნენ, მერე თითქოს უხმოდ მოითათბირესო, დაეწყვნენ და ახალ მეგზურს ერთგულად მიჰყვნენ უკან.

ცოტა ხანს მზით განათებულ მინდორზე მიდიოდნენ, მერე კი კვლავ ტყემ შთანთქა ისინი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამირან დოლიძე



## უკანასკნელი საუბარი რეზო ჩხეიძესთან

(ერთი საღამო ლარსის ქუჩაზე)

მას მერე, რაც ბატონმა რეზო ჩხეიძემ დაასრულა მუშაობა თავის უკანასკნელ ფილმზე – „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, რომლის სცენარის ერთ-ერთი თანაავტორიც მე, თქვენი მონამორჩილი, ამირან დოლიძე გახლდით, მისი ფიქრი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაინც მომავალი ფილმის თემას დასტრიალებდა.

ლარსის ქუჩაზე, კინორეჟისორის სამუშაო ოთახში, მაცხოვრის ხატის წინ სანთელი ანთია. ამ მყუდრო კაბინეტში შესვლისას ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ეს-ესაა მუზეუმის კარი შეაღეთ. კედლებს ფოტოები, ნახატები, ფილმების კადრები ამშვენებს; ასევე მრავლადაა საერთაშორისო კინოფესტივალებზე მიღებული პრიზები, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი კანის ფესტივალზე „მაგდანას ლურჯასათვის“ მიღებულ პირველ პრიზსა და მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე „ჯარისკაცის მამისათვის“ მიღებულ პრიზს უკავია.

მაგიდაზე დიდი ფორმატის წიგნია გადაშლილი. მასპინძელი ამ წიგნში მალ-მალე იხედება და რაღაცას ინიშნავს.

მეზობელი ოთახიდან ბავშვების ჟრიამულის ხმა შემოდის, რომელიც ხან ძლიერდება, ხან მისუსტდება.

საუბრის თემად თავისთავად გამოიკვეთა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ქვეყნის სამომავლო ბედი, დაძაბუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

***ლი სოციალური და პოლიტიკური ფონი, გართულებული საშინაო თუ საგარეო ურთიერთობები. ამ პრობლემატურ საკითხთა განხილვისას ბუნებრივად დაისვა კითხვა – ამ ურთულეს პერიოდში რა როლი უნდა შეასრულოს ხელოვნებამ, კერძოდ კი კინოხელოვნებამ ან, საერთოდ, ძალუძს თუ არა მას ამ დაძაბულ მდგომარეობაში რაიმე ფორმით ჩარევა და სიტუაციის განმუხტვა.***

– ხელოვნებას დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. მან შესაძლოა დაბადოს როგორც იმედი, ასევე უიმედობა და დაამკვიდროს პესიმიზმი. ანტიკურ საბერძნეთში რაღაც მიზეზის გამო შიმშილობა დაიწყო. ბერძნული თეატრის მაშინდელმა რეჟისორებმა დადგეს პიესა (მგონი, ეს ევრიპიდეს პიესა გახლდათ), რომლის მთავარი თემაც სწორედ შიმშილი და უკიდურესი გაჭირვება იყო, მაგრამ ბერძენმა მაყურებელმა არ მიიღო სპექტაკლი, წარმოდგენა ჩაშალა და იმასაც ამბობენ, რომ მსახიობები ჯოხის ცემით გამორეკა.

მე მიმაჩნია, რომ ახლა, როდესაც საქართველოში ასეთი დაძაბული სიტუაციაა, ამ სოციალურად უარყოფით ბინდბუნდში, ერთმანეთზე დახვავებული, გადაუჭრელი პრობლემების პირობებში, როდესაც პრესა და ტელევიზია პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას ასე ამძაფრებს დაპირისპირებას, სწორედ ახლა, როგორც არასდროს, ჩვენს ხალხს მომავლის იმედი უნდა შთავბეროთ; შევახსენოთ ის სულიერი სიმაღლეები, რისი მატარებელიც ქართველი კაცია და რომელიც ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებშია წარმოდგენილი. ვინ იცის, სწორედ ახლაა ის დრო, როდესაც ქართველ ხალხს უნდა ვუმღეროთ დიადი სიმღერა.

***ბატონ რეზოს სიტყვა მეზობელი ოთახიდან შემოსულმა ცეკვა-თამაშის ხმამ შეაწყვეტინა. ეს ხმები თანდათან ძლიერდებოდა და ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო. მასპინძელმა მიაყურადა, გაოცებულმა გადმომხედა და მითხრა: წამოდი, ერთი ვნახოთ, იქ რა ხდებაო.***

***მეზობელ ოთახში შესულები ასეთი სურათის მომსწრენი გავხდით: რეზო ჩხეიძის შვილიშვილები მეზობელ ბავშვებთან ერთად წრეში ჩაბმულიყვნენ და მთელი მონდომებით ცეკვავდნენ „ქართულს“. ერთ მათგანს სკამი მოემარჯვებინა და ზედ საცეკვაოს უკრავდა. ბავშვებმა დაგვინახეს თუ არა, ცეკვა-თამაში შეწყვიტეს და მხცოვან კინორეჟისორს გარს შემოეხვივნენ, ცოტა ხანში კი ისევ გაგრძელდა მათი ჟრიამული.***

***ამ სასიამოვნო განცდის შემდეგ ჩვენ კვლავ სამუშაო ოთახში დავბრუნდით და ბატონმა რეზომ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.***

– ყველას გვსმენია ასეთი თქმულება: როდესაც უფალი მიწებს უნაწილებდა ხალხს, ქართველების დიდი წინაპარებიც მისულან კუთვნილი მიწის მისაღებად. უფალს შეუხედავს მათთვის და ვინაიდან მას მომავლის განჭვრეტა ძალუძს, დაუნახავს ის დიდი ქართველები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში გამობრწყინდებოდნენ საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. მას უხილავს: ფარნავაზი, დემეტრე მეორე, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, გიორგი მერჩულე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა რუსთაველი, პეტრე იბერი, ცამეტი ასურელი მამა, ილია, აკაკი, ექვთიმე თაყაიშვილი, გალაკტიონი, სვეტიცხოველი, ვარძია და ამ დიდებული ქართველების მხილველ უფალს, თურმე, გადაუწყვეტია, საცხოვრისად საუკეთესო მიწა მიეკუთვნებინა ქართველებისათვის. მე მიმაჩნია, რომ ამ დიდების გზაზე „ვეფხისტყაოსანი“ არის ზუსტად ის ნაწარმოები, სადაც სრულყოფილად გამოვლინდა ქართველთა სულიერება. განსაკუთრებით ახლა, როცა კრიზისი და დაძაბულობა ზღვარზეა, ქართველ ხალხს უნდა მოვაგონოთ ისეთი უდიდესი სულიერი ღირებულების ნაწარმოები, როგორიცაა „ხელიხელ საგოგმანები“, შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოები, ჩვენი სიბრძნისა და სილამაზის წყარო, სადაც მეგობრობის, გმირობის, ურთიერთგატანის, თავმდაბლობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის, ერთგულების, ზნეობრიობის მაღალი იდეალებია გატარებული და რითიც საუკუნეებია საზრდოობს ქართველი ერი. „ვეფხისტყაოსანი" ხომ, ქრისტეს ათ მცნებასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ პოემაში სიკეთე სახელმწიფოს არსებობისა და ქრისტიანული ეთიკის უმთავრეს მორალურ პრინციპს წარმოადგენს.

***– ბატონო რეზო, როგორ ფიქრობთ, რა გზით უნდა მოხდეს ქართველი ხალხისთვის ამ ღირებულებების შეხსენება?***

– გეტყვი, მაგრამ ჯერ მინდა, კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი გავიხსენო. ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ესტუმრა ცნობილი იტალიელი მწერალი და კინოდრამატურგი ტონინო გუერა (რომლის კინოსცენარების მიხედვით ფედერიკო ფელინიმ თავისი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ფილმები გადაიღო). მან სასტუმროზე უარი განაცხადა და სოფიკო ჭიაურელთან დაბინავდა. იქ, სადაც ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი იყრიდა თავს. შეკრებილი საზოგადოება იუმორით, მახვილგონიერებითა და სიმღერით ცდილობდა, რომ სტუმრისთვის მხიარული და ლაღი განწყობა შეექმნა, მაგრამ გუერამ, რომელიც ადრეც იყო ნამყოფი საქართველოში, თქვა: მე ვეღარ ვცნობ ქართველებს, მათი თვალები ახლა ნაღვლითა და სევდით არის სავსე, ის კი არა, თითქოს ბუნებაც კი დასევდიანებულია; ძალიან ძნელი საყურებელია ასეთი თბილისი და საქართველოო. იმის გამო, რომ იტალიელმა სტუმარმა ვეღარ შეძლო დასევდიანებული ქართველების ყურება, დროზე ადრე დატოვა თბილისი.

ახლა რაც შეეხება იმას, თუ რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ქართველ ხალხს უნდა შევახსენოთ „ვეფხისტყაოსანში" გატარებული სულიერი ღირებულებები:

მე მგონი, ახლა ნამდვილად დადგა დრო, რომ ქართულმა კინომ იტვირთოს და გადაიღოს ეს გენიალური ნაწარმოები. დიახ, ქართველ ერს ეს ახლა ისე სჭირდება, როგორც ჰაერი.

***ამ დროს ბავშვების ჟრიამულისა და ცეკვა-თამაშის ხმა გაძლიერდა, რამაც ჩვენი საუბარი ამ საინტერესო ადგილას შეწყვიტა, რადგან ბატონმა რეზომ ამჯერადაც ვერ მოითმინა და ჩვენ კვლავ მეზობელ ოთახში აღმოვჩნდით, სადაც დიდი ამბები ხდებოდა – ბავშვებს თავზე ჩაფხუტისმაგვარი თასები ეხურათ, ხელში ფარებისა და ხმლების ნაცვლად ქვაბების თავსახურები და ჯოხები დაეკავებინათ და მოხეურსა და ფარიკაობას მოხდენილად ცეკვავდნენ.***

– წელან თქვენ, ბატონო რეზო, ბრძანეთ, დადგა დრო შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების ეკრანიზაციისაო, რასაც მე მთელი ჩემი შეგნებით ვეთანხმები და რაზეც მრავალჯერ დავფიქრებულვარ, – ვუთხარი ბატონ რეზოს, როცა კვლავ მის მყუდრო კაბინეტში დავბრუნდით, – მაგრამ, ალბათ, უდიდესი სირთულეები უნდა დახვდეს წინ მას, ვინც „ვეფხისტყაოსნის" ფილმად გადაღებას მოჰკიდებს ხელს.

– უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ურთულესი გადასაწყვეტი იქნება საჭირო ფინანსების მოპოვება. პოემას ჩვეულებრივი სტანდარტული მიდგომით ვერ გადაიღებ, ის უნდა იყოს იმ ეპოქის ამსახველი, რომელიც ამ ნაწარმოებში განვითარებულ სიუჟეტებშია ასახული. ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანში" ძალიან ფართო სპექტრია წარმოდგენილი, სადაც მოქმედება ავტორის ფანტაზიის მიხედვით შექმნილ რამდენიმე სამეფო კარზე (არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი...) ვითარდება. ამიტომაც დავაყენე ნომერ პირველ ამოცანად ფინანსური სახსრების მოპოვება.

***– და თუ გამოინახა ასეთი სახსრები, მაშინ?..***

– თუკი შესაძლებელი იქნება სახსრების გამონახვა, მაშინ, ვფიქრობ, ასეთი გრანდიოზული პროექტის დაძლევა ძნელი იქნება, მაგრამ არა გადაუჭრელი. ამის თქმის უფლებას მაძლევს ქართული კინოს მიერ განვლილი გრძელი და ნაყოფიერი გზა და ვინც არ იცის, მისთვის დაბეჯითებით გავიმეორებ, რომ ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინოს დიდი წარმატება ჰქონდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არამედ ყველგან, მთელ მსოფლიოში და მას ქართულ კინოფენომენად და სკოლად მოიხსენიებდნენ. ადგილობრივი და მსოფლიო ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციის დიდი გამოცდილება გვაქვს. სწორედ ასეთი წინაპირობა მაძლევს იმის საფუძველს, რომ იმედი ვიქონიო, ქართულ კინოს არა მარტო ძალუძს, არამედ, მე ვიტყოდი, ასეთი პროექტის განხორციელება მისი ვალიცაა.

***– ვთქვათ და ასეთი თამამი და მოულოდნელი პროექტის განხორციელება დაიწყო, ძნელი ხომ არ იქნება მთავარი როლის შემსრულებელთა მოძიება და შერჩევა?***

– რასაკვირველია, ძნელი იქნება, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობთა შერჩევა არ უნდა იყოს გადაუჭრელი პრობლემა. ქართველებს დიდი სამსახიობო ტრადიციები გვაქვს – გამორჩეული პლასტიკურობით, არტისტიზმით, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ეს პრობლემა წარმატებით დავძლიოთ. ასევე გასათვალისწინებელია ამ პოემის კინემატოგრაფიული მხარე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რუსთაველის სტილს, ლექსიკას, რიტმულობას. რეჟისორს, რომელიც გაბედავს და ხელს მოჰკიდებს „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციას, პირველ რიგში, უნდა ახსოვდეს, რომ მან უნდა იპოვოს პოემის ლექსად შექმნილი სახეების შესატყვისი კონემატოგრაფიული ფორმა. ეს უკანასკნელი ამოცანაც ძნელად მისაღწევია. მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას ხომ სტილი განსაზღვრავს.

***– ხომ ვერ დაასახელებთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, სადაც ეს ამოცანა, ასე თუ ისე, წარმატებით არის დაძლეული?***

– კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებებიდან კონგენიალური კინონაწარმოების შექმნა მე ჰიმალაის სიმაღლეების აღებად მესახება. ეს მეტად რთული და სახიფათო საქმეა, თუმც იყო წარმატებული ცდებიც, მაგალითად: გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, ემილ ზოლას რიგი ნაწარმოებები, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, სტენდალის, ალქსანდრე დიუმას რომანები, სერვანტესის „დონ კიხოტი“ და ა.შ. მაგრამ ყველა ეს შედევრი, „ვეფხისტყაოსნისგან“ განსხვავებით, პროზაული ნაწარმოებების ეკრანიზაციაა, რუსთაველის პოემა კი მსოფლიო დრამატული პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, ეპიკური ნაწარმოებია, სადაც მოქმედება პირობით დროსა და პირობით გარემოში ვითარდება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციისას ყველაზე რთული მაინც აფორიზმების ხატოვანი ფორმით გადმოცემული სიბრძნის შენარჩუნება იქნება. იმ რეჟისორის წინაშე, რომელიც გადაწყვეტს, ამ შედევრს ფილმის სახე მისცეს, აუცილებლად დადგება საკითხი – როგორი კინემატოგრაფიული ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ აფორიზმებმა არ დაკარგოს ის მხატვრული ზემოქმედების ძალა, რაც ლიტერატურულ პირველწყაროში აქვს და რაც დამახასიათებელია იმ საუკუნისათვის, რომელიც საქართველოსთვის „ოქროს ხანად“ არის მიჩნეული. უმაღლეს მწვერვალს მიღწეულმა ჩვენი ქვეყნის ცივილიზაციამ და სახელმწიფო წყობილების ფორმებმა თავისი საუკეთესო გამოხატულება „ვეფხისტყაოსანში“ პოვა. სწორედ ამ პოემის მხატვრულ ფორმაში ნახა გამოვლინება იმ მრავალსაუკუნოვანმა კულტურულმა და სახელმწიფოებრივმა განვითარებამ, რომელმაც ქართული შუასაუკუნეობრივი ცივილიზაციია შექმნა. როგორ და რა გზით უნდა მოხდეს „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნის გადმოცემა? მოვიყვან მაგალითებს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი“ ან, ყველასთვის ეგზომ ნაცნობი, „რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია“, ან „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“... თუკი ეს სტრიქონები კადრგარეთ სადიქტორო ტექსტით გახმოვანდება ანდა ფილმის პერსონაჟი წარმოთქვამს მას, შესაძლოა, ერთი დილემის წინაშე დავდგეთ – ვაითუ, ეს იდენტური არ აღმოჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდეს იმ პოეტური და ღრმად ფილოსოფიური აზრისა, რომელიც ამ ნაწარმოების აფორიზმებში იგულისხმება. დამეთანხმებით, ეს ურთულესი საქმეა.

***– მაინც, როგორ გგონიათ, სად არის საძიებელი ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის გზები?***

– ეს სირთულეები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს, თუკი მოიძებნა ისეთი მუსიკალურ-მხატვრული თუ პლასტიკური, განზოგადებული, აბსტრაქტული კინემატოგრაფიული ფორმა, გამოსახვის სიღრმე და, რაც მთავარია, მოხერხდა რუსთაველის აფორიზმებით გადმოცემული სიბრძნის თანაფარდი განწყობილების შექმნა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მისი შესატყვისი ფონი, პეიზაჟი, ინტერიერი, ფერი, რაც შექმნის შესაფერის დროის განცდას. უნდა .მოხდეს სინთეზი ორი ეპოქისა. ის დრო, როდესაც ეს სიბრძნე ითქვა, კინემატოგრაფიულ ფორმაში იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თანამედროვეობისთვისაც მისაღები გახდეს. ის არამც და არამც მხოლოდ არქაული ფორმით გადმოცემული არ უნდა იყოს. თუკი რეჟისორი იპოვის ასეთ „შენადნობს", მან, შესაძლოა, წარმატებით გაართვას თავი ამ პრობლემას.

კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის დროს კიდევ ერთი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. საქმე ისაა, რომ ყოველ მკითხველს თავისებური წარმოდგენა ექმნება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე, მის შინაარსზე, საკუთარი ფანტაზიით წარმოიდგენს პერსონაჟებსაც, რაც ხშირად არ ემთხვევა რეჟისორის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს. ეს პრობლემა კიდევ უფრო იმით არის საგულისხმო, რომ „ვეფხისტყაოსანი" მეტად პოპულარულია ქართველ ხალხში. მას მზითვად ატანდნენ პატარძლებს, ბევრმა ზეპირად იცოდა და დღესაც თავიდან ბოლომდე იცის ეს ვრცელი პოეტური ქმნილება. ქართველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის ზეპირად თხრობაში. მე პირადად ვიცნობდი ერთ ასეთ პიროვნებას, ხაშურის კინოთეატრის გამგეს, ქალს, რომლის სახელი და გვარი ახლა არ მახსენდება. ქართველთა უმეტესობა ხომ კამათისა თუ ჩვეულებრივი საუბრის დროს ყოველთვის „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებს იშველიებს ხოლმე. ჩვენი ხალხი „ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაციისას განსაკუთრებული მსაჯული იქნება.

***– აქამდეც ხომ არ ყოფილა „ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაციის ცდა ან ცდები?***

– რასაკვირველია, იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა, კოტე მიქაბერიძემ გადაიღო „ვეფხისტყაოსნის" მხოლოდ ფინალური ნაწილი – ქაჯეთის ციხის აღება. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო გარკვეული ძალების მოსინჯვა, ექსპერიმენტი. ჩვენ ვალდებული ვართ, აღვნიშნოთ კოტე მიქაბერიძის სათანადო დამსახურება ქართული კინოს წინაშე, მაგრამ ამ პირველმა ცდამ „ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაციისა შედეგი ვერ გამოიღო.

კიდევ უნდა გავიხსენო ასეთი შემთხვევა: როდესაც მე და თენგიზ აბულაძე მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობდით, საწარმოო პრაქტიკას გავდიოდით სახელგანთქმულ ქართველ რეჟისორთან, მიხეილ ჭიაურელთან, რომელიც იმჟამად იღებდა ფილმს „დაუვიწყარი 18 წელი". გადაღება რაღაც მიზეზის გამო ორი კვირით გადაიდო. როგორც მიხეილ ჭიაურელმა განაცხადა, მას სტალინმა დაავალა „ვეფხისტყაოსნის" ფილმად გადაღება. დავალების აღსასრულებლად რეჟისორი თბილისში გამოემგზავრა. მას მე და თენგიზ აბულაძეც ვახლდით.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ბატონმა მიშამ შეკრიბა ჩვენი ცნობილი მეცნიერები, რუსთველოლოგები, ისტორიკოსები, მხატვრები, რომელთა შორის იყვნენ: კ. კეკელიძე, ა.ბარამიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე... და აჩვენა ამერიკული სათავგადასავლო ჟანრის მხატვრული ფილმი „მარკო პოლოს მოგზაურობა ჩინეთში", ოღონდ შეკრებილი საზოგადოება წინასწარ არ გაუფრთხილებია, თუ რა განზრახვით აჩვენებდა მათ ამ კინოფილმს. სეანსის დამთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ კი განაცხადა, რომ, ბელადის დავალებით, აპირებს შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოების ეკრანიზაციას. მახსოვს, თქვა: იმიტომ გაჩვენეთ ეს ფილმი, რომ დრამატურგია აგებული უნდა იყოს ავთანდილის მოგზაურობის ხაზით და სწორედ ამ მოგზაურობის დროს უნდა განვითარდეს მოვლენებიო.

მიხეილ ჭიაურელის განცხადების შემდეგ მე ვერ შევატყვე, რომ ქართველი მეცნიერები იზიარებდნენ კინორეჟისორის ამგვარ ჩანაფიქრს. პარალელის გავლებას მარკო პოლოსა და ავთანდილის მოგზაურობებს შორის არც მე და თენგიზ აბულაძე აღუფრთოვანებივართ. მალე სტალინიც გარდაიცვალა და, ბუნებრივია, ეს ჩანაფიქრი აღარ განხორციელებულა.

***– ამ ამბავთან დაკავშირებით თქვენ მიმართ ხომ არ ყოფილა რაიმე ცდები ან შემოთავაზებები მას მერე, რაც ცნობილი კინორეჟისორი გახდით, ან კინოსტუდიის დირექტორად ყოფნის პერიოდში?***

– რასაკვირველია, იყო ასეთი შემთხვევები. ცნობილი ქართველი დრამატურგის, გიორგი მდივანის სცენარის მიხედვით „მოსფილმში" მეორე მსოფლიო ომის თემაზე იღებდნენ საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივ ფილმს – „მზესუმზირები". ფილმის გადაღების პერიოდში გიორგი მდივანმა ახლოს გაიცნო ამ ფილმის პროდიუსერი, უმდიდრესი კაცი, სოფი ლორენის მეუღლე, კარლო პონტი. გიორგი მდივანი ესაუბრა „ვეფხისტყაოსანზე" კარლო პონტის, რომელიც ძალიან დაინტერესდა რუსთაველის პოემით. გიორგიმ მეც გამაცნო კარლო პონტი, როგორც „ვეფხისტყაოსნის" მომავალი ფილმის რეჟისორს. ჩვენ იტალიელ სტუმარს მოვატარეთ მთელი საქართველო. ვუჩვენეთ მცხეთა, გელათი, უფლისციხე, ვარძია. იგი აღფრთოვანებული დარჩა და განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა, დაიწერებოდა შესაბამისი სცენარი, არც იმაში, რომ ჩვენ შევძლებდით მის გადაღებას, ის კი ფილმისათვის საჭირო თანხას გამოყოფდა, მაგრამ პონტიმ აუცილებელ პირობად ის წამოაყენა, რომ ფილმში მთავარი გმირების შემსრულებელი მსახიობები მსოფლიო კინოს ვარსკვლავები უნდა ყოფილიყვნენ, მაგალითად: სოფი ლორენი, ჯინა ლოლობრიჯიდა, ალენ დელონი, რომი შნაიდერი, ჟან მარე და სხვა. ის ფიქრობდა, რომ მსოფლიო კინოვარსკვლავების მონაწილეობა დიდ მოგებას მოუტანდა ფილმს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წამგებიანი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ მოვიხიბლეთ წინადადებით, მაგრამ ვერ დავეთანხმეთ კარლო პონტის იმ საკითხში, რომ „ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირები უცხოელ მსახიობებს განესახიერებინათ. ეს იქნებოდა ქართველი მსახიობებისა და ზოგადად საქართველოსათვის სიღარიბის მოწმობის მიცემა, თითქოს ჩვენ არ გვყავდა შესაფერისი გარეგნობისა და ნიჭის მსახიობები. ბევრი ვიდავეთ, მაგრამ ვერ შევთანხმდით – იტალიელმა კინორეჟისორმა თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ გადაგვედო, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს თანამშრომლობა აღარ შედგა.

მახსენდება ჩემი მაშინდელი განცდები. მოლაპარაკების დროს გაორებული ვიყავი. განუწყვეტლივ იმას ვფიქრობდი, რა საშუალებით, რა გზებით უნდა მომეხერხებინა „ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაცია, მაგრამ, როდესაც მოლაპარაკება ჩაიშალა, უნდა გამოვტყდე, შვებით ამოვისუნთქე, რადგან დიდი ტვირთისა და პასუხისმგებლობისგან გავთავისუფლდი, თუმც გარკვეულწილად გულიც დამწყდა, რომ შეთანხმება არ შედგა და ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გავუშვით. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის, ქართველი რეჟისორისთვის, რომ ამ მონუმენტური, გენიალური პოემისთვის ფილმის სახე მიმეცა.

***– ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებლისთვის კარგად არის ცნობილი თქვენი შემოქმედება. ქართულმა საზოგადოებამ გულით შეიყვარა თქვენი ფილმები. ასევე არაერთხელ მიგიმართავთ კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციისათვის. სერვანტესის „დონკიხოტის" თქვენეული ეკრანიზაცია ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება. ასევე წარმატებულია თქვენი ბოლო ფილმი –***

ეროვნული ბიბლიოთეკა

***„მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი", რომელიც ცნობილი შვედი ქალბატონის, ნობელის პრემიის ლაურეატის, სელმა ლაგერლეფის („მოთხრობები ქრისტეზე") ეკრანიზაციის ქართული ვერსიაა. ქართველ მაყურებელს, ალბათ, აინტერესებს, მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც ხომ არ მოჰკიდებდით ხელს ამ დიადი ნაწარმოების ეკრანიზაციას?***

– ქართულმა ხელოვნებამ, საერთოდ, ქართულმა მწერლობამ, თეატრმა, კინომ ბოლო წლებში დიდი დანაკლისი განიცადა; ფაქტობრივად, აღარ არსებობს ქართული კინო. დღეს ქართული საზოგადოება პოლიტიზებულია. ჩვენ ყველანი, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართული ვართ პოლიტიკურ პროცესებში.

ჩვენი საუბრის დასაწყისში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ მძიმე ჟამი გვიდგას. ურთულესი სიძნელეებისა და გამოცდის წინაშეა ჩვენი ქვეყანა. მეჩვენება, რომ უმთავრესი ღირებულება დავკარგეთ, ბუნებრივი განვითარების გზას ავცდით და აღარ ვიცით, ამ პრობლემებს როგორ გავართვათ თავი. ამიტომაც მგონია, რომ სწორედ ახლაა საჭირო ქართველი ხალხისთვის იმ იდეალების შეხსენება, რასაც „ვეფხისტყაოსანი" გვიქადაგებს – რომ სიკეთის ქმნადობაა უმთავრესი და ამ სიკეთეს როგორც ადამიანური, ისე სახელმწიფოებრივი დანიშნულება უნდა ჰქონდეს. მე ღრმად მწამს, რომ პოლიტიკაში ისეთმა ზნეობრივად მაღალმა ადამიანებმა უნდა გაიმარჯვონ, როგორებიც ავთანდილი და ტარიელი არიან. სიკეთის გაცემის, ურთიერთთანადგომის, თავგანწირვის, მოყვასის სიყვარულის გარეშე ვერც საზოგადოება და ვერც ქვეყანა ვერ გაიმარჯვებს.

ქართულ სახელმწიფო დროშაზე ყოველთვის ქრისტეს ჯვარი იყო გამოსახული, სახელმწიფო გერბზე კი წმინდა გიორგი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ჩვენი ისტორიის უმთავრეს გზაჯვარედინზე, დიდგორის ბრძოლის დროს, წინ მიუძღოდა ქართულ ჯარს. სწორედ ზნეობრივი ღირებულებების ნაკლებობა გვიშლის ხელს ქართველებს, უფრო მონოლითური გავხდეთ და ქრისტეს სახელით ვეძებოთ ჭეშმარიტება და სამართალი.

აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაცია ქართული კინოხელოვნების ვალია. მიმაჩნია, რომ განსაკუთრებით ახლაა აქტუალური ეს საკითხი, სწორედ დღეს, პოლიტიზებული დაპირისპირების, ეროვნული დაქსაქსულობისა თუ ჰუმანიტარული ორიენტაციის დაკარგვისას, მაგრამ ვინ მოახერხებს და განახორციელებს ამ ჩანაფიქრს, მე ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. სურვილი და ოცნება ბევრჯერ მქონია, მაგრამ...

***მოულონელად კაბინეტში ბატონი რეზოს შვილიშვილები შემოცვივდნენ და სამუშაო მაგიდის წინ ხორუმი გამართეს. ბაბუა ღიმილით შეჰყურებდა შვილიშვილების ცეკვას. მერე ადგა, მეც ამიყოლია, ბავშვების მხიარულ ფერხულში ჩვენც სიამოვნებით ჩავებით.***

***ბავშვებმა კარგა ხანს იტრიალეს, სიხარულისა და სილაღის სურნელი დაგვიტოვეს და, როგორც მოულოდნელად შემოიჭრნენ, ასევე მოულოდნელად დატოვეს ოთახი.***

***ბავშვების ამ მხიარულებით მოგვრილი შთაბეჭდილება რომ დაცხრა, რეზო ჩხეიძე თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა. დავინახე, როგორ გადაშალა ის სქელტანიანი წიგნი, რომლის სტრიქონებსაც ასე ხშირად აყოლებდა თვალს. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია", – წაიკითხა და დახურა.***

***მაცხოვრის ხატთან კი სანთელი ისევ ენთო! ბატონი რეზო ლოცულობდა! მინდოდა მეთქვა: ღმერთმა ხელი მოუმართოს-მეთქი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ვთქვა – ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქვეყნის მსახურებაში დამაშვრალი მისი სული!***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალინა ქალაბიშვილი-ოქროპირიძე

## ცენზურა და ფრანგული მწერლობა

*ლიტერატურა და ცენზურა უძველესი თემაა. ნამდვილ, მაღალმხატვრულ ლიტერატურას თავისუფალი აზროვნება ქმნის. ეს თავისულება ისეთი ნიშნებით არის გამოხატული, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ, ყოფით, პოლიტიკურ თუ რელიგიურ ნახნაგებს ეხება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ცენზურის მიერ მხატვრული ქმნილებიდან ცალკეული მონაკვეთების ამოღებას ან მის სრულ აკრძალვას.*

*კონკრეტულ მაგალითად ჯორჯ ორუელის რომანი „1984" გამოდგება. ის 1949 წელს გამოიცა ინგლისსა და ამერიკაში.*

*მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა საფრთხე იმისა, რომ კომუნისტური იდეები, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპა, გავრცელდებოდა შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. ეს გავრცელება კი საშიშროებას უქმნიდა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას. „1984" წელი არის ტოტალიტარული საფრთხის განჭვრეტა. ეს არის რომანი და ამავე დროს პროექტი, რომელიც ამკვიდრებს ჰუმანურობას და საფრთხისაგან იცავს დემოკრატიულ მსოფლიოს.*

*ცხადია, რომ ეს ნაწარმოები იმთავითვე იკრძალებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ პარადოქსია ის, რომ ცენზურა მას ამერიკის შეერთებულ შტატებშიც შეეხო, თუ რატომ, ამაზე ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.*

*საბჭოთა ტოტალიტარულ სივრცეში საბავშვო ლექსებსაც კრძალავდნენ. ამის ნიმუშია კორნეი ჩუკოვსკის ვრცელი ლექსი „ნიანგი", რომელიც მთავლიტმა ლამის პოლიტიკურ სატირად მიიჩნია.*

*ცენზურის „ქრესტომათიული" მსხვერპლია ბორის პასტერნაკის რომანი „ექიმი ჟივაგო". პასტერნაკმა რომანის ხელნაწერი იტალიაში გააგზავნა გამოსაცემად. მის გამოცემას პასტერნაკის უმკაცრესი შერისხვა მოჰყვა – გარიცხეს მწერალთა კავშირიდან და უარი ათქმევინეს ნობელის პრემიაზე.*

*ცხადია, ცენზურა არსებობდა საქართველოშიც. „ცისკარი" თავის ფურცლებს დაუთმობს პუბლიკაციებს, რომლის სათაური იქნება: „ცენზურა და ლიტერატურა"... მკითხველის წინაშე წარმოჩნდება მხატვრული ლიტერატურის ფარული მხარე, რომელიც ნაკლებად ცნობილია, მაგრამ უაღრესად საინტერესო. ამჯერად ვბეჭდავთ წერილს, რომელიც შეეხება ცენზურას ფრანგულ ლიტერატურაში.*

საფრანგეთი და სიტყვის თავისუფლება ჩვენთვის თითქმის სინონიმებია. მით უფრო საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყოველთვის როდი იყო ასე. სახელმწიფო, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის უფლებებისა და თავისუფლებების კანონმდებლად იქცა, თავის დროზე სასტიკად სდევნიდა მოაზროვნე მწერლებსა და ფილოსოფოსებს, რომლებმაც დაუღალავი ბრძოლით მოუპოვეს ქვეყანას თავისუფლების ასეთი მაღალი ხარისხი.

ფრანგმა ლიტერატურის პროფესორმა ჟაკ გოდიემ ამ უთანასწორო დაპირისპირების მცირე მიმოხილვა შემოგვთავაზა – ილიას უნივერსიტეტში (28 მარტს) და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტში (6 მაისს) წაკითხულ ლექციაში „ცენზურის მსხვერპლი ფრანგი მწერლები".

2009 წლიდან დღემდე ჟაკ გოდიე თბილისი-ნანტის მეგობრობის ფარგლებში ყოველწლიურად ჩამოდის საქართველოში და „პედაგოგიური დახმარების მისიით" მუშაობს თბილისის მარი ბროსეს სკოლაში.

იმის მიხედვით, თუ ვის გააჩნდა საფრანგეთში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის რეალური ძალაუფლება – ეკლესიას, მეფის ხელისუფლებას თუ ცენზურას, გამოყოფენ სამ ძირითად პერიოდს: 1) შუა საუკუნეებიდან XVII საუკუნის ჩათვლით; 2) XVIII საუკუნე; XIX საუკუნის ნაწილი; 3) XIX საუკუნის მეორე ნახევარი; XX საუკუნე.

ამ პერიოდებში განსხვავებულია რელიგიის ზეგავლენა და სასჯელიც სხვადასხვაა – სიმძიმით ყველაზე უფრო მცირე – გამოქვეყნებაზე უარის თქმა, მეორეა ცენზურა, მესამე – გადასახლება, ციხე, და ბოლოს – სიკვდილით დასჯა.




## 1-ლი პერიოდი – შუა საუკუნეებიდან მე-17 საუკუნის ჩათვლით

ამ დროს რელიგიას და ეკლესიას დიდი ამკრძალავი ძალა გააჩნდა. საფრანგეთის შემთხვევაში ეს იყო კათოლიკური ეკლესია თავისი წარმომადგენლებით: რომის პაპი, ეპისკოპოსი და სორბონის უნივერსიტეტი. ამ პერიოდიდან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ორ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს მოვიხმობთ. პირველი: XVI საუკუნის მოაზროვნე, ჰუმანისტი **ეტიენ დოლე** – მან დაწერა ორიგინალური ნაშრომები და აგრეთვე საკუთარ სტამბაში დაბეჭდა სხვათა თხზულებები ისეთ რელიგიურ თემებზე, რომლებიც მაშინ აკრძალული იყო. იგი სიკვდილით დასაჯეს – კოცონზე დაწვეს 1546 წელს; მეორე: XVII საუკუნის ფილოსოფოსი **ლუჩილიო ვანინი** ტულუზიდან: მისი აზრები საშიშ მკრეხელობად გამოცხადდა და 1619 წელს ისიც კოცონზე დაწვეს.

თვით XVIII საუკუნემდე კათოლიკური ეკლესია აცხადებდა, რომ წიგნების დაწერისა და გამოცემისთვის შეიძლებოდა ადამიანის სიკვდილით დასჯა. თუმცა, საბედნიეროდ, ასეთი მაგალითი მეტად აღარ გვქონია.

**ფრანსუა რაბლე** (1494–1553) რენესანსის ეპოქის ტიპური წარმომადგენელია – თავისუფლად მოაზროვნე, ჰუმანისტი... მისი მკვირცხლი გონება ყველაფრით ინტერესდებოდა, რაც მის გარშემო იყო. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განსწავლული ადამიანი – იურისტი, ექიმი (ქირურგი), მღვდელი – რაბლე მწერლობას მიჰყოფს ხელს. 1530-1540 წლებში მან გამოაქვეყნა ოთხი წიგნი (მათ შორის „გარგანტუა და პანტაგრუელი"), რომლებიც უამრავ ეჭვს ბადებდა. თავად სასულიერო პირი, რაბლე, დასცინის მღვდლებსა და ბერებს, რომლებიც ლოცვას გაუაზრებლად იმეორებენ, ზედაპირულად იციან; სორბონის პროფესორებს, რომლებსაც ლათინური ტექსტები გაუზუთხავთ და არც კი ესმით, რას ამბობენ. სიხარბე, სულმოკლეობა, ღალატი, დიდების სიყვარული, ფარისევლობა – ადამიანური ბუნების ვერც ერთი ხინჯი ვერ გაექცა რაბლეს მახვილ კალამს. მისი ნაწარმოებების ზღაპრულ-ჰიპერბოლიზებული ფაბულის მიღმა მაინც აშკარად ჩანს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ ცდილობს მწერალი, თანამედროვე საზოგადოებას წესიერების მატყუარა ნიღაბი ჩამოჰგლიჯოს.

ცხადია, ასეთი სითამამისთვის მას არ შეაქებდნენ. რაბლე იძულებული იყო, თავი შეეფარებინა ახლანდელი საფრანგეთის სამხრეთისათვის, რომელიც მაშინ საფრანგეთს არ მიეკუთვნებოდა. ის კოცონს გაურბოდა. ცნობილია რაბლეს სიტყვები: „ჩემი ნაწერების გამო მზად ვარ, ყოველგვარი დევნა და სასჯელი ავიტანო, ცოცხლად დაწვის გარდა“. ის, ყველაფერთან ერთად, მოხერხებული ადამიანიც უნდა ყოფილიყო, რადგან საკუთარ საწოლში გარდაიცვალა.

**სირანო დე ბერჟერაკი** (1619-1655) იდევნებოდა ორი თხზულების გამო: „მთვარის სახელმწიფოები და იმპერიები“ და „მზის სახელმწიფოები და იმპერიები“. იდუმალებით არის მოცული მისი სიკვდილის გარემოებები. ცნობილია, რომ თავზე სახლის დირე დაეცა და ამის შედეგად გარდაიცვალა, მაგრამ, რამდენადაც მისი წიგნები აკრძალული იყო მწერლის თავისუფალი, ლიბერტინული აზროვნების გამო, მკვლელობის ვერსიაც სავსებით დასაშვებია.

**მოლიერის** (1622-1673) მოღვაწეობა ლუი XIV-ის მეფობის წლებს ემთხვევა, საფრანგეთის ოქროს ხანას. ის არა მარტო პიესებს წერდა, არამედ რეჟისორი და მსახიობიც იყო. სპექტაკლი საფუძვლიანად განსხვავდება წიგნისგან ერთი გარემოებით: წარმოდგენა პირდაპირ, საჯაროდ მიმდინარეობს ადამიანთა ჯგუფის წინაშე და მათზე გავლენის თვალსაზრისით უფრო სახიფათოა, ვიდრე წიგნი.

მოლიერი ორი პიესის: „ტარტიუფისა“ და „დონ ჟუანის“ დადგმისას სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა. „ტარტიუფის“ პრემიერას სკანდალი მოჰყვა – პიესა აკრძალეს. მეფე კი მხარს უჭერდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდგომი ხუთი წლის მანძილზე მოლიერმა რამდენჯერმე გადააკეთა პიესა, სახელწოდებაც კი შეუცვალა – ბოლოს ისევ „ტარტიუფი“ დაარქვა და 3-აქტიანიდან 5-აქტიანად აქცია. მე-5 აქტში მეფე ტარტიუფს აპატიმრებს. ამ იძულებითი კომპრომისის წყალობით მოლიერმა პიესა შეინარჩუნა. სულ მოლიერის ცხოვრებაში „ტარტიუფის“ 44 წარმოდგენა ჩატარდა.

მოლიერმა შეგნებულად თქვა უარი ტარტიუფის განსახიერებაზე. ის თამაშობდა იმ მიმნდობი ბატონის როლს, რომელმაც არამზადას საკუთარი სახლის კარი გაუღო.

**„დონ ჟუანი“** – ეს სახელი თანამედროვე კოლექტიურ ცნობიერებაში მექალთანეს, სასიყვარულო თავგადასავალთა კოლექციონერის სინონიმად იქცა. სინამდვილეში, მოლიერის ეპოქაში მას სხვა დატვირთვა ჰქონდა. მისი დონ ჟუანი ფილოსოფოსია, იმ დროს გავრცელებული ლიბერტინული მიმდინარეობის (რომელიც გულისხმობს თავისუფალ აზროვნებას, განსაკუთრებით რელიგიის საკითხებში) ტიპური წარმომადგენელი. იგი რწმენას ბრმად არ იღებს, ლოგიკურ დასაბუთებას მოითხოვს, თავისუფალი



სიყვარულის მქადაგებელია, რაციონალისტი მეცნიერი, რომლის ერთადერთ კრედოს 1+1=2 წარმოადგენს. ჩვენთვის ცნობილია პიესის დასასრული – კომანდორი სიკვდილით სჯის დონ ჟუანს ღვთის გმობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მოლიერმა თავის დროზე საკუთარი პოზიცია არ გამოხატა და ამიტომ მკაფიოდ არ ჩანს, ემხრობა თუ ეწინააღმდეგება დონ ჟუანს, დღესავით ნათელია, რომ პერსონაჟის დასჯა სამღვდელოების და ცენზურის საამებლად დასჭირდა.

სპექტაკლში მოლიერმა სგარანელის (და არა დონ ჟუანის) როლი ითამაშა. პიესა მეორე ჩვენების შემდეგ აკრძალა ეკლესიამ ე. წ. ტყის ეპიზოდის გამო. მოლიერმა ეს ადგილი ამოიღო და სპექტაკლი აღდგა. „დონ ჟუანი" მწერლის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, მხოლოდ მისმა ქვრივმა გამოაქვეყნა დიდი სიფრთხილით, ისიც – გადაკეთებული ვარიანტი. „დონ ჟუანის" ძველი, ავთენტიკური ტექსტი, რომელიც მოლიერის დასის ერთ მსახიობს შეუნახავს, მხოლოდ მე-20 საუკუნეში აღმოაჩინეს და პირველად დაიბეჭდა ამსტერდამში.

2) XVIII საუკუნეში კათოლიკური ეკლესია ისე აღარ მძვინვარებს. სიტყვის თავისუფლების კონტროლი უკვე სამ ინსტანციას ევალება: ეკლესია, მეფის ცენზურა, პარლამენტი. პარიზში ასამდე ადამიანია დაკავებული ცენზურით, რომელიც უკვე საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული. XVIII საუკუნე საფრანგეთში ფილოსოფოსთა საუკუნეა. მათი თხზულებების გამოცემა ხშირად უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს ვოლტერსა და დიდროს ეხება.

**ვოლტერმა** (1694-1778) 84 წელი იცოცხლა და აქედან 40 წელი გადასახლებაში გაატარა. იყო დაპატიმრებული, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა საფრანგეთის მეზობელ ქვეყნებში: ჰოლანდიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ლორენაში (რომელიც მაშინ საფრანგეთს არ მიეკუთვნებოდა). ხშირად საზღვართან ახლოს ირჩევდა საცხოვრისს იმ მიზნით, რომ თუ ერთ ქვეყანაში დევნა დაიწყებოდა, მეორეში გადასულიყო. ასეც იქცეოდა და საკუთარი ეშმაკობის წყალობით გაურბოდა სასჯელს.

ყველა მისი ნაშრომი აკრძალული იყო: „ფილოსოფიური წერილები", „კანდიდი", „ტრაქტატი შემწყნარებლობის შესახებ" და სხვ. მაგალითად, მან დაწერა თხზულება „ლუი XIV საუკუნე". ეს წიგნი აკრძალეს, რადგან ლუი XV-მ იფიქრა, რომ სახელოვანი წინაპრის ასეთი განდიდებით ვოლტერი მის ძალაუფლებას ჩრდილს აყენებდა.

წიგნში „მუჰამედი ანუ ფანატიზმი" ვოლტერი თითქოს მუჰამედსა და მის მიმდევრებს დასცინის, მაგრამ სინამდვილეში რომის პაპსა და კათოლიკეებს გულისხმობს. მას, მართლაც, არც ერთი უყვარდა და არც მეორე. ყველანაირი ბრმა რწმენა, ფანატიზმი დამღუპველია – ასეთია ვოლტერის, როგორც ფილოსოფოსისა და მოქალაქის, პოზიცია, მაგრამ ვოლტერმა პოპულარობა და თანამედროვეთა სიყვარული უფრო უსამართლობის მსხვერპლთა გამოსარჩლებით მოიპოვა, ვიდრე თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით. მის სახელს მჭიდროდ დაუკავშირდა ორი სასამართლო პროცესი, რომლებმაც XVIII ს-ის საფრანგეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ტულუზის სასამართლო პროცესი: კალასების პროტესტანტულ ოჯახში, რომელშიც ცხოვრობდნენ დედ-მამა და ორი ვაჟი, ერთ-ერთმა ვაჟმა თავი ჩამოიხრჩო. ყველანაირი გამოძიების გარეშე დაადგინეს, რომ იგი მამამ მოკლა, რადგან ვაჟს თითქოს კათოლიკობა ჰქონდა გადაწყვეტილი. ტულუზაში გაიმართა სასამართლო პროცესი. მამა გაასამართლეს და სასტიკი წამებით მოკლეს. ვოლტერთან (რომელიც მთელ მაშინდელ ევროპაში ცნობილი ფიგურა იყო) ამ კაცის ქვრივი და მეორე ვაჟი მივიდნენ დახმარების სათხოვნელად. აღშფოთებულმა ვოლტერმა სასწრაფოდ მისწერა კარდინალს ვატიკანში, რუსეთის ხელმწიფეს, ავსტრიის მეფეს და სხვ. ის წერს სტატიებს, აქვეყნებს და ყველა, ვინც ამ სტატიებს კითხულობს, გაიცნობს კალასის საქმეს. ვოლტერმა მიაღწია მეორე სასამართლო პროცესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშვნას. ტულუზის სასამართლომ შეცდომა აღიარა, რაც მნიშვნელოვანი იყო დაზარალებულთა პატიოსანი სახელის აღდგენისათვის. ამით ვოლტერმა თითქოს უთხრა თანამემამულეებს: ხომ ხედავთ, ხელისუფლება უცოდველი როდია, ის შეიძლება ცდებოდეს.

მეორე სასამართლო პროცესი ჩრ. საფრანგეთში გაიმართა. ლა ბარის რაინდი სიკვდილით დასაჯეს იმ ბრალდებით, რომ ქუჩაში მიმავალი რელიგიური მსვლელობის წინაშე ქუდი არ მოიხადა. მისმა მეგობარმა გაქცევა მოახერხა და ეს ამბავი ვოლტერს შეატყობინა, რომელმაც განმეორებითი სასამართლო პროცესის დანიშვნას მიაღწია. სასამართლომ აღიარა, რომ სასჯელი გადაჭარბებული იყო.

როდესაც ვოლტერი გარდაიცვალა, მისი ნეშტი პანთეონში დაასვენეს. ერთ-ერთი წარწერა იუწყებოდა, რომ მან კალასის გამო შური იძია. ასეთი იყო ხალხის მადლიერება სამართლიანობისთვის მებრძოლი ფილოსოფოსისადმი.

„თუ წიგნი არ მოგწონთ, დაასაბუთეთ, რატომ არ მოგწონთ, თუ წიგნი თქვენთვის მოსაწყენია, არ წაიკითხოთ,“ – ამბობს ვოლტერი.

დენი დიდრო (1713-1784) სიცოცხლეში თითქმის არაფერი გამოუქვეყნებია. ჯერ ერთი, სიფრთხილის გამო და, მეორეც იმიტომ, რომ სრულყოფილების მიღწევა სურდა. მისი ნაწერები აღმოაჩინეს გოეთეს და ეკატერინე მეორის წყალობით, რომლებთანაც ის სტუმრობდა.

საფრანგეთში პირველი ენციკლოპედია დიდრომ გამოსცა. რამდენიმე წლით ადრე ინგლისში გამოვიდა ჩჰამბერსის ენციკლოპედია. ფრანგები ჯერ მის თარგმნას აპირებდნენ, შემდეგ დიდრომ გადაწყვიტა, თავად შეედგინა ენციკლოპედია, რასაც სიცოცხლის 20 წელი მოანდომა. უმთავრესი მაინც დაბეჭდვის ნებართვის მოპოვება გახლდათ. დიდრომ შეკრიბა დიდი სარედაქციო ჯგუფი. ყოველ წელს ენციკლოპედიის თითო ტომი გამოდიოდა. ძირითადი თემები იყო: კულტურა, მეცნიერება, რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. 1757 წელს მე-7 ტომი გამოვიდა. ამ წელს მეფეს თავს დაესხნენ და მსუბუქად დაჭრეს. მკაცრდება ყველა კანონი, ცენზურა და სხვ. მეფემ, პაპმა და პარლამენტმა აკრძალეს მე-7 ტომი და დაწვეს. იქ იყო სტატიები ღმერთზე, პოლიტიკაზე. ღმერთის შესახებ ეწერა, რომ არსებობს განსხვავებული რელიგიები, ღმერთები და თვალსაზრისები. ამ ტომსაც, როგორც დანარჩენებს, თავისი აბონენტები ჰყავდა. პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ავტორებს უნდა აენაზღაურებინათ ზარალი გამომწერებისთვის. დიდროს და დანარჩენებს ამდენი ფული არ ჰქონდათ. ყველაფრის მიუხედავად, დიდრომ ახალი ენციკლოპედიის გამოცემა დაიწყო. ის უკვე მხოლოდ ილუსტრაციებისგან შედგებოდა და არავის აუკრძალავს. ერთ-ერთ ტომში მსოფლიოს ყველა ანბანთან ერთად ქართულ ანბანსაც შევხვდებით. სულ 11 ილუსტრირებული ტომი გამოვიდა. ასე შეძლო დიდრომ ვალების გასტუმრება. ამასობაში პოლიტიკა იცვლება, შემსუბუქდა ცენზურა. შესაძლებელი გახდა ტექსტების ენციკლოპედიის 17-ვე ტომის გამოცემა. დიდროს ღვაწლი კოლოსალურია: იმ შორეულ XVIII ს-ში პირველი ფრანგული ენციკლოპედია 4000 ეგზემპლარად გამოვიდა და მთელ ევროპაში გავრცელდა, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგშიც ჩააღწია.

– მითხარით, რომ გავჩუმდე პოლიტიკასა და რელიგიაზე და აღარაფერი მექნება სათქმელი, – ამბობდა დიდრო.

3) XIX საუკუნე ძველი ეპოქისა და თანამედროვეობის დამაკავშირებელი პერიოდია; ნაპოლეონის, სამი მეფისა და ერთი იმპერატორის საუკუნე. მოხდა რამდენიმე რევოლუცია. ამბოხებულების ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა.

იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ ძალაუფლება გადატრიალების შედეგად ჩაიგდო ხელში. მან დააპატიმრა დეპუტატები. ვიქტორ ჰიუგო (1802-1885) გადასახლებაში წავიდა – 19 წლით, ჯერ ბელგიაში, შემდეგ კი, სამშობლოსთან რომ უფრო ახლოს ყოფილიყო, ლა მანშის კუნძუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზე დამკვიდრდა, რომლებიც ინგლისს ეკუთვნოდა. კუნძულ გერნეზე ჰიუგოს დიდებული სახლის მეოთხე სართულის, შემინული გალერეიდან საუცხოო ხედი იშლებოდა – საფრანგეთის ნაპირები მოჩანდა. ამ სახლში განმარტოებულმა (პარლამენტსა და პოლიტიკურ ორომტრიალს მოწყვეტილმა) საფრანგეთის მამამ დაწერა თავისი შედევრების უმეტესობა: „საბრალონი“, „ზღვის მუშაკნი“, „კაცი, რომელიც იცინის“ და სხვ. მსოფლიო ლიტერატურა ხშირად ტირანებს უნდა უმადლოდეს ასეთი ნაწარმოებების არსებობას.

გადასახლებაში მყოფი ჰიუგო პოლიტიკურ ბრძოლასაც განაგრძობს თავისი თხზულებებით. ასეთია, მაგალითად, „პატარა ნაპოლეონი“, სადაც მწერალი დაუნდობლად აკრიტიკებს ნაპოლეონ III-ს. ამ ტექსტმა იმპერატორამდე მიაღწია. დიდი ამბავი ამას არ მოჰყოლია, მან მხოლოდ ირონიულად შენიშნა: „ოჰ, ეს დიდმა ჰიუგომ დაწერა?“

ამას ჰიუგოს ლექსების კრებული „სასჯელი“ მოჰყვა, რომელიც ბრიუსელში დაიბეჭდა და საფრანგეთში გავრცელდა. ამ ლექსებში პოეტი იმპერატორს და მის გარემოცვას დასცინის, მათ დამარცხებას წინასწარმეტყველებს. ეს კრებული ხალხმა მაშინვე აიტაცა. ნაპოლეონ III-მ ამნისტია გამოაცხადა, ყველას, ვინც დასჯილი და დევნილი იყო, შეეძლო დაბრუნება საფრანგეთში. ვიქტორ ჰიუგო მას არ ენდობოდა და არ დაბრუნდა. მან თქვა: „როდესაც თავისუფლება დაბრუნდება, მეც დავბრუნდები“-ო. ნაპოლეონ III დამარცხდა პრუსიის იმპერატორთან ბრძოლაში. ჰიუგო მეორე დღესვე დაბრუნდა საფრანგეთში მატარებლით. მას გზაში ხვდებოდა ხალხი, ისე ეგებებოდნენ, როგორც პრეზიდენტს, ზეპირად ამბობდნენ ლექსებს „სასჯელიდან“. ჰიუგო ჯერ დეპუტატი გახდა, შემდეგ სენატორი.

XIX საუკუნეში საფრანგეთში ლიტერატურას, თეატრს და პრესას უკვე ჰქონდა რეალური ძალა, რომ ხელისუფლებას დაპირისპირებოდა და ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები გამოეწვია. ჰიუგო ამბობდა, რომ პრესა არის საზოგადოებრივი და სახალხო აზრის გამოხატვის საუკეთესო საშუალება, ხოლო პრესის თავისუფლება იარაღია იმ ღირებულებათა დასაცავად, რომლებსაც ჩვენ ყველანი მხარს ვუჭერთ. მანვე დაამკვიდრა ბუმბული, როგორც პრესის სიმბოლო – „ქარის სიმსუბუქე და მეხის ძალა“.

ახლა შევეხოთ სამი ფრანგი მწერლის: **ფლობერის** (1821-1880), **ბოდლერისა** (1821-1867) და **ვერლენის** (1844-1896) სასამართლო პროცესებს.

ფლობერისა და ბოდლერის პროცესები (1857 წელი) ერთმანეთს ჰგავს – ისინი „ბონნეს მოეურს“-ის ანუ „სოციალური მორალით დადგენილი წესების ერთობ-



ეროვნული ბიბლიოთეკა


Cinq Centimes

ERNEST VAUGHAN

# L'AURORE

Littéraire, Artistique, Sociale

# J'Accuse...!

## LETTRE AU PRÉSIDENT DE LA RÉPUBLIQUE

## Par ÉMILE ZOLA

LETTRE A M. FÉLIX FAURE

Président de la République

ლიობის“ სახელით ჩატარდა. ამ ეპოქაში ბურჟუაზიას წამყვანი როლი ეკავა ქვეყნის მართვაში. ოფიციალურად მიღებული იყო, რომ ყველანი კეთილგონიერები, მაღალი მორალური პრინციპების ერთგულები უნდა ყოფილიყვნენ (სინამდვილეში ეს თვალთმაქცობა იყო). ხელისუფლებას სურდა ორი ამორალური ნაწარმოების დასჯა, საჯაროდ გაკიცხვა: „მადამ ბოვარის“, სადაც ცოლი ქმარს ღალატობს და თავს იკლავს, ანუ მონანიების გარეშე კვდება; „ბოროტების ყვავილების“, რადგან აქ საქმე ეხება ეროტიკას და ლესბოსელ ქალებს. ცნობილია ფლობერის სიტყვები: ჩემი მადამ ბოვარი სასამართლო დარბაზში ათრიეს, მიწასთან გაასწორესო. ამ ნახევრად ირონიული შენიშვნის მიღმა მწერლის გულისტკივილიც ჩანს – „მადამ ბოვარი – ეს მე ვარ“ (გუსტავ ფლობერი). შემდეგ ბოდლერის სასამართლო პროცესი გაიმართა. ამასთან დაკავშირებით ფლობერმა „ბოროტების ყვავილების“ ავტორს წერილი მისწერა, რათა გაემხნევებინა. გარკვეული დროის შემდეგ პასუხიც მიიღო, სადაც ბოდლერი თავის სასამართლო პროცესს დადგმულ სპექტაკლს, ფარსს უწოდებს. განსხვავებულია პოლ ვერლენის სასამართლო პროცესი, სადაც სისხლის სამართლის საქმე იხილებოდა, რადგან მან რემბოს (1854-1891) რევოლვერიდან ესროლა და დაჭრა. ცენზურა შეეხო ვერლენის ზოგიერთ ლექსს ლესბოსელების შესახებ, თუმცა სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა.

**ემილ ზოლას** (1840-1902) მწერლური მოღვაწეობა და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩაგრულთა, უსამართლობის მსხვერპლთა დაცვას ემსახურებოდა. სწორედ მისი ღვაწლია, რომ ე. წ. „დრეიფუსის საქმეს“ ასეთი ფართო გამოხმაურება ჰქონდა.

**ალფრედ დრეიფუსი** (წარმოშობით ებრაელი) გახლდათ სამხედრო ოფიცერი, რომელიც საიდუმლო საქმეებით იყო დაკავებული. ის უსაფუძვლო ბრალდებით გაასამართლეს და მიუსაჯეს მუდმივი გადასახლება სამხრეთ ამერიკაში. ზოლამ ერთ ღამეში დაწერა წერილი, სახელწოდებით : „ვადანაშაულებ“. ეს ტექსტი იწყებოდა სიტყვებით: „ბატონო რესპუბლიკის პრეზიდენტო!“

„ვადანაშაულებ“ რეფრენივით გასდევს წერილს. ზოლამ ამ საქმის ყველა მონაწილე დაადანაშაულა, თავდაცვის მინისტრის ჩათვლით და რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტს სამართლიანობის აღდგენა მოსთხოვა.

ზოლას სიკვდილი დღესაც იდუმალებით არის მოცული: ის საკუთარ სახლში მხუთავი გაზით გაგუდული იპოვეს; აღმოჩნდა, რომ საკვამლე მილი დახშული იყო, კვამლი საკვამურიდან გარეთ ვერ გადიოდა. რა იყო ამის მიზეზი? დაუდევრობა თუ დანაშაულებრივი ქმედება? ეს არ არის ცნობილი, მაგრამ, რამდენადაც ზოლას ბევრი მტერი ჰყავდა დრეიფუსის საქმის გამო, მკვლელობის ვერსია გამორიცხული არ არის.

XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ძალაუფლება ეკუთვნის არა ეკლესიას, მეფეს ან პრეზიდენტს, არამედ კანონს, რომელსაც ადგენს პარლამენტი, ე. ი. ხალხი. XX საუკუნეში ცენზურა ძირითადად კრძალავს წიგნებს პორნოგრაფიული, რასისტული და ტერორისტული შინაარსის გამო.

ალჟირის ომის დროს აიკრძალა ანტიკოლონიალისტური შინაარსის წიგნი სახელწოდებით „წამება“. ალჟირში საფრანგეთის არმიამ აწამა ფრანგი ანრი ალეგი. იგი გადარჩა და დაწერა თავისი მოგონებები. დე გოლის მთავრობამ ეს წიგნი აკრძალა, რათა ხალხს არ გაეგო, რომ საფრანგეთის არმიას ამგვარი რამის ჩადენა შეეძლო.

**ჟან ჟენეს წიგნები**, მაგალითად, „ნოტრ დამ დე ფლერი“, ეროტიკული ხასიათის გამო თავდაპირველად ცენზურის გავლენას განიცდიდა. ის ებრძოდა ხელისუფლებას, კოლონიალიზმს. რაც შეეხება ბორის ვიანს, მის რომანებში ტანჯვა ნაწილობრივ შენიღბულია სარკაზმით, ფანტაზიით, პროვოკაციით. ის ცნობილია, როგორც ანგაჟირებული ლექსებისა და სიმღერების ავტორი. მისმა რომანმა სახელწოდებით: „წავალ, რათა მივაფურთხო თქვენს საფლავებს“, დიდი აღშფოთება და ხმაური გამოიწვია. ეს წიგნი ავტორიტეტების სრულ უარყოფას,



მსხვრევას შეეხება.

ამგვარად, XX საუკუნეში (XXI-ზე რომ აღარაფერი ვთქვათ) საფრანგეთში ცენზურამ ნელ-ნელა დაკარგა ის უსაზღვრო ძალაუფლება, რაც ასწლეულების მანძილზე თავისუფალი აზრის შეზღუდვაში ვლინდებოდა. მისი მოქმედების არეალი საგრძნობლად შემცირდა. ასეთი „ტოტალური“ თავისუფლების პირობებში წარმოიშვა შედარებით ახალი მოვლენა – ე. წ. ავტოცენზურა. ფრანგ კრიტიკოსებსა და ჟურნალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ თანამედროვე წიგნებისა თუ სტატიების ავტორები საკუთარი ტექსტების „ჩასწორებას“ თავადვე მიმართავენ, რათა ვინმემ ბრალი არ დასდოს არაპოლიტკორექტულობაში ან, ღმერთმა დაიფაროს, სულაც ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებაში. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ, როცა არაფერს გიკრძალავენ, სათქმელიც აღარაფერი გაქვს...



# ამირან არაბული

## სულუქცევრად საკითხავნი

### „... და ლაშარობა თუშური“

ლაშარში ვართ. ხმელგორზე არა – ჩილოს ზემოთ, თუშეთის ლაშარში.

გოდერძი ჩოხელი ისეთ გუნება-განწყობაზეა, არ გამიკვირდება, თავის ცქაფ ცასწავალასავით აფრინდეს, ამაღლდეს და ცის უნაკლო, უხარვეზო ლაჟვარდში გაუჩინარდეს...

ზედ ფრიალოს პირას სიპით ნაგებ ჯვარ-ხატს ვუახლოვდებით. ადგილზე გვხვდება 60 წლის თუში დეკანოზი მელიტო ხოსიკურიძე. დღეობამდე ერთი კვირით ადრე ბარიდან „საწმიდრად“ ამოსული მარტოდმარტოა (მეუდაბნოე ბერივით) და აქვე, საქარე გორაზე, გორგი თილისძის მიერ ორი საუკუნის წინათ დაარსებული სალოცავის „დარბაზში“ ათენ-აღამებს... კულტმსახურებაში ჩაკრეფილ ოცდახუთ წელიწადს იხსენებს და ბედის მადლიერია, საუფლო დღეების თავკაცობა და წინამძღოლობა რომ არგუნა წილად...

და ვიდრე ხატისკარ მეზღვნე-მეხვეწური მოდგებოდეს, მზარდი ცნობისწადილით ვყურობთ და ვკრეფთ ხელ-მხარგანათლული მასპინძლის ყოველ სიტყვას.

**„მეცხვარე ვიყავი. მძინარს თეთრცხენიანი კაცი მაღვიძებდა. ხან ხელს დამარტყამდა, ხან მათრახს. წამოვხტებოდი. გავიხედ-გამოვიხედავდი. გაქრებოდა, დაიკარგებოდა კვალი. არ ვაცხადებდი. მეგონა, მეჩვენებაო. ორ-სამ წელს ეგრე ვიტანჯე. იმ კაცმა მითხრის ცხადშიც და სიზმარშიც: – თუ არ მემსახურები, დებს დაგიხოცავო. ჯერ ერთი და მომიკვდა, მერე – მეორე. ორივე თვრამეტი წლისა. 1942-ში ავად გავხდი, დავბრმავდი. თვალებზე წყალი მომდიოდა. თუ ქუთუთოებს ხელით არ ავწევდი, ვერაფერს ვხედავდი. რო შევწუხდი, დამაწყებინა მკითხაობა. ყველას სიმართლეს ველაპარაკებოდი. ხატი ჩამაგონებდა. ჩემზე ამბობდნენ, გიჟიაო. ოთხი თვის წვერმოშვებული მოვედი აქ, ლაშარში. იმ წელს, 1945-ში, ბევრი ადამიანი აქადაგა. დაიკლა ას სულზე მეტი, ათი მოზვერი, დანარჩენი ჭედილა. მთავრობა დამიდგა, ეს ხალხი შენ დააგიჟეო. რა უნდა მეთქვა, მე არაფერ შუაში ვიყავი... ერთი წლის მერე ალვანიდან ისევ მთაში ამოვედი. გუდანთაში, დიდი ძმის სოფელში, შევაფარე თავი. ოთხი წელიწადი დავლიე. ხუთი წელი რომ გავიდა, მაშინ მითხრა თეთრცხენიანმა: – თავისუფალი ხარ ეხლა, შვილოო. მალე დავქორწინდი... ხატის დაჭერილი ვიყავ და მცდიდა, ქურდობა-ბოროტებას ჩავიდენდი თუ არა...**

**აქ, სადაც ჩვენ ვართ, ადრე საომარი ადგილი იყო. ერთხელაც ლეკებისა და ქისტების ლაშქარი შემოვიდა. თუშებმა ცოცხლად ერთიც აღარ გაუშვეს, ერთიანად ამოჟლიტეს. თავისი დროშები აქ დატოვეს. მოვიდნენ სოფლებიდან ჩვენი წინაპრები. მოიყვანეს საკლავი. ხატ-ღმერთს შესთხო-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვეს, ჭირი და უბედურება აგვაშორეთო... ეხლა რომ საკლავს ვკლავთ, ეს იმ დახოცილი ხალხის ცოდვის მოსანანიებლად და ჩვენი მადლის გასამრავლებლად იკვლის. თავის თავს ვაზღვევთ დანაშაულისგან.**

**გორგი თილისძემ უკანაფშავის ლაშარიდან წამოიღო ხატი და ბროლის ქვა. ფშავლებთან რომ ბრძოლა ჰქონდა, მაშინ. ხომ გახსოვთ ფშავლების საყვედური: „შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდვაბრალია, დასწვი-დასდაგე ხოშარა, ცამდის აუშვი ალია, ნაკვეთაურის ციხესა შენ შეხსენ რკინის კარია...“**

**აქ სულ პირველად ხევისბრობდა ასტორ თათარაიძე, დანოელი. სამი წლისა (!) მივიდა და მლოცველებმა ამ მიდამოებში იპოვეს... მერე – საგით ელანიძე, ჩიღოელი.**

**დეკანოზს რომ ძმა მოუკვდეს, გინდაც და, ახლოს ვერ მივა, მიცვალებულს თვალს ვერ დასცემს. გული ტირილის ნებას არ მისცემს. ენას ჩაუკეტავს, თვალებსაც აუხვევს...“**

ლაშარის ვრცელ, ოდნავ დაცერებულ მინდორზე ხართაშვების ხანს მოდის და მატულობს მლოცველი. მოდიან დათითოებულები, ქვეითად და ცხენებით. ჭრელ ხურჯინებში ბატკნებს და სიარულგაუსარავ ბალღებს ამოუყვიათ თავები... საკურთხევლიდან მოისმის დეკანოზის სამწყალობნო სიტყვები, ზანზალაკების გალობა, სამსხვერპლო პირუტყვის ზმუილი, ბღავილი და მედღეობეთა სამხიარულო ხმები... მალე სათემო და საგვარეულო „სეგმენტებში“ ცეცხლები დაინთება, გალვივდება და საწესო სიმღერას „დღესამ დღეობა ვისია“ ფანდური და გარმონი აუბამენ მხარს.

მე და გოდერძი უკვე ზომიერად, „მოფშავლებულები“, უფრო სწორად, „მოთუშულები“ ვართ და ბუნებრივად ვეწერებით ზაფხულის უმთავრეს სალვთისმსახურო რიტუალში.

წინ მადლმოსილი, ნალვერდლიანი, სულთქმის ციხესავით მაღალი და იდუმალი ღამეა...

# შორი, შორი ზამთარი

*„თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრებს,*
*ყელებ შაკრულა მთებისა...“*
ვაჟა

წეროების დანალიკებული მწკრივი განწირული კივილით მიიკვლევს უამინდობისგან წაშლილ, წართმეულ, უჩინარ გზას თოვლის ხატულა ფიფქების უვრცეს ასპარეზად ქცეულ აბარბაცებულ სივრცეში. მაღლა აიხედავ და თავბრუ გეხვევა, წონასწორობას კარგავ, ფიფქებთან ერთად იწყებ მოძრაობას, ტორტმანს. ორ ნაბიჯში არაფერი ჩანს. ხმელი წივის ნამწვის სუნი და მღვრიე ბოლი იწეწება უნცრუათ ორსართულიანი მიწურის ვიწრო, უსაოტო ეზოში... სოფელს ცის ფერი დავიწყებია. კვირაზე მეტია, რაც განუწყვეტლივ, გადაუღებლად თოვს და თუკი სადმე კიდევ არსებობს ბზარი და ნაპრალი, ხვრელი და ღრმული, იმასაც საგულდაგულოდ ავსებს, ჩუმქრავს, აგლუებს... ქეროზები ბზეს, თივის ნაფშვენსა და ნაბაგარს ესევიან. მალიმალ ფრთხებიან და ჟივჟივით მიფრინავენ მეზობლის საბძლის მიმართულებით...

სოფელს ახალმოსახლე ჰყავს: გასულ სთველთ ზესტეჩოდან გადმოსული ადუათ ჩაჩაურის ხუთსულიანი ოჯახი. უნცრუა მათი ახლო ბიძაშვილია, მათი მამიშვილობის მაცოდარი კაცი და შეღმა და გაღმა უბნებში ცხოვრება ხელს სულაც არ უშლით სახლიკაცებს, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც მოინახულონ ერთმანეთი.

ბნელი საძროხედან, რომელიც ძირისახლის სამყოფლო ოთახს ლასტის ღნიოში, დაბრეცილი „კედლით“ ემიჯნება, პირუტყვის მშვიდი ფშვინვა და ბაგაში ჩაყრილი ჩალა-თივის შრიალისა თუ შმაშუნის მინელებული ხმა ისმის...

საკუთარი სახლებიდან საფეხვნო გორამდე ჩვენც, უბნის თანატოლები, წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებივით ძნელად მივკვალავთ ბილიკებს და ვინაიდან გარეთ, პირახსნილი ცის ქვეშ, დიდხანს დგომა შეუძლებელია, თავს უნცრუათ სახლის შედარებით მშრალ, ქარბუქისგან დაცულ დერეფანს ვაფარებთ...

## მტყობიე

სიკვდილის მაცნე ახალგაზრდას, ვინც ცხენით ანდა ქვეითად მიდიოდა ხოლმე მთის გადაღმა მცხოვრებ ჭირისპატრონის მძახლებთან, მოყვრებთან, მოკეთეებთან და სამწუხარო ამბავს აცყობინებდა, ხევსურეთში „მტყობიეს" ეძახოდნენ.

პაპაჩემი – ბაბალათ მინდია რომ გარდაიცვალა (საკუთარ სახლში თავმოყრილ სტუმრებს ორთქლამდინარი ხინკლიანი ხონჩით ხელში ჩამოუარა, ჟიპიტაურის დალევა დააძალა, სასმისები დააცლევინა, თავი უცებ შეუძლოდ იგრძნო, რკინის „კრაოტზე" არსენას გვერდით ჩამოჯდა, ბეჭებით ფარდაგიან კედელს მიეყრდნო და, შემიძლია ვთქვა, ნანატრი ნეტარებით დალია სული... ისიც კარგად მახსოვს, როგორ განმუხტა და ჩააჩუმა ამ მოულოდნელმა ამბავმა გილათ აკიას და ვაჟიათ გაბრიელის საგულისო შარი), ჯუთიდან როშკაში, ბლოში და ბაკურხევში გაიგზავნა თითო მტყობიე. დაკრძალვის დღეს სამივე სოფლიდან მოვიდნენ ცხენოსანი „მამკითხავ"-მოსამძიმრენი.

ნახევარი (და უფრო მეტიც) დღის სავალზე სხვაგვარად ხმის მიწვდენა ვერ ხერხდებოდა. მაშინ მთის სოფლებში არც რაცია იყო და არც ხაზის სატელეფონო კავშირი. ვერბალური თუ ვიზუალური ფიჭური კომუნიკაციების სიკეთე ხომ ჩანაფიქრშიაც არ არსებობდა!..

გავიდა წლები და ტექნიკურ პროგრესს ჩვენი უძველესი დიალექტების ბევრი ლექსიკური ერთეული შეაშრა და შეეწირა; დღითი დღე იკარგება აღსანიშნგამქრალი ცნებები და ტერმინები, რომელთა წიაღ ადგილობრივ მკვიდრთა ავტონომიური ყოფის არსებითი ასპექტები მოიაზრება. მათ შორის არის „მტყობიე" – ეთნოგრაფიული შეფერილობის სხარტი სიტყვა; მათ შორისვეა „მაწევარი" – პირი, ვისაც დღეობების, სადაგი სტუმრიანობისა თუ საჭირლხინო ამბების დროს თანასოფლელების „წევა" (მოწვევა, მოპატიჟება) ევალებოდა.

მაწევრის დანიშნულებაც ცივილიზაციის სიკეთემ ჩაანაცვლა: აკრეფ მობილურის ნომრებს და რამდენიმე წუთში მთელ სოფელს „მოივლი" და მოუძახებ!..

„მტყობიე". „მაწევარი".

თანდათან ვიწროვდება ამდაგვარ სიტყვათ მიმოქცევის ველი.

მხოლოდღა ლექსიკონებში – სულიერი საუნჯით სავსე ამ ზღაპრულ ზარდახშებში — უკავიათ მკვიდრი, უძრავი ადგილი...

## როგორც ოქრო ქვიშაში

„უილბლო ილბლიანი" – შედევრთა შორის უნუგეშოდ მიყუჟული, მიკარგული, „მიჩუმათებული" პოემა ვაჟა-ფშაველასი. და თავმარტო სტროფი ამ უილბლო, საშუალო თუ კიდევ უფრო დაბალი მხატვრული დონისა და ღირსების ზღაპარპოემიდან:

***ან-კი რა? ყველას მიგველის***
***ღია სამარის კარია,***
***ოქროს კუბო და ფიჭვისა***
***მიწისთვის თანაბარია...***

სტროფი, რომელიც არ გახლავთ ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი ვაჟას მეორეხარისხოვან ეპიკურ ქმნილებებში. მსგავსი სისადავითა და ხატოვანებით ალბეჭდილი პოეტური გამონათებებით საერთოდაც მდიდარია წუხილით ბედნიერი („მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული...") გენიოსის ნათელხილვათა უძირო, უკიდეგანო სამყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისევ სიტყვაზე

*„ყოველს ენას ბევრნაირი თავისი დასაკუთრებული ხასიათი აქვს...“*
**დიმიტრი ყიფიანი**

სიტყვების სიხარული: როცა ერთურთის გვერდით (მიჯრით, მიყოლებით) შინაურულად, ლაღად, ხალვათად გრძნობენ თავს; როცა კი არ ემტრობათ და ეზედმეტებათ, პირიქით – უყვართ და ეთანიებათ ერთმანეთი... ცალი (ცალფა) სიტყვა კენტი მგზავრივით მოწყენილია. მარტუღელივით ღონენაკლულია და, ალბათ, საბრალოც! მას ჟანგბადივით სჭირდება თავისი ფარდი და სადარი, გვერდში მდგომი, მხარის დამამშვენებელი სიტყვა, სიბეჩავის შეგრძნებამ და, აქედან, კოსმიურმა სევდამ რომ არ მოუთავოს ხელი... ლექსემათა გრძელი, ვრცელი, უსასრულო მწკრივი. სიტყვები – შუაცეცხლის ჯაჭვის რგოლები; წინადადება – სულიწმიდისა და ადამიანის ერთობლივი ნებით შექმნილი ჯაჭვი... ზოგი შესაქმისეული შთაგონებით ნაქსოვი; ზოგიც – ძაბუნი, მყიფე, მორღვეული, ღვთის წყალობა რომ აკლია, აი, ისეთი... სილბო ქსოვილისა და სიმტკიცე ნაჭედისა – როგორც „ვინმე მესხი მელექსე“ იტყოდა... სანიმუშო, საანდრეზო. მაგრამ ასეთი ცოტაა, ძალიან ცოტა!.. და გიხარია, დაუთვლელ ქვიშაში (აკაკის პოეტური სტრიქონების ალუზია) მარგალიტის მარცვალიც რომ გამობზინდება ხოლმე. ხშირად ერთი, ერთადერთი ჯიშიანი სიტყვის გაგონება გიამს და, რა გასაკვირია, შინაგანი შვების შუქს გფენდეს სიცოცხლეშივე უკვდავებასთან წილნაყარი მწერლების ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები. თუნდაც: ერთსტროფიანი ლექსი-შედევრი; ორაბზაციანი მინიატურა... იმგვარი, მთელ ხილულ თუ უხილავ სამყაროს („თავის ხატ-ღმერთიანად“ – ვაჟა) რომ იტევს და იუნჯებს...

სიტყვა: ყოფიერების სახლის სანერგე.

სიტყვა: სულის სამშობლოს ანი და ჰოე...

## გულქანი

ახლაც უფლის აუწონელი წყალობა მგონია, მე და ეთერს გულქან რაზიკაშვილის გაცნობისა და მერე და მერე ოჯახის წევრივით თანდათანობით გაშინაურების სიკეთე რომ გვერგო წილად.

ჯერ მე გავიცანი, მერე – ეთერმა.

მეგზურისა და თანამყოლის „სტატუსით“ ჩემზე ორი წლით უმცროს ფილოლოგებს ექსკურსიაზე წავყევი ფშავში. ღამე შუაფხოში, ახლა თეკლე ბადრიშვილი რომ ცხოვრობს, აი, იმ მიდამოებში, ტყიანი დაფერდების ძირას გავათენეთ... ბევრი დეტალი დრომ წაიღო, წაშალა. რაც მაშინ მოვიხილეთ, მოვისმინეთ და განვიცადეთ, ჩემზე უკეთ, დარწმუნებული ვარ, მედეა და დათო ჯაიანებს, ნონა თამასხანოვს, ნანა თავართქილაძეს, ნანა მინდორაშვილსა და სხვებს ემახსოვრებათ...

მეორე დღეს, შემოდგომის ძალნაკლული მზე ზენიტს რომ მიუახლოვდა, უკან გამობრუნებულებმა ჩარგლისკენ შევუხვიეთ. ვაჟას „მწირული“ ქოხი არც ერთს არ გვქონდა ნანახი და ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით! მახსოვს ვაშლისა და მსხლის ტოტებდამძიმებული, მსხმოიარე ხეები, ზოგი მათგანი თვით ვაჟა-ფშაველას ხელით დარგული, მოვლილი და გახარებული... ბებერი კაკლები (დღესაც დგანან); ეზოში, წყაროს გვერდით, წითლად მღვივანი ასკილის გაბურდული ბუჩქი; ჩაჩუმებული ჭიჭახევა და გაბმით ერთურთს მიყოლებული დარიანი დღეებისგან „მორჯულებული“, მოთვინიერებული ჩარგლურა...

გულქან რაზიკაშვილი დაბლითა ეზოს ღობისპირა კაკლის ჩეროში იჯდა და, როგორც ყოველთვის, ჭრელ ფშაურ წინდებს „შიბავდა“.

გვარი რომ ვუთხარი, ჩვენ შორის მოკლე დიალოგი გაიბა:

– ამირანო, ხევსური ხარა?

– ჰო, ხევსური ვარ.

– მაშ, ხევსურს ბურნუთიან ცხვირ არ გაგიკვირდება, კიდევაც მოვსწევ ეემ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათშია, კიდევაც გავილამაზებ ცხვირსა!..

მებურნუთე ქალების მეტი ვინ მყავდა ნანახი ჯუთასა თუ ხევსურეთის სხვა სოფლებში. გულქანის ნათქვამში ჩემთვის ახალი და, მით უფრო, მოულოდნელი არაფერი ყოფილა.

და ჩვენი იმდღევანდელი საუბრის ფრაგმენტები სიტყვასიტყვით მივანდე და მივაბარე უბის ყავისფერყდიანი წიგნაკის უჯრედებიან ფურცლებს...

გავიდა წლები.

ერთ დღესაც ეთერი იმ ჩემს ჩანაწერებს წააწყდა და ვიდრე ჩარგალში არ წავიყვანე გულქანთან შესახვედრად, საშველი და მოსვენება არ მომცა. და იმ დღიდან სულიერი ერთობის, თანაზიარობისა და ლამის ნათესაური სიახლოვის ბილიკი გაიკვალა ჩვენსა და გულქან რაზიკაშვილს შორის. უდროობა თუ უდარობა წინ ველარ გველობებოდა. ვერც მოუცლელობა და ულევი საოჯახო საზრუნავი გვიშლიდა ხელს. ავდიოდით და ხანდახან რამდენიმე ღამესაც ვრჩებოდით ჩარგალში... და ფშაური ნაჭრელას ორნამენტებივით გაება და გადაექსოვა ერთურთს ვაჟა-ფშაველას ტკბილ-მწარე ცხოვრების უცრუო, უტყუარი, თავიდან ვიდრე ბოლო წერტილამდე სანდო ქრონიკები. შეიქმნა წიგნი „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი", რომელმაც **1990** წელს პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ დაწესებულ კონკურსზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული პრემია დაიმსახურა...

* * *

მიზეზი გულის ფართქალისა და ფორიაქისა: ხელით ეხები და ესაუბრები ადამიანს, ვისაც ცა-დედამიწის სწორი მამის ხმა და მიმოხრა ახსოვს; ადამიანს, თაფლის კელაპტრად რომ უნთია საკვირველმოქმედი მშობლის სახება და ახლაც, ამ წამს მასთან ახლოს ყოფნას ნატრობს; უსმენ და ესაუბრები სასოვეთთავივით თეთრად ჩამოთოილ დროვნილ ქალბატონს (რაღაცით რომ არც შეჰფერის ეს სნობური ეპითეტი თუ მსაზღვრელი სიტყვა!), კინოკადრების ვიზუალური სიცხადით რომ ჩარჩენია სალ მეხსიერებაში შავი ღრუბლის ლეგიონებთან მეომარი მამის სახის ნაკვთები, ხასიათი, გაფოთება, თავშეკავებული ღიმილი და სამარადისო იდუმალებით გალიცლიცებული ის „ბედნიერი" წუთები, როცა განმარტოებული უხეშად ნაჩორკნ, სრულიად არაკომფორტულ სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა და თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი შთაგონების მწვერვალებიდან ღმერთთან ლაპარაკობდა...

გულქან რაზიკაშვილის მონათხრობში თავისი პირვანდელი მშვენებითა და სიალალმართლით სუნთქავდა და იმმუშნებოდა ფშავი; იხატებოდა ფშაველთა მიამიტურობამდე „მარტივი" ყოფისა და უშუალო, უეშმაკო ურთიერთობების დაუვიწყარი სურათები. წარსულის მკვრივი ნისლიდან გამოდიოდნენ მართას, თედოს, ბაჩანას, სანდროსა და გიორგის აჩრდილები; გამოდიოდნენ და მამაპაპეულ კერაზე, მშობლიურ ეზო-კარსა და კალოზე მართავდნენ საიდუმლო სერობებს... ხოლო საუფროსო, სამამაცო, კრძალვით მისაახლებელ შუაგულურ ადგილას მოჩანდა ლუკა, ვისთვისაც ფხოვის თავკაცობა და წინამძღოლობა განენესებინათ მშობელ ჯამაათსა და თავლაშარისჯვარს...

ყოველ ასვლაზე აგვქონდა ტკბილეული, სოსისი და ლიქიორი (სხვა რამეც, რაც უყვარდა და თავს არასდროს გადასდიოდა). გვიძებნია და აგვიტანია ნავთიც, ვინაიდან არაგვის ხეობაში ხშირად ითიშებოდა ელექტრობა და ლამპის შუქზე უწევდა დაჟამკრება, დაწყებული ხელსაქმის გაგრძელება და დასრულება.

ბოლო ხანებში, წელთა სიმრავლით დაღლილი და წელში მოხრილი, ჯოხის არგნებით დაიარებოდა. შორიდან, ძალიან შორიდან, დროთა სიბევრიდან და სიღრმიდან იცქირებოდნენ გულქანის ჭრელი, სიმწვანედაკრული თვალები. არაფერი გამოეპარებოდა. თანდაყოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ალლოთი არჩევდა ყალბსა და ნამდვილს, სუფთას და რიოშს...

და სწორედ იმ დროს, ძველ ნაწისქვილართან, მურყნიან ჭალაში ფურისულები რომ ამოშუქდებიან და მზისპირის ფერდობის ხეხილებს ჩირთი მოეძალებათ, გული გამალებით იწევს ჩარგლისკენ...

## დევნილი

არწივის დარიალებულმა შურთხმა (გარეული ინდაური, საჯიხვეების ბინადარი ჭროლა ფრინველი) იმ ჯანღსა და თოვაში ჩვენი სახლის დერეფანს შემოაფარა თავი.

ყურთასმენიდან, რა დროა გასული და, დღემდე არ გამსვლია ფრთოსანთა ზვიადი მეფის ღონიერი ფრთების საშიში შხუილი...

დევნილმა იმარჯვა და თვითგადარჩენის უტყუარი ინსტინქტის კარნახით სათივე გოდრებს შორის, გომურის ყრუ ყურის ყურეში შეიბუდა. (ცდაგაცუდებულმა მხარკვერიანმა ჩამოქუფრული ქარაფებისკენ გასწია...

ხის ნიჩბით ბანს ვთოვლავდი და ეს ჩქარი, ნერვული, უაღრესად დაძაბული სცენა ჩემს თვალწინ „გათამაშდა".

დაუპატიჟებელი – უზუსტეს ტროპულ დახასიათებაში ბესიკ ხარანაულს რომ დავესესხო – „ქვამარილისფერი" სტუმარი დაპირქვავებულ გოდორში გამოვამწყვდიეთ. მტკივან, ბუმბულგაცლილ მხარზე გარკვევით აჩნდა მტაცებლის ნაბრჭყალარი... ორ-სამ დღეში, რაკი არც წყლისთვის და არც პურის ნახორისა თუ საკენკისთვის პირი არ დაუკარებია, თავისუფლება ვაჩუქეთ, ვუწყალობეთ და გაფრენის ნება მივეცით. ელდისაგან აცხროებული სულიერის სიბრალულმა გადაფარა უგემრიელესი წვნიანისა თუ ჩახოხბილის რეალური პერსპექტივა...

იმ წელს, რატომღაც ასე დამამახსოვრდა, არნახულად ცივი და დიდთოვლიანი ზამთარი იდგა ჯუთაში.

## ვაქირში

ვაქირის გაზაფხული.

ჯაგნარიან ხრიოკებს ბროწეულის ბრდღვიალა ყვავილის ცივი ცეცხლი წაჰკიდებია.

დაყანთრებული საყდრის წინკარში წელში ოდნავ მოხრილი, წვერმოშვებული მამაკაცი გვხვდება და სულ ცოტა ხანში გაქერქილი ჯოხის ბჯენით გვმეგზურობს ისტორიული სოფლის (რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ აქაური იყო იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" მთავარი გმირი იოანე ხელაშვილი!) სანატრელ, საინტერესო წარსულში.

მიუხედავი, მოუვლელი, ღვთის წყალობის ანაბარა დარჩენილი ძეგლების ბედსა და მომავალზე ვსაუბრობთ. საფლავის ძველ ქვებს ვასუფთავებთ, ვათვალიერებთ, ვაკვირდებით და ალაგ-ალაგ ამომტვრეული ლაპიდარული წარწერების აღდგენასა და ამოკითხვას ვცდილობთ. და, რასაკვირველია, არც მრევლნაკლული სამლოცველოს სადა, უორნამენტო ფასადზე ამოკვეთილი ასომთავრულის მწკრივი გვრჩება უყურადღებოდ...

– გელა ქოქიაშვილი ჩვენებურია. მთელი საქართველო აქვს მოვლილი და გადაღებული. ტელევიზორშიც ხშირად გამოდის. აქაურობიდან რად აიკვეთა ფეხი. გადაეცით, რომ სააღდგომოდ ველოდებით და ჩამოვიდეს...

არ მიკვირს ჩვენი კეთილი მეგზურის, გვარად მოსაშვილის, ალალ სიტყვებს შუა გამოჟონილი საყვედურის კილო; არც ის, ძველთუძველესი ქრისტიანული ძეგლების თავგადაკლული ქომაგისა და გულშემატკივრის ახლობლობით გამოწვეული თავმომწონებაც რომ აშკარად იგრძნობა მის ნაუბარში.

ვისაც „ერთსულოვნების" ეთერში ჟურნალისტ გელა ქოქიაშვილის დოკუმენტურ გადაცემათა ციკლისთვის – „მოგზაურობა სამშობლოში" – უსმენია და უყურებია (დაუვიწყარი და შთამბეჭდავია თეთრიწყაროსა და დმანისის საკულტო-არქიტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურული საგანძურის შესახებ გაკეთებული მისეული კომენტარები და საქმიანი, კვალიფიციური საუბრები), დამეთანხმება, რომ ჯილდოებსა და პრესტიჟულ პრემიებს თუ არა, უშურველი მადლიერების გამოხატვას მაინც უეჭველად იმსახურებს ჩვენგან, ავკარგარეული თანამედროვეებისგან, ეს ამაგდარი, მაძიებელი, კეთილშობილი პიროვნება...

ვაქირელებისაც მესმის (ხშირად კერძო კაცი ხომ მთელი სოფლისა თუ რეგიონის სათქმელს ახმიანებს ხოლმე) და მგონია, რომ გელა მშობლიური წყალ-ჭალის ხმებისთვისაც მოიცლის; აუცილებლად მოიცლის!

## თუში ქალების საუბრიდან
### (ფრაგმენტები)

კასინე: ვერა ვიც, ჲეს რაგვერთა სიცოცხლეი, რო არაიც არ მტკივა-დ არც ვკვდებ!

რუსუდანი: ნუ გეშინის, თავის დრო მოგივ, ჲაქ არას დარშჩებ.

კასინე: დავრჩი-დ ეგე!

რუსუდანი: საბედა რო მოკვდ, ის თამრო ჲასთა თავთან ეჯდ, ჩახედავდა-დ...

კასინე: წუხრ, სიზმარში, საბედაანთას იყვნეს თამროიც, ბაბეიც, ნათელაიც... ჩხუბობდეს, ჩხუბობდეს რო, ვერა ვიც!..

რუსუდანი: აუ, ქა, ჲეს რაგვერთა სიზმარ გინახავ!

კასინე: გზაიმ მომციან (მამა-პაპის სალოცავებს გულისხმობს). არაიც არ დამიშავებავავ, – ვიყვიდი-დ დავაშავ თუ რაი-დ მით თუ ვიტანჯებ... საბედაი-დ თებრო რა ბედნიერად დი'ჴოცნეს, უთქმელად... ჲეგ უნდა დ'ინატროს კაცმ, სხვა არაფერ!..

მერე რადიკალურად იცვლება თემატიკა, მზერის რაკურსი, კვლავ სააქაოსკენ იზამენ პირს, მობრუნდებიან და გაჯავრებულები საუბრობენ ახალგაზრდა დედაზე, „გონთით გადასულმა“ და კაბის კალთაზე ეშმაკებასეულმა ურცხვად რომ მიყარა და მიატოვა თავისი სასკოლო ასაკის შვილები.

კასინე: დიდიდაებს ვერ სთმობს ადამიანი-დ, ბალღებ რაგვერ გადაყარ!

რუსუდანი: ეეე, ვერ მოქცეულ კარგ. ჲეგ რა ჩუ'დენავ. რაიმ გულ აქვ. ანამ ჭამაზე რაგვერ დაჯდებ, ანამ რაგვერ წვება-დ იძინებს!..

კასინე გულუხაიძე (მისი გაცნობისთანავე რომ დაიმსხვრა ჩემში სტერეოტიპი სიდედრისა!) – ლეკების რისხვად მოვლენილი ლოკალური გმირის შეთე გულუხაიძის პირდაპირი შთამომავალი; სოფელ ქუმელაურთაში, მისსავე ქვითკირში, 1925 წელს დაბადებული ბერდიაცი.

რუსუდან თილიძე – გიორგი თილიძის (ხალხური: „გორგის ციხეზედ აკრავის თორმეტ მარჯვენა მტრისაო“...) სახელოვანი გვარის 84 წლის ქალი.

კასინეს სმენის, მეხსიერებისა და მხედველობის მხრივ დიდად არაფერი დასტყობია; ფეხზე დგომისა და გადაადგილების ღონე აღარ შესწევს და, ეს ათი დღეა, ლოგინს არის მიანაბრებული.

რუსუდანი ჯერხნობით მხნეობს და ქვემო უბნიდან მონდავის მოსანახულებლად არის ამოსული.

ორივე ბასრი ქვის ნატეხივით მაგარი, საკირის ცეცხლის სიმხურვალეში ნაწრთობი, „უდერა“ ტკივილნაწვნევი ქალია. მშვიდად, უშიშრად, აუფორიაქებლად მოელიან საამსოფლო დღეთა „გათავებას“. ნატრობენ და ვერ აუხსნიათ, რად იგვიანებს, რა ლობე-ყორეს ედება და რად არ ჩანს ის, ვის სიაშიც (ე. თათარაიძე: „ჩვენ უბანსაც აუარ-ჩუარ მიქელ-გაბრიელის სიამ“) უკლებლივ ყველა ჩვენგანის ვინაობა გარკვევით, მკაფიოდ, პედანტური სიზუსტით არის ჩაწერილი და „ჩაგვირისტებული“.

P. S. დღეს 1 თებერვალია. წელი – 2015.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ემზარ კვიტაიშვილი



## მუსიკაც, ფერიც...

### (დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე)

პოეტებს იმისდა მიხედვითაც განარჩევენ ხოლმე – რომელი საწყისი, რა თვისებაა მათ შემოქმედებით ხელწერაში მთავარი; მხედველობითი ხატებისკენ არიან მიდრეკილნი თუ ფრაზის მუსიკალურ აღნაგობას აძლევენ უპირატესობას. არიან ისეთებიც, თითქმის თანაბრად რომ ითავსებენ ორივე ამ საწყისს, რაც განსაკუთრებულ ძალასა და მომხიბლაობას ანიჭებს მათ ქმნილებებს.

ვიზუალური და მუსიკალური საწყისების ასეთი ორგანული შეხამების მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. თვალი და ყური, ფერი და ბგერა ხშირად გვერდიგვერდ მოქმედებენ, არღვევენ ერთმანეთის საზღვრებს, ერწყმიან ერთმანეთს და სურათიც ხშირად ძალზე ტევადი, ღრმა შთაბეჭდილების მომხდენია. თავისთავად, აღნიშნულ თვისებათა ერთიანობა არ გამოდგება ისეთ ფაქტორად, რომ ამის გამო მისი მფლობელი ამჯობინო სხვა რომელიმე პოეტს, ვის შემოქმედებაშიც, ვთქვათ, ფერწერული სახეებია გაბატონებული. რა თქმა უნდა, მთავარია ტალანტის სიმძლავრე და ის – ვინ როგორ იყენებს ამა თუ იმ თვისებას.

მელოდიისა და ხატის მეზობლობა ისე ბუნებრივად ილანდება გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებიდან, ძნელია ეს მოვლენა შეგნებულ ლიტერატურულ ხერხად მიიჩნიო.

კონტრასტზე აგებულ ერთ ადრინდელ ლირიკულ შედევრში („ი.ა") ურბანისტულ გარემოს, სადაც მტვრიან ქუჩაში წაქცეული ბავშვის ოქროსფერი თმა და კამკამა თვალებია აღწერილი, უპირისპირდება აყვავებული ხეებით გადათეთრებული სოფლის იდილიური ყოფა:

***მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა***
***და გაისმოდა დების სიმღერა.***

ქვაფენილზე დავარდნილი ბავშვისა და ჰაერში ასვეტილი მტვრის ბულის შემდგომ („შეშლილი სახით კიოდა ქუჩა") მზეზე თეთრად აკელაპტრებული ალუჩის გამოჩენა უმალ ცვლის და ახალისებს განწყობილებას, მაგრამ ეს თითქოსდა აბსტრაქტული „დების სიმღერა" სულს უდგამს პეიზაჟს, ფუტკრების გუნდივით აშლის ყრმობის უნაზეს მოგონებებს. ამ ორსტროფიან ლექსში არიდებულია შედარებათა მოსახმობად გამიზნული დამხმარე სიტყვები, რაც სტრიქონებს მეტ ბუნებრიობასა და გამჭვირვალობას ანიჭებს. ხატვის ასეთი მაღალოსტატური და ძალდაუტანებელი მანერა, საერთოდ, გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოხმობილი ლექსის სათაურად გატანილი, „გასაიდუმლოებული ქარაგმა" („ი.ა") ვახტანგ ჯავახაძემ შეუმცდარი ალღოთი ამოხსნა და ეჭვმიუტანელად დაამტკიცა, რომ ეს უნატიფესი, შეფარული ნაღველით გა-

ჯერებული ქმნილება პოეტმა უძღვნა სიყრმის მეგობარს ირაკლი ამირეჯიბს. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისა და ცხოვრების თავგადაკლულმა მკვლევარმა ლექსის უშუალო წყაროს მიაგნო პოემა „ჯონ რიდის" ქრონიკისებურ სტრიქონებში („აქ იპოვეს ტყვიით მოკლული 5 წლის ოქროსთმიანი გოგონა"), ერთი სახლის კედელზე რომ ყოფილა მიწერილი. ვახტანგ ჯავახაძე იმოწმებს, აგრეთვე, გალაკტიონის 1948 წლის 8 ივნისის დღიურს, როცა იგი, მოსკოვში ყოფნის დროს, მოულოდნელად ტრაგიკული შემთხვევის ადგილას აღმოჩნდება „ნაცნობ ხესთან" და უმალ ცოცხლდება მწუხარე მოგონება. ძნელად მისახვედრი ქარაგმის გაშიფვრის შემდეგ „უცნობის" ავტორი მოკრძალებულად დასძენს: „აქ უნდა იგულისხმებოდეს ირაკლი ამირეჯიბი (ჩვენი სახელოვანი ჭაბუა ამირეჯიბის მამა), რომელთან ერთადაც დააბიჯებდა გალაკტიონი საბედისწერო 1917 წლის მოსკოვის „შემლილ ქუჩებში". („უცნობი", ინტელექტი – 2013, გვ. 712-713).

ქართული პოეზიის ყოველ მოყვარულს შეუძლებელია არ ახსოვდეს პოეტის ასეთივე ბრწყინვალე ლექსი „პირიმზე" – გარდასული დიდების, ოდესღაც გაჩახჩახებული, დღეს იავარქმნილი სასახლის გულისტკივილიანი გახსენება. მთვარის მაგიურ შუქზე ბალახში ნაგდები თეთრი სვეტები მარმარილოს სხივებად აღიმართებიან და სეფექალების ნარნარი ცეკვა ჩაღდება; ნანგრევებზე მოტარებული მზერა ახლა ოქრომკედით ნაქარგ ქოშებსა და აფრიალებულ ხელსახოცებზე დასრიალებს, ფერნაკლული სილუეტების რხევას „სამაიას" მიმკვდარებული რიტმი დაჰყვება. გათენებისას ყველაფერი მწარე რეალობას უბრუნდება; მუხლამდე შამბში იშხლართებიან მოცელილი სვეტები, ირგვლივ ისევ მიუსაფრობისა და უდაბურების განცდა ისადგურებს; ლექსს კრავს სხარტად ნაკვეთი ორი სტრიქონი, მრავლისმეტყველი ფინალი, რის უბადლო ოსტატად გალაკტიონ ტაბიძე ხშირად გვევლინება:

***გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი***
***და მწუხარება დამრჩა ასეთი.***

ჩვენ არც ამ ძმების ვინაობა ვიცით, მაგრამ მათ მიერ „მოხუცი ბაღის" გაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ყოფით დეტალს წააგავს, აძლიერებს ლექსში ზღაპრის ელემენტს; სევდა, რომელიც ამ სტრიქონებშია დაბუდებული, მრავალ საფიქრალს აღძრავს და მათ შორის უპირველესია წლობით ნალოლიავები სილამაზის გაჩანაგება, ძველი, პატრიარქალური კერის რღვევა, დაქუცმაცება...

ეს, თითქოსდა, უცნაური შესიტყვება („მოხუცი ბაღი") ამჟღავნებს ნიშანს იმ ახალი პოეტიკისა, ათიანი წლებიდან რომ დაეტყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას და რომელიც, თავისი არსით, ფრანგულ და რუსულ სიმბოლიზმს უახლოვდება.

აღნიშნული ეპითეტი რომ შემთხვევითი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ერთ მოგვიანებით დაწერილ ლექსში იგი სიმბოლოსეულ სიღრმესა და მდგრადობას იძენს, რთული ქვეტექსტით იტვირთება:

***მოხუცო სხივო, შენ კანკალებ –***
***ვხედავ, რომ კვდები...***

აქ არ გვაქვს ჩვეულებრივი პერსონიფიკაცია, თვისებათა უბრალო გადატანა, რასაც პოეტი მიმართავს, ის თითქოს არის და არც არის თვალუწვდენელ ლაჟვარდებში ნახეტიალები სხივი; იქნებ, სულაც შთაგონებით დაღლილი შემოქმედის ფანტაზიაა...

ამგვარ უჩვეულო შესიტყვებათა წარმომავლობა რომ უფრო ნათელი გახდეს, მცირე ექსკურსის გაკეთება მოგვიწევს. გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ წერილში, სადაც ლაპარაკია 1903 წლიდან დაწყებულ „ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე" (ყველაფრიდან ჩანს – ჩვენში ამ მიმდინარეობის დაწყებას პოეტი საკუთარ თავს უკავშირებს), ნათქვამია, რომ ამ მიმდინარეობამ თანამედროვე პოეზიაში „შემოიტანა ახალი სტილი: სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური, ნიუნსებით და ძიებებით სავსე, განშორებული ჩვეულებრივ ენას ყველა პალიტრების ფერებით, ყველა ტექნიკურ ლექსიკონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სიტყვებით, ყველა კლავიატურების ნოტებით, იდეები უკანასკნელთა მიერ გადმოცემულნი არიან გამოუცნობელი და ძლივს შესამჩნევი, ძლივს დასაჭერი ანარეკლით, ფორმა კი გადმოცემულია ნისლიდან და დაბურული სახეებით".

თვით ეს სტილი შეფასებულია, როგორც დეკადანსის სტილი, „პირდაპირი წინააღმდეგობა კლასიკური სტილის".

საკმაოდ ზუსტად და სახოვნადაა დახასიათებული მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ლიტერატურული ყოფა, სიტყვასთან ახლებური მიმართება. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „ახალი სტილის" ელემენტების ათვისებასთან ერთად გალაკტიონ ტაბიძე თავიდანვე კლასიკურ სისადავეს ელტვოდა.

აქვე უნებურად გვახსენდება ასეთი ფაქტიც: ერთხელ, როცა ტოლსტოის რომელიღაც დეკადენტი პოეტის ლექსის ნაწყვეტი წაუკითხეს, წამოიძახა: „რა გაბედულადაა ხატები გამოყენებული, ეს სიტყვას თავის მნიშვნელობას უკარგავს".

ფერისა და მუსიკის იშვიათი ნაზავია მცირე ლირიკული შედევრი „ატმის რტოო, დაღალულო რტოო..." სადაც გაზაფხულის ნიაღვარივით ატალღებულ სტრიქონებში უეცარი ქარ-წვიმისგან დაფენილი უნაზესი ყვავილები მიექანება. სურათი იმდენად ცოცხალი და დინამიკურია, ცხადლივ ხედავ და განიცდი; სიფრიფანა ვარდისფერი ფურცლები თითქოს სრბოლაში გასჯიბრებიაო ქაფმორეული ლანქერის სისოვლეს. ბუნების სტიქიონური ძალები შეწყობილად მოქმედებენ, რათა მღელვარე ფონზე მკვეთრად წარმოაჩინონ ადრიანი გაზაფხულის წარმავალი და თავბრუდამხვევი სილამაზე. რა სმენა და თვალი სჭირდება ოსტატს, რომ ყოველივე ეს ერთ მოკვეთილ ფრაზაში დასტიოს:

*ყვავილების ქარში მიჰქრის ტბორი.*

გალაკტიონ ტაბიძეს არ უყვარს მუნჯი, გაქვავებული ხედები, მის მიერ დახატული სურათი თითქმის ყოველთვის მოძრავი და ახმიანებულია, ამიტომაც სამუდამოდ გვებეჭდება მეხსიერებაში: იშვიათად თუ გადმოუცია ვინმეს მშობელი მიწის ასეთი სახილველი, ფიზიკურად შესაგრძნობი სიყვარული და, ამავე დროს, თაობათა ცვლის მარადიული სევდა, როცა აჩრდილების სამყაროდ ქცეული წარსულიდან ძვირფასი სახეების გამოხმობა გვიხდება:

*ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა*
*არ გავიარე – რაა მამული?..*
*წინაპართაგან წავიდა ყველა,*
*სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.*

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკიდან კიდევ უამრავი მაგალითის მოხმობა შეგვიძლია, თუ როგორ ერწყმიან ერთმანეთს ფერი და ბგერა. ასეთია თუნდაც მზის მხურვალებით გათანგული ლექსი „შუადღის გულმოდგინება", რომლის პირველივე სტროფი ორ, თვისობრივად განსხვავებულ (ხედვითი და აკუსტიკური), მაგრამ ერთ მთლიანობაში მოქცეულ პლანად ლაგდება:

*გულმოდგინებას შუადღე იჩენს,*
*იფენს რა ენებს, ვით წითელ ინას,*
*იწყებს ათასი ჭრიჭინა ჭრიჭინს*
*და ფხაჭნის ჰაერს – გაბზარულ მინას.*

ჩავარვარებული მზის ცეცხლოვან სიწითლეს, მეწამული საღებავით რომ არის გადმოცემული, ბროლივით გამჭვირვალე ჰაერზე არეკლილი ჭრიჭინების მჭახე ხმა უერთდება.

გალაკტიონი ყოველგვარი შემზადების გარეშე ქმნის სასურველ განწყობილებას და ზღაპრული ტონალობის ასაღებად საკმარისია კოშკებთან ახსენოს ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტანი – ჩვენს ცნობიერებაში თავისთავად გაკრთება „ვეფხისტყაოსნის" გრანდიოზული პანორამები:

*შავმა ნისლმა დანისლა*
*მთები დაღესტანისა,*
*აიმართნენ კოშკები*
*ცისა და ნესტანისა.*

აქვე შემოდის ქარის მოტივი, სწორედ იმგვარად, ადრე რომ აღვნიშნეთ; ამ სახეს ინტიმს, მიმზიდველობას მატებს პოეტისათვის ესოდენ დამახასიათებელი საგანგებოდ მიამიტური შეკითხვის ინტონაცია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***გახსოვს? ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა...***

მეორე ნაწილში, დაბალი შაირით რომ მიედინება, „მშობლიური ქარი“ კიდევ უფრო მომძლავრებულია, სურათები – კიდევ უფრო კონკრეტული; ვაზის ფოთლებისა და დატაროებული სიმინდების შრიალი ჩაგვესმის, მაგრამ ზღაპრულობის იერი აქაც შენარჩუნებულია. ლეონგრინეს ხსენება გალაკტიონ ტაბიძის უსაყვარლესი კომპოზიტორის – რიჰარდ ვაგნერის სიზმარეულ სამყაროს გადაგვიშლის წამიერად.

ლექსის ბოლო ნაწილი შედარებით მინორული ხდება, დამცხრალი ქარი ძლივს გასაგონ ჩურჩულს მიაგავს („სიო დაიბერა, ჩალა გაიჩალა“...), შეყვითლებული ველი გარინდებულია, ყოველივე „ოქროს ზღაპრად“ ქცეულა. მშვიდად, უშფოთველად ჩათავებულ სტრიქონებში ლომის ტყავივით დაფერილი შემოდგომა ნებივრობს. აქვე შეიძლება გაგვახსენდეს სიყმაწვილესთან გამოთხოვების მიმანიშნებელი, ულრმესი აზრის შემცველი უბადლო ფერწერული სახე, ფოთოლცვენის მელანქოლიასავით რომ ამღვრევს კაცის სულს:

***და ყოველივე როგორ ნაზდება,***
***როცა ახლოა მზე შემოდგომის.***

ამ სტრიქონების ავტორი ფერს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი მრავალი სახე ისე თამამი და უჩვეულოა, შთაბეჭდილება იქმნება – სიტყვების მაგივრად პოეტი საღებავებს იყენებს. თითქოს სეზანის ნატურმორტების ხასხასა სიმკვეთრეს ხედავდე, როცა გაგახსენდება:

***ველად ყრია ლურჯი კომში***
***და ცისფერი ატამი.***

შეუმცდარი ინტუიციისა და აბსოლუტური სმენის წყალობით, გალაკტიონ ტაბიძეს შეეძლო კონკრეტული ლექსისა და სათქმელისათვის აუცილებელი ფორმა გამოეძებნა, პოეტური აზრისათვის ზუსტად მიესადაგებინა მუსიკალური საფანელი. მან საუცხოოდ იცოდა, რომ მუსიკა ამძაფრებს, ათვალსაჩინოებს და მონათესავე ბგერების ჩარჩოში აქცევს ვიზუალურ წარმოდგენებს.

გალაკტიონ ტაბიძეს უხვად ჰქონდა მომადლებული გარდასახვის დიდად საჭირო და იშვიათი უნარი, რაც მის მძლავრ ტალანტს სხვა სურნელსა და შთაბეჭდილებას აძლევდა. მისი გონება ნაზიარები იყო მსოფლიო კულტურის უმაღლეს მიღწევებს, მის ლირიკაში გასაოცარი უშუალობით, ორგანულად აირეკლა ლიტერატურისა და ხელოვნების უკვდავ ქმნილებათა სიდიადე. მას ძალა შესწევდა, ორიოდ სიტყვით დაეხატა და გაეცოცხლებინა გარდასული ცივილიზაციები – ბაბილონი, ურარტუ, ეგვიპტე, ძველი საბერძნეთი, ძველი რომი თუ ბიზანტია...

რომელ ჩვენგანს დაავიწყდება ხვატისგან აკვნესებულ ქვიშაში სარკოფაგიდან წამომდგარი მუმია; ოდესღაც თაფლითა და ნელსაცხებლებით გაპოხილი სუდარის არტაშანებით შეკრული, შავად გაქვავებული გრძელი ჭუპრი, რომელშიც პოეტი ფარაონ რამზესის გოლიათურ ფიგურას შეიცნობს:

***ის იყო მეფე. ეხლაა მტვერი;***
***რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს,***
***არ შეუძლია იყოს პირფერი.***
***არ შეუძლია მტვერი არ იყოს.***

არ არსებობს ძალა და სიმაგრე, ამ ულმობელ კანონს რომ გაუმკლავდეს. ეს არის ყოვლის მმუსრავი დრო, ამაოების გაუძღომელი და გულგრილად გამომზირალი ხახა, ჩაუნთქავი რომ აღარა დარჩება.

რამდენიმე სტრიქონში სილის საათივით ჩამოიცლება „საუკუნეთ რიგი“ და ამ ჩუმ შრიალში თითქოს გვესმის ოდესმე უძლეველი იმპერიების გარდუვალი დამხობა. ყველაფერი გამქრალა. ესაა ოღონდ, ნილოსის პირას, ხავერდოვანი ორქიდეების უნაზეს ფურცლებს მალიმალ ატოკებს გრანიტის აკლდამებში დაუმწყვდეველი იდუმალი სულის მარადი ფორიაქი...

ამჯერად მხოლოდ შესადარებლად გავიხსენოთ „ისევ ეფემერას“ მომნუსხველი სტრიქონები: „ქარი არა ჩანს, ქარი არა

ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი", რომელთა შემდგომაც ქარში გადატეხილი მაღალი ჩინარის ხატი საკუთარი სიმაღლით წამებული პოეტის ხვედრთანაა გათანაბრებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ ლექსის („ქარი მოგონებათა") ბოლოს ერთ მთლიანობაშია მოქცეული ხაზგასმული კონტრასტი – ქალთან ალერსში ათრთოლებული ჭაბუკის გული და ზღვის უშფოთველი, გადასარკული ზედაპირი სურათს აცოცხლებს, დინამიკურობას მატებს.

სასურველი სახე და ეფექტი რომ შექმნას, გალაკტიონ ტაბიძე ხშირად მიმართავს თავისებურად ნაწარმოებ ფორმებს (მეტწილად – სახელის ზმნად ქცევა) და იმდენად ძლიერია მისი „სიტყვის ალქიმია", ყოველგვარი მოსალოდნელი ხელოვნურობა თავიდან არის აცილებული.

ერთი მხრივ, ამგვარი ფორმების შემოტანა ვიზუალური ხატების გაჩენას ისახავს მიზნად, ფერთანაა დაკავშირებული. მაგალითად, როცა ერთ ლექსში („დაფნა") ვკითხულობთ „და ოცნება მოგონებას იათ მოაიავებს"..., კონტექსტიდან ვიცით, რომ იის ლურჯი ფერი ავტორს შემოქმედის ამაღლებული და მეოცნებე ბუნების დასახატავად დასჭირდა. ლექსის პირველსავე სტროფში „პოეზიის ლაჟვარდი ცრემლია" ნახსენები.

ეს სიტყვა („მოიავება") სხვა შემთხვევაშიც ოცნებასთან, მირაჟთანაა დაწყვილებული და, რამდენჯერმე გამოყენების შემდეგ, კიდევ უფრო ბუნებრივ იერს იძენს, პოეტის ლექსიკაშიც მკვიდრდება.

ამ ტიპის ფორმათა ნაწილი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მუსიკალური ეფექტის მისაღწევადაა გამიზნული; როცა ერთ-ერთი ლექსის პირველსავე სტრიქონში ჩნდება ხომალდს გაყოლილი „თოვლის მადონას" ილუზორული სახე, იქვეა აღნიშნული მისი გრძნეული ძალა „...ყვავილები გიიადონა". ჭრელი ყვავილების მგალობელ ფრინველებად ქცევა მომაჯადოებელი ბგერებით ავსებს სივრცეს და სახესაც მითოლოგიური ელფერი ეძლევა.

ეს და სხვა ამგვარი სტრიქონები თავისუფალ ასოციაციებს აღძრავს და ლოგიკურ ანალიზს ნაკლებად ექვემდებარება.

პეტროგრადის ციკლს განეკუთვნება პოეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლექსი „ცხრაას თვრამეტი", რეტროსპექტულად რომ ასახავს სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან დღეებსა და რევოლუციური რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებას. ეს ნაწარმოები მრავალმხრივაა საგულისხმო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თვით ლექსი შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველია უშუალოდ პეტროგრადთან დაკავშირებული მოგონებანი – მოთარეშეთა უეცარი თავდასხმები, ხელჩართული პარტიზანული ბრძოლები, კატასტროფის დადარაჯება და ქარში ლიანდაგს აცდენილი მატარებელი, ზარბაზნის გრუხუნი და სიბნელეში დაკიდებული სალუტის ბრჭყვიალა მტევნები, საპნის ბუშტებივით რომ ქრება... სურათს კვლავ ბგერა ენაცვლება. ბალტიის ზღვაში საშიშრად, მძიმედ მოძრავი კრეისერები, რუპორში გახმიანებული კაპიტნის მჭახე ბრძანება, ჰაერს რომ ფხრეწს; დაუნდობელი ნგრევა, ქაოსი... ასეთ დროს განსხვავებული ტონის მოსინჯვა უხდება პოეტს, ხმა უმკაცრდება; თითქოს ლითონია შიგ ჩაღვრილი. „ატმის რტოს" უნაზესი მელოდია აქ არ გამოდგება. სულში დატრიალებული ქარიშხალი ტრაგიკულ ნოტებს ითხოვს:

***სასტიკი იყო ჩემი დემონი,***
***არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,***
***ანგელოსები უდემონი***
***ტიროდნენ გზათა მიუვალობას.***

უდემოდ დატოვებული ანგელოსი იგივე სატანაა და ეს ეშმაკეული სახეები თითქმის ბოლომდე გასდევს ლექსს; ყველაფერი სატანის გარეგნობას იღებს, თვით ოჯახის ერთგული, უწყინარი მუნჯი მსახურიც.

მეორე ნაწილი სამშობლოს ხილვით იწყება („აჰა, ნაპირიც, ჩვენი ნაპირი..."). ტონიც და ხაზებიც რბილდება. უცნაური სინაზე და სიყვარულია დატეული ერთ

ფრაზაში, შემოდგომით ფერნაცვალ ამ ნაპირს რომ გვიხატავს:

***იგი მშობლიურ თიბათვეს გავდა...***

ნაპირამდე ლარივით გავლებული გზის ბოლოს სილაში ჩაწოლილი ნავი ვან გოგის ცნობილი ტილოს სიცხადით წარმოგვიდგენს სურათს.

ნაპირს მოახლოებული ხომალდის გემბანიდან საუცხოოდაა დანახული ჰორიზონტი; იქ ორი მონათესავე სტიქია– წყალი და ჰაერი ერთმანეთს მიელტვიან. იალქნების წვეროებს დაუსერავს ეს მირაჟული მხარე „იქ, სადაც ზღვა და ცის დასავალი სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს“.

ლექსში მოქნილად, საოცარი სიმახვილითა და ოსტატობით არის დახატული პოეტის თანამგზავრი, რომლის არც განზრახვა ვიცით და არც ვინაობა. შიგადაშიგ ორგანულად იჭრება სასაუბრო ინტონაცია, რაც მეტად თავისებურ იერს აძლევს გალაკტიონ ტაბიძის ოციანი წლების ლირიკას:

***– მე იმერეთში წავალ, თქვენ საით?***
***– მეც იმერეთში, ჩემო ბატონო.***
***შევყევით გზაში ცბიერ მუსაიფს,***
***შენ თვლემდი, ცაო, უკაბადონო.***

ბოლო სტრიქონი თითქოს გამოყოფილია, ცალკე დგას. მსგავსი ჩანართები – კერძოდ, ცისადმი როგორც მესაიდუმლისა და თანამზრახველისადმი ასეთი უშუალო მიმართვა – გალაკტიონის საყვარელი ხერხია. გავიხსენოთ „ჭარხალის“ ანალოგიური სტრიქონი:

***შენ ბანცალებდი, ბურუსო ცაო.***

მძიმე გულისტკივილი ახლავს, ჩამავალი მზის ფონზე, მშობლიურ სოფელში ჩასვლას. საცოდავი შესახედია სახურავგადახდილი მტირალი სახლი, ჭიშკართან შემოგებებული მუნჯი მსახური, ბებერი ძაღლი, მოსული რომ იცნო და ყეფა შეწყვიტა... ყველაფრიდან უსაშველო სევდა ჟონავს:

***წვიმა... მდინარე... თვე ნოემბერი.***
***ვთქვი: მწუხარება ეხლა იწყება.***

გაპარტახებულ ეზოში ჭოტის კივილსა და ძაღლის აზმუვლებას ძაღლივით ერთგული მუნჯის (დავაკვირდეთ, როგორ გამოჩნდებიან ისინი ლექსში: „გამოგვეგება მუნჯი მსახური...“ „გამოგვეგება ძაღლი ბებერი...“) საზარელი ქვითინი ერთვის. აქ პოეტი იყენებს ერთ თავისებურ ფორმას, ბინდში ნელ-ნელა ჩაძირული კარ-მიდამო რომ დახატოს: „შეღამება ითანდათანა“. ცხადია, თუ რაოდენ დინამიკურს და ცხადად წარმოსადგენს ხდის ამ სურათს სიტყვის ოდნავი, არაშინაარსისეული სახეცვლილება.

ხსენებულ ლექსთან ხასიათით, ფაქტურითა და ტონალობით ახლოა „რამოდენიმე დღე პეტროგრადში“, რომელიც ავტორმა შემთხვევით როდი მოიხსენია ბლოკის „თორმეტნის“ გვერდით და რომელიც უთუოდ საგულდაგულოდ დაკვირვებისა და გაანალიზების ღირსია. ჩვენ აქაც ორიოდე შტრიხს შევეხებით.

უზარმაზარ, თეთრად გასუდრულ ქალაქში მოხვედრილი ყმაწვილი კაცი, ვისაც არსად არ მიესვლება, სადგურებსა და შემთხვევით თავშესაფრებში ღამენათევს „რკინაზე მძიმე ძილი“ ოცნებად გახდომია – ყველაფერს უნდობლად უყურებს, გამთოშავ ქარშიც მის გასამწარებლად მოგზავნილ და შენიღბულ ბოროტ ძალას ხედავს, ქუჩაც ავად შეფიფქული ეჩვენება, მის მხართან აქვითინებული „უცნობის სკრიპკა“ ყორანი ჰგონია. იქვე ცაზე გაიელვებს ყორნის კლანჭებში მოქცეული ქალის ნაზი ხელი. ეს, ალბათ, საკრავის გამჭოლავ ტირილზე გაჩენილი და მოლანდებული სახე უნდა იყოს, რეალობასთან დაახლოებული.

სამრეკლოებიდან აღარ ისმის ზარების გუგუნი. ვხედავთ, ნესტოებიდან როგორ აფრქვევენ ოხშივარს ეტლში შებმული გახვითქული ცხენები, ჩაბნელებული, მყუდრო სადგომი და თივის ცოხნა რომ ენატრებათ... ვხედავთ ფართო, უკაცრიელ ქუჩებს და ჩონჩხებად ქცეულ, თეთრად შებუმბლულ ხეებს...

***წყნებად დაღეწილ ხარების დარდი,***
***დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,***
***მე, ნოემბერი და პეტროგრადი –***
***ასეთი კარგი და უდაბური.***

ამ ლექსში, ორი წლით რომ უსწრებს „ცხრაას თვრამეტს“, უკვე საგრძნობია საგანგებოდ ხაზგასმული პროზაიზმები, ირონიის, დაუნდობელი სარკაზმის გამამხელელი კითხვები, უკვალოდ დაკარგული ნაფიცი ორატორების გასაკილად მიმართული:

***მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,***
***ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი.***

ეს პირწმინდად კანცელარიული ტოპოსი („როგორც ასეთი“) სწორედ რომ შეუცვლელია ამ ადგილას.

დაუვიწყარია ცეცხლში აქანავებული ლავრა და უაზროდ მობორიალე მთვრალები, ფილაქანზე ჩამწკრივებული მათხოვრების ხურდაფულიან კოლოფებს ფეხს რომ კრავენ და ამტვრევენ („ბრმების თუნუქებს ტეხენ ლოთები“...).

ასევე სამუდამოდ გვრჩება ხსოვნაში ვიოლინოს სიმივით აწივლებული ფინალი, გამწარება სასოწარკვეთამდე მისული კაცისა, ვისაც ერთადერთ ხსნად კოლეგისკენ მიმავალი გზა ეგულება:

***თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!***
***მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,***
***გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,***
***ანდა რევოლვერს დავიცლი გულში!***

გასაცოდავებული, ღონემიხდილი ბავშვის ტირილი ყველაზე მეტად შეძრავდა პოეტს. მას, ალბათ, კარგად ეხსომებოდა დიმიტრი კარამაზოვის გულის სიღრმიდან ამომსკდარი კითხვა, მოსვენებას რომ არ მოგცემს: „რა ატირებს ბავშვს?..“

ამავე ნიშნით გავიხსენოთ პოეტის მცირე შედევრის ბოლო ორი სტრიქონი, მთელი თაობების სულიერი ბიოგრაფიის ნაწილად რომ იქცა და არავითარ განმარტებას არ საჭიროებს:

***ახლა იწყება წიფის გვირაბი,***
***თქვენ ხომ არაფრი შეგეშინდებათ?..***

გალაკტიონ ტაბიძეს არ ეშინია, დროდადრო უარი თქვას ნებისმიერ ორნამენტზე და ბუნების ჩვეულებრივი მოვლენა საკუთარი მიუსაფრობის სევდიან სადგურად აქციოს:

***...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,***
***რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.***

სხვაგან არანაკლები იდუმალებით ავსებს სივრცეს თითქოს დაშორებულ ცნებათა თუ გარეგნულად განსხვავებულ სიდიდეთა ერთმანეთის გვერდით ხსენება:

***უდაბურება კალუგის ველის***
***და მწუხარება ჩვენი, ქართული.***

ან კიდევ ასეთი შეფარვით ნათქვამი, უხრწნელ მშვენიერებასთან, უკვდავებასთან შეთანხმებული და წილნაყარი სტრიქონები რამდენს ამბობენ:

***თითქოს ბერდები? არაფერია,***
***ათასი წლისაც არ დაბერდები...***

გალაკტიონ ტაბიძე უწყვეტ, სისხლისმიერ კავშირს გრძნობდა ქართული პოეზიის გიგანტებთან, რაც აირეკლა კიდეც მის უმდიდრეს შემოქმედებაში.

იგი „აჩრდილის“ „თანამდევი სულივით“ თითქოს ყოველი ეპოქის მომსწრე იყო, უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე თავისი ძნელბედიანი ერის ცხოვრებით იცხოვრა და მეოცე საუკუნეში იხსენებდა ძვირფას სახელებს, წარსულის ნისლში ჩაძირულ სურათებს. სხვანაირად ვერ იტყოდა:

***მე შოთას ვიცნობ ძალიან ახლოს...***

ამის უფლება კი ნამდვილად ჰქონდა. „პოემა ვეფხვისა“ მართლაც რომ უბადლოდ იცოდა და რუსთაველის ფანატიკურმა, თავდავიწყებამდე მისულმა სიყვარულმა შეაძლებინა, შინაური კაცივით ეგრძნო თავი მისი გმირების მზიურ სამყაროში.

ეროვნული მოტივი ძალზე მძაფრად გამოიკვეთა გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლექსში „მშობლიური ეფემერა“. თავისი დიდი წინაპრების (აკაკი, ვაჟა) მსგავსად, ამ ლექსის ავტორს ქართველი ერის მითური გმირის – ამირანის – გამოხმობა მოუხდა.

ამირანის სახე ტანჯული საქართველოს სიმბოლოდ სხვებზე ადრე აკაკიმ გაიაზრა და გმირის ატრიბუტებიც მან წამოწია წინა პლანზე ყვავ-ყორნებისგან გულმკერდდაფლეთილ მიჯაჭვულ ტიტანში („იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!“).

„მშობლიურ ეფემერას“ თავიდან ბოლომდე გასდევს განმეორებული სიტყვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის მწუხარე ექო, რასაც თვალით უხილავი არსების კვნესა მოჰყვება:

***შეხავსებია კლდეები კლდეებს,***
***აქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.***
***„ამირანია?“ მივმართავ ტყეებს***
***და ტყე გუგუნებს: ამირანია!..***

ტყე სულიერივით იძლევა პასუხს; ვისმენთ ექოთი მძლავრად გახმიანებულ სიტყვას და შთაბეჭდილება იქმნება, რომ ე.წ. „სარკისებური სიმეტრია“ პლასტიკიდან აკუსტიკის ენაზეა გადატანილი.

და მაინც, ეს არ არის უბრალო განმეორება, განსხვავება გარეგნულად და შინაარსობრივად იდენტური სიტყვების ინტონაციაშია; გადაძახილ-გადმოძახილს კითხვა-პასუხის ფორმა ეძლევა, რაც მარჯვე ლიტერატურული ხერხის სახეს იღებს.

ტანჯულის კვნესა აფორიაქებს ტყეში მოარულის გონებას (ეს ტყეში მოხვედრაც ერთგვარ სიმბოლურ პასაჟად უნდა მივიჩნიოთ, ისევე, როგორც სიმბოლურად იწყება ცხოვრების ნახევარგზაზე, უსიერ ტევრში გამოფხიზლებული დანტეს პილიგრიმობა ჯოჯოხეთის ჯურღმულებისკენ). ლექსის ლირიკული გმირი საკუთარ გულად თვლის ყვავ-ყორნებისგან ნაძიძგნ ამირანის გულს, წამით თავის თავსაც ერის პერსონიფიცირებულ ზეკაცთან აიგივებს:

***ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,***
***ის გული ისევ ჩემი გულია...***
***„დაკარგულია?“ მივმართავ ტყეებს,***
***და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...***

აქ არაა დაკონკრეტებული, თუ რა არის დაკარგული, მაგრამ ეს მოჩვენებითი გაურკვევლობა (შემკითხველს და პასუხის გამცემს „სიტყვის უთქმელად“ ესმით ერთმანეთის) კიდევ უფრო ამძაფრებს ლექსის ტრაგიკულ ტონს და ჩვენ ვხვდებით: რაღაც დიდის, საარსებოდ აუცილებელის (ან თვით არსებობის) დაკარგვაზეა ლაპარაკი.

***ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,***
***ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.***

ამ სტრიქონებში ფორმულის სიზუსტით არის ჩამოქნილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ბუნება და გარეგნული ნიშნები.

პოეტის არაერთი შედევრის კითხვისას ჩნდება ისეთი განცდა, თითქოს თვალს აყოლებდე ქვასა თუ ხეში ჩაწნულ ქართულ ორნამენტს, მზეზე გაშვებული, გაკლაკნილი ვაზის ლერწივით რომ არ უჩანს თავი და ბოლო.

ამ შთაბეჭდილებას, ვფიქრობ, რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს. ერთ-ერთია ლაიტმოტივის თანდათანობითი, მიზანსწრაფული გაძლიერება, რასაც ლექსის ნატიფი მუსიკა და ზუსტად მორგებული რიტმი გასდევს. თვით მუსიკისა და რიტმის მაქსიმალურ მოწესრიგებას, დაუბრკოლებელ დენას დიდად უწყობს ხელს ცალკეული განმეორებანი, აგრეთვე, საკმაო სიხშირით გამოყენებული შიდა რითმები, სტრიქონიდან სტრიქონში გადამავალი მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა მელოდიურ ნაკადს რომ ქმნიან.

საამისო მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება, მაგრამ ამჟამად დავჯერდები რუსთაველის ციკლის მხოლოდ ერთ ლექსს („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“), სადაც რვამარცვლიან დაბალ შაირში საგანგებოდ გაძლიერებული ჯვარედინი რითმები და მათ შესაბამისად ალიტერირებული სტრიქონები ტემპს უკიდურესად აძლიერებენ.

მართლაც საოცარი ძალა უნდა ჰქონდეს პოეტს, რუსთაველი რომ აამეტყველოს და აამეტყველოს ისე, გჯეროდეს – გულისა და გონების შემძრავი სწორუპოვარი „მესხი მელექსე“ განდობს თავის აღსარებას.

რა ხერხემალი უნდა გქონდეს, რაოდენი სითამამეა საჭირო – გენიის სისხლიდან დაძრულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზას შენი შეანაცვლო და დაბლა არ დაეშვა, მის მზიურ სიტყვას შენი სიტყვა შეერწყას და შეეხორცოს, შენებურად დაატრიალო სათქმელი და მაინც რუსთაველის ნათქვამად დარჩეს:

***ვწერ ვინმე მესხი მელექსე,***
***რაც კი მივლია მე გზები,***
***ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,***
***ჯერ მზე და მერე ლექსები.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თამაშ-თამაშითა და სილაღითაა ამოთქმული ლექსისა და მზის გაიგივება, შებრუნებული რიგით დასახელება; ეს არ არის საგანთა და მცნებათა უბრალო გადაადგილება – ეფექტი გაცილებით დიდია; სალექსო სტრიქონებს ორნამენტში ორივე მხრიდან ჩაკარგული ხვეული ხაზების სიმეტრიულობა ენიჭება.

ამ კაცის მთელი არსება, მიწაზე ყოფნის ყოველი დღე („რაც კი მივლია მე გზები"...) ლექსმა შეიწირა, ლექსის მცხუნვარებამ დაადნო; ბედისწერასავით თავს დატეხილი ამ სასწაულის გვერდით სხვა ვერაფერი თავსდება.

შემდეგი ორი სტროფი წამიერად „ვეფხისტყაოსნის" პროლოგს გვაგონებს – ლექსის მოქნილობა და სისხარტეა დახასიათებული, შაირის მოსხლეტით, ისარივით სროლა და თოფის ხმასავით მკვეთრი, მეხის გავარდნასავით სუფთა ხმა, ხანაც მაისის ყვავილივით ნებიერი რხევა; პოეზიის ენაზე ამეტყველებული სხვადასხვა საკრავები (დაირა, ჩანგი) ერთ გაბმულ, სევდიან მელოდიას უნდა გამოსცემდეს, ერთ სათქმელს დასტრიალებდეს თავს. დავაკვირდეთ ბგერათა უწყვეტ ჯაჭვს, ფონეტიკურად მსგავსი სიტყვები როგორ ცეცხლის ენებივით გადადიან ერთი სტრიქონიდან მეორეში:

***იყოს ნაკვეთი შაირი,***
***როგორც ნასროლი ისარი,***
***ხან სროლა ქუხილნაირი,***
***ხან რხევა სამაისარი,***
***ხან საკვნესარი დაირი,***
***ხან ჩანგი მოდაისარი,***
***ის არი სუნთქვა, ჰაერი,***
***მთელი სიცოცხლე ის არი.***

ლექსის ფინალური სტრიქონი პირველის თითქმის უცვლელი განმეორებაა, ოღონდ თავში „მე"-ს ჩასმა კიდევ უფრო ამძაფრებს ისედაც ძლიერ რუსთაველისეულ ალიტერაციას. შეუმცდარი ალღოთია მოხმობილი ტკივილისგან აწრიალებული დაკოდილი ვეფხვის სიმბოლიკაც, რომლის მეოხებითაც ხელშესახები სიცხადითაა დახატული პოეზიაზე თავდავიწყებამდე შეყვარებული, ველად ლექსისთვის, „ოცნებისთვის გაჭრილი" მოყმე:

***შმაგი ვით ვეფხვი დაჭრილი,***
***მშობლიურ მთა და ველებზე,***
***ვარ ოცნებისთვის გაჭრილი,***
***მე, ვინმე მესხი მელექსე.***

ქართულ ჩუქურთმასთან გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სიახლოვე ყველაზე ხელშესახებად ცხადყო მისმა ყველაზე გვიანდელმა შედევრმა „ქებათა ქება ნიკორწმინდას", ქართული ხუროთმოძღვრული გენიის ნამდვილ ჰიმნს რომ წარმოადგენს.

ნიკორწმინდის ხელთუქმნელი ტაძარი, ეს „ქვაში მოქცეული პოემა", როგორც ერთი ფრანგი მოქანდაკე იტყოდა „ნოტრ-დამზე", პოეტმა კვლავ სიტყვაში გააცხადა, ლექსის მთრთოლარე ენაზე გადაიტანა კამარებსა და სვეტებში „მიკარგ-მოკარგული" გზნება, მზის შესახვედრად წამომართული „ფრთიანი ფასკუნჯები", მტრედივით აალუღუნა „ყელი გუმბათისა მაღალღეროვანი"...

მრავალთა შორის გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ერთი შაირის ფორმით დაწერილი ლექსი, აკაკისებური სისადავე და სილაღე რომ დაჰყვება. მასში კალმის უბრალო მოსმით ბრწყინვალე ავტოპორტრეტია მოხაზული:

***შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის***
***ზეციური მირონია,***
***მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის***
***ღვთაებრივი ირონია.***

ამ სტრიქონებს როცა კითხულობ, უნებურად შეიძლება თვით ირონიის მეფე, ძველი ათენის ხმაურიან ქუჩებსა და მოედნებზე მოსიარულე სოკრატე დაგიდგეს თვალწინ. იგი ყველა მსურველს უჩერდება, ყველასთან აბამს საუბარს და ყველას არწმუნებს თუნდ ყველაზე უბრალო და უეჭველი ჭეშმარიტების არცოდნაში, წვრილი ნაოჭებით დაღარულ სახეს კი ეშმაკურიმ ღიმილი არ შორდება. რატომღაც გწამს, ბებერი სილენი დაღვრემილი და სასოწარკვეთილი არც მაშინ იქნებოდა, როცა მშობლიურ ქალაქში, ხმის უმრავლესობით, სიკვდილი მიუსაჯეს. მოგვიანებით ერთგულ მეგობრებსაც ღი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მილით ეტყოდა უარს დილეგიდან გაქცევაზე და იმ უკანასკნელ დილაბნელშიც შხამიანი თასის მოლიცლიცე ფსკერზე თავის ჩაშავებულ გამოსახულებას დამცინავად გაღიმებულს დაინახავდა.

ვინც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას ასე თუ ისე იცნობს, უეჭველად შეამჩნევდა პოეზიის ეტალონად ქცეული რუსთაველის სახელისადმი მის უსაზღვრო თაყვანისცემას. ამავე დროს იგი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ღირსეულ მემკვიდრედაც თვლიდა თავს. ერთგან ვკითხულობთ: „ლექსია რუსთაველის და გალაკტიონის საწყალის“.

აქ, რა თქმა უნდა, იგრძნობა თავმდაბლობა და მოწიწება საამაყო წინაპრისადმი, მაგრამ ეპითეტი „საწყალი“ მთლად პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ. რუსთაველის გვერდით საკუთარი თავის მოხსენიება უკვე აშკარა, მაგრამ სამართლიან პრეტენზიაზე მიგვანიშნებს.

საერთოდ, გალაკტიონ ტაბიძე ღრმად იყო დარწმუნებული თავისი თავის ერთადერთობასა და სიდიადეში და ეს იმდენ ადგილას აქვს ნათქვამი და ისეთი ზომით, ჩვენ ბევრს ვერაფერს მივუმატებთ. როგორც იტყვიან, პოეტს ძალიც შესწევდა ქადილისა.

გალაკტიონ ტაბიძემ რიტმთა, ტექნიკურ საშუალებათა თუ ფორმათა ისეთი მრავალფეროვნება შექმნა, იმდენი შესაძლებლობა გამოამჟღავნა, რომ ამ მონაპოვართა შენარჩუნება და შემდგომი გაღრმავება ყოველთვის საამაყოდ ექნება მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს და თვითმყოფად ქართულ პოეზიას.

იგი ხშირად ჭვრეტდა თავის ლექსს პირუთვნელი მომავლის თვალით, იმ მომავლისა, ოდნავადაც რომ არ აშინებდა; რომლის აზრიც წინასწარ იცოდა. ამიტომაც წერდა ასე დაჯერებულად „ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი“:

***შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,***
***როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.***

აქ უკვე ძეგლად ხედავდა თავის თავს „ლურჯა ცხენებისა“ და „ეფემერას“ ავტორი. მის ლექსებში ხშირად არის ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაულეველი სადღეგრძელოები... ეს თრობა სხვა თრობა იყო, უმაღლესი პოეზიის ნექტარი წუთებით გაზრუება; მის ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით კი არა, ფიცით იყო სავსე, მამულისათვის თავდადების ურყევი ფიცით...

ჩვენ მუდამ გვახსოვს მისი მწუხარე, უჭკნობი მშვენიერებით მადლცხებული სტრიქონები, სიჭაბუკის ჟამს ლოცვასავით წარმოთქმული:

***ღამენათევი და ნამთვრალევი***
***დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან.***

ტანჯვისა და განწმენდის რა ეკლიანი გზა უნდა გაევლო პოეტს, ჩამავალ მზესავით როგორ უნდა დამცხრალიყო მისი ქარიშხლიანი სული, რომ მერე ასე მშვიდად და დარწმუნებით ეთქვა:

***ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი***
***აიმართება მშობლიურ მთებზე.***

ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს. საკუთარი სიმაღლით მთვრალი პოეტის ცისფერი ორეული სამუდამოდ შეზრდია მისგან განურჩეველ და მასავით მოკამკამე ცის უსასრულობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფაზილ ისქანდერი



## ხელჩხინკა

უკვე გიამბეთ, როგორ მოვხვდი ერთხელ, ბავშვობისას, საფლავის ორმოში, როცა ჩვენი ნათესავის სახლისკენ მივტანტალებდი. ღამე იყო და იმ წყეულ ორმოში რამდენიმე საათი გავატარე გზააბნეულ თხასთან ერთად, სანამ იქიდან თხიან-ყველაფრიანად ერთმა შემთხვევით გამვლელმა გლეხმა არ ამომათრია.

ეს ამბავი ომის დროს მოხდა.

ჩემი იმღამინდელი თავგადასავლიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ, ესე იგი: დედაჩემი, მე და ჩემი დაიკო სწორედ იმ სოფელში დავსახლდით. ჯერ ნათესავთან ვცხოვრობდით, მაგრამ მალე ერთ სახლში ოთახი ვიქირავეთ და იქ გადავბარგდით. იმ სახლში ომამდე სამი ძმა ცხოვრობდა. მაშინ კი ყველანი ფრონტზე იყვნენ. ერთ მათგანს დაქორწინებაც მოესწრო და მთელ იმოდენა ოდაში მხოლოდ მისი ახალგაზრდა, ფერ-ხორცით სავსე, არც მაინცდამაინც მოწყენილი ცოლი დარჩენილიყო. როცა ის ქალი მაგონდება, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ უქმროდ დარჩენილ ქალს იმიტომაც ეძახიან „ჩალის ქვრივს“, რომ ჩალასავით იოლად ენთება.

ჩვენს იქ ყოფნაში ერთ-ერთი ძმა დაბრუნდა, სწორედ ის, ცოლიანი რომ იყო. როგორღაც უხმაუროდ დაბრუნდა, უჩუმრად. ერთხელ, ავდექით დილით და, ბიჭოს! — სამზარეულოში არ ზის! მიფიცხებია შუაცეცხლს და შამფურზე წამოგებულ ჭყინტი სიმინდის ტაროებს წვავს, გეგონებოდათ, ბავშვობას იხსენებსო. ჯობდა, ჯერ არ დაბრუნებულიყო. ან იქნებ ის აჯობებდა, დაქორწინებაზე არ წასვლოდა სული, რადგან, მე მგონი, სწორედ ცოლი მოენატრა და ამან დააჩქარა მისი დაბრუნება.

იმ უბედურმა რაღაც თავგანწირული სიხარბით იფუსფუსა კარ-მიდამოში დაახლოებით ერთი კვირა და მერე წაიყვანეს. ცოტა მოგვიანებით კი შევიტყვეთ, რომ დეზერტირი ყოფილა, ისევე უხმაუროდ წაიყვანეს, როგორც მოვიდა.

ახალ საცხოვრებელ ადგილს თანდათან შევეჩვიეთ. ჩემი და კოლმეურნეობაში მოეწყო მოანგარიშედ, მერე მიწის ნაკვეთიც მოგვცეს, სადაც ნესვი და სიმინდი მოგვყავდა. გოგრასაც ვთესავდით იმ ნაკვეთზე, კიტრსაც ვთესდით, პომიდორსაც. ყველაფერს ვთესავდით მაშინ.

და აი, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა სწორედ ის კაცი, ვის საფლავშიც თავი ამოვყავი მაშინ. სიტყვამ მოიტანა და, სოფელში ამბობდნენ, იმ სამარეში ყველა ვარდება, გარდა იმისა, ვისთვისაც განკუთვნილიაო. ეს უცნაური ამბავი ერთობ რთული და არეულ-დარეული გამოდგა. მისი მომავალი მფლობელი (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოხუცი შჩააბან ლარბა, მეტსახელად „ხელჩხინკა“, ჭიანაწლავის თუ თიაქრის გამოისობით ქალაქის საავადმყოფოში

წლილა (ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, „ხელგამხმარი" ეწოდებინათ მისთვის, მაგრამ „ხელჩხინკა" კიდევ უფრო ზუსტად გამოხატავდა მეტსახელის არსსა და მნიშვნელობას). მაშ ასე, გაუკეთეს ხელჩხინკას ოპერაცია და ისიც თანდათანობით მოდიოდა ჯანზე. მაგრამ აი, სრულიად მოულოდნელად საავადმყოფოდან სოფლსაბჭოში დარეკეს: ავადმყოფი გარდაიცვალა და დაუყოვნებლივ წაასვენეთ, უკვე ორი დღეა, მკვდარიაო.

საავადმყოფოში იმ დროს მისი ნათესაობიდან არავინ გახლდათ, რადგან ხელჩხინკა დღე-დღეზე უნდა გამოწერილიყო. თუმცა, იმხანად ავადმყოფის თანასოფლელი მუსტაფა გაემგზავრა ქალაქს რაღაც წვრილმანებზე და სწორედ მას ჰქონდა დავალებული – შეევლო საავადმყოფოში და გაეგო, რატომ არ ბრუნდებოდა ხელჩხინკა? ან იქნებ, თიაქრისა თუ ჭიანაწლავის გარდა, ხელჩხინკობისგან განკურნებაც ჰქონდა გადაწყვეტილი? და აი, უეცრად ასეთი მოულოდნელი ამბავი!

ნათესავებმა, ჩვენებური ადათწესებისამებრ, მეზობელ სოფლებში უბედურების მაცნენი დაგზავნეს, ხოლო ეზოში ბრეზენტის კარავი გაჭიმეს, სადაც ქელეხს აპირებდნენ და ის წყეული ორმოც ამოათხრევინეს სასაფლაოზე, მე რომ ჩავვარდი.

კოლმეურნეობამ მიცვალებულის წამოსასვენებლად თავისი ერთადერთი მანქანა გამოყო, რადგან იმხანად ომი მძვინვარებდა და ამის გაკეთება საკუთარი სახსრებით ძნელი იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოაგვარეს, როგორც მოკვდავთ შეჰფერით; მოკვდავთ-მეთქი, ვამბობ, მაგრამ თვითონ შჩააბან ლარბას არ ვგულისხმობ, ის, თანასოფლელთა თქმისა არ იყოს, სიცოცხლეში არავის აძლევდა მოსვენებას და სიკვდილის შემდეგ ხომ სულ გაუვიდა თავს!

ამ სამწუხარო ცნობის მეორე დღესვე მოასვენეს მანქანით მიცვალებული. რის მიცვალებული, რა მიცვალებული, ცოცხალი არ ყოფილა?!

თურმე, ხელჩხინკა ხმამაღალი ლანძღვა-გინებით შევიდა ეზოში. თანაც, მუსტაფა ხლებია და სიარულში შველოდა. ხელჩხინკა იმას კი არ აღუშფოთებია, მისი გარდაცვალების ხმა რომ დაეგდოთ და დაკრძალვის თადარიგიც დაეჭირათ. არა, ხელჩხინკა იმან გადარია, რომ შესვლისთანავე შეამჩნია: ბრეზენტის კარვის გაჭიმვისას ორი ძირი ვაშლისთვის ტოტები შეესხეპათ. აჯაჯღანებულმა ხელჩხინკამ მაშინვე უჩვენა, როგორ უნდა გაეჭიმათ ბრეზენტი, რომ ხეები არ დაეზიანებინათ.

ამის შემდეგ, თურმე, სტუმრებს ჩამოუარა და ყველას სათითაოდ მიესალმა, თან გამომცდელად აკვირდებოდა თვალებში, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ჯერ ჩემმა სიკვდილმა და მერე მოულოდნელმა გაცოცხლებამო.

შემდეგ ის ხელი მოიჩრდილა, ოცი წელიწადი რომ უხმებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გახმობია, და საკმაოდ თავხედურად დაუწყო მოტირალ ქალებს ჭვრეტა, თითქოს ვერ გაეგო, რისთვის მოსულიყვნენ.

– თქვენ რაღა გნებავთ? – ჰკითხა ხმამაღლა.

– ჩვენ... არაფერი, – უპასუხეს დაბნეულებმა, – შენს სატირლად მოვედით.

– ჰოდა, დაიწყეთ მერე, რაღას უდგახართ! – უბრძანა ხელჩხინკამ და ყურთან ხელისგული მიიდო, უფრო გულდასმით რომ მოესმინა თავისი დატირება, მაგრამ დროულად ჩაერია ვიღაც და სატირლად მოსული ქალები გვერდზე გაიყვანა.

როდესაც კეთილ-ნათესავების მიერ მოძღვნილ შეწირულებას მოჰკრა თვალი, ხელჩხინკა ჩაფიქრდა. საქმე ისაა, რომ ჩვენში ჭირის დღეს ძალიან ფართოდ აღნიშნავენ; ასე რომ, თუ მთელი იმოდენა ხარჯი მიცვალებულის ოჯახმა გაიღო, ცოცხლებს, თავის მოკვლის გარდა, სხვა აღარა დარჩენიათ!

ამიტომ ასეთ შემთხვევაში ყველა ნათესავი და მეზობელი ეხმარება მგლოვიარე ოჯახს. ვინ ღვინოს მოიტანს, ვინ –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემწვარ ქათმებს, ვინ კიდევ ხაჭაპურებს; ზოგი ისეთიც გამოერევა, უშობელსაც მოაყოლებს.

და აი, სწორედ ერთ მეზობელ სოფლელ ნათესავს მოეყვანა თანთქარა უშობელი, რომელიც ხელჩხინკას მომეტებულად მოსწონებია. სიტყვას მოჰყვა და იმასაც ამბობენ, ხელჩხინკას სამარეც იმ ნათესავის სიგრძე-სიგანის მიხედვით გათხარეს, იმიტომ რომ ხელჩხინკას სიმაღლისა იყოო.

ამბობენ, რომ ერთი ყმაწვილთაგანი, ვისაც საფლავის ორმოს ამოთხრა დაავალეს, თოკმომარჯვებული მიადგა ნათესავს ზომების ასაღებად და ამ უკანასკნელს აშკარა უკმაყოფილება დაეტყო: დამიჯერეთ, შესაფერისი სხვა უფრო მოიძებნება, მე ხელჩხინკაზე მაღალი ვარ, თან ჩემზე ჩასკვნილიც იყოო. ცდილობდა, თოკისგან როგორმე თავი დაეღწია, მაგრამ ყმაწვილი არ მოეშვა, თურმე. ყველა მესაფლავესავით ისიც ხუმრობის მოყვარული გახლდათ: ხელჩხინკას ჩასკვნილობა აწი აღარაფრის მაქნისია და, საერთოდ, თუ საფლავი ხელჩხინკას არ მოერგო, ბოლოს და ბოლოს, შენ გვეყოლები რეზერვშიო.

ამ ხუმრობაზე ნათესავმა ოდნავ ჩაიცინა, მაგრამ წყენით, ეტყობა, მაინც ეწყინა, რადგან მაშინვე თანასოფლელებს შეერია – დადგა და დაღვრემილი მიაჩერდა ღობეზე გამობმულ თავის უშობელს.

როცა ყველა შესაწირი დაათვალიერია, ხელჩხინკამ განაცხადა, მხიარულება ჯერ ადრეა, მართლაც ცუდად ვგრძნობ თავს და, თუ საავადმყოფოდან მაინც გამომწერეს, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არ მოვმკვდარიყავი, რადგან ამისათვის ექიმებს ისევე აჯარიმებენ, როგორც კოლმეურნეებს წუნისთვისო. მაშინვე ლოგინში ჩაწვა და განკარგულება გასცა: საფლავი მიწით არ ამოავსოთ, ყოველი შემთხვევისთვის მზად გქონდეთო.

ნათესაობა, როგორც ამბობენ, უხალისოდ დაშლილა. განსაკუთრებით ის ნათესავი გახლდათ უკმაყოფილო, უშობელი რომ მიჰგვარა. თუმცაღა, ხელჩხინკამ დაამშვიდა: მე მაინც მალე წავიღებ წერილს და, არა მგონია, შენმა უშობელმა ძალიან დაყაროს ხორცი, თუგინდ ეზოში უჭმელ-უსმელი ებასო.

ხელჩხინკამ დაახლოებით ერთი კვირა გაატარა ლოგინში. საავადმყოფოდან ჯერ კიდევ ორი დღის დაბრუნებულიც არ იყო, ცნობისმოყვარე მნახველებმა უკვე გული გაუწყალეს. ხმა გავარდა, ქალაქის საავადმყოფოში გარდაცვლილი ხელჩხინკა გზაში გაცოცხლდა და საკუთარ ქელეხზე მანქანით მორიხინდაო. ზოგი ამბობდა, კი არ გარდაცვლილა, საღათას ძილი შეჰყრია, ექიმებს ვერაფრით გაულვიძებიათ, მაგრამ, როცა მანქანით წამოახრიგინეს, გზაზე დაინჯღრა და თავისით გაიღვიძაო!

ერთი ხანი სიამოვნებით ღებულობდა ხელჩხინკა მნახველებს; განსაკუთრებით ისეთებს, ნაირ-ნაირი მოსაკითხი რომ მოჰქონდათ მასთან, როგორც ყოფილ მიცვალებულთან და ჯერ კიდევ არასაბოლოოდ გაცოცხლებულთან; მაგრამ მერე და მერე მობეზრდა. ესეც არ იყოს, თავმჯდომარემ ბრძანა: გეყოფათ, სამუშაოდ გამოდითო! ასე რომ, ჭიშკრის ჭრიალს გაიგონებდა თუ არა, უმალვე გამოვარდებოდა აივანზე და გაჰყვიროდა თავისი მჭახე ხმით:

– უკან გაბრუნდით, თქვე მუქთახორებო, სანამ ძაღლი არ ამიშვია!

ჭორები იმის მკვდრეთით აღდგომაზე თავისთავად ცოცხლობდა და ვითარდებოდა, ერთი წლის მერე მეზობელ სოფელში ყური მოვკარი, ხელჩხინკა მაშინ კი არ გაცოცხლდა, როცა საავადმყოფოდან შინ მიასვენებდნენ, არამედ დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე საფლავში მწოლიარეო. ვიღაც ბიჭს გაუგონია სამარიდან ხმა, ის ბიჭი შებინდებისას სასაფლაოზე თავის თხას დაეძებდაო. რაღა უნდა ექნათ, მიწა ისევ ამოთხარეს და ცოცხალი ამოიყვანესო. ბოლოს დასძენდნენ: კიდევ იღბალი, რომ ისეთი მჭახე ხმა აქვს, თორემ მიწაში ან

შიმშილი მოუღებდა ბოლოს, ანდა წყურვილი დაახრჩობდა, რადგან ძალიან მშრალი, კარგი ადგილი შეურჩიესო.

ასე იყო თუ ისე, ხელჩხინკამ თავიდან აიცილა თავისი დაკრძალვა, თუმცაღა საფლავი მაინც გამზადებული დატოვა.

როდესაც სოფელში ცოცხალი ხელჩხინკა დაინახეს, ჯერ იფიქრეს: იმ დღეს, ალბათ, სოფლსაბჭოს მდივანი გაგვეხუმრა, ტელეფონით ვესაუბრე საავადმყოფოს თუ იმას, ვინც საავადმყოფოს სახელით მელაპარაკებოდაო. სოფლსაბჭოს მდივანმა ამაზე თქვა: ომის დროს ვის გაუგია ასეთი ხუმრობაო!

მართლაც დაუჯერეს, რადგან ომის დროს ასეთი ოხუნჯობა ნამდვილად დიდი სისულელეა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს, რომ საავადმყოფოში რაღაც აურ-დაურიეს; რომ ვიღაც სხვა მოხუცი მოკვდა, შესაძლოა, სულაც ხელჩხინკას მოგვარე. ასეთები კი ჩვენთან, აფხაზეთში, მრავლად არიან.

პირველი დღიდანვე, როგორც კი იმ „ჩალის ქვრივის“ ოდაში მოვიკალათეთ, მესმოდა ხოლმე ხელჩხინკას ხმა, ნახვით კი ჯერ არ მენახა.

ზუსტად შუადღისას, როცა კოლმეურნეობის ნაკვეთიდან შინ სასადილოდ ბრუნდებოდა, გაისმოდა მისი მჭექარე ხმა. მოუახლოვდებოდა თუ არა სამას მეტრზე სახლს, ეძახდა თავის ბებრუხანას, ლანძღავდა და გაცხარებით ეკითხებოდა, სადილად ღომი თუ გაქვს მზადო. იმის შეძახილზე ბებრუხანაც ასევე გულისწამღები ხმით ეპასუხებოდა და მათი ხმები, რომლებიც არც ძალას კარგავდნენ და არც სიმკვეთრეს, თანდათან უახლოვდებოდნენ და ერწყმოდნენ ერთმანეთს. მერე კი ჩაჩუმდებოდნენ. გაივლიდა სულ რამდენიმე წუთი და ახლა მარტო დედაბრის ხმა აწიოკებდა მყუდროებას, ხელჩხინკა კი დუმდა.

მერე და მერე, როცა მათთან სიარული დავიწყე, იოლად მივხვდი, რატომ ხდებოდა ასე: ბერიკაცი იმ უბრალო მიზეზის გამო დუმდა, რომ პირი ახლა სხვა საქმით ჰქონდა დაკავებული — ჭამდა. თანაც, ჭამაც გაშმაგებული იცოდა და, ბუნებრივია, იმავდროულად, ლანძღვაგინებას ველარ ახერხებდა.

საღამოობით, როდესაც სამუშაოდან ბრუნდებოდა, ისევ მჭექარე ხმით ეკითხებოდა ცოლს თავისი ცხენისა თუ შვილიშვილის ამბავს და, რაღა თქმა უნდა, ღომიც არ ავიწყდებოდა.

მე მერე გავიცანი და კიდევაც დავუმეგობრდი ბაბუამისივით ხმამჭექარე, მაგრამ, მისგან განსხვავებით, უწყინარსა და დოყლაპია იაშკას.

ჩვეულებრივ, ხელჩხინკა ცხენზე შეისკუპებდა ხოლმე იაშკას და ისე დაჰყავდა სკოლაში. მიჰყავდა და თან ჯუჯღუნებდა, აფსუს, ამ უქნარას გულისთვის რა დრო მეხარჯებაო. იაშკა, ბაბუას ზურგს უკან რომ შემოჯდომოდა და ორივე ხელით წელზე შემოხვეოდა, დამნაშავესავით იღიმებოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. თუ ბაბუა სადმე იყო წასული, იაშკა იმავე ცხენით ბებიამისს დაჰყავდა სკოლაში, მაგრამ საბრალო ბავშვი ზედ სკოლამდე მიყვანას არ ანებებდა დედაბერს, ბიჭებმა არ დამცინონო.

ჩვენ სხვადასხვა ცვლაში ვსწავლობდით. როცა მე სკოლიდან ვბრუნდებოდი, სკოლისკენ მიმავალი ხელჩხინკა და იაშკა სადღაც შუაგზაზე შემომეყრებოდნენ ხოლმე. ჩავუვლიდი გვერდით, იაშკა თავს მოიღრეცდა და დიდხანს, დიდხანს მიყურებდა სევდიანად. ეს კი სრულიად საკმარისი იყო ბერიკაცის ახალი აფეთქებისათვის. იაშკას სკოლაში ტარება ბერიკაცს იმიტომ უხდებოდა, რომ, ჯერ ერთი, სკოლა სამ კილომეტრზე მაინც იყო სახლიდან, მეორეც, იაშკა მეტად გულმავიწყი გახლდათ, ხანდახან აღარც კი ახსოვდა, სად მიდიოდა, და გზიდან უხვევდა.

პირველ ხანს, როცა ხელჩხინკა ქუჩაში დამინახავდა, საჩიხივით მოირგებდა ხელისგულს შუბლზე და მეკითხებოდა:

— ვისი ხარ შენ?

მე ამა და ამ ქალის შვილი ვარ-მეთქი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– მივუგებდი თავაზიანად და დედაჩემის სახელს ვუხსენებდი.

– ის დედაშენი ვინღაა? – მეკითხებოდა ხმამაღლა და თავისი ჩხინკა ხელის ნებსქვემოდან კიდევ უფრო თვალჩაციებით მაცქერდებოდა.

– ბიძია მექსუტის ცოლისდაა-მეთქი, – ვუხსნიდი მეც, თუმცა, კარგად ვხვდებოდი, ყასიდად მეკითხებოდა.

– აა, თქვენ ის ქალაქელი მუქთახორები ხართ, არა? – მეტყოდა და თავით მანიშნებდა ჩვენს სახლზე.

– დიახ, – ორჭოფულად ვუდასტურებდი მე. ანუ, სწორედ იმ სახლში ვცხოვრობთ და, ნაწილობრივ, ჩვენს მუქთახორობასაც ვაღიარებ-მეთქი.

შუა ტანის ჩასკვნილი მამაკაცი, მამალივით წითელი, მსხვილი კისერი რომ ჰქონდა, უმოძრაოდ იდგა ჩემ წინ და თავისი მბურღავი თვალებით გაოცებული მაკვირდებოდა, თავით ფეხამდე მათვალიერებდა და, ამავე დროს, რაღაც სხვასაც უგდებდა ყურს; ვთქვათ, იმას, თუ რა ხდებოდა ღობის იქით, მის საკარმიდამო ნაკვეთზე, სიმინდის ყანაში. თითქოს ფოთლების შრიალით, ჩქამითა და მხოლოდ მისთვის გასაგონი რაღაც სხვა ბგერებით ადგენდა ზუსტად ყველაფერს, რაც იმის კარმიდამოში, ეზოსა და, შესაძლოა, თვით სახლშიც ხდებოდა.

– აა, ეს შენ ჩავარდი ჩემს საფლავში? – მეკითხებოდა და თან იმასაც აყურადებდა – ჩემს კარ-მიდამოში რა ხდებაო, და, თუ იქ რაიმე უწესრიგობას შეამჩნევდა, გესლიანად ამოიზმუილებდა.

– დიახ, – მივუგებდი მე და ფარული შიშით ვადევნებდი თვალს, რადგანაც ვგრძნობდი, მოხუცი საცაა აფეთქდებოდა.

– მერედა, როგორ მოგეწონა იქაურობა? – მეკითხებოდა უკვე აგზნებული ხელჩხინკა, რაკი ატყობდა, მის ეზოში რაღაც უჩვეულო ხდებოდა – ნეტავი, სული ხომ არ გააცხო იმ ბებრუხუნამ... დევსოს თვალები... გამაჩანაგებს ის ტუტრუცანა, ისა...

– საუცხოოა, – ისე ვუპასუხებდი, თითქოს სტუმართმოყვარე მასპინძელს მადლობას ვუხდიდი – რაც უნდა იყოს, საფლავი მას ეკუთვნოდა!

– კი, კაი ადგილია, მშრალია, – მეთანხმებოდა იგი და ახლა უკვე იმით აღშფოთებული და აწრიალებული, ეს რა ამბავია ჩემს ეზოშიო, უეცრად, ყოველგვარი პარტიტურის გარეშე იღებდა უმაღლეს ნოტს: – შენ ჰეი, ბებრუცუნავ, ბოსტანში რაღაცას ახრამუნებენ, არ გესმის? დაგაგჯეს ეგ ყურები! ღორებია, ღორები!

– ვაი, ისინი ჩავმარხე შენთან ერთად შენს საფლავში, სულ რომ ღორები გელანდება! – მაშინვე მოაძახებდა დედაბერიც.

– ძალიან კარგად მესმის, აწკლაპუნებენ და ახრამუნებენ რაღაცას, აწკლაპუნებენ და ახრამუნებენ! – უყვიროდა იგი და მათი ხმები ისევ ერწყმოდა ერთმანეთს. მე უკვე ვავიწყდებოდი და ხელჩხინკა, თითქოს ცოლის კივილს კუდში ჩაავლო ხელიო, ფეხაჩქარებული მიცუნდრუკებდა შინ; დროდადრო კი თავის ბებრუხანას მაინც შეუკურთხებდა. თანდათანობით შევეჩვიეთ მის ხმას და ყურადღებასაც აღარ ვაქცევდით. უფრო მეტიც, როდესაც სადმე რამდენიმე დღით გაემგზავრებოდა და ჩვენ ირგვლივ მყუდროება დაისადგურებდა, უცნაური გრძნობა გვიპყრობდა – თითქოს რაღაც გვაკლდა, თითქოს რაღაც სიცარიელე გვიზუზუნებდა ყურებში.

ზოგჯერ, როცა ხელჩხინკა შინ არ იყო, მისი ცოლი, მაღალი და წარმოუდგენლად გამხდარი დედაბერი, დედაჩემთან გადმოდიოდა ხოლმე სამასლაათოდ. ხან წველა ყველს თუ ჯამ ფქვილს გვიფეშქაშებდა, ხანაც ბუხრის კვამლზე შებოლილ ხორცს, ნერწყვისმომგვრელი სუნი რომ ასდიოდა. დედაბერი როგორღაც დარცხვენილი შემოგვცინოდა და გვთხოვდა, შეინახეთ, რაც მოგიტანეთ და, ღვთის გულისათვის, თქვენი მადლობა არ მინდა, ოღონდ ჩემმა ჯაჯღანა ბერიკაცმა არ გაიგოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათობით საუბრობდნენ ხოლმე. ხელჩხინკას ცოლი ზედიზედ ახვევდა გაზეთის ქაღალდში თუთუნს და აპლაკუნებდა და აპლაკუნებდა. მერე უცბად გაისმოდა ხელჩხინკას ხმაც; სახლისკენ იხედებოდა და ცოლს რაღაცას ეძახდა. დედაბერი კი მიუგდებდა ყურს და სულგანაბული ხითხითებდა, თითქოს ეშინია, სიცილი არ გამიგონოსო. თანაც იმით ერთობოდა, თვითონ რომ ალთას იყო და ბერიკაცი კი ბალთას გაჰყვიროდა.

– აქა ვარ, რა მოგივიდა! – გაეხმაურებოდა, როცა სიცილით გულს იჯერებდა.

ხელჩხინკა წამიერად შეისვენებდა, თითქოს ცოლის უკუღმართობით აღშფოთებულს ენა წაერთვაო, მერე კი დაუცაცხანებდა:

– აა, თქვე მუქთახორებო, მოძებნეთ ხომ ერთმანეთი! ჭორმეურნეობაშია თქვენი ადგილი, ჭორმეურნეობაში!

ერთხელ ხელჩხინკა ცხენით მოადგა ჩვენს ჭიშკარს და დამიძახა, ტომარა გამომიტანეო. ითათხებოდა, თქვენისთანა მუქთახორებს თუ არ დაუღეჭე და პირში არ ჩაუდე, შიმშილით სული გასძვრებათო, თანაც ნახევარი ტომარა ფქვილი მომაშავა. სიმინდი სიმინდად მეკარგებაო, განაგრძო აღშფოთებულმა, ცხენს კიდევ წისქვილში ჩაქჩაქით სიქა აქვს გაცლილიო. მერე თავისი ტომარა საწყვეტებით მიამაგრა უნაგირს, თვითონაც შეაჯდა და წავიდა. ორიოდე ნაბიჯის შემდეგ მომაყვირა: ჩემს იმასთან არაფერი დაგცდეს ფქვილის შესახებ, მისი ჭაჭყანით სული ისეც გამწარებული მაქვსო.

ასე გადიოდა დრო და ხელჩხინკა, ეტყობოდა, სიკვდილს სულაც არ აპირებდა.

რაც უფრო დიდხანს არ კვდებოდა ხელჩხინკა, მით უფრო იტიკნებოდა უშობელი, და რაც უფრო იტიკნებოდა უშობელი, მით უფრო აწვებოდა ნაღველი გულზე მის ძველ პატრონს. ბოლოს და ბოლოს ველარ მოითმინა და უშობელზე სიტყვის ჩამოსაგდებად კაცი მიუგზავნა ხელჩხინკას. ასე და ასეო, – უთხრა მოგზავნილმა, – მადლობა ღმერთს, ცოცხალი დარჩი, მაგრამ უშობელი, კაცმა რომ თქვას, უკანვე უნდა დაუბრუნო პატრონს, იმიტომ რომ, იმ ადამიანს საჩუქრად კი არ მოუძღვნია იგი, როგორც კაი ნათესავმა, შენი ქელეხისთვის მოიყვანაო.

– კვერცხი მოიტანა და ქათამს ითხოვს?! – თქვა ხელჩხინკამ, როცა ეს მოისმინა. მერე ჩაფიქრდა და დაუმატა: – გადაეცი იმ ჩემს ნათესავს, რომ, თუ მალე მოვკვდე, უშესაწიროდ მოვიდეს, მაგრამ, თუ თვითონ მოკვდება, მეც, როგორც კაი ნათესავი, მივუსამძიმრებ მის ოჯახს და მისი უშობლის უშობელს მივუყვანო.

ამბობენ, როცა ნათესავს ეს პირობა მოუსმენია, განაწყენებულა და უბრძანებია: გადაკრულ-გადმოკრულს თავი დაანებეთ და პირდაპირ უთხარით ხელჩხინკას, რომ მე არავითარი ჩემი უშობლის უშობელი არ მჭირდება, მით უმეტეს, სიკვდილის შემდეგ, და რომ ახლა, სიცოცხლეშივე მსურს დავიბრუნო ჩემი უშობელი, რომელიც, როგორც კაი ნათესავმა, მგლოვიარე ოჯახს მივგვარე, და რაკი ხელჩხინკა დღემდე არ მოკვდა, მაშასადამე, უშობელი კანონიერ პატრონს უნდა დაუბრუნდეს-თქო! თანაც პატიოსანი სიტყვა უთქვამს: თუმცა ხელჩხინკას ოჯახში მისი საფლავისთვის ზომა ჩემგან აიღეს და, ამრიგად, შეურაცხმყვეს, როცა ხელჩხინკა ნამდვილად მოკვდება, უშობელს მაინც მივიყვანო.

– ის კაცი, ბოლოს და ბოლოს, მაიძულებს, რომ მისი უშობლის გამო საფლავში ჩავწვე, – უთქვამს ხელჩხინკას, როცა ახსნა-განმარტება მოუსმენია, – გადაეცით იმ კაი ადამიანს, სიკვდილამდე ცოტაღა დამრჩა და არ ღირს საბრალო პირუტყვის აქეთ-იქით წოწიალი-თქო.

ამ დიპლომატიური მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხელჩხინკამ თავისი ბაღიდან თავისსავე საფლავზე ორი ატმის ნერგი გადარგო. შესაძლოა, ეს იმიტომაც გააკეთა, რომ ხალხი ერთხელ კიდევ დაერწმუნებინა, სასიკვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ განწირული ვარო. გადარგვაში მე და იაშკა ვეხმარებოდით. როგორც ჩანს, ხელჩხინკას ორი ატმის ნერგი ეცოტა-ვა, რამდენიმე დღის შემდეგ კოლმეურ-ნეობის პლანტაციაში ღამით ამოთხარა ტუნგოს ხე და იმ ორ ატამს შუა ჩარგო. ეს ამბავი სოფელში უმალვე გაიგეს და კოლმეურნეები სიცილით იგუდებოდნენ: ეტყობა, ხელჩხინკა ტუნგოს ნაყოფით მიცვალებულთა მოწამვლას აპირებსო. ამ გადარგვისთვის განსაკუთრებული მნი-შვნელობა არავის მიუცია – არც მანამდე და არც ამის შემდეგ ტუნგოს ხე სოფელ-ში არავის მოუპარავს, იმიტომ, რომ იგი გლეხებისთვის არაფრის მაქნისია, თა-ნაც, ტუნგოს ნაყოფი სასიკვდილოა და, რაღა თქმა უნდა, მეტად საფრთხილო.

უშობლის ყოფილი პატრონიც ჩაჩუმ-და; ან მართლაც დარწმუნდა, ხელჩხინკა მალე წაიღებსო წერილსო, ან არადა, მი-სი მწარე ენის შეეშინდა: ტუნგოს ნაყოფ-ზე ნაკლებ შხამიანი ენა როდი აქვს!

სხვათა შორის, ამბობენ, ხელჩხინკა სწორედ თავისი ენის წყალობით გახდა ახალგაზრდობაში „ხელჩხინკაო“. აი რო-გორ მომხდარა ეს: აქაური თავადი ქეი-ფის შემდეგ აუარებელ სტუმართან ერ-თად მასპინძლის ეზოში მჯდარა. თავა-დი ვერცხლისძეწკვიანი ჯაყვით თლიდა ატამს და მიირთმევდა. თუმცა, ვერცხ-ლისძეწკვიან ჯაყვას არაფერი აქვს საერ-თო იმასთან, რაც ამის შემდეგ მომხდა-რა, მაგრამ ყველა მთხრობელი ახსენებს ამ ჯაყვას და აუცილებლად აღნიშნავს იმასაც, რომ იგი ვერცხლისძეწკვია-ნი იყო. როცა ამ შემთხვევას გიყვებით, ძალიანაც მინდა, იმ ვერცხლისძეწკვიან ჯაყვას სულაც ავუარო გვერდი, მაგრამ ვგრძნობ, რატომღაც მეც უნდა ვახსენო იგი. ამ ამბავში არის რაღაცნაირი სი-მართლე, რის გარეშე, შესაძლოა, რაღაც დაიკარგოს, სახელდობრ რა, თვითონაც არ ვიცი.

ერთი სიტყვით, თავადი არხეინად მი-ირთმევდა ატამს და თან თავის სამიჯ-ნურო ამბებს იგონებდა. ბოლოს მასპინ-ძლის ეზოს მიმოავლო თვალი, ამოიოხრა და თქვა:

– ეჰ, ჩემს ხელში გამოვლილი ყველა ქალი რომ შევაგროვო, ვერც დაეტევა ამ ეზოში.

თურმე, ხელჩხინკა მაშინაც საკმაოდ ენამწარობდა, მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკი იყო. გამოჰყო, თურმე, საიდან-ლაც თავი და ჩაილაპარაკა:

– აუ, რამდენი დედალი ვირი დაიყრო-ყინებდა ამ ეზოში?!

ეს საკმაოდ ხანდაზმული თავადი ქალთა სილამაზის დიდი შემფასებელი გახლდათ, მაგრამ, ამის გარდა, იმითაც ამაყობდა, რომ ხილის გათლა ეხერხებო-და ჩინებულად. ისე შემოათლიდა ნაყოფს კანს, ხვეული ერთხელაც არ გაუწყდებო-და. მთელი კვირის ნაქეიფარი ან მთელი ღამის უძინარიც რომ ყოფილიყო, ხილის გათლის ხელოვნება მაინც არ ღალატობ-და. რამდენი უთვალთვალეს, რამდენს ეცადნენ, რომ თლის დროს მისი ყურა-დღება სხვა რამისთვის მიექციათ, მაინც არასოდეს შემცდარა. ხანდახან განგებ აჩეჩებდნენ საოცრად დაღვარჭნილი, მა-ხინჯი ფორმის ნაყოფს, მაგრამ თავადი არ იბნეოდა – შეათვალიერებდა ყოველი მხრიდან, მერე ამოიღებდა თავის ვერ-ცხლისძეწკვიან ჯაყვას და შეუცდომლად ირჩევდა ერთადერთ სწორ მიმართულე-ბას.

ჩვეულებრივ, როცა ნაყოფს სპირალი-ვით ხვეულ კანს შემოათლიდა, ზევით ას-წევდა და გარშემომყოფთ აჩვენებდა; ხო-ლო თუ მათ შორის ლამაზი ქალიშვილიც ერია, თავისთან მიიხმობდა და იმ სპირალს ყურზე ჩამოჰკიდებდა.

მე მგონი, ხელჩხინკას თავადის სწო-რედ ეს ხელოვნება აღიზიანებდა. ვფიქ-რობ, იგი დიდი ხანია, თვალყურს ადევ-ნებდა თავადს და დაარწმუნებული იყო, ადრე თუ გვიან სპირალი უნდა გაწყვეტი-ლიყო. ისიც შესაძლოა, რომ ხელჩხინკა სწორედ იმჯერად ამყარებდა რომელიი-მე ატამზე განსაკუთრებით დიდ იმედს, მაგრამ თავადმა ისიც მოხერხებულად

გაფცქვნა, თან სასიყვარულო თავგადასავლებს იგონებდა და ტრაბახობდა. მერწმუნეთ, ხელჩხინკას, ისიც ახალგაზრდას, იმ შემთხვევაში საკმაო საბაბი ჰქონდა, აფეთქებულიყო.

როდესაც თავადმა ხელჩხინკას ეს სიტყვები გაიგონა, სახეზე წამოენთო, ენა დაება და თავხედს თვალებგადმოკარკლული მიაშტერდა. მარჯვენა ხელში ისევ ეკავა კანგაცლილი, წვნიანი ატამი, ხოლო მარცხენაში – თავისი განუშორებელი ვერცხლისძეწკვიანი ჯაყვა. ირგვლივ ყველას თავზარი დაეცა, გაიტრუნენ; თავადი კი თვალდაუხამხამებლად მიშტერებოდა ხელჩხინკას, ატმიან ხელს, თურმე, უთავბოლოდ ასავსავებდა ჰაერში და გრძნობდა, ეს ატამი ახლა ზედმეტი ბარგი გახლდათ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბუდიდან დამბაჩის დაძრობა ატმიანი ხელით შეუძლებელი იყო. თავადს ხელი ერთხელ მიწისკენაც დაუხრია, რომ, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლებულიყო იმ წყეული ატმისგან, მაგრამ, წამიერად შეყოყმანებულა – ატამი ხომ გათლილი გახლდათ და მეტად ზრდილობიანმა თავადმა კარგად იცოდა, გათლილი ატმის მიწაზე დადება არაფრით არ შეიძლებოდა!

აი, ისევ აღიმართა თავადის ხელი და კიდევ ერთ აუტანელ წამს ისავსავა უხილავი თეფშის ძებნაში, რადგან ეიმედებოდა, ვინმე თეფშს შემაშველებსო; მაგრამ შიშისგან ყველანი გამოშტერებულიყვნენ, ვერავის მოეფიქრებინა, შეშველებოდა და ახლა უკვე ურცხვად გაშიშვლებული ატამი გამოერთმიათ. როგორც ამბობენ, აქ ისევ ხელჩხინკას უმარჯვია.

– რას წვალობ, აიღე და პირში ჩაიდე! – ურჩია თურმე თავადს.

სტუმრები ჯერ ამ ახალი თავხედობისგანაც ვერ მოსულიყვნენ გონს, თავადის მიერ საკუთარი პიროვნების გაუგონარი დამცირების მოწმენი რომ გახდნენ: რაღაცნაირი სამარცხვინო ფაცხაფუცხით შეიტენა პირში სველი, წვნიანი ატამი ისე, რომ ხელჩხინკასათვის არ მოუცილებია სიძულვილით აღსავსე თვალები და ბოლოს, ამდენი ჯახირის შემდეგ, დამბაჩაზე წაუვლია ხელი. თან ხელჩხინკას მისჩერებოდა თავისი გადმოკარკლული თვალებით და ხმაამოუღებლად იფათურებდა ხელს ქამართან, მაგრამ ზედმეტი მღელვარებისა თუ, როგორც ზოგიერთები აზუსტებენ, იმის გამო, რომ ატმის შემდეგ ხელი ჯერ კიდევ სველი ჰქონდა, ბუდე ვერაფრით გახსნა.

იქნებ, ვინმე კიდევ მოსულიყო გონს – თავადს ხელში სცემოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელჩხინკა მუჯლუგუნით გვერდზე გაეგდო, მისთვის რომ არ ესროლა და სხვებიც გადარჩენოდნენ ხიფათს. მაგრამ ამბობენ, იმ მდუმარებაში უკანასკნელად გაისმა შჩააბანის ხმა. უკანასკნელად, იმ გაგებით კი არა, თითქოს შემდეგ მისი ხმა აღარავის სმენია (პირიქით, უფრო მჭექარე და ქილიკაც გახდა), არამედ იმ გაგებით, რომ ამის თქმა იყო და იგი უბრალო შჩააბანის მაგიერ შჩააბან ხელჩხინკად იქცა!

– შინ, ალბათ, იოლად ართმევს თავს, – უთქვამს ხელჩხინკას, – რადგანაც ჩვენი ჩეგემური ვირები...

ამბობენ, შჩააბანს ეს ბოლო სიტყვა პირზე შეაშრა, იმიტომ, რომ ხანდაზმულმა თავადმა, როგორც იქნა, ბუდე გახსნა, გაისმა სროლის ხმა, იწივლეს ქალებმა და, როცა ბოლი გაიფანტა, შჩააბან ლარბა უკვე „ხელჩხინკად" ქცეულიყო.

მერე ხშირად უკითხავთ მისთვის, პირველი შეურაცხყოფის შემდეგ თავადს რატომ აღარ მოეშვიო. თავის შეკავება ველარ შევძელიო, მიუგებდა ხელჩხინკა.

მოგვიანებით, როცა თავადი მენშევიკებთან ერთად გაიქცა, ხოლო ჩვენში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ხელჩხინკამ მტკიცება დაიწყო, მე და თავადს ერთმანეთში პირადი, თითქმის პარტიზანული ანგარიშები გვქონდა და მაშინდელი სროლა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმის მხოლოდ საბაბი თუ შედეგი იყოო.

ერთი სიტყვით, თავადისგან ნათავაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმა ტყვიამ ხელჩხინკას ჭკუა ვერ ასწავლა, მაინც ყველას ამასხარავებდა და არც მისი ხუმრობა გამხდარა უფრო უწყინარი.

როცა სოფლად დავყიალებდი, ხშირად დამინახავს იგი ჩაისა თუ თამბაქოს პლანტაციაში ან სიმინდის მარგვლისას. თუ კარგ გუნებაზე იყო, უბრალოდ, პამპულაობდა და, მოგეცათ ლხენა, ყველანი სიცილით იგუდებოდნენ!

ხელჩხინკა საოცრად ბაძავდა ხმით ნაცნობ ადამიანებს, ცხოველებს, განსაკუთრებით მამლის ყივილი გამოსდიოდა კარგად. ხანდახან თოხს გვერდზე მიაგდებდა, წელში მოიხრებოდა, მამალივით მიმოიხედავდა აქეთ-იქით და აყივლდებოდა. მახლობლად მცხოვრებთა მამლებიც იმწამსვე გამოეხმაურებოდნენ. ატეხდნენ გლეხები ერთ სიცილ-ხითხითს, გარშემომყოფთ ჭიპი ასკდებოდათ ხარხარით; უახლოესი მეზობლის მამალი კი ისევ ყიოდა. ბოლოს თოხს ხელს წაატანდა და ჩაილაპარაკებდა:

– შენ ბევრი გაგეგება, ჩერჩეტო!

ჩვენში, როგორც, ალბათ, ყველგან, სწამთ, რომ მამლები უაზროდ არ ყივიან; ისინი თავიანთი პატრონების ბედისწერას წინასწარვე გამოიცნობენო. ხელჩხინკა, შეიძლება ითქვას, ამხელდა მამლებს, სოფლის ამ წინასწარმჭვრეტელთ. ისიც აღსანიშნავია, რომ, თუმცა, ცალი ხელი გამხმარი ჰქონდა, ხელჩხინკა დევკაცივით მუშაობდა. მიუხედავად ამისა, როდესაც ხმა დაირხეოდა: სესხზე ხელის მოწერა იწყება ან შინდარჩენილ მამაკაცებს ხე-ტყის დასამზადებლად მობილიზაციას უპირებენო, ხელჩხინკა თავის მარცხენა ხელს მაშინვე წითელ სამკლაურში გაუყრიდა ხოლმე და მანამ დადიოდა ასე, სანამ საჭიროდ მიიჩნევდა. ვფიქრობ, წითელი სამკლაური ბევრს ვერაფერს შველიდა, მეტადრე სესხზე ხელის მოსაწერად მარცხენა ხელის შეხვევა დიდ დაბრკოლებას ვერ ქმნიდა, მაგრამ, ეტყობა, შეკამათების მეტ უფლებას მაინც უტოვებდა.

მე მგონი, ის წითელი სამკლაური იმიტომაც გამოიგონა, რომ თავისი დაზიანებული ხელისთვის სამხედრო-პარტიზანული იერი მიეცა.

გამგეობაში ყოველი გამოძახებისას ხელს სამკლაურში უყრიდა, გადააჯდებოდა ცხენს და მიდიოდა. ნაბადმოხურულს, წითელ სამკლაურში ხელგაყრილსა და ცხენზე მჯდომარეს მართლაც საკმაოდ ახოვანი, სამხედრო-პარტიზანული იერი დაჰკრავდა.

ყოველივე რიგიან-პირიანად მიდიოდა, მაგრამ უეცრად გაიგეს, სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ხელჩხინკაზე ანონიმური წერილი მიიღოო; სწერდნენ: საფლავის გვერდით ტუნგოს ხის დარგვა, არც მეტი, არც ნაკლები, ახალი ტექნიკური კულტურის საცინლად აგდებააო. ვითომ რაო, კოლმეურნეობისთვის სრულიად უსარგებლო, გამოუსადეგარი რამ არის და მისი შესაფერისი ადგილიც სოფლის სასაფლაოზეაო!

სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ეს წერილი კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის უჩვენებია. თავმჯდომარე ძალიან დამფრთხალა. ხომ შეეძლოთ, ეფიქრათ, სწორედ მან, თავმჯდომარემ შეაგულიანა ხელჩხინკა, შენს საფლავზე ტუნგოს ხე დარგეო.

მაშინ ვერაფრით გავიგე – რატომ შეტრიალდა ყველაფერი ასე სასტიკად! ამ ქაღალდის გარეშეც ხომ ყველამ იცოდა, რომ ხელჩხინკამ თავის საფლავზე ტუნგოს ხე გადარგო. თუმცა, მაშინ რა გამეგებოდა, წერილი ხომ საბუთია, საბუთი კი შეუძლიათ, მოგთხოვონ და პასუხი უნდა აგო.

მართალია, ამბობენ, სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს შეეძლო, წერილისთვის მსვლელობა არ მიეცაო, მაგრამ იმასაც დასძენენ, ხელჩხინკაზე ისედაც ბოლმა ჰქონდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წერილი იმიტომ აჩვენაო.

ერთი სიტყვით, წერილი უკვე მსვლელობაში იყო, როცა ჭეშმარიტების დასადგენად რაიცენტრიდან ვიღაც კაცი ჩამოვიდა. ხელჩხინკამ სცადა, ყველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა, მაგრამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, შეეშინდა: წვერი გაიპარსა, ხელი წითელ სამკლაურში გაუყარა და სოფელში ხეტიალს მოჰყვა; თან მარცხენა ხელს ისეთი სახით ჩასჩერებოდა, თითქოს, საცაა აფეთქდება და როგორც მას, ახლომახლო მყოფთაც ისღა დარჩენიათ, ნამსხვრევებს ერიდონო.

– გათავებულია შენი საქმე, – ეუბნებოდა ხელჩხინკას ცხენების ძველი მოყვარული მუსტაფა, მისი მუდმივი მეტოქე და მეგობარი, – ჩახეთქე ახლა შენი ტუნგოს ვაშლები და ჩაძვერი იმ შენს საფლავში, თორემ ციმბირში გიკრავენ თავს.

– ციმბირის არ მეშინია, მაგრამ იმას ვნაღვლობ, ჩემს საფლავს შენ არ დაეუფლო, – მიუგებდა ხელჩხინკა.

– ამბობენ, ციმბირში ცხენების მაგივრობას ძაღლები სწევენო, – აშინებდა მუსტაფა, – ასე რომ, ალვირიც იქონიე თან, ეგებ ქოფაკი გახედნო.

უნდა ითქვას, ცხენოსნობაში ხელჩხინკა და მუსტაფა დიდი ხანია მეტოქეები იყვნენ. ამ საქმეში ერთსაც და მეორესაც წარმატებებიც ჰქონდა და ჩავარდნებიცო. ოდესღაც ხელჩხინკამ სამარადისო დიდება მოიხვეჭა იმით, რომ დოღის დროს მრავალათასიანი მაყურებლის თვალწინ (დავუშვათ, მაყურებელი არცთუ ისე მრავალათასიანი იყო) გაიტაცა ერთი სახელგანთქმული ულაყი. ამბობენ, თვითონ ხელჩხინკა ისეთ დრუნჩგადმოგდებულ ჯაგლაგზე იჯდა და ისე სასაცილოდ გამოიყურებოდა, რომ, როცა ულაყის პატრონს სთხოვა, შენს სწორუპოვარ ბედაურზე დამსვიო, პატრონი სეირის გულისთვის დასთანხმდა – დარწმუნებული იყო, ამას ჩემი ულაყი ერთ წამში მოადენინებს ბრაგვანს მიწაზე და ამით სახელს კიდევ უფრო გაითქვამსო.

ხელჩხინკა მუცლით ჩამოფოფხდა საკუთარი ჯაგლაგიდან და, როდესაც ბედაურის პატრონს თავისი ცხენის სადავე გაუწოდა, ესეც უთხრა:

– ისე ჩათვალე, თითქოს ცხენები გაგვეცვალოს.

– ჰო, მიდი, მიდი! – სიცილით უპასუხა პატრონმა და სადავე ჩამოართვა.

– აბა, შენ იცი, არ გიუცხოვოს და არ გადმოგაგდოს, თორემ გაგთელავს, – თავის ჯაგლაგზე ანიშნა ხელჩხინკამ და ულაყს მიუახლოვდა.

ხელჩხინკა რის ვაი-ვაგლახით მოაჯდა ულაყს და უკან მდგომ ვიღაც ჭაბუკს ანიშნა, უშხუვლეო. იმანაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ულაყს მათრახი გადაუტლაშუნა. დაბზრიალდა ულაყი, გადაირია და კოდორის მხარეს გაფრინდა. ამბობენ, თავდაპირველად ხელჩხინკა ისე იჯდა ცხენზე, როგორც მთვრალი მოლა გაჭენებულ ვირზეო.

ყველა ელოდა, აგერ-აგერ გადმოვარდებაო, ის კი სულ წინ-წინ მიქროდა. ულაყის პატრონს ყბებმა ცახცახი დაუწყო, როცა ხელჩხინკამ მდელოც გადაითქარუნა, მაგრამ ბუნებრივი იპოდრომისკენ კი არ გაუხვია, არამედ უფრო წინ, მდინარისკენ გააფრინა ცხენი. კიდევ რამდენიმე წამს ელოდნენ, ალბათ, ცხენმა სადავე წაართვა და იმიტომ ვერ გადაახვევინაო, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს წარმოუდგენლად თავხედური გატაცება გახლდათ.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მთელი დუჟინი მხედარი დაედევნა ხელჩხინკას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ხელჩხინკა ფლატედან შეუჩერებლად გადაეშვა მდინარეში და, სანამ მდევრები ნაპირს მიაღწევდნენ, უკვე გაღმა ამოდიოდა. მდევრებმა მხოლოდ წამიერად დალანდეს ბედაურის სველი, აბზრიალებული გავა მდინარისპირა თხმელნარში. ფეხებში მიყოლებული ტყვია მიზანს ვერ აღწევდა, ფლატედან გადახტომას კი კაციშვილი ვერ ბედავდა. ამის შემდეგ იმ ადგილისთვის „ხელჩხინკას ფლატე“ უწოდებიათ.

ჩემი თანდასწრებით ხელჩხინკას არასოდეს მოუყოლია ეს ამბავი, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვებს აძლევდა ამის უფლებას. თვითონ კი სიამოვნებით უსმენდა და მონაყოლში ზოგ რამეს აზუსტებდა. ამ დროს თუ მუსტაფაც გვერდით ედგა, წამდაუწუმ თვალით მასზე გვანიშნებდა.

მუსტაფა თავს ისე გვაჩვენებდა, ვითომ არ ვისმენო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოთმინება ელეოდა და ცდილობდა, ხელჩხინკას გმირობა როგორმე დაემცირებინა ან მასხრად აეგდო.

მუსტაფა ამბობდა, კაცი, რომელსაც ცალი ხელი ტყვიით გაუხვრიტეს, ასე ვთქვათ, წამხდარი კაცია და ამიტომ, როცა უტიფრად იქცევა, არცთუ მეტისმეტად დიდ რისკს წევსო. აქედან გამომდინარე, თუ ხელჩხინკა ფლატედან გადახტა, ჯერ ერთი, იმიტომ გადახტა, რომ შეეშინდა და, მეორეც, სხვა გზა აღარ ჰქონდა, თუ მდევრები დაიჭერდნენ, სულ ერთია, წირვას გამოუყვანდნენო.

ერთი სიტყვით, ძველი მეტოქეები გახლდნენ და, წინათ თუ დოლში წყვეტდნენ პირველობას, ახლა, უკვე მოხუცები, თეორიულად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუმცაღა, ცხენები მაინც ჰყავდათ. დავობდნენ და ასე იჭყლეტდნენ ტვინს დღენიადაგ:

– ვთქვათ, გესვრიან აქეთა მხრიდან, შენ კი აი იმ ბილიკს მიჰყვები ცხენით, სროლის ხმაზე საით მიაბრუნებ ცხენს, თუ ირგვლივ ძირი ხეც არაა? – ეკითხებოდა ერთი მათგანი მეორეს.

– ვთქვათ, მთიდან თავქვე მოაჭენებ ცხენს და მდევრები დაგდევნებიან; წინ მარჯვნივ ჯაგნარია, მარცხნივ კი ხევი. საით მიუშვებ ცხენს? – ჩაჰკითხავდა მეორე.

ასე დავობდა ორი ადამიანი – უსაშველოდ გრძელი სამუშაო დღით ქანცგამოლეულნი, მხარზე თოხმოგდებულნი და შინ მიმავალნი. მათი კამათი წლობით გრძელდებოდა, თუმცაღა, ირგვლივ, კაი ხანია, სროლა აღარ იყო; მით უმეტეს, მათ არავინ ესროდა, იმიტომ რომ შეურაცხყოფისთვის შურის საძიებლად ადამიანებმა უფრო უსაფრთხო საშუალება გამონახეს. სიტყვამ მოიტანა და ერთერთ ასეთ საშუალებას, სახელდობრ კი, ანონიმურ წერილს, დროა დავუბრუნდეთ.

რაიცენტრიდან ჩამოსული ამხანაგი შეეცადა, ბერიკაცისთვის ტუნგოს ხის გადარგვის ნამდვილ მიზანზე ეთქმევინებინა რამე და, რაც მთავარია, გამოერკვია, ვინ ჩააგონა ეს საქციელი. ხელჩხინკამ უპასუხა, არავის ავუგულიანებივარ, თვითონ მომეპრიანა, სიკვდილის შემდეგ სასთუმალი ტუნგოს ხის ქვეშ მქონოდა, იმიტომ რომ, დიდი ხანია, ჩვენი მხარისთვის ახლად გაცნობილი ეს საოცარი კულტურა თვალში მომივიდაო. ჩამოსულმა არ დაუჯერა.

მაშინ ხელჩხინკა გამოტყდა და თქვა, მარტო ტუნგოს ნაყოფის კი არა, მისი ფესვების მომშხამველი თვისების იმედიც მქონდაო. ვიმედოვნებდი, ფესვები საფლავის მატლებს ამოულეტდა და საიქიოს სისუფთავესა და მოსვენებაში ვიქნებოდი, რადგან რწყილებისაგან სააქაოსაც სიცოცხლე მქონდა გამწარებულიო.

ახლა ჩამოსული იმას ჩაეძია, მითხარი, რწყილებში რას გულისხმობო. ხელჩხინკამ უპასუხა, რწყილებში სწორედ ძაღლის რწყილებს ვგულისხმობ, რომლებიც არ უნდა აურიოთ ქათმის ტილში, იმიტომ რომ, ქათმის ტილები და კამეჩის ტკიპები სულაც არ მაწუხებენო. მერე დაუმატა: თუ კიდევ მიწყალებს რამე გულს, მხოლოდ და მხოლოდ ცხენის ბუზებია და ამიტომ სიცხიან ამინდში ცხენს კუდქვეშ ორი მუჭა სუპერფოსფატი რომ შევაყარო, კოლმეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, ცხენი კი ბუზებისგან მოისვენებსო. ჩამოსული მიხვდა, რომ ასე ფონს ვერ გავიდოდა, და ისევ ტუნგოს დაუბრუნდა.

ერთი სიტყვით, ძალიან ცდილობდა ხელჩხინკა თავის დაძვრენას, მაგრამ საქმეს მაინც ცუდი პირი უჩანდა. მეორე დღეს უკვე აღარ გამოუძახებიათ რაიცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგთან. ბოლოს გადაწყვიტა, რაც მომივა, მომივაო, გაუყარა ხელი წითელ სამკლაურში, მივიდა გამგეობის ეზოში, ბზოლის ჩრდილში მოიკალათა და თავისი ხვედრის მოლოდინში პაპიროსი გააბოლა. ამბობენ, გამგეობის შენობაში, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფლსაბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე და რაიცენტრელი ამხანაგი ერთმანეთს ეთათბირებოდნენ, მუსტაფაც შევიდაო. როცა მუსტაფას ხელჩხინკას ახლოს გაუვლია, ერთი კი გადაუხედავს და უთქვამს:

– რაღაც მოვიფიქრე, მარა, თუ ამანაც ვერ გიშველა, ადექი და ჩუმად, რომ არავინ გაიგოს, მაგ შენი სამკლაურიანად ჩაწექი საფლავში, ხოლო ტუნგოს ვაშლებს მე დაგაბერტყავო.

ამ სიტყვებზე ხელჩხინკამ არაფერი უპასუხა და მწუხარედ გადახედა თავის ჩხინკა ხელს, თითქოს უნდოდა ეთქვა: ჯანდაბას, მე ყოველგვარ ტანჯვას ავიტან, მაგრამ რატომ უნდა დაიტანჯოს ეს მენშევიკის ტყვიისგან ისეც გატანჯული ხელიო.

აღსანიშნავია, რომ მუსტაფა, როგორც ერთ-ერთი უჭკვიანესი გლეხი მთელ კოლმეურნეობაში, აქაური უფროსებისგან დიდი პატივისცემით სარგებლობდა. სოფელში მისი ოდა ყველაზე დიდი და ლამაზი იყო. ასე რომ, როცა გამგეობას დიდი უფროსები ეწვეოდნენ, პირდაპირ მუსტაფას პურ-მარილით განთქმულ ოჯახს მიაყენებდნენ.

ის, რაც მუსტაფამ მოიფიქრა, მარტივი იყო, მაგრამ ჭკუასთან ძალიან ახლოს გახლდათ. რაიცენტრიდან ჩამოსული აფხაზი იყო, ხოლო, თუ კაცი აფხაზია, ეთიოპიიდანაც რომ იყოს ჩამოსული, აფხაზეთში ნათესავები უსიკვდილოდ მოეძებნება.

მუსტაფამ ერთ ღამეს, თურმე, საიდუმლოდ მოიპატიჟა ახლომახლო მცხოვრები ბერიკაცები, გაუმასპინძლდა და მერე მათთან ერთად გულდასმით გამოიძია რაიცენტრიდან ჩამოსული ამხანაგის გენეალოგია. გულმოდგინე და ყოველმხრივმა ანალიზმა ნათელყო, რომ რაიცენტრელ ამხანაგს თავისი ბიძაშვილის ბებიის, ერთ დროს ქალაქელი ქალიშვილის, შემწეობით, რომელიც ამჟამად სოფელ მერხეულში ცხოვრობს, სისხლის ნათესაობა აკავშირებს ბიძია მექსუტთან. მუსტაფა ანალიზის შედეგმა სავსებით დააკმაყოფილა და სწორედ ამის იმედი ჰქონია, როცა ხელჩხინკას გვერდით ჩაუვლია და პირდაპირ გამგეობაში უკრავს თავი. ამბობენ, როდესაც მან ამის შესახებ რაიცენტრელ ამხანაგს აცნობა, ეს უკანასკნელი გაფითრებულა და უუარებია – არაფრით არ ვენათესავები მერხეულელ ბებიას და, განსაკუთრებით, ბიძია მექსუტსო.

– ფიცი მწამს, მაგრამ... თუ ნათესავი არა ხარ, რატომღა გაფითრდი? – ჩაუცინია მუსტაფას და ოთახიდან გულდამშვიდებული გამოსულა.

– რა ვქნა? – ჰკითხა ხელჩხინკამ, როცა მუსტაფა დაინახა.

– საღამომდე მოითმინე, – უთხრა მუსტაფამ.

– ბარემ გადაწყვიტეთ, რასაც წყვეტთ, – ხმას აუწია ხელჩხინკამ, – თორემ ამ სამკლაურში ხელი სულ გამიხმება.

– საღამომდე-მეთქი, – გაუმეორა მუსტაფამ და წავიდა.

როდესაც რაიცენტრელმა ამხანაგმა ბიძია მექსუტის ნათესაობა არ აღიარა, არსებითად საშინლად შეურაცხყო იგი, მაგრამ ბიძია მექსუტმა თავი შეიკავა, არავისთვის არაფერი უთქვამს, თავის ცხენს მოახტა და მერხეულს გაემგზავრა.

საღამოს გაოფლიანებული ცხენით დაბრუნდა, გამგეობასთან ჩამოხტა და ალვირი თავისი ხვედრის კვლავ მომლოდინე ხელჩხინკას შეაჩეჩა. ამ დროს თავმჯდომარე აივანზე იდგა და პაპიროსს ეწეოდა, თანაც ხელჩხინკასა და იქაურობას ათვალიერებდა.

– ამოდი, – უთხრა თავმჯდომარემ, როდესაც ბიძია მექსუტს მოჰკრა თვალი.

– ახლავე, – ასძახა ბიძია მექსუტმა და, სანამ ავიდოდა, დალვრემილ ხელჩხინკას წითელი სამკლაური ჩამოჰგლიჯა და უსიტყვოდ ჩაუტენა ჯიბეში.

ამბობენ, ხელჩხინკას ამ სიმბოლური ჟესტის აზრი რიგიანად ვერ გაუგია და დაეჭვებულს ხელი ისევ ჰაერში ჩამოკიდებული შერჩენია.

ბიძია მექსუტმა რაიცენტრელ ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგს გაყვითლებული და საკმაოდ მტვერნაჭამი ქაღალდი დაუდო წინ. ეს გახლდათ მერხეულელი ბებიის დაბადების მოწმობა, ჯერ კიდევ რევოლუციამდელი სოხუმის მაზრის სანოტარო კანტორის მიერ გაცემული. მოწმობის დანახვაზე რაიცენტრელი ამხანაგი კიდევ ერთხელ გაფითრდა, მაგრამ უარის თქმა ველარ შეძლო.

– იქნებ, გინდა, ბებიაშენი დავაკრა უნაგირზე და მოგიყვანო? – ჰკითხა ბიძია მექსუტმა.

– ბებია არაა საჭირო, – წაიდუდუნა რაიცენტრელმა ამხანაგმა.

– პორტფელს თან წამოიღებ თუ სეიფში შეინახავ? – კიდევ ერთხელ ჰკითხა ბიძია მექსუტმა.

– თან წამოვიღებ, – უპასუხა რაიცენტრელმა ამხანაგმა.

– მაშინ, ჰაიდა! – თქვა ბიძია მექსუტმა და ოთახიდან გავიდნენ.

იმ საღამოს ბიძია მექსუტის ოჯახში პურ-ღვინო გაანწყვეს და ყველაფერი აწონ-დაწონეს. მეორე დღეს ბიძია მექსუტის სახლში, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, პირადად მე დამაწერინეს ცნობა კავკასიურ-რუსულ-კანცელარიულ ენაზე.

– მადლობა ღმერთს, ეს მუქთახორაც გამოგვადგა, – თქვა ხელჩხინკამ, როდესაც სამელნე ახლოს დავიდგი და კარნახის მოლოდინში გავინაბე. ცნობა რაიცენტრელმა ამხანაგმა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა განიხილეს. ხელჩხინკა ყურადღებით უსმენდა და მოითხოვდა, ყოველი ფრაზა აფხაზურად მითარგმნეთო. ამასთანავე, რამდენიმე ფორმულირება დააზუსტა, როგორც ახლა ვხვდები, თავის სოციალურ, საზოგადოებრივ და სხვა უფლებათა ამაღლების მიზნით.

განსაკუთრებით ცხარე კამათი იმ ადგილმა გამოიწვია, სადაც მისი ხელჩხინკაობა უნდა განმარტებულიყო. ხელჩხინკა კატეგორიულად მოითხოვდა, ჩაწერეთ, რომ მენშევიკი აგენტის ტყვიით ვარ დაშავებულიო. ამას იმით ამტკიცებდა, რომ წვრილფეხა თავადი, რომელმაც მე დამჭრა, შემდეგ მენშევიკებთან ერთად გაიქცაო. ხელებში თავჩარგული რაიცენტრელი ამხანაგი ევედრებოდათ: თუმცა, ჩემს ნათესავებს პატივსა ვცემ, გთხოვთ, ყველაფერი სწორად ჩაწეროთ, იმიტომ, რომ ჩემი უფროსების წინაშე მეც პასუხი უნდა ვაგოო. ბოლოს და ბოლოს ისეთი ტექსტი შეადგინეს, ყველა კმაყოფილი დარჩა.

ცნობის შედგენას იმდენ ხანს მოუნდნენ, იმდენ ხანს ვწერე ჩემი გაუწაფავი ხელით, რომ ზეპირად დავისწავლე, მერე მთხოვეს, მზა ცნობა ხმამაღლა წამეკითხა, რაშიც უთუოდ ჩემმა გამომეტყველებითმა ნიჭმა მიშველა... ამის შემდეგ კი ცნობის ტექსტი გადასაწერად სოფლსაბჭოს მდივანს ჩააბარეს. აი, რა ეწერა ცნობაში:

„მოხუცი შჩააბან ლარბა, მეტსახელად „ხელჩხინკა", რაც მან ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიიღო თავადის ტყვიასთან ერთად, რომელიც შემდეგ მენშევიკური ყალიბისა აღმოჩნდა, კოლმეურნეობის დაარსების პირველი დღეებიდანვე, მიუხედავად მისი ნაწილობრივ გამხმარი ხელისა (მარცხენა), აქტიურად შრომობს არტელში.

მოხუც შჩააბან ლარბას, მეტსახელად „ხელჩხინკას", ჰყავს ვაჟიშვილი, რომელიც ამჟამად სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის და მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები (ფრჩხილებში აღნიშნული იყო საველე ფოსტის მისამართი).

მოხუცი შჩააბან ლარბა, მეტსახელად „ხელჩხინკა", ხანდაზმულობის მიუხედავად, ამ მძიმე პერიოდში თავაუღებლად შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე და ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევს ზემოხსენებულ დაზიანებულ ხელს. მისი ყოველწლიური საშუალო გამომუშავება ოთხას შრომადღეს შეადგენს.

კოლმეურნეობის გამგეობა სოფლსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად ადასტურებს, რომ ტუნგოს ხე ხელჩხინკამ, ვითარცა რევოლუციამდელმა განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებელმა მოხუცმა, თავის ფიქტიურ საფლავზე შეცდომით გადარგა, რისთვისაც, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თანახმად, დაჯარიმებული იქნება. კოლმეურნეობის გამგეობა ადასტურებს, რომ კოლმეურნეობის პლანტაციებიდან ტუნგოს ხის საზოგადოებრივ სასაფლაოსა და, მით უმეტეს, კერძო საკარმიდამო ნაკვეთზე გადარგვის შემთხვევები მასობრივი არასოდეს ყოფილა და მხოლოდ ერთპიროვნული შეუგნებლობის ხასიათს ატარებს.

კოლმეურნეობის გამგეობა ადასტურებს, რომ მოხუც შჩააბან ლარბას, მეტსახელად „ხელჩხინკას", საკოლმეურნეო საქმეებისთვის არასოდეს დაუცინია, იგი თავისი მხიარული და აფხაზური პილპილივით ცხარე ხასიათის გამო მხოლოდ ცალკეულ პირებს დასცინოდა, რომელთა შორის კოლექტიური მეურნეობის ბევრი პარაზიტია. ეს პარაზიტები წარმოადგენენ გმირებს ბრჭყალებში და მოწინავეებს უბრჭყალებოდ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე. მაგრამ ჩვენ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თანახმად, ასეთ გმირებსა და ასეთ მოწინავეებს ყოველთვის ვძლევდით, დავძლევთ და, საჭიროების შემთხვევაში, საკარმიდამო ნაკვეთსაც გამოვამშვიდობებთ და კოლმეურნეობიდანაც გავყრით.

მოხუცი შჩააბან ლარბა, თავისი ხალხური ტალანტის წყალობით, სანაქებოდ ბაძავს ადგილობრივ მამლებს, რითიც სააშკარაოზე გამოაქვს ძველი დროის ყველაზე უფრო მავნე მუსულმანური ადათწესები; ამასთანავე, მუშაობის შეუწყვეტლად ართობს კოლმეურნეებს".

ცნობას კოლმეურნეობისა და საბჭოს თავმჯდომარეებმა მოაწერეს ხელი და ბეჭედი დაუსვეს.

როდესაც საქმეს მორჩნენ, სტუმრები აივანზე გამოვიდნენ, ბოლო ჭიქები „იზაბელათი" შეავსეს და გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო შესვეს, რაიცენტრელმა ამხანაგმა გამგეობის ერთ-ერთ წევრს სიტყვა გადაუკრა, ნეტავ, ერთი მომასმენინა, ხელჩხინკა მამლებს როგორ აჯავრებსო. ხელჩხინკას ბევრი ხვეწნამუდარა არ დასჭირვებია, მაშინვე მიიდო თავისი უკვდავი ხელი პირთან და ისეთი ყიყლიყო გაუშვა, რომ ახლომახლო მამლებმა ცოფიანი ძაღლებივით აიწყვიტეს. მასპინძლის მამალი კი, რომლის თვალწინაც გათამაშდა ასეთი ტყუილი, ერთ ხანს ბრაზმორეული გაირინდა, ხოლო მერე ისე აკრიახდა, იძულებულნი გახდნენ, ეზოდან ბოსტანში შეეგდოთ, რადგან რაიცენტრელი ამხანაგის ყურს უსიამოვნოდ ხვდებოდა და ლაპარაკსაც უშლიდა.

– ყველა მამალზე ახდენს ზეგავლენას თუ მხოლოდ აქაურებზე? – იკითხა რაიცენტრელმა ამხანაგმა, როცა მამალი იქაურობას მოაშორეს.

– ყველაზე, – თითქოს პასუხი წინასწარვე მზად ჰქონდაო, აუხსნა ხელჩხინკამ, – გამომცადეთ, სადაც გენებოთ.

– ჭეშმარიტად ხალხური ტალანტია, – თქვა მან. გამოემშვიდობნენ ბიძია მექსუტს, რომელიც ჭიშკრის იქითაც გაჰყვათ ცოტაზე, და წავიდნენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცნობაში ჩაწერილი პირობა პირნათლად შეასრულა. ხელჩხინკა ოცი შრომადღით დააჯარიმა. თანაც უბრძანა, ტუნგოს ხე უკანვე, პლანტაციაში გადარგე და საფლავი ერთხელ და სამუდამოდ ამოავსე მიწით, რათა საქონელი უბედური შემთხვევისგან დაზღვეული იყოსო. ხელჩხინკამ ტუნგოს ხე ამოთხარა და ისევ კოლმეურნეობის პლანტაციაში გადარგო, მაგრამ ამდენი წვალების გადამკიდე საბრალო მცენარე კარგა ხანს მსხმოიარე იყო.

– ჩემი ხელივითაა, რა! – იტყოდა ხოლმე ხელჩხინკა. საფლავი მაინც შეინარჩუნა, საკმაოდ ლამაზი ცხაური შემოავლო და რაზიანი კარიც გაუკეთა.

მას შემდეგ, რაც ანონიმურ წერილთან დაკავშირებული ამბავი მიწყნარდა, ნათესავმა ისევ მიუგზავნა კაცი და მორიდებით შეახსენა თავისი უშობელი.

ხელჩხინკამ შეუთვალა: შენი უშობლისთვის არა მცხელა, საქვეყნოდ მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრეს თავი და ცილი დამწამესო; დღედაღამ ცილისმწამებელს დავეძებ და სამუშაოზეც კი იარაღით დავდივარო; მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ იმ მუდრეგს არ დავასამარებ და მაშინ საკუთარ საფლავსაც არ დავინანებ მისთვის, თუ ძალიან დიდი მხეცი არ იქნა და შიგ ჩაეტიაო. ამიტომ გადაეცი იმ ჩემს ნათესავს, რომ ყველას თვალყური ადევნოს, თუკი ვინმეზე ეჭვს აიღებს, უმალვე მაცნობოს და მერე ხელჩხინკამ იცის, რასაც უზამსთქო. ესეც უთხარი, მხოლოდ ამ ვაჟკაცური მოვალეობის შესრულების შემდეგ მოვაგვარებ უშობლის საქმესაც და სხვა წვრილმან გაუგებრობასაც, რაც ასე ბუნებრივია ახლობელ ადამიანთა ნათესაურ დამოკიდებულებაში-თქო.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ნათესავი საბოლოოდ ჩაჩუმდა, თავის უშობელზე კრინტსაც აღარ ძრავდა და ცდილობდა, ხელჩხინკას საერთოდ აღარ შეხვედროდა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ ნადიმზე მაინც გადაეყარნენ ერთმანეთს. ღამით, როდესაც სუფრული წამოიწყეს, საკმაოდ შეჟინულილებულმა ხელჩხინკამ რამდენჯერმე გაიმეორა:

ო, რაიდა, სიუ რაიდა, რაიდა,
ნათესავი უშობელში გაყიდა...

მღეროდა ხელჩხინკა და ნათესავისკენ არც იხედებოდა, რის გამოც ნათესავი თანდათან გამოფხიზლდა და ბოლოს მოთმინებადაკარგულმა მოაძახა:

– რა გინდა მაგით თქვა?

– არაფერი, – უპასუხა ხელჩხინკამ და ისე შეათვალიერა, თითქოს ზომას ულებსო, – უბრალოდ, ვმღერი.

– ჰო, მაგრამ რაღაც უცნაურად მღერი, – უთხრა ნათესავმა.

– ახლა ჩვენს სოფელში, – განუმარტა ხელჩხინკამ, – ყველა ასე მღერის, ერთი კაცის გარდა...

– რომელი ერთი კაცის? – დაინტერესდა ნათესავი.

– გამოიცანი, – შესთავაზა ხელჩხინკამ.

– მეტი საქმე არა მაქვს! – ხელი ჩაიქნია ნათესავმა.

– მაშინ მე თვითონ ვიტყვი, – დაემუქრა ხელჩხინკა.

– თქვი მერე! – გაყოჩდა ნათესავი.

– სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, – ჩაულაპარაკა ხელჩხინკამ.

– ის რატომ არ მღერის? – ჯიქურ ჰკითხა ნათესავმა.

– უფლება არა აქვს, წერილის დამწერზე სიტყვა გადაკრას.

– შეგიძლია, დაამტკიცო? – აენთო ნათესავი.

– დამტკიცება არ შემიძლია, ამიტომაც ჯერჯერობით ვმღერი, – მიუგო ხელჩხინკამ და კვლავ ისე შეათვალიერა, თითქოს ზომას ულებსო.

მათ კინკლაობას უკვე მიაქცია ყურადღება შეშფოთებულმა მასპინძელმა. მასპინძელს იმის ჯავრი სჭირდა, არ ჩაეშხამებინათ ნადიმი, რომელიც თავისი ვაჟიშვილის „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოების გამო გამართა.

ისევ აგუგუნდა სიმღერა. ყველა მღეროდა, ახლა ხელჩხინკაც სხვებივით მღეროდა, არაფრით გამოირჩეოდა, რადგან გრძნობდა, მასპინძელი უგდებდა ყურს. მაგრამ მერე, როცა მასპინძელი დაშოშმინდა, ხელჩხინკამ წამი შეარჩია და ისევ შეაკოწიწა:

ო, რაიდა, სიუ რაიდა, რაიდა,
თან ცხაური შემოავლო გარედან...

მაგრამ მასპინძელმა ამ გადაკრულ სიტყვებს მაინც მოჰკრა ყური, ყანწი ღვინით აავსო და მათთან მივიდა.

– ხელჩხინკავ! – შესძახა მან, – დაიფიცეთ ჩვენი შვილები, რომლებიც სამშობლოს დასაცავად სისხლს ღვრიან, რომ თქვენ ერთხელ და სამუდამოდ შერიგდებით ამ სუფრაზე!

– მე უკვე დავივიწყე ჩემი უშობელი, – თქვა ნათესავმა.

ცისკარი 1852

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუმცა, საკმაოდ დაგვიანებით,— შეუსწორა ხელჩხინკამ და მასპინძელს მიმართა,— ჩვენი ბავშვების საკეთილდღეოდ ჯოჯოხეთშიც ჩავვარდები! იყოს შენებურად, ამინ!

მერე ლიტრიანი ყანწი მოიყუდა, თავი უკან გადაწია და ისე გამოცალა, პირიდან ერთხელაც არ მოუშორებია. სმაში, რა თქმა უნდა, საერთო-გუნდური „ვაშა ვაშა, ვაშააც“ ეხმარებოდა.

ისევ იჭექა სუფრულმა და ნათესავი გაფაციცებით ელოდა, როგორ იმღერებდა ხელჩხინკა იმ ადგილს, სადაც იმპროვიზაცია იყო შესაძლებელი. და, როცა ხელჩხინკამ მიამღერა:

ო, რაიდა, სიუ რაიდა, ეი,
ცეცხლში მიმავალ გმირებზე ვმღერი...

ნათესავი წამით ჩაფიქრდა, ნათქვამი აწონ-დაწონა და, ბოლოს, როცა დაადგინა, სულაც არა ვგავარ ცეცხლში მიმავალ გმირსო, დაშოშმინდა და თვითონაც შეუერთდა მომღერალთ.

***

შემოდგომაზე ჩვენი ნაკვეთიდან უხვი მოსავალი ავიღეთ და ქალაქს დავუბრუნდით. რა გინდოდა, სულო და გულო, რომ არ წავიღეთ: სიმინდი, კვახი, ნიგოზი და ქვეყნის ჩირი. ამათ გარდა, დავამზადეთ ოცი ბოთლი ბეკმეზიც – ხილის, ამ შემთხვევაში, ვაშლის თაფლი.

ბრიგადირთან საფუძვლიანი მოლაპარაკების შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ უფლება მოგვეცა, ერთ მიგდებულსა და ძველისძველ ბაღში ვაშლები დაგვეკრიფა, ნახევარი კოლმეურნეობისთვის ჩაგვებარებინა, ნახევარი კი ჩვენ დაგვრჩენოდა.

მოგეხსენებათ, კოლმეურნეობას მაშინ მუშახელი უჭირდა. ვაშლის დამკრეფი აღარავინ იყო, რადგან ყველანი ძირითად კულტურებს: ჩაის, თამბაქოს, ტუნგოს უვლიდნენ.

მიიღო თუ არა ვაშლის დაკრეფის უფლება, დედაჩემი, თავის მხრივ, სოფლის მახლობლად მდგომი მუშათა ბატალიონის სამ მებრძოლს მოელაპარაკა, რომ ვაშლის დაკრეფაშიც დაგვხმარებოდნენ, დანაყვაშიც და ბეკმეზის გამოხდაშიც; გასამრჯელოდ კი მთელი მოსავლის ნახევრის ნახევარს მიიღებდნენ.

ერთი კვირის შემდეგ ეს „ოპერაცია“ ბრწყინვალედ დასრულდა და უკვე ჩვენს ხელთ იყო ოცი ბოთლი მძიმე, ოქროსფერი ბეკმეზი (წმინდა შემოსავალი), რამაც მომავალ ზამთარს იოლად გაგვიწია შაქრის მაგივრობა.

ამრიგად, როცა ვუჩვენეთ კომერციული გერგილიანობის სწორუპოვარი მაგალითი, კოლმეურნეობა დავტოვეთ და ხელჩხინკას ხმაც სადღაც შორს დარჩა.

და აი, უკვე დიდი ხნის შემდეგ სანადიროდ მიმავალი კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი იმ სოფელში. კოლმეურნეობის გამგეობის გვერდით, ისევ იმ ბუოლის ჩრდილში ვიჯექი და გამვლელ მანქანას ველოდებოდი. აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ვიჯექი და ვუყურებდი სკოლის გამოცარიელებულ შენობას, ლორთქო ბალახით გადაბიბინებულ პატარა ეზოს, ევკალიპტის ხეებს, რომლებიც ოდესღაც ჩვენ დავრგეთ, დაჟანგულ ღერძს, ყოველ შესვენებაზე რომ ვეკონწიალებოდით ხოლმე და სევდამორეული იმ შორეული წლების არომატს ვიყნოსავდი.

თითო-ოროლა გამვლელი, სოფლური ადათის მიხედვით, მომკრავდა თუ არა თვალს, მესალმებოდა, თუმცაღა, ერთმანეთს ვერ ვცნობდით. კოლმეურნეობის გამგეობის შენობიდან ქალიშვილი გამოვიდა, ხელში ორი დოქი ეჭირა; მივიდა ჭასთან, ოწინარი უნდილად ჩაუშვა და წყალი ამოიღო. ხის მორზე დადგმული დოქები ერთდროულად აავსო. დოქებს გარედანაც შეასხა წყალი, თითქოს შხეფებს ეალერსებაო. მერე ვედროში ჩარჩენილი წყალი მოლზე მოაქცია, სველი დოქები აიღო და კანტორისკენ ზანტად გაემართა.

როდესაც კიბე აათავა და კარი შეაღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგონე, შიგნიდან ხალხის ყაყანი შემოეგება და მომეჩვენა, რომ ყველაფერი ეს ოდესღაც უკვე იყო.

ვიღაც ჯეელმა, ჟანგიანსა და ჭრიალა ველოსიპედზე რომ დასკუპებულიყო, გვერდით ჩამიქროლა. ბიჭს პიჯაკი ეცვა და შარვლის ცალი ტოტი აეკარწახებინა. მცირე ყოყმანის შემდეგ ველოსიპედი შემოატრიალა, მომიახლოვდა და პაპიროსი მთხოვა. ველოსიპედის საბარგულზე ორი ფურნის პური ჰქონდა დაკრული. პაპიროსი გავუწოდე და ვკითხე, იაშკას თუ იცნობ, ხელჩხინკას შვილიშვილს-მეთქი.

– როგორ არა, – მიპასუხა მან, – იაშკა ფოსტალიონია. იდექი აქ, მალე მოტოციკლით გამოივლის.

რამდენიმე წუთს გავცქეროდი გზას და მოტოციკლის რახრახი მართლაც მალე შემომესმა. გაფრთხილებული რომ არ ვყოფილიყავი, რასაკვირველია, იაშკას ვერ ვიცნობდი. თავის მსუბუქ მოტოციკლზე შესკუპული საბავშვო ველოსიპედზე გადამჯდარ გულივერსა ჰგავდა.

– იაშკა! – დავუძახე მე, როგორც კი მოიხედა ჩემკენ, მოტოციკლი შეაჩერა. მომდევნო წამს, თუ თვალმა არ მომატყუა, იაშკა ახრიალებულ მოტოციკლს მსუბუქად დააწვა და სულ გააკმენდინა ხმა. მერე ფეხებშუა გამოაგორა. ქუჩიდან გადავუხვიეთ და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე გვიმრის ჩრდილიან რაყაში ვიწექით.

იგი იწვა ჩემ გვერდით – მაღალი, ზორბა, ოდნავ სახეგალიმებული და ჯერ კიდევ იმ იაშკას მსგავსი, ზურგსუკან რომ უჯდა ხოლმე ცხენზე ბაბუამისს და დაბნეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. თურმე, იაშკა აგერ აქამდე ბრიგადირად ყოფილა, მაგრამ რაღაც დაუშავებია და ახლა ფოსტალიონად ჩამოუქვეითებიათ. როცა ამას მიყვებოდა, სახეზე ღიმილი არც მაშინ გაქრობია. თუმცა რა, ჯერ კიდევ პატარაობისასვე ეტყობოდა, პატივმოყვარეობა ჩირადაც არ ულირდა.

ეტყობა, საგვარეულო სიშმაგის მარაგი ბაბუამისმა დახარჯა, იაშკას აღარაფერი დაუტოვა. ან, იქნებ, იმიტომ დახარჯა ბაბუამისმა, რომ იაშკას გასაშმაგებელი არაფერი ჰქონდა? მართლაც, რა განსხვავებაა, ბრიგადირი ხარ თუ ფოსტალიონი! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხმა კი ჰქონდა შვილიშვილს ბაბუამისისა – ისეთივე ბოხი და მჭექარე, მაგრამ არც ისე ბობოქარი. რაღა თქმა უნდა, ბაბუამისი მოვიკითხე.

– როგორ, არაფერი გსმენია? – გაიოცა იაშკამ და თავისი დიდი, მრგვალი თვალები მომაპყრო.

– რა უნდა მსმენოდა? – ვკითხე მე.

– ყველამ იცის მისი ამბავი. შენ სად იყავი?

– მოსკოვში ვიყავი, – ვუთხარი მე.

– აა, მაშასადამე, მოსკოვამდე ვერ მოაღწია, – გააგრძელა იაშკამ იმ მანძილის პატივსაცემად, რომელიც მოსკოვსა და აფხაზეთს შორისაა, – რადგან ამ ამბავმა იქამდე ვერ მოაღწია, მაშასადამე, მოსკოვამდე ქვეყნის სავალი გზა ყოფილა.

იაშკამ გვიმრის ცოცხალი ბუჩქები მოგლიჯა და ქვეშ გაიგო, უფრო მოხერხებულად ამოიდო თავქვეშ წერილების ჩანთა და თავისი მოუსვენარი ბაბუის უკანასკნელი თავგადასავალი მიამბო. ეს ამბავი შემდეგ სხვებისგანაც მომისმენია, მაგრამ სულ პირველად იაშკასგან გავიგონე.

ჯერ კიდევ ჩემს ოცნებაში ვტკბებოდი ხელჩხინკას ფანტაზიის უკანასკნელი, ძალუმი გადმონაჩქეფით, რომ უეცრად...

– ჟუჟუნა, ჟუჟუნა! – ყოველგვარი შემზადების გარეშე დაიყვირა ჩემ გვერდით მწოლიარე იაშკამ.

– რა გნებავს! – გამოეხმაურა საიდანღაც ქალიშვილი. წამოვიწიე და მივიხედ-მოვიხედე. გვიმრის რაყის იქით წიფლნარის პატარა ჭალა მოჩანდა. თუ ხეთა შორის დარჩენილ სიცარიელეს გაადევნებდით თვალს, შეამჩნევდით, რომ წარაფს იქით მესერი იწყებოდა, ხოლო მესერს იქით სიმინდის ყანა! ქალიშვილის ხმაც საიდანღაც იქიდან გაისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– წერილი, ჟუჟუნა, წერილი! – ისევ დაუძახა იაშკამ დ თვალი ჩამიკრა.

– ატყუებ? – ვკითხე მე.

იაშკამ მხიარულად დამიქნია თავი და ყური მიუგდო. წამით ჩაჩუმებული კუტკალიები ისევ აწიწკინდნენ გაუბედავად.

– მა-ტყუ-ა-რაა! – გაისმა ბოლოს ქალიშვილის ხმა, მაგრამ გულმა მიგრძნო, ფოსტალიონმა მიზანს მოახვედრა...

– მალე, ჟუჟუ, მალე, თუ არა, წავალ! – მიაძახა აღტაცებულმა და ამავე დროს თავისივე ხმით თუ ქალიშვილის სახელით შემთვრალმა იაშკამ.

მივხვდი, ზედმეტი ვიყავი და ნახვამდის-მეთქი, ვუთხარი. იაშკას თან ქალიშვილისაკენ ეჭირა თვალი, თან ჩემს დაყოლიებას ცდილობდა, ერთ ღამეს მაინც დარჩი ჩემსაო, მაგრამ უარი ვთქვი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მეჩქარებოდა, მეორეც, იმიტომ, რომ ამით ჩვენიანებს ვაწყენინებდი, რომლებთანაც შევლა მაინც ვერ მოვახერხე. ვიცოდი, ერთი ღამითაც რომ დავრჩენილიყავი, ხელს გადავყვებოდი და ნადირობა აღარ გამომივიდოდა.

ბილიკი რომ გავიარე და ქუჩაში გავედი, კიდევ ერთხელ მომესმა ქალიშვილის ხმა, ამჯერად უფრო მკაფიოდ.

– თქვი, ვისგანაა და მოვალ! – მიაძახა ქალიშვილმა.

– მოდი და მაშინ გეტყვი, ჟუჟუნა! – უკანასკნელად გაისმა ვაჟის ძახილი აგვისტოს სიცხით გათანგულ სივრცეში და რაღაცნაირი, ბუნდოვანი ნაღველი შემომაწვა, ხალხურად შურს რომ ეძახიან. ამასობაში კი უკვე სოფლის მყუდრო ქუჩაზე გამოვსულიყავი.

ყოველ შემთხვევაში, – გავიფიქრე მე, – ხელჩხინკას ტრადიციები მაინც ცოცხლობს. ნახევარი საათის შემდეგ მანქანით გავემგზავრე სოფლიდან და მას მერე იქით აღარასოდეს მიქნია პირი, მაგრამ არ ვკარგავ იმედს, ოდესმე მოვინახულებ ჩვენიანებს, თუნდაც იმის გასაგებად თუ რით დასრულდა იაშკას და ჟუჟუნას გადაძახილ-გადმოძახილი.

***

ხელჩხინკას უკანასკნელ თავგადასავალს კი ისევე მოგიყვებით, როგორც ჩემს მეხსიერებას შემორჩა.

ხელჩხინკა ღვთისა და თავისი სიკეთით ომის დამთავრებასაც მოესწრო, ვაჟის დაბრუნებასაც და მოხუცებულობა სიამტკბილობაში გაატარა. ერთი წლის წინათ კი იმასაც ეწვია მიქელ-გაბრიელი და ახლა უკვე ნამდვილად.

ერთ დღეს, ჩვეულებრივ, აივანზე იყო წამოწოლილი და ეზოში იხედებოდა, სადაც მისი ცხენი ბალახს ძოვდა. უეცრად ჭიშკარი გაიღო და ეზოში მუსტაფამ ცხენი შემოაჩაქჩაქა. მერე ჩამოქვეითდა და აივანზე ავიდა. სკამი მიართვეს მაშინვე. ხელჩხინკას გვერდით ჩამოჯდა, როგორც ყოველთვის, ძველებური ამბები მოიგონეს. ხელჩხინკას დროდადრო რული ეკიდებოდა. ძნელი დასადგენი გახლდათ, იმ დროს გონებამიხდილი იყო თუ წაძინებული. მაგრამ, როგორც კი გამოერკვეოდა, ყოველთვის იქიდან განაგრძობდა სიტყვას, რაზეც წელან შეჩერდა.

– შენ რა, მართლა მიდიხარ ჩვენგან? – ჰკითხა მუსტაფამ და თავის მეგობარსა და მეტოქეს გულისყურით ჩააჩერდა.

– მართლა, – მიუგო ხელჩხინკამ, – აწი უკვე საიქიოში მომიწევს ცხენების ბანა.

– ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, – თანაგრძნობით ამოიოხრა მუსტაფამ, – მაგრამ არ მეგონა, თუ პირველი შენ...

– შენ ისიც არ გეგონა ხოლმე, რომ დოღში მე ვიქნებოდი პირველი, – ისე გარკვევით წარმოთქვა ხელჩხინკამ, რომ სამორიგეო ვახტზე მყოფმა ნათესავებმაც მოჰკრეს ყური და ოდნავ კიდევაც გაეცინათ, მაგრამ უმალვე ტუჩებზე აიფარეს ხელი, რადგან სიცილი მომაკვდავის ახლოს, თუნდაც ეს მომაკვდავი თვით ხელჩხინკა ყოფილიყო, მაინც უხერხულია.

დიახაც ეწყინა მუსტაფას, მაგრამ კვდება კაცი და ხომ ვერ შეეკამათება! როდესაც მომაკვდავი დასცინის ცოცხალს, ეს განსაკუთრებით საწყენია იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ რომ, რადგან მომაკვდავი დაგცინის, მაშასადამე, შენ უფრო საცოდავსა და სავალალო მდგომარეობაში ყოფილხარ, ვიდრე ის, სულთმობრძავი. ამაზე უარესი რაღა იქნება!

მომაკვდავთან შეკამათება, რა თქმა უნდა, უხერხულია, მაგრამ რაიმეს მოყოლა კი შეიძლება. მუსტაფამაც დაიწყო:

– რადგანაც არ მოგიშლია და შორეულ გზას დადგომიხარ, რაღაც უნდა გითხრა, – დაიხარა და ჩაულაპარაკა ხელჩხინკას.

– თქვი, – ისე უთხრა ხელჩხინკამ, არც შეუხედავს, რადგან ისევ ეზოში იხედებოდა, სადაც მისი ცხენი ბალახობდა. სულის ამოსვლის წინ ყველაფერზე მეტად თავისი ცხენის ყურება უნდოდა.

– ნუ დამემდურები, ჩემო ხელჩხინკა და, მაშინ მე დავრეკე კოლმეურნეობაში, ხელჩხინკა გარდაიცვალა-მეთქი, – ისე თქვა მუსტაფამ, თითქოს წუხს, აფსუს, ნეტა ახლაც შემეძლოს ამ ჭორის დაგდებაო, – მაგრამ, ღმერთმანი, ძალიან ვნანობ.

– შენ როგორ დარეკავდი, როცა რუსულად ულაპარაკნიათ? – გაიოცა ხელჩხინკამ და თვალი შეავლო მეგობარს.

მუსტაფამ რუსული არ იცოდა და, დიდი სამეურნეო ჭკუის მიუხედავად, იმდენად უწიგნური იყო, რომ იძულებული გახდა, საკუთარი ანბანი გამოეგონებინა ან, ყოველ შემთხვევაში, თავისებური იეროგლიფები შემოეღო. ამ იეროგლიფების შემწეობით ინიშნავდა მუსტაფა ყველა თავის მოვალეს და ადგენდა სამეურნეო ანგარიშებს, რომლებიც რთულსა და მრავალსაფეხურიან გაცვლით ოპერაციებს ითვალისწინებდა.

აი, რატომ გაიოცა ხელჩხინკამ, მუსტაფა როგორ ილაპარაკებდა ტელეფონით და ისიც რუსულადო.

– ერთი ჩემი ქალაქელი ძმისწული ვალაპარაკე, მე გვერდით ვუდექი, – აუხსნა მუსტაფამ, – რაკი მოგარჩინეს, ვიფიქრე, გავიხუმრებ-მეთქი. ასე რომ არ მექნა, მანქანას ვინ გამოგზავნიდა! – დაუმატა მუსტაფამ და ის შორეული, გაჯახირებული დროც მოაგონა.

ხელჩხინკამ თვალები მილულა და დიდხანს დუმდა. მერე ნელ-ნელა გაახილა თვალი და ისე უთხრა, მუსტაფასთვის არც შეუხედავს:

– ახლა კი ვხედავ, ჩემზე უკეთ გცოდნია ცხენის ყადრი.

– ასე გამოდის, – თავაზიანად აღიარა მუსტაფამაც და მომაკვდავის ღამის მთევარ ნათესავებს გადახედა.

ახლობლებმაც უკვე ველარ გაუძლეს და ასლუკუნდნენ, რადგან ხელჩხინკამ თავის სიცოცხლეში პირველად აღიარა თავი დამარცხებულად და ეს უფრო ჰგავდა მის სიკვდილს, ვიდრე ის, რომელიც აგერ-აგერ უნდა სწვეოდა.

ხელჩხინკამ მაშინვე უბრძანა ნათესავებს, ფხუკუნს მოეშვითო და ცხენზე ანიშნა: – ისა ჯობია, ცხენებს წყალი დაალევინოთ, სწყურიათ.

ერთ-ერთმა ქალიშვილმა ვედროები აიღო და წყალზე წავიდა. ქალიშვილმა წყაროს წყალი მოიტანა და ვედროები შუა ეზოში დადგა. ხელჩხინკას ცხენი წყლიან ვედროსთან მივიდა და დაეწაფა, ხოლო მუსტაფას ცხენმა თავი მოაღირა და ალვირი გაქაჩა. ქალიშვილმა აუშვა ცხენი, ალვირი ხელში დაიკავა და იდგა ასე, ვიდრე პირუტყვი წყლით გულს მოიჯერებდა. კისერწაგრძელებული ცხენები თვინიერად სვამდნენ წყალს და ხელჩხინკა ისეთი სიამოვნებით უყურებდა მათ, ისე ამოძრავებდა ყრონტს, თითქოს თვითონაც წყალს სვამსო.

– მუსტაფა, – თქვა ბოლოს და მეგობარს შეხედა, – ახლა ვაღიარებ, რომ შენ უკეთესი ცხენის ტრფიალი ყოფილხარ, მაგრამ ისიც ხომ იცი, მეც რომ მიყვარდა ცხენები და ოჩანს ბედაურისაგან იოლად ვარჩევდი?

– მაშ როგორ, ეგ ვინ არ იცის! – სულგრძელად დაეთანხმა მუსტაფა და აივანზე მყოფთ თვალი გადაავლო.

– დღეს ან ხვალ თქვენს ჭირს წაიღებ, – განაგრძო ხელჩხინკამ, – ჩემი კუბო იმ ადგილას დადგით, ახლა რომ ცარიელი ვედროები დგას. ჰოდა, როცა ჩემს დატირებას მორჩებიან, ჰქენი ერთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა ვქნა? – ჩაეკითხა მუსტაფა და ახლობლებს დაუცაცხანა, შეატყო, საცაა კვლავ ასლუკუნდებოდნენ. მერე მომაკვდავისკენ დაიხარა. ეტყობოდა, ხელჩხინკა თავის უკანასკნელ სურვილს ანდობდა.

– გთხოვ, სამჯერ გადაახტე ჩემს კუბოს ცხენით. სახურავის დაჭედების წინ ძალიან მინდა ზემოდან ცხენის სუნთქვა გავიგონო? იზამ ამას?

– ვიზამ, თუ ჩვენი ადათის მიხედვით ცოდვად არ ჩამეთვლება, – დაჰპირდა მუსტაფა.

– ვფიქრობ, არ ჩაგეთვლება, – თქვა ხელჩხინკამ და ცოტა ხნის მერე თვალები დახუჭა – ჩაეძინა თუ გონება მიუხდა. მუსტაფა წამოდგა და აივნიდან ფეხაკრეფით ჩამოვიდა. მერე ცხენზე შეჯდა და შინმიმავალი სულ მომაკვდავის უკანასკნელ სურვილზე ფიქრობდა და ყოყმანობდა.

საღამოს სოფლის უხუცესობა მოიწვია, გაუმასპინძლდა და ბოლოს ხელჩხინკას თხოვნა გააცნო. უხუცესებმა ერთმანეთში მოითათბირეს და გადაწყვიტეს:

– გადაახტი, თუ მომაკვდავს ასე სურს. იმიტომ, რომ ახლა შენა ხარ საუკეთესო ცხენის მოყვარული.

– ეს თვითონ აღიარა, – ჩაურთო მუსტაფამ.

– არც ცოდვად ჩაგეთვლება, ვინაიდან ცხენი ხორცს არ ჭამს და ამონასუნთქიც წმინდა აქვს, – დაასკვნეს მათ.

ხელჩხინკამ იმავე ღამეს გაიგო უხუცესთა გადაწყვეტილება და კმაყოფილი დარჩა. ორი დღის შემდეგ კი სულიც განუტევა.

მეზობელ სოფლებში ახლაც ისევე დაგზავნეს უბედურების მაცნენი, როგორც მაშინ, ომის დროს. ზოგიერთი მისი გარდაცვალების ცნობას უნდობლად შეხვდა; ხოლო იმ ნათესავმა, ოდესღაც უშობელი რომ შესწირა, ისიც კი თქვა, კარგი იქნებოდა, მახათი გვეჩხვლიტა ხელჩხინკასთვის, რათა დავრწმუნებულიყავით – მართლა გააცხო სული თუ ისევ გვაბრიყვებსო.

– ჩხვლეტა აღარაა საჭირო, – მოთმინებით მიუგო მაცნემ, – იმიტომ, რომ მუსტაფა ცხენით გადაახტება მის კუბოს. მომაკვდავმა ისურვა ასე სულის ამოსვლის წინ.

– ჰოო, მაშინ წამოვალთ, – დამშვიდდა ნათესავი, – იმიტომ, რომ ცოცხალი ხელჩხინკა თავზე არავის გადაიხტუნებს.

დაკრძალვაზე ახლა უფრო მეტი ხალხი მოვიდა, ვიდრე მაშინ, როცა მისი გარდაცვალება არავის ეეჭვებოდა. ბევრს ის იზიდავდა, რომ საშუალება ეძლეოდა, ენახა დოლი კუბოზე გადახტომით, ანუ დაკრძალვა დაბრკოლებათა გადალახვით. ყველას სმენოდა მათი დიდი მეტოქეობის ამბავი. ამიტომ ამბობდნენ, ხელჩხინკა, მართალია, მკვდარია, მაგრამ საქმეს ასე არ დატოვებსო.

მერე ვიღაც-ვიღაცები იმის მტკიცებასაც მოყვნენ, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ახტებოდა ცხენით მუსტაფა ეზოში სკამებზე გადებულ ვარცლს, ესე იგი, ვარჯიშობდაო. მაგრამ მუსტაფა თვით ხელჩხინკას შესაფერი აღშფოთებით უარყოფდა, რის სკამები, რის ვარცლი, რას მეუბნებითო! ჩემი ცხენი თავისუფლად ევლება ალაყაფის თავს და, ხელჩხინკა მაინც ვერ მომწვდება, თუგინდ გადახტომის დროს კუბოდან თავისი სახელგანთქმული ხელიც ამოჰყოსო.

და აი, მისი გარდაცვალების მეოთხე დღეს, როდესაც სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ თავიანთ ნათესავს და თანასოფლელს, მგლოვიარე და, ამასთანავე, სულსწრაფი მუსტაფა კუბოსთან მივიდა და თავის ჯერს დაელოდა. ეს წუთიც მალე დადგა და მუსტაფამ მოკლე, მაგრამ უდიდესი მწუხარებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა – თვალწინ გადაუშალა დამსწრეთ შჰაბან ლარბას, მეტსახელად „ხელჩხინკას" გმირული ცხოვრება, ყველა მისი ცხენი მოწიწებით მოიხსენია და მისი საბოლოო სურვილიც დიდ მამაცობად ჩათვალა. მოკლედ, როგორც თვითონ განაცხადა, ყმაწვილთა ყურად სასმენად მოიგონა ულაყის ბრწყინვალე გატაცება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ხელჩხინკა ფლატედან მდინარეში გადაშვებასაც არ შეუშინდა; თუმცა იმაზეც გადაჰკრა, რომ შეშინებოდა, უარესი დაემართებოდაო. ისევ და ისევ ვიხსენებ ამ შემთხვევას იმიტომ კი არა, რომ ხელჩხინკას მამაცობა გავაბიაბრუო, არამედ იმიტომ, რომ ახალგაზრდობა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს გაბედულ გადაწყვეტილებათა უპირატესობაშიო.

ბოლოს კი როგორც მიცვალებულის, ასევე მისი სურვილის თანახმად, კვლავ ხმამაღლა მიმართა დამსწრე უხუცესობას, კუბოზე ცხენით გადახტომა ცოდვად ხომ არ ჩამეთვლებაო.

– ცოდვად არ ჩაგეთვლება, – მიუგეს მათ, – იმიტომ რომ ცხენი ხორცს არა ჭამს და ამონასუნთქიც წმინდა აქვსო.

ამის შემდეგ მუსტაფა ცხენის საბმურთან მივიდა, თავისი ცხენი აუშვა, შეახტა, მათრახი შეუტლაშუნა, ხალხმაც გზა დაუთმო და კუბოსაკენ გაექანა.

სანამ ცხენის საბმურთან მივიდოდა და ცხენს აუშვებდა, კუბოს იქითა მხარეს ყველაფერი ზედმეტი აიღეს და ხალხიც უკან დაწიეს, ცხენმა არავინ დააშაოსო. ვიღაცამ წინადადება წამოაყენა, მიცვალებულს ბრეზენტი გადააფარეთ, ჩლიქებიდან მიწა არ დაეყაროსო. მაგრამ ერთ-ერთმა უხუცესმა უთხრა, არც ესაა ცოდვა, რადგან მიცვალებულს მიწა ისეც დაეყრებაო.

და აი, ამბობენ, მუსტაფას ცხენი კუბომდე კი მიჭენდა, მაგრამ უეცრად გაქვავებულივით შეჩერდაო. მუსტაფამ შეუკივლა და გავაზე მათრახი უშხივლა. გადარეული ცხენი მხოლოდ თავს ატრიალებდა აქეთ-იქით, კბილებს აღრჭენდა, მაგრამ გადახტომაზე უარს იყო.

მაშინ მუსტაფამ ადგილზევე შემოაბრუნა ცხენი, ოთხით გააჭენა უკან, მერე ჩამოხტა, რატომღაც მოსართავები მოუსინჯა და ისევ ქორივით გაქანდა კუბოსკენ. მაგრამ ცხენი კვლავ გაჯიქდა და, რამდენიც არ უტლაშუნა მათრახი პატრონმა, თქვენც არ მომიკვდეთ, მიცვალებულს მაინც არ გადაახტა! ყოველ მათრახზე ცხენი ჭიხვინებდა და ყალყზე დგებოდა.

დაძაბულ სიჩუმეში წუთით მარტო მათრახის ტკაცუნი და მუსტაფას გულმოდგინე ქშენა ისმოდა.

ამ დროს ერთმა უხუცესმა ჩაილაპარაკა:

– მე ვფიქრობ, ცხენი მიცვალებულს არ ახტება.

– კი, კი, – დაუდასტურა მეორემ, – როგორც კაი ძაღლი თავის პატრონს არ უკბენს, კაი ცხენი მიცვალებულს არ გადაახტება.

– ჩამო, ჩამო, მუსტაფა, – მიაძახა ვიღაც კოლმეურნემ, – ხელჩხინკამ დაგიმტკიცა, რომ შენზე უკეთ იცნობს ცხენს.

ნირწამხდარმა მუსტაფამ ცხენი შემოაბრუნა, ხალხში გზა გაიკვლია და ხმაამოუღებლივ გავიდა ეზოდან. მაშინ გამცილებლებმა ისეთი ხარხარი ატეხეს, რომლის მსგავსი გასვენებაში კი არა, ქორწილშიც იშვიათია.

ხარხარი ისეთი მძლავრი გახლდათ, რომ, როდესაც სოფლსაბჭოს მდივანმა მოჰკრა ყური, ბეჭედი ხელიდან გაუვარდა და წამოიძახა: – სინდისს გეფიცებით, ხელჩხინკა, ალბათ, უკანასკნელ წუთს კუბოდან ამოხტაო.

ასე მხიარულად დაკრძალეს ხელჩხინკა. უკვე საიქიოში მყოფი ხელჩხინკას ხუმრობა მეორე დღესვე თითქმის მთელმა აფხაზეთმა გაიგო. საღამოს მუსტაფა მაინც დაიყოლიეს, მართალია, მიცვალებულზე ცხენით გადახტომა ცოდვა არ არის, მაგრამ მიცვალებულის ბოლმის გულში ჩატოვება მაინც ცოდვად ითვლებაო.

როდესაც ჩვენში მოხუცი ადამიანი კვდება, ქელეხზე უბრებივით როდი სხდებიან. პირიქით, ღვინოს სვამენ და ერთმანეთს სამხიარულო ამბებს უყვებიან. ადათი მხოლოდ უგვანო სიმთვრალესა და სიმღერას გვიკრძალავს, თუმცაღა ხანდახან მაინც წამოიწყებს ვინმე სუფრულს, მაგრამ მაშინვე ბურთს ჩრიან პირში და ისიც დარცხვენილი იკმენდს ხმას.

როდესაც მოხუცი ადამიანი კვდება, მგონი, არც ლაზათიანი გამოწყობაა უხერხული და არც მხიარული ქელეხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართვა. ადამიანმა განვლო თავისი კაცური გზა და, თუ იგი მოხუცებული გარდაიცვალა, როგორც ჩვენში იტყვიან, თავისი ხანა მოილია, ცოცხლებს უფლება აქვთ, იზეიმონ ადამიანის გამარჯვება თავისსავე ბედზე.

რაც შეეხება მხიარულ ქელეხს, თუ მას უგუნურებამდე არ მივიყვანთ, ტყუილუბრალოდ არც ის შემოულიათ. იგი გვეუბნება: აღსრულდა რაღაც უდიადესი – ადამიანი გარდაიცვალა! და თუ ის კარგი კაცი იყო, სულსაც უხსენებენ და ბევრსაც ეხსომება. ჰოდა, ვინღაა კაცური ხსოვნის ღირსი, თუ არა ხელჩხინკა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ამკობდა დედამიწას ჯაფითა და მხიარულებით, ხოლო ბოლო ათი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, თავისი საფლავი დაიმკვიდრა და აიძულა, ნაყოფი მოეცა, რადგან, როგორც ამბობენ, იმ ორი ატმის ხიდან სანაქებო მოსავალს იწევდაო.

დამერწმუნებით, რომ არცთუ ყველას შეუძლია საკუთარი საფლავიდან ატმის მოსავლის მიღება, თუმცაღა, ბევრნი ცდილობენ, მაგრამ ამისათვის მათ არც ხელჩხინკას გონიერება აქვთ და არც მისი გამბედაობა.

ბუმბულადამც ჰქონებოდეს ცხონებულს მიწა! რაც სრულიად შესაძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კარგი, მშრალი ადგილი შეურჩიეს, ამაზე ხომ სიცოცხლეშიც უყვარდა ლაპარაკი.

თარგმნა **გიზო ზარნაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ლეონიძე

## ოსურ ენაზე

# Георгий Леонидзе



## ნატვრის ხე

დიაკვანი ელეფთერი სალამო ხანს სოფლის მოედანზე იდგა და გლეხებში საუბარს გულს აყოლებდა.

ეს სწორედ ის ელეფთერია, რომელსაც გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვეულმა სტუმრებმა – ელეფთერი რათა გქვიანო!

ამ ელეფთერზე იტყოდა სოფლის მღვდელი: ორი ელეფთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოვახრჩობდიო!

ელეფთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა, თავქეიფა, ლხინიკო, ღვინის ხაპია! წირვა-ლოცვაზე საღვთო წერილს სულ ულიმღამოდ, ლუღლუღით ჩაიკითხავდა, მაგრამ ფსალმუნის იმ ადგილს, სადაც წერია: – ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, – დიდი სიყვარულით, დიდის რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოთქვამდა.

შებინდებამდე მინდვრიდან ნახირი დაბრუნდა, ყველამ თავის საქონელს მიაშურა, სოფლის მოედანი დაცარიელდა. უსაქმურ ელეფთერს უღარიბესი გლეხი ელიოზილა შერჩა ხელთ.

– მაშ, ეს კი არ იცი, შენ, ძმაო, დაღონებულო, – მიმართა ელიოზს, – რომ ვეშა-წყარო უკვდავების წყალია?!

დიაკვანმა გამვლელ გოგოს, აბდიას, სველი ლიტრა გამოგლიჯა ხელიდან და მიიყუდა, ჯერ პირში წყალი დაიგემოვნა, მერე დაახრიალა, ახლა ზედიზედ ინა-

## БÆЛЛИЦЦАГ БÆЛАС

Диакон Елефтар-иу изæрыгæтты хъæуы астæу фæзуатмæ рацыд æмæ-иу зæхкусæг адæмимæ ныхасыл йæхи ирхæфста.

Ай растдæр уыцы Елефтар уыд, кæцыйы иу мæйы размæ хъилтæй фæнадтой бæрæгбонмæ æрцæуæг хивæнд, къуыдипп уазджытæ – Елефтар дам цæмæн хуыйныс!

Ацы Елефтарæй иу хъæуы сауджын афтæ дзырдта: дыууæ Елефтар дам мын куы уаид, уæд дам дзы иу æнæмæнгæй бахурх кодтаин!

Елефтар сæны лæг фылдæр уыди, уды хицауæй уыд хиуарзæг, цæлуарзæг, нуæзтуарзæг! Аргъауыны рæстæджы иу аргъуыды фыстæг ныллæг хъæлæсæй тагъд-тагъд дыгъал-дыгъулгæнгæйæ арфаста, фæлæ-иу псалмуны уыцы бынат, цыран фыст ис: «сæн лæгæн йæ зæрдæйы райын кæны», уый-иу стыр уарзондзинадимæ мидбылхудгæйæ, йæ хъæлæс фæбæрзонддæргæнгæйæ загъта.

Æризæрис, быдырæй фосы дзуг æрыздæхти, алчи йæ фосы фæстæ ацыди, хъæуы фæзуат афтидæй аззади, æгуыст Елефтары цур ма мæгуыр зæхкусæг Елиоз баззад.

– Уæдæ, уый куыннæ хъуамæ зонай ме 'фсымæр, – дзуры Елиозмæ, – æмæ кæфхъуындары суадон удæгасгæнæг дон кæй у?!

Диакон йæ рæзты æруайæг чызг, Абдийы къухæй доны дурыны ратыдта æмæ йæ зыдæй йæ дзыхыл сдардта. Нырма доны ад басгæрста, стæй дзы дзæвгар анызта

ფა და კმაყოფილმა, ბედნიერებით მიბნედილმა, წყნარად თქვა: ვაი, ჩემი თავი მოგიკვდეს და აღარა გყავდეს, თუ არ იცი, რა არის ვეშა-წყარო!

– სად არის ეგ წყარო?

– თეთრობიანის მთებში.

– რის წამალია? – მორცხვად იკითხა ელიოზმა.

– წამალი კი არა უკვდავებაა!

– უკვდავება რა არის?

– სულ ცოცხალი იქნები!

ელიოზი შეკრთა, უკან დაიხია.

– არა, არ მინდა! რათ მინდა, ამ ტანჯვასა და სიღარიბეში?

– მერედა ვინ გაძლევს შე საცოდავო! განა შენისთანებს მიესვლებათ ვეშა-წყაროსთან?! – და თვალები გადაუბრიალა.

დიაკვანი განაწყენებული შესცქეროდა ელიოზს, დიდად გაკვირვებული, რომ ასეთი ბნული და უხეში კაცი ნახა, რომელიც უარს ამბობდა მის მიერ აღმოჩენილ უკვდავების წამალზე. ტყუილად წყრებოდა დიაკვანი.

წვრილშვილი ელიოზი უსაშველოდ ლატაკი იყო – ასეთია, ასეთი, რომ მშიერი ძაღლი პურს არ გამოართმევსო! – იტყოდნენ ხოლმე მეზობლები და მართლაც უმამულო, უსარჩოო ელიოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე იდგა, მწვანე ბუზებით სავსე... ძონძები... ჩვრები... ჭუჭყი... შიმშილი... საზიზღარი სიღარიბის უკვდავება რად უნდოდა საწყალ ელიოზს?

ნაზი გულის ადამიანი იყო ელიოზი და თან ცხარე მეოცნებე. ცხოვრების სისასტიკეს მის სულში ვერ ჩაექრო ოცნების ნაპერწკალი და თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან.

ჯერ ოქროკვერცხას, ოქროს მდებელ ქათამს, ეძებდა ბუჩქნარებში, მერე დაეუინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დღეები დაკარწახებული იდგა იორში: მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დალალა ბადე, ჩანგალი; წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადააკვდა, მაგრამ არ იქნა,

æмæ райгондæй, амонддждынæй сабыргай загъта:

– Ей, мæ сæр дын амæла æмæ дын мауал уа, кæд мæ уый нæ зоныс, кæфхъуындары суадон цы у!

– Кæм ис уыцы суадон?

– Урссæрджын хæхты.

– Цæй хос у? – æфсæрмыгæнгæйæ бафарста Елиоз.

– Хос нæ, фæлæ удæгасгæнæг у!

– Удæгасгæнæг та цы у?

– Иуылдæр удæгас уыдзынæ!

Елиоз фæджихгонд æмæ фæстæ алæууыд.

– Нæ, нæ мæ хъæуы! Цæмæн мæ хъæуы, ацы фыдæбоны æмæ мæгуырдзинады?

– Æмæ дын æй чи дæтты, дæуæн мæгуырæг! Дæухуызæтты кæфхъуындары суадонмæ чи бауадздзæнис?! – æмæ йæм йæ цæстытæ фæхъоппæг кодта.

Диакон мæстыйæ, кастис Елиозмæ, стыр дис æм фæкастис, ахæм талынг æмæ гуырымыхъхъ лæг федта фыццаг хатт, кæцыйы нæ хъуыди йе 'ссаргæ удæгасгæнæг дон.

Дзæгъæлы мæсты кодта Диакон. Бирæ сывæллæты хицау Елиоз тынг гæвзыкк уыди.

– Ахæм тынг мæгуыр æмæ гæвзыкк уыд æмæ йын йæ къухæй æххормаг кудз кæрдзыны къæбæр дæр нæ райсдзæн! – дзырдтой-иу сыхæгтæ. Æмæ æцæгдæр æнæзæхх, æнæдуар Елиозы кæлæддзаг сыджытын хæдзары раз æдзухæй лæууыд доны цад, цъæх бындзытæй едзаг... Бызгъуыртæ... Хæцъилтæ... Чъизи... Æххормаг... Цъаммар гæвзыккдзинады æнæмæлгæ дзинад цæмæн хъуыди мæгуыр Елиозы?

Уæздан зæрдæйы хицау æмæ карз сæнттыцæуæг уыди Елиоз. Царды уæззаудзинад ын нæ фæнымæг кодта йæ зæрдæйы бæллицты стъæлфæн æмæ йæхицæн æрымысгæ æнахуыр бæллицтимæ æмбæрзта йæхи сырдау æрбалæбургæ æцæгдзинадæй.

Нырма сыгъзæрин айыкк æфтауæг карчы агуырдта къутæрты мидæг, стæй та сыгъзæрин кæсаг æрцахсын æмæ æнæхъæн боны счъилдысæй лæууыд Иоры мидæг: æрысгæрста, скалдта Иоры, ныффæллайын кодта хызы, сагойы; доны фæччитæ дæр ныллæмæрста, къухæй дæр фæцархайдта,

ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ და ვერა!

ახლა გულში ჩაედო ხერევანდის ხისა, ანუ ნატვრის ხის ნახვა და მისი ნაყოფის ჭამა; ამ სურვილის ასრულება და მისი გამდიდრება ხომ ერთი იქნებოდა!

ელიოზს სწამდა: იანვრის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუაღამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გახსნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტურფად აყვავილებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არ სჯობია!

ის ხე თურმე ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოისხამს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა! სიღარიბე იმ წამსვე ჩამოგეცლება სამუდამოდ! ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა, დღესაც არ ვიცი, ეს კია, რომ იანვრის ღამეებში, როცა ყინვით ცა გასკდომაზეა, ხშირად დახეტიალობდა დაკონკილი ელიოზი ტყეში, მარტოდმარტო ცის გახსნისა და იმ ნატვრის ხის ნახვის მოლოდინში.

– ან დათვისა არ გეშინია, ან მგლისა, ან აფთრისა, რომ შიშველი ხელებით დადიხარ ულრან ტყეში? მაგრამ ელიოზის თვალწინ მხოლოდ წითელ-ყვითლად აბრიალებული, აყვავებული ხე იდგა და სხვას ველარას ხედავდა – ვერც საშიშს, ვერც სახიფათოს და მისი კონკებში გამოხვეული სხეულიც ოცნებით გახურებული, ეტყობა, ვერ გრძნობდა მოუთმენელ სიცივეს. ცოლ-შვილი ვედრებით უშლიდა ელიოზს ტყეში სიარულს, მაგრამ მან თავისი არ დასთმო. ბოლოს შეეჩვივნენ კიდეც და თავი მიანებეს, ტყიდან დაბრუნებული შეშის გუდურას ჩამოაყოლებდა ხოლმე ხელს და ოჯახში კიდეც უხაროდათ.

– რა ჰქენი, ელიოზ, იპოვე შენი ნატვრის ხე? – შევეკითხებოდი ღიმილით.

– ვერა, მაგრამ ვნახავ!

– ტყეში რომ ცივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?

– მაშ როგორ გინდა, შე ოჯახაშენებულო? და აი, ერთ ზამთრის დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაუდიოდა, ტყიდან

фæлæ ницы, сыгъзæрин кæсаг нæ æмæ нæ бафтыд йæ къухы!

Ныр та йæ зæрдæйы нывæрдта бæллиццаг бæласы ссарын, æмæ йын йæ гагатæй бахæрын; ацы бæллиццы сæххæстимæ, йе 'сбонджындзинад дæр бæргæ иу уыдаид!

Елиозы уырныдта: январы карз иххджын æхсæвы дам хъæдмæ æмбисæхсæв куы бахауай уæд арвы байгомгæнæны рæстæг баййафдзынæ æмæ уæд фендзынæ хæрзрæсугъд дидинæгджын алæмæттаг бæласы. Ницы рæсугъддзинад ис уымæй хуыздæр! Уыцы бæлас дам иу сахаты мидæг дидинæгдæр рафтауы, æмæ йыл гагатæ дæр æрзайы. Кæд гагатæй дæ къухы бафтыд, уæд иу къæмст æмæ кæрон æрцыд! Гæвзыккдзинад уыцы уысм де 'рагъæй ахаудзæни æнустæм! Чи йын загъта, чи йын бауырнын кодта, абон дæр æй ничи зоны! Уый уыд, æмæ январы æхсæвты, арв фыруазалæй атъæппæввонг куы уыди, уæд-иу арæх хъæды рацу-бацу кодта Елиоз æмпъызтытæ дарæсы, æмæ æрмæстдæр æнхъæлмæ кастис арв кæд байгом уыдзæни æмæ уыцы бæллиццаг бæласы кæд фенид уый ныфсæй.

– Омæ, кæнæ арсæй нæ тæрсыс, кæнæ бирæгъæй, кæнæ стайæ, афтид къухæй куы рацу-бацу кæныс тарф хъæды?

Фæлæ Елиозы цæстыраз æрмæстдæр сырх-бур æрттивгæ бæлас йæ дидинæгкалгæ лæууыд æмæ æндæр никæйуал уыдта – нæдæр тас, нæдæр тæссагдзинад æмæ йе 'мпъыстыты тыхт буар дæр бæллицтæй фыртæвд, æвæццæгæн, нал æнкъардта ихуазалы.

Йæ бинонтæ йын лæгъстæ кодтой, цæмæй ма цыдаид хъæдмæ, фæлæ сæм Елиоз нæ хъуыста, йæхион кодта. Фæстагмæ йыл сахуыр ысты æмæ йæ йæхибар ныууагътой. Хъæдæй æрыздæхгæйæ иу йемæ сугты къона æрхаста хæдзармæ æмæ иу бинонтæн æхсызгон уыд.

– Цæй-ма, Елиоз, ссардтай дæ бæллиццы бæласы? – бафарстам-иу æй мидбылхудгæйæ.

– Нæйы, фæлæ йæ фендзынæн!

– Хъæды дæхи куы сæлын кæныс ацы хъызт уазалы?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხილით ჩამოასვენეს ელიოზი. ნაძვრის ხის ძირში, მის ყარაულობასა და ლოდინში, ყინვით აყვავებულ ხის ქვეშ გაყინულიყო.

– მართლაც, ისეთი ლამაზი ხე ამოერჩია საწყალს, რომ იმის დანახვას არაფერი სჯობდა. ყინვას მოერთო ათასნაირი ყვავილებით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით, სულ დასურათებული იყო, – ამბობდა ტყის მცველი ბოდაველი, რომელიც შემთხვევით ზედ წასდგომოდა გაყინულ ელიოზს ბნელ ტყეში.

ასე კი იყო...

ელიოზს კუზო თავის ფარღალალა საბძლის ფიცრებიდან შეუკრეს. დიაკვანი ელეფთერი ერთხელ კიდევ გამოთვრა ელიოზის ქელეხში და მით მორიგი ოცნება გაინაღდა. საწყალი ელიოზი მაინც ვერ გაექცა შემზარავ სინამდვილეს და ოცნების ხეს შეეწირა.

## ორი შემოხედვა

თუ კახეთის გზაზე გაგივლიათ, გეცოდინებათ, თბილისის სიახლოვეს ლოჭინის ხევი! ახალ ხიდქვეშ ლოჭინის ხევისწყალი მოწანწკარებს თავმდაბლად, ქვიშაზე ტკბილად გადამავალი.

ზაფხულის პაპანაქებაში ოდნავღა მოჩანს, დაჭრილი მტრედის ფრთის ბარტყუნივით ძლივსღა მიიგნებს გზას. ამ წყალსაც ახსოვს ჩემი ბავშვობა! ზემოთ, პატარა სოფელში, რომელსაც კლდის წყარო ჰქვიან, მამიდაჩემის განიერ მამულში ჩამოჩხრიალებდა, ჩამოციმციმებდა უნაღვლოდ. მე კარგად მიცნობს ეს პატარა წყალი!

ჰკითხეთ, მოგიყვებათ, თუ ჩემს ყრმობაში როგორ ვესტუმრებოდი ხოლმე მამიდაანთ!

რა მოამაგე ბიძა მყავდა ნიკოლოზი, რა კარგი ტოლები მყავდნენ იმ სოფელში: საბედა, აგლია, არსენა, ზიზილა, ქეთე, მაისა, ჩიტიფეხა, ნიტრია, შოშია, ცეზურა, ლექსურა და ვინ მოსთვლის...

– Æмæ дæ уæдæ куыд фæнды, хæдзарарæзт фæуай?

– Æмæ мæнæ, иу зымæгон райсомы, уазалы къæс-къæс куы цыди, хъæдæй дзоныгъыл æрластой салд Елиозы. Бæллиццаг бæласы агургæйæ, уый хъахъхъæнын æмæ уымæ æнхъæлмæгæсгæйæ, фыруазалæй дидинкалæг бæласы бын ныссалди.

– Æцæгдæр, ахæм рæсугъд бæласы сывзæрста, мæгуырæг, æмæ уый фендæй хуыздæр ницы уыди. Ихуазал æй срæсугъд кодта алыхуызон дидинджытæй, мæскъытæй, иуылдæр нывгонд уыди, – дзырдта хъæдгæс Бодавел, кæцы талынг хъæды æнæнхъæлæджы бамбæлди салд Елиозыл.

Гъе афтæ уыд ацы хабар...

Елиозы баныгæдтой. Диакон Елефтар йæхи Елиозы хисты хорз федта æмæ ууыл фæци. Мæгуырæг Елиоз бæллиццаг бæласы агургæйæ фыдбылызы хай бацис.

## ДЫУУÆ ФÆКАСТЫ

Кæд Къахеты фæндагыл искуы ацыдыстут, уæд æй зондзыстут, Тбилисмæ æввахс Лочъины ком! Ног хиды бынты Лочъины комы дон къæмдзæстыгæй сæрсæргæнгæйæ цæуы, змисыл æхцонæй. Сæрдыгон стыр æнтæф хур боны ма хæрз чысылæй зыны, цæф бæлоны базыры тилæгау тыххæйты-ма уары фæндаг. Ацы цæугæдон дæр йæ зæрдыл дары мæ сабийы бонтæ! Уæлдæр, чысыл хъæуы, кæцыйы хохы суадон хонынц, мæ фыды хойы уæрæх цæхæрадæтты 'хсæнты æнæвгъауæй сæрсæргæнгæйæ цыди.

Мæн хорз зоны ацы чысыл цæугæдон! Бафæрсут æй, æмæ уын радзурдзæнис мæ сабийы бонты-иу уазæгуаты куыд цыдтæн мæ фыды хомæ. Цас лæггад зонын мæ фыды хойы лæг Никъолозæй, цы хорз æмгæрттæ мын уыд хъæуы дæр: Сабед, Агли, Арсен, Зизил, Кети, Майса, Цъиукъах, Нитри, Шошия, Цезур, Лексур, æмæ сæ иууыл чи фæнымайдзæни...

Никъолозы 'фсымæр, Гарсеван – уый дæр мын хæстæгыл нымад цыди, – цалх-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზის ძმას, გარსევანს – ისიც ხომ ნათესავად მომხვდებოდა, – ჩარხიანი წისქვილი ჰქონდა ზვარში. მბრუნავ ჩარხზე წყალი იმსხვრეოდა ალმასჩქერებად. ჩამოვჯდებოდი ხოლმე წისქვილის გვერდით, დიდ გადაჩრდილულ კაკლის გრილოში და ვტკბებოდი წყლის ჩქერალის ფრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა ყოფილიყო დახვეული.

ერთ დღეს წისქვილი მოულოდნელად დაკეტილი დამხვდა. სიბერით დახვეწილი მეწისქვილე ჩალხია უეცრივ გარდაცვლილიყო, თითქოს მისძინებოდა ფქვილის ტომრებსა და საცალოებ შუა მიწოლილს. ღრმა მოხუცს ბალღების თავი არა ჰქონდა, არ გვიკარებდა. გარსევანს მეტად შეენანა ამაგდარი ჩალხია და საქელეხო პურ-ღვინო შეაწია. კეთილი იყო გარსევანი, თუმცა, ხელმაგარი, ჯიქი. მე ძალზე ვუყვარდი და ხშირად გაზეთებს მაკითხებდა; ესიამოვნებოდა, რომ ისე პატარა თავისუფლად ვკითხულობდი წიგნსა თუ გაზეთს. სწორედ ამაზე ადრე, სანამ კლდის წყაროში გადავიდოდი, დედაჩემმა ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გაყიდა. მოჯამაგირე უჩიოდა – ულელს ეურჩება, უარშიობსო! მე კი ძალზე მიყვარდა. ლამაზი იყო ჩვენი ხარი, გნოლისფერი, ლამაზთვალება, მეც ვუყვარდი გნოლას. კისერზე ვეკიდებოდი, ბალახს ვთავაზობდი. არც ერთ სხვა ხარში არ გავცვლიდი გნოლას, მაგრამ რა მექნა! მოვიდა მყიდველი, გახარებულმა აპეური გამოაბა, დასჭიდა ხელი წასაყვანად... და უცებ ჭიშკართან, გნოლა ხარმა შემომხედა ისეთი თვალებით, რომ კინაღამ იქვე არ გავიყინე. დღესაც კი მახსოვს გნოლას სამდურავიანი თვალები, გნოლას თვალის ღრუბელი... იმ დღეებში სევდიანი ვიყავ, გნოლას გაშორებით აფორიაქებული... ერთხელ წისქვილს მივაშურე. წისქვილის კარები ღია დამხვდა.

ჩარხი ისევ ტრიალებდა. ჩალხიას ნაცვლად ვინმე ახლად გადმობინადრებული მეწისქვილე დამხვდა. მე შევკრთი და უკანვე უნდა გამოვბრუნებულიყავი,

джын куырой ын уыди сæндоны. Зилгæ цалхыл дон пырхæй калди. Æрбадтæн иу куыройы фарсмæ, стыр æнгузы аууоны бын сатæджы æмæ иу цалхы уынæрмæ лæмбынæгæй хъуыстон, афтæ зынд, цыма цалхыл мингай арвырæттæ уыд тыхст.

Иу бон куы уыд уæд куырой æнæнхъæлæджы æхгæд разынд. Зæронд куыройгæс Чалхи æвиппайды фæзиан, афтæ зынд, цыма ссады голджыты астæу ныффынæй ис. Зæронд куыройгæсы мах, сывæллæты мæт æппындæр нæ уыди, æввахс нæм нæ цыдис. Гарсеван ыл тынг фæмаст кодта, хистæн хæрд-нозт дæр радта. Хæларзæрдæ уыд Гарсеван, фæлæ, чъынды, хивæнд. Мæн тынг бирæ уарзта æмæ иу мын арæх газеттæ фæрсын кодта; æхсызгон иу ын уыди, чысыл уæвгæйæ иу сæрибарæй куы кастæн чиныг кæнæ газеты. Растдæр амæй размæ, цалынмæ айнæг суадоны ахызтаин, мæ мад мын мæ уарзон хъулон гал ауæй кодта. Искæйон дзы хъаст кодта цæваг дам у! Æз та йæ бирæ уарзтон. Тынг рæсугъд гал уыд, зынгхуыз, рæсугъдцæст, йæхæдæг дæр мæ бирæ уарзта нæ хъулон гал. Йæ бæрзæйыл иу æрцауындзæг дæн, кæрдæг иу ын лæвæрдтон. Никæцы æндæр галыл баивтаин мæхи Гнолайы, фæлæ цы кæнон! Æлхæнæг æм æрбацыд, цингæнгæйæ галыл бæндæн абаста, æмæ йыл рахæцыд акæнынмæ... Гнола къулдуары раз фæлæууыд æмæ мæм ахæм цæстытæй æрбакаст, чысыл ма бахъуыд уыцы ран мæ бынаты аих уон. Абон дæр ма мæ цæстытыл уайынц Гнолайы уайдзæфгæнæг цæстытæ, Гнолайы мигъæйдзаг цæстытæ ...

Уыцы бонты æнкъард уыдтæн, Гнолайæ фæхицæнгæнгæйæ знæтæй мæхи куыройырдæм айстон. Куыройы дуар гомæй баййæфтон. Кæсын æмæ куыройы цалх зилы. Чалхийы бæсты дзы уыди ног куыройгæс. Æз дзыхълæуд фæкодтон æмæ фæстæмæ хъуамæ раздæхтаин, фæлæ мæ уый йæхæдæр федта, баузæлыд мыл... йæхи мын бацамыдта... Сабыр æмæ уæздан мæм фæкасти Раждæн, уыцы куыройау, уыцы чысыл цæугæдонау, куыройы чи зилын код-

ცისკარი 1852

მაგრამ მან თვითონ დამინახა, დამიყვავა... გამეცნო... წუნარი და სათნო მეჩვენა რაჟდენა, იმ წისქვილივით, იმ პატარა წყალივით, წისქვილს რომ ატრიალებდა; მაშინვე გული გადამიშალა... მეც ჩემი შევჩივლე, გნოლა ხარის ამბავი, გულმოდგინედ მომისმინა; თვითონაც ცრემლი გადმოსცვივდა... გამიკვირდა... გავიდა ხანი, დავმეგობრდით. რაჟდენაზე დაცინვით ამბობდნენ – ცის მეცნიერიაო, ვარსკვლავებს ანგარიშობსო, და მართლაც, არა ერთხელ მინახავს, როგორი გატაცებით შეჰყურებდა ხოლმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას...

– აი, ის ჟუჟუნა სამხიარულო ვარსკვლავი მიყვარს, ბლუჯა-ბლუჯა სხივებს რომ ჰყრის, ის მაცოცხლებს, – და ხელს გაიშვერდა გვირგვინიან ვარსკვლავისაკენ. – ის კი, მეორე, ჩემსავით მიბჟუტული, გულმიმქრალი, არ მიყვარს, არა! – ღიმილით იტყოდა. წისქვილის გვერდით, მწვანეზე წამოლილი ფლამარიონივით მისჩერებოდა ცას: იტაცებდა ვარსკვლავთა დაკამკამება.

– ვინ იცის, იქაც არის ქალი და კაცი! იქაც არის ქალაქები; ვინ იცის, იქაც არის გადარეული სიმდიდრე თუ იქნებ სიღარიბით იქაც ქვას ლოკავს ადამიანი. იქნებ, იქ სიკვდილი არც არის, ვინ იცის! – დასძენდა დიდი სიჩუმის მერე.

– ხან მინდა სურვილი გავგზავნო; შევისხა ფრთები და გავფრინდე მზის დედასთან საჩივლელად!

– ვის უჩივლებ?

– ცხოვრებას, ბოროტ ადამიანებს, ბედს! ეჰ, ვერ ვიპოვე ჩემი ვარსკვლავი! საჩივარი კი მართლაც ბევრი ჰქონდა... სიტკბოიანი რაჟდენა ბედისაგან დაჩაგრული იყო; ჯერ ცოლი მოკვდომოდა: მერე ომსა თუ ხეტიალში უპატრონოს თურმე ჭლექი შეჰპარვოდა. გაეგო, რომ სადღაც არსებობდა აბასთუმანი, რომლის სამკურნალო ჰაერი მოარჩენდა, მაგრამ აბასთუმანი მისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. ერთ ხანს სცადა კიდეც თავის მოვლა. რძესა და კვერცხებს შეენ-

та; уайтагъд мын йæ зæрдæйы дуар байгом кодта... æз дæр ын мæ хъаст ракодтон, галы хабар, зæрдæбынæй мæм æрбайхъуыста; стæй йæ цæссыгтæ æрызгъæлдысты... диссаг мæм фæкасти...

Рацыд дзæвгар рæстæг, схæлæрттæ стæм. Ражденæй иу афтæ дзыртой, зæгъгæ, дам уæларвзонæг у, стъалыты хынцæг, æмæ æцæгдæр, цалдæр хатт æй, æз дæр федтон, куыд скъæфтзæрдæйæ иу кастис стъалытæй едзаг (æхгæд) арвмæ...

– Уæлæ, уыцы Жужуна зырхæн стъалыйы уарзын, бындзыггай тынтæ куы калы, уый мæ удæгас кæны, – æмæ иу йæ къухæй ацамыдта худы хуызæн стъалымæ.

– Уæлæ, иннæ та, мæнау гæзæмæ зынгæ, зæрдæнымæггонд, нæ йæ уарзын, нæ! – мидбылхудгæйæ иу загъта.

Куыройы фарсмæ, цъæхкæрдæгыл æрхуысгæйæ иу нымдзыст арвмæ: æрттивгæ стъалытæ йæ сæхимæ æлвæстой.

– Чи йæ зоны, уым дæр ис сылгоймæгтæ æмæ нæлгоймæгтæ! Уым дæр ис горæттæ; чи йæ зоны, уым дæр ис фырбонджындзинад кæнæ чизоны фырмæгуырæй уым дæр дур сдæры адæймаг. Чизоны, уым мæлæт нæдæр ис, чи йæ зоны!

– Загъта иу цасдæр рæстæджы фæстæ.

– Хатт мæ фæфæнды, арвитон; разайа мыл базыртæ æмæ атæхон хуры мадмæ хъаст кæнынмæ!

– Кæуыл хъаст кæныс?

– Цардыл, фыдадæймæгтыл, амондыл! Ех, нæ йæ ссардтон ме стъалыйы! Хъаст та йын æцæгдæр бирæ уыди... Хæларзæрдæ Ражден амондæй æфхæрд уыди; нырма йæ ус амарди: уый фæстæ хæсты æви ралли-баллигæнгæйæ æнæхицауæй йыл рæуджыты низ бахæцыди. Кæмæйдæр фехъуыста æмæ кæй уыд ахæм бынат, цы ран хос цыд рæуджыты низæн, Абастуманы, фæлæ Абастуман уымæн уыди æнæххæсгæ бæллицц. Иу рæстæджы йæхимæ æрзилын дæр бафæлвæрдта. Æхсыр æмæ рæвдыуæттимæ схæлар ис. Фæлæ хъæуы адæмæй цы басусæг кæндзынæ, сусæгæйæргомæй йыл худтысты. Тагъд рæстæджы йæ къух систа æхсыр æмæ рæвдуæттыл.

ყო, მაგრამ სოფელში დაცინვა დაუწყეს, – იძულებული გახდა კვერცხი ფარულად ეყლაპა, სადმე ბუჩქნარში, ვენახის მიფარებულ ყურეში ან თავის დაკეტილ ქოხში. მაგრამ სოფლის დამცინარ თვალს რა დაემალებოდა? მალე სულაც აკვეთა რძე და კვერცხი, დაცინვამ გააგულისა.

– მაინც არაფერი მარგოო...

...წისქვილის დახავსებული ჩარხის თვალი კი ცხოვრებასავით ტრიალებდა; ზედ ემსხვრეოდა ათი ათასი მარგალიტი... ნალამურზე ცა ქათქათებდა ირმის ნახტომის ალმასური მტვერით და ვარსკვლავთა უმანკოებით... რძედაღვრილ ღამეში მთვლემარე კაკლის ხეები და ვერხვები მოშამბნარულ ჩრდილებით ბინდს აძლიერებდნენ. მთვარეო, მთვარის ნალეო, გორის პირს მოდი მალეო, ბნელ-გული გამიხარეო... ღიღინებდა თავისთვის რაჟდენა... ჩვენ, პატარა გოგობიჭები ვუსმენდით. თუ მზე ხარ დაბლა ჩამოდი. მალლა მთას რას ეფარები? მეწისქვილე ათას რამეს გვიამბობდა. უწიგნო კაცი იყო, მაგრამ წიგნებს მაკითხებდა, თითონ ღიმილით მისმენდა. ზოგიერთ წიგნზე იტყოდა:

– არა, არა, მაგ წიგნში ის არა სწერია, რაც ჩემს გულს უნდაო!

რაჟდენა ბევრის მნახველი იყო.

– ერთი, წისქვილის ყელში არ გამომივლია, თორემ დანარჩენი ყველაფერი მინახავს ცხოვრებაში! და მართლაც რა არ ენახა? მარტო იაპონიის ომში ყოფნა რად ულირდა? ორჯერ იყო დაჭრილი ლიაოანთან და პორტ-არტურთან.

– რა ყოფილა ომი, ნულარ მკითხავთ. მე რომ იქ გაჟუჟული ხალხი ვნახე, გახრული მკლავები... თავის კენჩხო ქვიშაზე მეტი ეყარა, ნეტავ რა სამართალმა უნდა უშველოს ჩვენს ხელმწიფეს, – ჩუმად იტყოდა, თან სიფრთხილით აქეთ-იქით მიიხედავდა...

– რას სჩადიან ეს ხელმწიფეები... რომ ნახო მათი ნამხეცავი, ნაქნარი, ნადირიც კი არ იკადრებს! ზოგი სალდათი შავად, ქონივით დამდნარიყო მიწაზე. ძნელია

– Уæддæр дам мын ницы æххуыс кæнынц... Куыройы цъæххъуынаджын цалхы цæст та цардау зылди; йæ уæлæ калдысты дæс мингай налхъуыт... Æхсæвыгæтты арв æрттывтытæ калдта Æрфæны фæды алмасы рыгау æмæ æнæаипп стъалытау...

Мæй, тагъдæр дам къулдымы былæй ракæс æмæ дам мын мæ талынгзæрдæ барухс кæн... Йæхицæн иу сындæггай зарыди Ражден... Мах иу æм, гыццыл чызджытæ æмæ лæппутæ хъуыстам. Кæд хур дæ æрхиз дæлæмæ. Уæлейæ хохы фæстæ цы æмбæхсыс? Куыройгæс нын бирæ цыдæртæ радзырдта. Æнæахуыр лæг уыди, фæлæ мын чингуытæ кæсын кодта, æмæ иу мæм йæмидбылхудгæйæ хъуыста. Иуæй-иу чиныгæй дзырдта: – нæй, уыцы чиныджы уый фыст нæй, мæ зæрдæйы дам чи хъæуы!

Ражден бирæ чи федта ахæм уыди.

– Иу, куыройы хъæлæсы нæ абырыдтæн, уый еддæмæ æндæр алцыдæр федтон цардæ мидæг! Æмæ æцæгдæр цыма нæ федта? Æрмæст Японийы хæсты куы уыди уый ын цасы аргъ уыди? Дыууæхатты фæцæфис Лионы цур æмæ Порт-Артуры цур.

– Уæддæр цы уыди хæст, мауал мæ фæрсут. Æз уым цас цагъд адæмы федтон, цæнгтæхаудæй... сæры къуыдыртæ змисыл калдæй, цымæ цавæр рæстдзинад хъуамæ баххуыс кæна нæ паддзахæн, – сусæгæй иу загъта, æмæ иу арæхстгай фæйнæрдæм аракæс-бакæс кодта...

– Цытæ кæнынц ацы паддзæхтæ... сæ сырддзинад сын куы фенай, сæ митæ, сырд дæр нæ бахæсдзæн йæ сæрмæ! Иуæй-иу салдат дзы сауæй, сойау батади зæххыл. Тынг зын у уыдæттыл дзурын... Хæстæй сæхимæ æрыздæхгæ Ражден, хæдзары бæсты æрыййæфта пырхытæ цæрæнуат. Йæ мад фæзиан: фыд ын хæстмæ ацыды размæ дæр нал уыди, йæ иунæг хо дæр æндæр хъæумæ уыди чындзыдзыд. Афтид, хæлæттаг хæдзар ма дзы уыди. Кæртуаты, кауыл сæгъ йæхи хæрдмæ сивазгæйæ хордта рæгъæд дыргъты. Сыхæгтæ йын сæрмагондæй рахастой йæ размæ зæрдылдарынæн йæ мады æвæрд

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლად. ...ომიდან შინ მობრუნებულ რაჟდენას, სახლის მაგიერ პარტახი დახვედრია. დედა გარდაცვლია: მამა არც ომში წასვლამდე ჰყოლია, ერთადერთი დაც სხვა სოფელში გათხოვილიყო. გამოჯარული, ნატიალევი სახლიღა დარჩენილიყო. ნაეზოვარში, ღობეზე ატოტებული თხა სჭამდა მონაგარ ხეხილს. მეზობლებმა სამახსოვროდ აჭრილი და მისთვის საგანგებოდ შენახული დედის ჭაღარა დაახვედრეს. მეორე დღეს, ნასალდათარს უნდა ეფიქრნა ცხოვრებაზე და მეზობლების თათბირით იგი ჩალხიას მონაცვლე გახდა. ... დიდხანს უგდებდა ყურს რაჟდენა ლელქაშის მუსიკას და ვერხნალას შრიალს:

– ვერხვისთანა შრიალი არა ხეს არ გამოუვა! – იტყოდა დარწმუნებით. ბუნების ამბები უხვად იცოდა. მეტად უყვარდა მზის მშვენებით მოფენილი, ულრუბლო იალნოს მთის აივანი მარტყოფის თავზე, ცივ-გომბორის სერები... უხაროდა ბროლოსანი ლაჟვარდი, ვარდნარი, თავაყრილი ყანა... მტევან-ოქროვანი ვაზი... ატმის ბრიალა კალთა... მინდვრის თვითეული ყვავილისა და მცენარის სახელი იცოდა; ყველას ესაყვარლებოდა:

– აი, კოკროჭინა, ვარდკაჭკაჭა, ოქროშვინდა, წალიკა, ხაჭიჭორა, ფურფუშელა, ღრინჭოლა!

– აი, ფამფარა, ყვავისკუდა, ჯორისძუა, ძირტკბილა, ხვართქლა, შალგა, სოსანი, ღვია,სვია...

– ნეტა, რომელია მათში უკვდავების წამალი?

– ეს გორველა ვარო; ეს ავშანი ვარო; ეს აბზინდა ვარო! თვალსაზრიანი იყო: პურის ცილა მასავით არავინ იცოდა.

– აგერ, ღობეზე წიფლისჩიტა, კიდევ პატარა ჯიხოლა, მისხლა, შიშიმქრალა! მასზე საწყალი არავინაა, ბუდე არ აუნგრიო! უყვარდა კალიის მჭამელი ტარბი, – ადამიანს ეხმარებაო, წაბლია ხარი გლეხის ძმააო! ჭიანჭველის გორალას დააცქერდებოდა: ერთ დღეს ცოცხლობს ჭიანჭველა და ექსი თვის ცხოვრებისთვის

урсхæццæ дзыкку. Дыккаг бон, тохы быдырæй æрыздæхæг Ражден хъуамæ йæ дарддæры цардыл ахъуыды кодтаид æмæ сыхæгты уынаффæйы руаджы уый Чалхийы бæсты æрлæууыди куыройы...

Бирæ рæстæджы дæргъы Ражден йæ хъус дардта хъæзы музыкæмæ æмæ хæрисы сыбар-сыбурмæ:

– Хæрисы хуызæн сыбар-сыбур никæцы бæласæн рауайдзæни!

– Дзырдта æнæдызæрдыгæй. Æрдзы хабæрттæ парахатæй зыдта. Фылдæр уарзта хуры фидауцдзинадæй æмбæрзт, æнæ мигъ иелнойы хохы балкон Мартхъофы сæрмæ, уазал– Гомборы митæ... Цин кодта хрусталгъуыз зынаргъ дур, дидинджын, сæрбæрзонд хуым... сыгъзæрин цупалджын сæнæфсир... алтъамийы æрттивгæ фæтчи... быдыры зайæг алы дидинæджы æмæ зайæгойы ном зыдта; алкæуылдæр узæлыди:

– Мæнæ, дугъысыф, залмысыф, хъоло, хуырхæг, джеджджын, æрвдидинæг, давон!
– Мæнæ, æхсæлы, æхсæр, лæджирттæг, мæнæу, мæцкъор, хæрис, тулдз, хуымæллæг...

– Цымæ дзы æнæмæлгæйы хос кæцы уыдзæни? – Цымæ скъæлдзой уыдзæни! Цæстуынгæ уыди; хоры урс нæмыг уый хуызæн ничи зыдта. – Уæртæ, быруйыл бæрзы цъиу, ноджы чысыл дзæбидыр, хъæдхой, зæрватыкк! Уымæй лæмæгъдæр сæ ничи у, йæ ахстон ын ма фехал! Уарзта цъырцъыраджы къуынæггæнæг тъарби, адæймагæн дам æххуыс кæны, цъабла гал дам зæхкусæджы æрдхорд у! Мæлдзгуыты губакмæ иу лыстæг ныккасти: иу бон цæры мæлдзыг æмæ дам æхсæз мæйываг кусы.

Æнæхин каст зыдта – йæ худæндзæст цæстытæй. Сæнæфсирæй ауыгъд цуппæлттæн иу фæбатæ кодта; турашаг фæткъуыйы рухс ын йæ зæрдæйы рухсы тæгтæ уагъта, тыллæгæй æппæлыди.

– Сыгъдæг тыллæг, æцæгдæр тыллæг у!
– Æрбадым афтæ уддзæф, æнæфæллайгæйæ. Тæригъæд у адæймаг. Мах ныр ацы ауюны куы улæфæм, цас адæм кусы хуры зынгмæ! Цъына æрбацæуы бирæ-

ცდილობსო! გულუბრყვილო შემოცქერა იცოდა – გამომცინარი თვალებით. აჭრილი ვაზის აკიდოს ჰკოცნიდა; თურაშაული ვაშლი შუქით გულს უნათებდა, ჭირნახულს ალმერთებდა.

– ჭირნახული წმინდააო, მართლაც ჭირნახულიაო! ნივწვრილზე პირსიცილი მოსდიოდა: – ეგრე შემოიქროლე ნიავო, არ დაიღალო. ცოდვაა ადამიანი. ჩვენ რომ ახლა ამ ჩრდილში ვისვენებთ, რამდენი მუშაობს მზის გულზე! ძნა მოდის ჯარა-ჯარა, ზედ ოფლის წვიმა მოსწვიმს, რომ იცოდე! ხმის ნაკოდი ეცოდებოდა... – ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მაშ, მიწა რათ სტირის? არ გინახია მიწის ტირილი დილა ადრიან? ბალახი რომ ნამს გაუშვებს, ის მიწის ტირილია! რა ატირებს – ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემ და ქვამაც იცის დარდი?! სიცილიც იცის დედამიწამ, – თეთრად რომ იცინის ხეხილი გაზაფხულზე, ყვავილით იცინის დედამიწა, ცა ვარსკვლავებით იცინის.

გულალმა მიაჩერდებოდა ცაზე ირმის ნახტომს და მისი სანახაობით დამტკბარი, აღფრთოვანებული, იტყოდა: – ეს ირმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდაო! ...ოქროს საბადოს არ ეძებდა სხვასავით, ოქრომძივებით გაბრწყინებული კორდი, მდელო, ხევნარი თუ ელვარე ხილნარი მისი ოქროს საბადური იყო, მას ესაუბრებოდა ყოველდღიურად; მისი სიუხვე და უმანკოება იტაცებდა; წყლის ჩქრო უყვარდა, წყალცოტაობას ვერ იტანდა... ცხოვრობდა ბუნების მფარველობით, სხვისი უმფარველო. გაკვირვებული იყო ყვავილიანი სამზეოს სიმდიდრითა და ადამიანის სიღარიბით! საიდან გაჩნდა ამ ელვარე მზეში ჭუჭყი ან სიღარიბე, როცა ჩემი სული ყვავილებშია გახვეულიო? ძალზე უყვარდა ხევში მოსული „ქრისტეს ბალახა“. ქრისტეს სიყვარულის გამო თაყვანს სცემდა. გრძელი და ბრტყელი ფოთლები ჰქონდა ამ ბალახს. ფოთლებზე თურმე ქრისტეს ტირილი ეწერა და რაჟდენაზე

биръ, уæле йыл хиды къæвда уары, уый зон! Хъæлæсы къадайæн тæригъæд кодта... – Дæ хъус æрдар, алцы дæр удджын у! Уæдæ, сыджыт цæмæн фæкæуы! Никуы федтай сыджыты куыд сæумæрайсом? Кæрдæгыл æртах куы вæййы, уый сыджыты куыд вæййы!

Цы йæ кæуын кæны – мах тæригъæд? Æви хуры скастыл цин кæны? Ды зоныс, бæлас æмæ дур дæр кæй зонынц маст кæнын?! Зæхх дæр зоны худын, – урсæй куы фæхуды дыргъдон уалдзæджы, дидинау фæхуды зæхх дæр, арв стъалытау фæхуды. Уæлгоммæ хуыссгæйæ иу нымдзаст арвыл Æрфæны фæдмæ æмæ-иу йæ фендæй æхцондзинад райсгæйæ, зæрдæскъæфтæй иу, сдзырдта:

– Ай Æрфæны фæд куы нæ уаид, уæд ын царды ницы мидис уаид!... Сыгъзæрин гуыръæн нæ агуырдта æндæртау, сыгъзæрин фæрдгуытау æрттивгæ къорд, фæзуат, бæласдон æви цæхæркалгæ дыргъдоны, уый нымадта сыгъзæрин гуыръæныл, семæ ныхас кодта æрвылбондæр; йæ парахатдзинад, арæхдзинад æмæ æнæаипдзинад йæ зæрдæмæ цыд; доны сæр-сæр уарзта, доны хъуагдзинад нæ фæрæзта... – царди æрдзы фæрцы, никæй æххуысæй. Дисы хауд дидинджын хъæздыгдзинад æмæ адæймаджы мæгуырдзинадæй! Кæцæй фæзынд ацы æрттивгæ хуры чъизи кæнæ гæвзыккдзинад, кæд æмæ мæ уд мæнæн дидинджыты мидæг ис?

– Иттæг бирæ уарзта ададжы зайæг «чырыстийы кæрдæг (залмысыф)». Чырыстийы уарзондзинадмæ гæсгæ йын лæггад кодта. Дæргъæццон æмæ йын фæтæн сыфтæ уыди ацы кæрдæгæн. Йæ сыфтæртыл дам фыст ис чырыстийы куыд, æмæ иу Ражденæй дзырдтой, зæгъгæ, дам, уыцы сыфтæртыл чырыстийы куыды чиныгау кæсы! Тагъд йæхæдæг Раждем кæуинаг фæци: йе нæсæрыхызтæй йын æнæнхъæлæджы куыройы цалх йæ къух ныцъист кодта, цасдæр рæстæджы рынчын дæр фæци, хъæуы сылгоймæгтæ йæ мæлæтæй фервæзын кодтой, кæрдæджытæй йын схос кодтой, фæлæ йæ къух хъуыскъæй баззади. Цъус

ამბობდნენ, იმ ფოთლებზე ქრისტეს ტირილს წიგნივით კითხულობსო! მალე თითონ რაჟდენს სატირლად გაუხდა საქმე: გაუფრთხილებლობით მარცხი მოუვიდა, უნებურად, წისქვილის ჩარხში ხელი მოაყოლა. ჩარხმა ხელი ჩაითრია. დიდხანს იავადმყოფა, სოფლის დედაკაცებმა სიკვდილს გადაარჩინეს სამკურნალო ბალახებითა და მალამოებით, გადარჩა, მაგრამ ხელი კი სამუდამოდ დაკარგა, გაუხმა... ცოტა რომ მოიმგლოვა, მოკრძალებით გარსევანს მოციქული მოუგზავნა, ზარალი შემიმსუბუქე, ლუკმის მათხოვრად ნუ გადამაქცევო! გარსევანმა გაიკმარა, – ჩემი რა ბრალია, თუ რაჟდენა ცას შეჰყურებდა, ვარსკვლავებს ითვლიდა და ხელი ჩარხში მოაყოლაო, და მეორეც, – მე თვითონ ვაპირებდი დავხმარებოდი, თხოვნა რად დამასწროვო, განა ასეთი გულქვა ვარო? მაშინ, სხვათა რჩევით, რაჟდენამ უჩივლა. ახლა გარსევანმა იმწვიტინა, როგორ თუ ჩივილი მაკადრაო. ჯიბრზე დადგა. გარსევანის სავსე სახლი ნაქონობით, მართლაც, ხეობის თვალი იყო: ავსებული ყანწი, დასხმული ჯამი! სახლს დოვლათის ნათელი ადგა; გარსევანი არ იყო ღვთის უბეში გაზრდილი, არც ოქროს არტახებში დაბადებული, მაგრამ თავის დროზე მეცადინე, საქმის გამრიგე, ახლა შეძენაზე გაჩერებული იყო; მეტი ხვეჭის ზრუნვაში აღარ იყო, როგორც უშვილძირო. რაც ქონება ჰქონდა, ისიც სხვას უნდა დარჩენოდა. ამიტომ მისი ცხოვრება უმეტესად ხელგაშლილ მასპინძლობაში მიდიოდა.

– ჭკვიანმა კაცმა სოფელი ააგოო!

ასეთი სახელი ჰქონდა დავარდნილი გარსევანს. მაგრამ თვითონ თავმომწონებით დასძენდა: „ჭკვიანის სიტყვას რეგვენის ყურში სძინავსო!"

– ხევრე და ხევრე! – ტვინგაფიცხებით იტყოდა – შესაწევარი უნდოდათ?! – იმუშაონ და ექნებათ! მე რათ მევალება, ყველა ვარჩინოო, რა ჩემზე იპოვეს ტაროსიო!

ორივეს მხრივ სამდურავი, გულკლე-

куы амаст кодта, уæд нымдгæнгæ, кæйдæр барвыста Гарсеванмæ, цæмæй йын куыст фæрогдæр кæна, фæлæ Гарсеван фæдис кодта:

– Мæн аххос дам цы у, Ражден дам арвыл стъалыты нымадта æмæ дам йæ къух куыройы цалхы бацъхист кодта, æмæ дыккаг та уый, – æз ын мæхæдæг хъавыдтæн баххуыс кæнынмæ æмæ дам мæ разæй цæмæн фæци, ахæм дурзæрдæдæр куы нæ дæн. Уæд ыл æндæрты бацамындæй Ражден бахъаст кодта. Гарсеван тынг смæсты и, куыд дам мыл бахъаст кодта. Быцæуыл æм слæууыд. Гарсеванæн бонджын хæдзар уыд, æмæ æцæгдæр, хъæубæстæн уарзон уыди: йедзаг сыкъа, йедзаг къус! Хæдзары парахат уыди алцыдæр; Гарсеван нæ уыди буц хъомыл, нæдæр сыгъзæрин авдæны гуырд, фæлæ кусынмæ цæрдæг æмæ йын фаг фæллойæ фылдæр уыдис. Ныр уыййас нал архайдта фæллой æмбырд кæныныл, æнæбындар кæй уыди, цы фæллой йæм уыди уый дæр æндæртæн хъуамæ баззадаид. Ныр уыййас нал архайдта фæллой æмбырд кæныныл, æнæбындар кæй уыди, цы фæллой йæм уыди уый дæр æндæртæн хъуамæ баззадаид. Æмæ уымæ гæсгæ алкæмæн дæр нæртонæй фысымиуæг кодта.

– Зæндджын æмæ куырыхон лæджы ном хаста Гарсеван хъæубæсты мидæг.

– Зæндджын лæг дам хъæу самадта! Афтæ иу дзы дзырдтой хъæуы адæм. Фæлæиу йæхæдæг йæхиуыл февvæрсгæйæ загъта:

– «Зæндджын лæджы ныхас дам æнæзонды хъусы бын фынæй кæны!» – тъыфылтæкалгæйæ загъта Гарсеван – сабæттаг сæ хъæуы нæ?! – Бакусæт æмæ сын уыдзæнис! Мæнмæ кæцæй хауы, цы хæсджын дæн æмæ алкæй дарон, цы мæныл сагъуыдысты!

Дыууæ фарсырдыгæй дæр фæзынди уайдзæфтæ æмæ уазал зæрдæйыуаг. Хъæуы адæм дыууæ дихы фесты: иутæ Гарсеваны ыввapc хæцыдысты, иннæтæ – Раждены. Райдыдтой рæстдзинады 'взарын, æвдисæнтæ агурын... Дыууæ азы

ბა გამოჩნდა. სოფელი ორ ბანაკად გაიყო: რიგი მემამულეს ემხრობოდა, რიგი – რაჟდენას. შეიქნა სამართალში რბენა, მოწმეების შოვნა...

ორი წლის შემდეგ რაჟდენამ წააგო საქმე! იმ დილას სამჯერ გახურდა გარსევანის თონე, ცხვართან ერთად ნასუქარი დეკეულიც წამოაქციეს, ქათმები გაწყვიტეს, ქვევრს ახადეს... ჭამეს, სვეს, ილალობეს, იბობოქრეს... მესამე დღეს ჭენებით, ცხენფრენით წავიდნენ სტუმრები... ერთ კვირას მოუნდნენ გარსევანიანი სახლის დალაგებასა და პირვანდელ წესრიგში მოყვანას.

რაჟდენა აღარ მუშაობდა წისქვილში, მაგრამ წისქვილს ხშირად დახედავდა ხოლმე. დაჯდებოდა მწვანეზე და შორიდან ისე ესაყვარლებოდა. წისქვილში ახლა სხვა მუშაობდა. ერთხელ მე და გარსევანი ვაშლის ქვეშ ვიჯექით. მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი, რადგან სათვალე დაჰკარგოდა. ზვარში ამოიარა რაჟდენამ და გარსევანმა თვალი შეჰკრა დაბეჩავებულს. შეეცოდა, გამარჯვებული კაცის გულკეთილობით მთხოვა: დაეწიე, დაუძახე ტკბილ სიტყვას ვეტყვიო! – აკი გითხარით, კეთილი კაცი იყო გარსევანი. მეც გამიხარდა, დავეწიე, გეძახის- მეთქი! აჩქარებული რაჟდენა წამით მობრუნდა, შედგა და ერთი ისეთი შემომხედა, იმ გნოლა ხარივით, გული კინაღამ გადამიქანდა. მას მერე აღარ მინახავს...

მაგრამ დავინახავ თუ არა ლოჭინის წყალს, მაშინვე საწყალი რაჟდენა მომაგონდება ხოლმე! თითქოს ლოჭინის წყლის წყნარი ზვირთებიდან რაჟდენას სევდიანი ხმა მეძახისო. ამ ზვირთებიდან ხომ ჩემი ყრმობა მეციმციმება...

ვერა, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ რაჟდენას შემოხედვას, ისევე, როგორც დღემდე არ მასვენებს გნოლა ხარის თვალის ღრუბელი!...

фæстæ Раждeн фембылд хъуыддаг! Уыцы райсом æртæ хатты стæвд кодтой Гарсеваны торнейы, фысимæ иумæ хæрзхаст дыгæрдыг дæр акусарт кодтой, кæрчытæ дæр дзæвгар ныццагътой, быркуыйы сæр дæр бакодтой... Фæхордтой, фæныуæзтой, хорз фæцæл кодтой, сæ хъæлæба дардмæ хъуысти... Æртыккаг бон сæ бæхтыл дугъы уадзæгау ацыдысты уазджытæ... Иу къуыри бахъуыдысты Гарсевантæ сæ хæдзыр æфсанынæн æмæ йæ йæ фыццаг уагмæ æркæнынæн. Раждeн куыройы нал куыста, фæлæ иу арæх кастис куыройырдæм. Æрбадтис-иу цъæхнæууыл æмæ иу ыл дардæй узæлыдис. Куыройы ныр æндæр чидæр куыста.

Иу хатт æз æмæ Гарсеван бадтыстæм фæткъуыбæласы бын ауоны. Йæ кæсæнцæстытæ фесæфтысты æмæ йын æз ног газет фарстон. Сæндоны фæрсты Раждeн тагъд-тагъд æнкъардæй рацæйцыдис. Гарсеван ын фæтæригъæды кодта æмæ мæн йæ фæстæ арвыста:

– Аййаф æй, фæстæмæ йæ раздах æмæ дам ын адджын ныхæстæ зæгъон!

– Æз дæр уын куы загътон, хæларзæрдæ лæг уыдис Гарсеван, зæгъгæ. Мæнæн æхсызгон уыди Гарсеваны куырдиат, баййæфтон Раждены, загътон ын Гарсеван æм кæй дзырдта уый! Раждeн иу уысм фæлæууыд, иу ахæм каст мæм æрбакодта, уыцы гнола гæрæмгалау, чысыл ма бахъæуа мæ зæрдæ æрлæууа йæ кусынæй. Уæдæй фæстæмæ йæ никуыуал федтон... Фæлæ куы фенын Лочъины цæугæдон, уæд уайтагъддæр мæ зæрдыл æрбалæууы мæгуыр Раждeн! Цыма мæм Лочъины цæугæдоны сабыр улæнты бынæй æрбайхъуысы йе ‘нкъард хъæлæс.

Ацы улæнтæй мæм ме взонгад тыбыр-тыбур кæны... Нæ, никуы ферох кæндзынæн Раждены фæкасты, афтæ, куыд мын абоны онг æнцойад нæ дæтты Гнола гæрæмгалы цæстæнгас!...

# მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი

*და წავდგე ჩემს მეუფესთან*
*ხელთანთებული ცვილითა.*
**ვაჟა-ფშაველა**

არავისზე ნაწყენი, არავის ნამტერალი არა ყოფილა გუთნისდედა ნინია. თუ ვინმე შემთხვევით აწყენინებდა, იტყოდა:

– რამდენი ადამის შვილი ჩამოდის ამ ქვეყანაზე, ათასი ფერი და ფერადი! ვის რას გაუგებ?

არასოდეს უნატრია სიმდიდრე, მხოლოდ თავისი პურის ხვავით იყო მადლიერი.

– ყველა რომ მდიდარი იყოს დედამიწაზე, ღარიბი ვიღამ მოიგონოს?

და ათქვირებულ ყანას რომ შეხედავდა, სასოებით წაიჩურჩულებდა:

– შენი მადლის ჭირიმე! ოთხმოც წელს მიაღწია და არაფერი ასტკივებია. მეოთხმოცდაერთეში სისუსტე იგრძნო, მაგრამ სიკვდილისა არ ეშინოდა. თვითონ სიკვდილი არად მიაჩნდა. უფრო ეზარებოდა, ვიდრე ეშინოდა. ეზარებოდა, როგორც ნათბილარს ლოგინის მერე გარეთ გასვლა ბნელ, ქარიშხლიან ღამეში.

– გამოთეთრებით რომ გითხრა, რა მოსაგონი იყო სიკვდილი?! – იტყოდა წყენით ნინია, როცა გულმძიმობას იგრძნობდა. ბოლოს, ალმეებიდან შემონაქროლმა სიკვდილმა ნინიას სალამი მისცა, ჯერ გვერდით მოუჯდა, ცივად შეაჟრჟოლა, მერე ჩონჩხარა მკლავები შემოჰხვია და აღარ უშვებდა.

– მოიცა, მოიცა, სიკვდილო, შენი წვერულვაშის გამოსვლასა! ჯერ სიცილით ეხუმრებოდა ნინია სიკვდილს, ერთი ორჯერ კიდევაც მაგრა შეუჭახუნა გულმოსულმა, – რა დროს ეგ არი, მომშორდიო! განგებ ღვინოც გადაჰკრა ლოგინში, – სავსე ჯამი, რომ მტერს ავად არ ვეგონო, ხოლო

# ЗÆРОНД ГУТОНЫМАДЫ МÆЛÆТ

*Æмæ æрлæууон мæ хуыцауы раз мæ*
*къухы судзгæ мыдадзын цырагъау*
**Важа Пшавела**

Никæмæ дæр мæсты, никæимæ дæр знаг никуы уыдис Гутоны мад Ниниа. Æмæ-иу æй исчи æнæнхъæлæджы куы смæсты кодта, уæд-иу загъта:

– Цас Адамы цот змæлы ацы бæстæйыл, мингай хуыз æмæ хуызджын! Кæмæн цы бамбардзынæ?

Никуы бабæллыд хъæздыгдзинадмæ, æрмæст йæхи хоры кæрийæ уыди райгонд.

– Алчидæр зæххыцъарыл хъæздыг куы уа, уæд ма мæгуыр кæй хъуыдыйы æрцæудзæни?

– Æмæ-иу фæйлаугæ мæнæуы хуымтæм куы акастис, уæд-иу ныфсджынæй сабырæй загъта:

– Дæ хæрзиуæджы нывонд!

Æстай азы йыл сæххæст, фæлæ никуы ницæмæй схъæрзыдта. Йе ‘стай иуæм азы лæмæгъдзинад æнкъарын байдыдта, фæлæ мæлæтæй нæ тарсти. Мæлæтæн йæхи ницæмæ дардта. Мæлæтæй уыйас нæ тарсти, зивæг цас кодта. Зивæг кодта, куыд хъарм уаты фæстæ дуармæ ахизай талынг, уаддымгæджын æхсæвы.

– Æнæуый дын куы зæгъон, уæд цы æрымысинаг уыди мæлæт?! – загъта-иу мæстыйæ Ниниа, зæрдæйы уæззаудзинад иу куы банкъардта. Фæстагмæ, уæлæрдыгæй æрбадымгæ мæлæт Нинийæн салам радта, нырма йæ фарсмæ æрбадти, уазал зыр-зыр ыл скодта, стæй йыл йе стæгдар къухтæ æрбатыхта æмæ йæ нал уагъта.

– Фæлæу-ма, фæлæу, мæлæт, дæ рихиты æмæ боцъоты разадмæ! Нырма худгæйæ хъазæн ныхас кодта йемæ Ниниа, иу дыууæ хатты йæ тыхджын тъæппытæ дæр акодта, – цафон уый у, афардæг дам у ардыгæй! Барæй сæн дæр анызта уаты хуыссгæйæ, – едзаг къус, цæмæй мæ знаг рынчын ма æнхъæл уа, зæгъгæ! Йæ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე
**Георгий Леонидзе**

სიკვდილს სათავისოო! კარის მეზობელმა მეხრეებმა, მისი გუთნისდედობით გაწვრთნილებმა, ინახულეს, გადასაყოლებელი ამბებიც უამბეს, მაგრამ ჯანი უსუსტდებოდა, სული კი არ ტყდებოდა.

– ალალ-მართალი, გულგაწმენდილი მივდივარ წუთისოფლიდან, არავის არას ვემართლებოდი, არავის საყვედური არ მიმდევს... პურის მომყვანი ვიყავი ამქვეყნად, აი, ეს გაფხრეწილი პერანგი მიმყვება მხოლოდ! ბევრი მინდორი გადამიშავებია. და ახლა... სად უნდა წავდე, სად გავნიავდე? – წამოიწია და მუდარით ითხოვნა:

– მინდორს გადამახედეთ! ორივე შვილი მხარში შეუდგა და მოწიწებით აივანზე გაიყვანეს. ქვემოთ ვენახებში გადაფანტული სოფელი მოჩანდა, შორს – ლურჯ-ლილისფრად დაბურული მთები, ზედ შავად შელანძული ციხის ნაშალი, კლდიდან ქვაკიბე რომ ჩამოჰყვებოდა და ძირს დაშლილი სავსე მინდორი, ქსნისა და არაგვს შუა გადაჭიმული... აფერებულ ყანებზე დაუდგრომელი ნიავი აფენებდა და აქანებდა მზეკაბას. თავთავი ჩუმად შრიალებდა. აგერ წილკანი... ჯვართმუხა... იდგა ღვთაებრივი სიჩუმე... ბუნება შეერთხმებულია... მზე ჩადიოდა... ბროლის ნიავი შეეთამაშა მომაკვდავ გუთნისდედას, შუბლზე მიელამუნა, შეეგრილა, თითქოს მის სპეტაკ თმის კულულს მოეხვია და აკოცაო! ნინიამ ზეგარდიდან დახედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა. გულცქერით შეისაყვარლა ამრეშებული ყანები, ამოხეთქილი ბურღალი ბალახი... ტკბილმა მოგონებამ გული-გულში გაუარა და გაელიმა... ოცი წლისამ აილო გუთანი ხელში, მაშ, სამოცი წელი სჭერია! უნახავს, ხალხი დაუპურებია... – ახლა ნაცარმტვერი უნდა გავხდე?!

საიდანღაც, თითქოს შემოესმა სევდიანი ოროველას ზუზუნი და თვალზე

сыхæгтæ, галтæрджытæ йæм уынынмæ æрбацыдысты, зæрдæирхæфсæн хабæрттæ дæр ын ракодтой, фæлæ йе нæниздзинад уæддæр лæмæгъ кодта, йæ уд та нæ цудыдта.

– Хæрз раст, сыгъдæгзæрдæйæ цæуын а-дунейæ, никæй раз дæн зылынджын, никуы никæй хъыджы бацыдтæн... Хоры æркæнæг уыдтæн абæстыл, мæнæ, ацы бызгъуыртæ хæдон цæуы мемæ æрмæстдæр! Бирæ быдыртæ фæхуым кодтон. Æмæ ныр... кæм хъуамæ цæуон, кæм хъуамæ сатæг кæнон? – йæхиуыл размæ рахæцыд æмæ лæгъстæгæнгæйæ загъта:

– Быдырмæ мæ акæсын кæнут!

Йæ дыууæ фырты йæ уæхсчыты бын балæууыдысты æмæ йæ арæхстгай тыргъмæ ракодтой. Дæлейæ сæндæттырдыгæй дæрдтыл апырхгонд хъæу зындис, дардмæ цъæхлылагъуыз тар хæхтæ, сæ сæрмæ сауæй æрдæгхæлд мæсыг, айнæгæй дурын асиныл куы æрхизай æмæ бынæй фæйнæрдæм пырх зад быдыртæ, Ксаны æмæ Арагвийы ‘хсæн ивæзтæй... Алыхуыз хуымтыл сабыр уддзæф фæйлаугæ змæлын кодта хурыкъабайы. Æфсиртæ сусæгæй сыбарсыбур кодтой. Мæнæ Цъилкъан... Тулдз дзуар ... Лæууыд бардуагон сабырдзинад... Æрдз æмхъæлæсджын уыд... Хур æрцæйныгуылди... Хрусталон уддзæф æрхъазыди мæлæтдзаг гутоны мадимæ, йæ ныхыл ын баузæлыди, æрсатæг æй кодта, цыма йын йæ сыгъдæг дзыккутыл æртыхсти æмæ сын аба кодта! Нининиа уæлейæ дæлæмæ æркасти зад быдырмæ, зыдæй арахæсбахæс кодта йæ цæстæнгас. Зæрдæбынæй баузæлыди фæйлаугæ хуымыл, ногсæугæ кæрдæгыл... Адджын мысинаг тæккæ зæрдæйы ахызт æмæ йæ мидбылты бахудти... Дыууыназдзыдæй райста йæ къухмæ гутон, æмæ йыл уæдæ, æхсай азы хæцыд! Бирæ федта, адæмы æфсæста... Ныр хъуамæ фæныкфæздæг ссуон?!

Кæцæйдæр æм цыма æрбайхъуысти æнкъард дзæгъæлдзуйы зыв-зыв æмæ йæ цæстытæ доны разылдта. Хур йæ бадæн

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი მოეგუბა. მზე ბუდისაკენ მიდიოდა... შეიმცნაურა... მიხვდა ყოველივეს... შვილებმა მხრებში უეცარი სიმძიმე იგრძნეს. მამას შეხედეს.

ბუნებაში გადამდნარიყო უკვე ნინია, სული დაელია.... მზე ჩავიდა დიდებულებით, მიებარა ღამის მლვიმეს. ამჭვირვალდა მშობლიური კამკამა ცა, ლურჯად მინაქრული, ღამის იით აყვავებული... გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა... ვერცხლის ლუმბა...

бынатырдæм фæцæйцыди... Фæдисгæнгæ... Алцыдæр фæхатгæйæ... Йæ фырттæ уæхсчыты æваст уæз. Фыдмæ бакастысты.

Æрдзы мидæг хъуамæ батадаид Нининиа, йæ уд хъуамæ систаид... Хур æрныгуылди фæрнджынæй, æхсæвы лæгæты æвджид æй бакодта. Ныйирд ис райгуырæн сыгъдæг арв, цъæххуыз эмалæвæрд, æхсæвы малусæгау райхæлд... Фæзындис ног мæйы къæлæт ... Æвзист лумба...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო სადღობელაშვილი



## თანამედროვე ებრაული დრამატურგია

ალბათ, არც არსებობს დედამიწის ზურგზე სხვა ხალხი, ვისი ისტორიული გზაც ისეთივე მრავალფეროვანი დრამატურგიით წარიმართა, როგორც ეს ებრაელების შემთხვევაში მოხდა.

მათი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ბიოგრაფია დიდი სასცენო მოვლენაა, რომლის ყოველი ეპიზოდი, რემარკა თუ ნიუანსი კაცობრიობის ბედისწერას იტევს.

ეს არის დრამა ერთი კონკრეტული ადამიანისაც და მთელი კაცობრიობისაც.

რა გასაკვირია, ასეთ ხალხს დრამატურგიაც უაღრესად საინტერესო და საგულისხმო ჰქონდეს.

თანამედროვე დრამატურგიის სერიით გამოცემულ წიგნებს შორის „ინტელექტმა" ცოტა ხნის წინათ ებრაული პიესების კრებულიც დასტამბა. კრებულში ხუთი თანამედროვე დრამატურგის გახმაურებული პიესები შევიდა. ისინი ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო მამუკა ბუცხრიკიძემ.

ზოგადად, ამ გამოცემის სიკეთეზე ვიტყვით – იმ ქვეყანაში, რომელსაც მდიდარი თეატრალური ტრადიციები აქვს არანაკლებ მდიდარი მთარგმნელობითი საქმიანობით (უცხოენოვანი დრამატურგიის თარგმნას ვგულისხმობთ), თანამედროვე პროცესები როგორღაც უნდა თანხვდებოდეს ამ წარსულ გამოცდილებასაც და, საერთოდ, მსოფლიო თეატრალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებსაც.

სწორედ ამიტომ მნიშნელოვანი წამოწყება იყო გამომცემლობა „ინტელექტის" მხრიდან თანამედროვე უცხოენოვანი დრამატურგიის თარგმნა (უკვე ოთხ ენიდან თარგმნილი კრებულები არსებობს), რაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

ებრაული დრამატურგიის კრებულში ხუთი თანამედროვე ავტორის – იეჰოშუა სობოლის, სავიონ ლიბრეხტის, იოსეფ ბარ იოსეფის, ხანოხ ლევინის და ედნა მაზიას პიესები შევიდა. როგორც კრებულის რედაქტორი, თამარ კიკნაველიძე შესავალ წერილში აღნიშნავს – ამ პიესებს შორის „რამდენიმემ აღიარება 2000 წლამდე მოიპოვა და პირველი ნიმუშებიც დრამატურგიაში საუკუნის დასაწყისამდე შემოგვთავაზა". ეს პიესები წარმატებით იდგმება არა მხოლოდ ისრაელში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, ბოლო პერიოდში სულ უფრო განახლებული სახით.

ებრაელები და მეორე მსოფლიო ომი – ეს მთელი კაცობრიობის უახლესი წარსულის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა და, ბუნებრივია, მას გვერდს თავად ებრაელი დრამატურგებიც ვერ აუვლიდნენ. კრებულში შესული ორი პიესა – იეჰოშუა სობოლის „გეტო" და სავიონ ლიბრეხტის „სიყვარულის ბანალურობა" ამ თემას ეძღვნება. ოღონდ, სრულიად განსხვავებულ პლანში წარმოაჩენს მას და კრებულის შემდგენელის და მთარგმნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დამსახურებად მიმაჩნია, ამგვარი აქცენტებით მოეძიებინათ და შეედგინათ პიესების ეს კრებული.

პირველივე პიესის, „გეტოს" სახელწოდებიდანაც ცხადია, რომ ნაწარმოებში მოქმედებაც, იდეაც ებრაული გეტოს სივრცეში ვითარდება. 1942-1943 წლებში, მეორე მსოფლიო ომის შუაგულში, ვილნიუსის გეტოში თეატრი მოქმედებდა. პირველი წარმოდგენა იქ 1941 წლის 18 იანვარს გაიმართა. ზოგადად, ვილნიუსის გეტოში 50 000-ზე მეტი ებრაელი დახოცეს. და სწორედ ამ სასაკლაოზე არსებობდა რამდენიმე თვის განმავლობაში თეატრი, რაც, თავის მხრივ, ვილაცის ბოროტი (ან უკიდურესად კეთილშობილი) დრამატურგიის შედეგი იყო. ფაქტია – თეატრმა გამოაცოცხლა და ხალისი, ფერადოვნება ოდნავ მაინც დაუბრუნა ტანჯულ ებრაელებს, მისცა მათ საკუთარ თავზე, შიშსა და უძლურებაზე გამარჯვების შესაძლებლობა.

„სასაფლაოზე თეატრს არ მართავენ" – ასეთია რეფრენი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს პიესას. ეს მუდმივი ჭიდილი სიკვდილსა და სიცოცხლეს, ტრაგიზმსა და კომიზმს, თამაშსა და სინამდვილეს შორის კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ომის სისასტიკეს, მის ყოვლისმომცველ ზემოქმედებას ადამიანებზე.

თეატრი, როგორც ილუზორული სამყაროს აჩრდილი, როგორც ადამიანის საუკეთესო მხატვრული გამონაგონი, ამ პიესაში მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩნდება. მას ებრაელები ისევე ილებენ, როგორც სინამდვილის მოცემულობას, როგორც პარალელურ რეალობას, თუმცა იმაშიც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ „თეატრი ადამიანებს ილუზიას უქმნის, მთავარიდან სხვაგან გადააქვს აზრი". ეს პროცესი კი – მთავარიდან აზრის სხვაგან გადატანა – გეტოს პირობებში (და თუ ძალიან განვაზოგადებთ, ალბათ, ცხოვრების, ყოფიერების პირობებშიც) სიცოცხლეს ახანგრძლივებს, წუთებით, საათებით და დღეებით ზრდის მის არსებობას და ამქვეყნად კი არც ერთ სხვა ერს ისე არ უყვარს სიცოცხლე, როგორც ებრაელებს. არც ერთი სხვა ერი არ არის მოცული ერთდროულად ამდენი ტრაგიზმით და ხალისით, როგორც ებრაელები. დამონებულნიც კი, სასაკლაოზე, თეატრის სამყაროში მთელი არსებით ეშვებიან და როგორც ერთ-ერთი გერმანელი მათზე დაკვირვებით ამბობს: მათი მხრიდან „აგრესიის ყოველგვარი გამოვლინების არარსებობა მოწმობს ებრაულ სულში სიკვდილის ინსტინქტის არარსებობას, რითაც „ისრაელის მარადიულობა" აიხსნება".

ამ ინსტინქტის, ამ ეთნოხასიათის წინაშე უძლური აღმოჩნდა ფაშიზმი. ზოგადად, ბოროტების სახით და სახელით მოსული ყოველი წინააღმდეგობა დღემდე უძლურია მის წინაშე და ეს პიესაშიც მკაფიოდ ჩანს.

სავიონ ლიბრეხტის „სიყვარულის ბანალურობა" კი მეორე მსოფლიო ომის რეტროსპექტივას ცნობილი მოაზროვნეების – მარტინ ჰაიდეგერის და ჰანა არენდტის სიყვარულის ისტორიის ფონზე წარმოაჩენს. პიესა ბიოგრაფიულია და თხრობის ეს პლასტიც მეტად საინტერესოდ, სხვადასხვა ქრონოლოგიური ეპიზოდითაა აგებული. ჰაიდეგერის და არენდტის სიყვარული იმის ნათელ ნიმუშადაც გამოდგება თუ როგორ შეუძლია პროგრესის სახელით მოსულ ბოროტებას (ფაშიზმს, ომს) შეზღუდოს ყველაზე ნათელი გონებაც, დროებით მაინც ჩიხში მოამწყვდიოს და ამით არა მხოლოდ ერთი მოაზროვნე, არამედ კაცობრიობაც დააზარალოს. რადგან, საბოლოოდ, ბოროტება ხომ სიტყვით და საქმით იქადაგება, ვილაცის ბაგიდან და ვილაცის გონიდან.

თავისუფალი ადამიანების – ჰაიდეგერის და ჰანა არენდტის მგზნებარე, უცნაური სიყვარული ომმა შეზღუდა. საგულისხმოა ერთი პასაჟი – უკვე ომგამოვლილ სამყაროში, თავ-თავიანთი ცხოვრების მიწურულს, ჰაიდეგერი და არენდტი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი მგრძნობიარე დიალოგის მთავარი გმირი, რაც უნდა უცნაური იყოს – ამერიკაა. ამერიკა, როგორც თავისუფალი სამყაროს, ახალი სააზროვნო სივრცის სიმბოლო. „ამერიკაში ჩაქუჩების გამყიდველიც კი ფილოსოფოსია... გერმანიაში ფილოსოფოსიც კი ჯარისკაცია“ – ასეთია ახალი სამყაროს აქცენტები, ასეთია თანამედროვე მსოფლიოს ოპოზიციური წყვილი, რომელიც ომის შედეგად გაჩნდა.

ეს პიესა ბევრი რამითაა საგულისხმო და მასში ადამიანური ბუნების სირთულეც ზედმიწევნით ზუსტი და ოსტატური დრამატურგიით არის ნაჩვენები.

სწორედ ეს პლასტი – ადამიანური ბუნება, მისი შინაგანი წინააღმდეგობები, ვნებები, სისუსტეები მთავარი თემებია დანარჩენ პიესებშიც – „ცხოვრების ჭაპანი“, „რთული ადამიანები“, „აკრძალული თამაშები“. აქ ღრმა და ბნელით მოცული ადამიანური ბუნება გასაგები ხდება იქამდე, ვიდრე ის მეორე ადამიანის სამყაროს არ შეეხება. იბადება ურთიერთობათა დრამატურგია – ბეწვის ხიდის გადება ორ ძეხორციელს შორის. საბოლოოდ კი, ხიდის გაღმა-გამოღმა ქალი და მამაკაცია. მათი თანაცხოვრება კაცობრიობის ხნისაა და, ამდენად, უკიდურესად რთულიც არის და მარტივიც. ისინი ერთად ქმნიან სამყაროს მთლიანობას და კრიზისიც იწყება იქ, სადაც ეს წონასწორობა ირღვევა.

ხანოხ ლევინის „ცხოვრების ჭაპანში“ ოცდაათწლიანი ცოლქმრობისგან დაღლილი და გამოფიტული ოჯახის ამბავია ნაჩვენები. ლევივა და იონა ტრაგიკული წყვილია, თუმცა ერთი შეხედვით, ტრაგიკული არც ერთს არაფერი სჭირს. მათ შორის ვნება გამქრალია, ორივე ჭირვეულად განიზიდება ერთმანეთისგან და ზუსტად ამ ძალითვე უბრუნდება თავისივე მეორე ნახევარს. ეს განზიდვა-მიზიდვა კი მესამე გმირის დახმარებით ხდება, რომელიც ზეგარდმო არსივით მოვლენია მათ ოჯახურ დრამას და სიცხადეს სძენს ყველაფერ იმას, რაც ყოფამ ამდენი წლის მანძლზე გააბუნდოვანა. პიესის უზადო დრამატურგია წყვილის ოპოზიციას ლამის შესაქმეს გვირგვინის – პირველი კაცის და პირველი ქალის ხატებამდე ამძაფრებს. ბუნებრივად რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს – ერთმანეთით დაღლილი წყვილი სწორედ ის ადამი და ევაა, ვისგანაც მოდის ცოდვაც და სიხარულიც და ვინც ვერასდროს განიცალკევებს თავს ერთმანეთისგან...

ქალი და მამაკაცი ბუნებრივად ოჯახს გულისხმობს. რა დაემართა ოჯახს? ოჯახის კულტს, მის მედინობას თაობიდან თაობაში, მის სიმტკიცეს? – ამ კითხვებს უტრიალებს იოსეფ ბარ იოსეფის „რთული ადამიანები“. ამ პიესაში გამჭოლ თემად იძულებითი ემიგრაციის თემაც შემოდის.

ურთიერთობების მარგინალიზებამ, ტრადიციების მიმართ მონობამ ან პირიქით, მისმა სრულმა იგნორირებამ შესაძლოა ის შედეგი გამოიღოს, რაც ედნა მაზიას „აკრძალულ თამაშებშია“. ძალადობის თემისადმი მიძღვნილი ეს პიესა საქართველოში უკვე დაიდგა, თემის აქტუალობიდან გამომდინარე. თუმცა, „აკრძალული თამაშებიც“, ისევე როგორც კრებულში შესული დანარჩენი ებრაული პიესები, სამოქალაქო საზოგადოების ბევრ სხვა პრობლემას ეხება. მნიშვნელოვანი აქცენტია ადამიანის თავისუფლება – როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი და რაციონალური. რადგან ყველაფერი სწორედ ამ აქტით – ღვთისგან ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭებით დაიწყო და ეს ებრაელმა ხალხმა ყველაზე კარგად იცის.

ვფიქრობთ, თანამედროვე ებრაული დრამატურგიის კრებულით ქართველი რეჟისორები დაინტერესდებიან, რადგან ამ პიესებში თავმოყრილი პრობლემები არა მხოლოდ ებრაული საზოგადოების, არამედ ნებისმიერი სხვა ხალხის, მათ შორის თანამედროვე საქართველოს თანმდევია.

თეატრს კი, ტრადიციულად, შეუძლია ეს პრობლემები აჩვენოს და მასზე დააფიქროს მაყურებელი – ხვალის საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ART

## რეპორტაჟი საგამოფენო დარბაზებიდან

### ჟანრი ლოლაშვილი: „წამი, რომელიც შთაბეჭდილებას ქმნის"



მსოფლიო მუზეუმების საერთაშორისო კვირეულთან დაკავშირებით ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმში **ჟანრი ლოლაშვილის** ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. მანამდე ხელოვანს საქართველოს ეროვნული მუზეუმი მასპინძლობდა.

„ორომტრიალი, წრიალი და დიდი ალიაქოთი, აი ეს არის ცხოვრება", – ნახევრად ხუმრობით ან ნახევრად სერიოზულად ამბობს ბატონი ჟანრი. არ უყვარს ოპტიმისტები, არც პესიმისტები, არც პატრიოტები, არც ფილოსოფოსები და სძულს პათეტიკა...

***ჟანრი ლოლაშვილი: ერთი წამი ერთი განსაკუთრებული ცხოვრებაა. ეს ერთი წამია მთავარი, რომელიც შთაბეჭდილებას ქმნის.***

*როგორც კი მხატვრის სახელოსნოში შევედი, ჩიტმა ცალი თვალით შემომხედა და ჩემდა უნებურად გავჩერდი. ჩიტი თვალს არ მაშორებს, მიყურებს გამჭოლად, ინტერესით და, ცოტა არ იყოს, იჭვნეულად. ასე რატომ მიყურებს? ვფიქრობ და ჩემი თავი დავიჭირე, რომ მაინტერესებს, რას ფიქრობს ჩიტი ჩემზე...*

**– ბატონო ჟანრი, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით – მინდა ადამიანებთან მხოლოდ ხელოვნების ენაზე ვილაპარაკოო. სხვათა შორის, თავის დროზე პიკასომ თქვა: „ხელოვნება არის ტყუილი, რომელიც სიმართლის აღქმის უნარს გვივითარებს". თქვენ როგორ ახსნიდით, რა არის ხელოვნება?**

– ჩემთვის ხელოვნება ილუზორული სამყაროა. იცით, რა ხდება – რასაკვირველია, ხელოვან ადამიანს შეუძლია ეპითეტებით და ორიგინალური შედარებებით ახსნას ხელოვნების არსი, იმიტომ რომ ხელოვნება აბსტრაქტული აზროვნების სამყაროა. ხელოვნების დარგების ჩამონათვალში – მხატვრობა, დრამატურგია, ქორეოგრაფია, მუსიკა და სხვა, პირადად მე მუსიკას პირველ ადგილზე ვაყენებ. მუსიკა ხელოვნების გვირგვინია.

**– ხართ მსახიობი და მხატვარი. რომელი პროფესია უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის?**

– ორივე, სხვაობა მათ შორის არ არის. როდესაც სპექტაკლი მთავრდება, მთავრდება ილუზორული სამყაროც. გამოვდივარ თეატრიდან და ვაწყდები რეალობას, იწყება ჰიპერრეალიზმი, რომელიც მომაკვდინებლად მოქმედებს ჩემზე. ჩემი სიცოცხლის ძალა ილუზორული სამყაროა. ამიტომაც ამ მხრივ თეატრი და მხატვრობა ერთი და იგივეა ჩემთვის – ორივე საკუთარი თავის ძიების და მიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების პროცესია.

**– რამდენჯერ იპოვეთ საკუთარი თავი, რამდენი შემოქმედი, ან საერთოდ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენში?**

– ადამიანს რამდენი აზრიც აქვს, იმდენი და იმნაირია. აზრის გაელვება სხვანაირს ხდის ადამიანს, სხვანაირი რამ შეგრჩებათ ხელში: მიმიკა, გამომეტყველება, სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ეს ყველაფერი წამებში ხდება და წამებში იცვლება. ადამიანი ლაკმუსის ქაღალდივითაა და ყველა მოვლენა ერთიანად აღიბეჭდება მის ფსიქიკაზე, მის სხეულზეც კი. ეს ძალიან შესამჩნევია, თუ დანახვის სურვილი გაქვს.

**– აზრები შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, მარტივად – ცუდი და კარგი, კეთილი და ბოროტი...**

– თეატრალურ ხელოვნებაში დადებითი და უარყოფითი გმირი არ არსებობს, ეს ყველაფერი კომპლექსურია. ცუდის და კარგის გაგებაში ბევრი კითხვის ნიშანია. მე ვიცი მუხტი, ენერგია – დადებითი და უარყოფითი.

**– რამდენად თავისუფალი ხართ როგორც არტისტი, როგორც მსახიობი და როგორც მხატვარი?**

– თუ არტისტი თავისუფალი არ არის, ვერაფერს გააკეთებს. არის ერთი რამ – რეჟისორის მორჩილი ხდები, მის ზრახვებს განასახიერებ, მაგრამ ამ დროსაც ძალიან ავტონომიური ხარ, მთავარია, რეჟისორი გენდოს. ბევრი მომენტია – ნიჭი პლასტიკისა, ნიჭი სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისა, ნიჭი გარდასახვისა, ნიჭი პარტნიორებთან ურთიერთობისა, საიდუმლოებების შეგრძნების ნიჭი და ბევრი სხვა ნიუანსია არტისტის პროფესიაში. შინაგანი თავისუფლება თუ არა გაქვს ხელოვანი ვერ იქნები. ამიტომ ერთი წამი ერთი განსაკუთრებული ცხოვრებაა, ეს ერთი წამია მთავარი, რომელიც შთაბეჭდილებას ქმნის.

**– თქვენზე როგორ შთაბეჭდილებას ახდენს XXI საუკუნე ყველა თავისი სიკეთითა და სირთულით, თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვნებითა და თავად ადამიანით, თავისი მორალითა და ესთეტიკით?**

– გააჩნია, რომელი წერტილიდან და რა პრიზმაში უყურებ თანამედროვეობას. ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან წინ წავედით, მაგრამ ყველაფერ დანარჩენში იმდენი სისულელეები ხდება, რომ უკვე სასაცილოც აღარ არის. ისტორიულ გამოცდილებას ზურგი არ უნდა შევაქციოთ, ისტორია ყოველდღიური ფილოსოფია, ცხოვრებაა თავისი მაგალითებით. ჩემთვის ისტორია ადამიანთა ზრახვების მუზეუმებია. ვფიქრობ, ყოველმა ახალმა თაობამ წინა თაობის შეცდომები არ უნდა გაიმეოროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ რთულ დროში შეცდომაც უფრო ბევრი და უფრო რთულია.

ჩვენს თაობას სხვა უბედურება სჭირდა, რაღაც ნორმებზე ჩამოვყალიბდით, მაგრამ ჩვენ გვქონდა ჩვენი კონსტიტუცია – ჩვენთვის მთავარი ურთიერთობა იყო. ახლა მთავარია კომპიუტერი. ცოცხალი ურთიერთობა აღარ არის, სხვა განზომილებაში, მეტასამყაროში არიან. ჩვენ გვეგონა, სამი და ოთხი განზომილება იყო, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრია. უტრირებას ვაკეთებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მრავალწახნაგოვან, მრავალგანზომილებიან სამყაროში ადამიანები დაბნეულები და შეშინებულები არიან. ტერორისტები, გენმოდიფიცირებული საკვები, ბიოლოგიური იარაღი, ეკოლოგია, ეპიდემიები, მონოქორწინებები... ადამიანი ვეღარ ერკვევა კარგსა და ცუდში. ტექნიკა წინ მიდის, ადამიანი – უკან.

**– კომუნისტებმა ათეისტური სახელმწიფო შექმნეს და აღმოჩნდა, რომ ულმერთო ცხოვრება არ შეიძლება, შეუძლებელია. თქვენ ათეისტად დარჩით?**

– მე მორწმუნე ვარ, თუმც უცბად გადაწყობა ძნელი აღმოჩნდა. ყველა ადამიანი მორწმუნეა და მავანი თუ ამბობს – ათეისტი ვარო, ცრუობს. ათეისტი არ არსებობს, იმიტომ რომ ათეისტობა რაღაც შეჯერებული მოლაპარაკებაა საკუთარ თავთან. ღვთის შიში ადამიანის სხეულსა და ფსიქიკაშია ჩადებული.

სხვათა შორის, ადრე, ერთი პერიოდი, ბუდიზმით ვიყავი დაინტერესებული – მსახიობს სჭირდება თვალსაწიერის გაფართოება. ბუდიზმში ასიათასობით განხრა და მიმართულებაა, უამრავი შეხედულებაა. საერთოდ, ყველა რელიგია, რაც კი არსებობს, აკრძალვებზეა დაფუძნებული და ეს სწორია, რადგან ადამიანი ზნეობრივ ნორმებს უნდა ემორჩილებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, მაგრამ ვერ ემორჩილება და ეს არის მთელი უბედურება. არ მინდა ნიცშეს დავემსგავსო, მაგრამ ადამიანის ცხოვრება ნამდვილად რთულია,

**– ფილოსოფიამ მოიტანა: ანტიკური ხანიდან დღემდე ფილოსოფოსები სვამენ კითხვას – რაშია სიცოცხლის აზრი?**

– რა არის ფილოსოფია, მანჭვა-გრეხა, კოკეტობა ყველასთან და საკუთარ თავთან, მეტი არაფერი. უბრალოდ ვიტყვი – სიცოცხლის აზრი არის იმაში, რომ სხვას გაუმშვენიერო ან გაუადვილო ცხოვრება. პირადად ჩემთვის ასეა. სიცოცხლე არის სხვებთან ურთიერთობა, უნარი მოქმედებისა, ერთად ყოფნის გენიალურობა, სიყვარული, ლტოლვა, ზრახვები, შრომა ჩაქუჩით ან კალმით ხელში და ასე: ყველაზე გენიალური, რაც ადამიანს ღმერთმა უბოძა, არის მწირი დრო საცხოვრებლად და ამ მწირ დროში რამდენი რამის მოსწრება გვინდა... გენიალურია სწორედ ის, რომ მწირი დრო გვაქვს.

ჩვენ, მსახიობები, მთელი ცხოვრება აბიტურიენტებივით ვართ – სულ გამოცდებს ვაბარებთ. თუ მხატვარი ხარ, უნდა მოვიდეს ვილაც, ნახოს შენი ნამუშევარი, შეაფასოს და ნიშანი დაგიწეროს. ყოფაქცევაში ნიშანს გიწერს შვილიშვილი, როგორი ბაბუ ხარ. ცოლი – როგორი ქმარი ხარ, შვილი – როგორი მამა ხარ და ვართ ამ ორომტრიალში, წრიალში და ალიაქოთში. სიტყვა ალიაქოთი მომწონს, გურულებისაა.

**– ისევ ფერწერას მინდა დავუბრუნდე. თქვენ წერის დროს იყენებთ განსაკუთრებულ ტექნიკას, თუ საიდუმლო არ არის, რა ტექნიკაა?**



– შერეული ტექნიკაა, ყველაფერია – ტემპერა, ზეთი, ტუში და სხვა, მაგრამ რას როგორ ვურევ და როგორ ვამზადებ, ვერ გეტყვით, საიდუმლოა. რაღაც არსის გამოხატვისათვის რამდენი მზადება და წვალებაა. არ არის ეს კოკეტობა? კოკეტობაა საკუთარ თავთან, აბა რაა. დიომედეს თეთრი ფურცელი ხომ იცით, ჰოდა, ამ თეთრ ფურცელზე რაღაცას რომ დაწერ, დახატავ, ამით გინდა რაღაც დაუტოვო შთამომავლობას, კაცობრიობას და რა უნდა დაუტოვო, რა ვიცით...

**– თეთრი ფურცელი თეთრად რომ დარჩენილიყო, არც კაცობრიობის ისტორია იქნებოდა, თქვენ კი კაცობრიობის ისტორიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ...**

– რა თქმა უნდა, მაგრამ რა ვისწავლეთ?! ერთსა და იმავე შეცდომებს ვუშვებთ. გამოდიან ეს ოპტიმისტები და კაცობრიობის დიდ მნიშვნელობასა და ნათელ მომავალზე ლაპარაკობენ. საქართველო გაბრწყინდებაო, – ამბობენ ქართველი ოპტიმისტები, ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგდის?.. ეს პატრიოტები თავიანთი პათეტიკით ხომ საერთოდ რაღაც მოვლენაა. არ მიყვარს ოპტიმისტები, არც პესიმისტები, არც მყვირალა პატრიოტები, არც ფილოსოფია, მძულს პათეტიკა...

**– ბატონო ჟანრი, ბოლოსკენ ერთი კითხვა შემოვინახე: სახელოსნოში როგორც**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კი შემოვედი, ჩიტმა შემომხედა და გამაჩერა. უცნაური ჩიტია, ის მაინც რომ ვიცოდე, რა ფრინველია?!**

– არ ვიცი, რა ფრინველია, ეს არის პორტრეტი, ჩიტის პორტრეტი. როგორც წესი, ჩიტის პორტრეტები არ არსებობს, მაგრამ მე გამიჩნდა იდეა და გავაკეთე. თუმც მთავარი ეგ არ არის, მთავარია – როგორია და როგორ გიყურებს.

**– ზუსტადაც, მიყურებს, აი უკვე რამდენი ხანია, გესაუბრებით და თვალს არ მაშორებს. რა ჰქვია სურათს?**

– ჩიტის პორტრეტი ჰქვია, არაფერი ზედმეტი. მე სურათებს არ ვასათაურებ. ეროვნულ მუზეუმში რომ მქონდა გამოფენა, იქაც მკითხეს სურათების სახელები და ვუთხარი, რომ სახელს არ ვარქმევ,

**– არც ერთ თქვენს სურათს სახელი არა აქვს?**

– არა, არავითარი, რასაც ადამიანში გამოიწვევს, ის არის.

**– ანუ მე რასაც დავარქმევ ამ ჩიტს, ის სახელი ექნება?**

– დიახ, თქვენ რასაც დაარქმევთ...

**P.S.** *რადგან მხატვარმა უფლება მომცა, სურათისათვის სახელი დამერქმია, ვსარგებლობ ამ უნიკალური შემთხვევით – სიმურგი! მითოლოგიაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურათმცოდნეობაში სიმურგის სახე მრავალფეროვანი და მრავალმნიშვნელოვანია. პირადად ჩემთვის კი, სიმურგის დანახვა ახდენილი ოცნებაა.*

*ლეგენდის თანახმად, ფრინველთა მეფე სიმურგი მაღალ მთაზე ბინადრობდა, რათა ცის კაბადონი დაეჭირა. ერთხელაც, როდესაც თავის უკიდეგანო სამფლობელოს გადაუფრინა, ენით აუწერელი სილამაზის ფრთა ჩამოუვარდა. ადგილობრივმა ჩიტებმა ფრთა იპოვეს და გადაწყვიტეს, მოეძებნათ ფრინველთა ბრძენი მეფე და რჩევა ეკითხათ. შეიკრიბნენ და ყველაზე გამბედავები გაფრინდნენ. გზად შვიდი ხეობა უნდა გადაელახათ: ძიების, სიყვარულის, ცოდნის, გათავისუფლების, ერთიანობის, გაოცების და განადგურების. განსაცდელი მძიმე აღმოჩნდა – ბევრი უკან დაბრუნდა, ბევრიც ბრძოლის დროს დაიღუპა და დარჩა მხოლოდ ოცდაათი ჩიტი. მათ მიაღწიეს სიმურგის მთას და ჭეშმარიტებაც აღმოაჩინეს: „სიმურგი“ („სი“ ძველსპარსულად ცამეტია, „მურგ“ - ჩიტი) – თვითონ არიან, ყოველი მათგანი და ყველანი ერთად.*

*და მაინც, ხელოვნება ყველაზე რთული და ამავე დროს საოცრად გრძნობად-აღქმადი სამყაროა, რომელიც სულიერად გვზრდის, გვაკეთილშობილებს ცხოვრებისეულ ორომტრიალში, გვაძლებინებს.*

**გალერეა გამრეკელი – აკადემიის პედაგოგების გამოფენა „კონტრასტი“**

სამხატვრო აკადემიის პედაგოგებმა გალერეა გამრეკელში თავინთი ნამუშევრები გამოფინეს. კერძო გალერეებში საკმაოდ ხშირად იფინება თანამედროვე მხატვართა ნამუშევრები, რაც თბილისელებს საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავეცნოთ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას.



**თამარ მინაშვილი** (სამხატვრო აკადემიის პედაგოგი): სამხატვრო აკადემიას მემორანდუმი აქვს გაფორმებული გალერეა გამრეკელთან, ქალბატონ ხათუნა მელიქიშვილთან, ვთანამშრომლობთ მასთან. თავისთავად ეს ძალიან

ი50/67

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია, რადგან საინტერესო გამოფენები ტარდება. გარდა ამისა, თანამშრომლობა იმ თვალსაზრისითაც შედეგიანია, რომ ჩანს აკადემიის პედაგოგების პროფესიული აქტივობა, რაც, თავის მხრივ, აკადემიის სასწავლო პროცესისათვის ძალიან საჭიროა, რადგან სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი პედაგოგების ნამუშევრები ნახონ.



თამარ მინაშვილი – სახლი ზღვის პირას. სიცილია

**– რამდენი მხატვარი მონაწილეობს ამ გამოფენაში?**

– ამჯერად სახვითი ფაკულტეტის ოთხი პედაგოგის – ეკა გელოვანის, თეა ქუთათელაძის, თინათინ ცხადაძის და ჩემი ნამუშევრებია გამოტანილი. გამოფენას კონტრასტი ჰქვია. ჩვენ გამოფენების ერთად მოწყობის ერთგვარი ტრადიცია გვაქვს და თვითონ სახელწოდებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სხვადასხვა მიმართულების მხატვრები ვართ, თუმცა, მგონია, რომ ეს უფრო საინტერესოს ხდის ჩვენს ერთობას. არის აკადემიური ხაზი, ასევე თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნება. ვფიქრობ, რომ გამოფენა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა.

**– თქვენ პედაგოგი ბრძანდებით, მოთხოვნილება ფერწერაზე ისეთივეა დღეს, როგორიც ადრე იყო თუ იკლო სტუდენტების რაოდენობამ?**

– მთელ მსოფლიოში გაჩნდა პრაქტიკული მოთხოვნა ფერწერაზე და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. შესაბამისად, სტუდენტიც ბევრი გვყავს, უფრო მეტი, ვიდრე აქამდე. აკადემიას ბევრი გაცვლითი პროგრამა აქვს უცხოეთთან და ეს თავისთავად კარგია, რადგან სტუდენტს ახალი გამოცდილება მოაქვს, სხვა, უფრო ვრცელი თვალსაწიერი უჩნდება, მეტ მიმართულებას ეცნობა და მეტი სტიმული აქვს. მართალია, წმინდა ფერწერა მაინც შემოიზღუდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან კარგი მხატვრები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა და დასავლეთშიც იმართება მათი გამოფენები. გერმანელებთან გვაქვს ახლო კავშირი, ვთანამშრომლობთ, გაოცებულები არიან საქართველოთი და გვეუბნებიან – თქვენ ჯერ კიდევ არ იცით რას ფლობთო. ხელოვნების თვალსაზრისით, ჩვენ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ, კავკასიაში საქართველო წამყვანი ქვეყანაა ფერწერაში.

არტრევიუ მოამზადა **მარიკა კახაძემ**
ფოტომასალა – **ქეთი გომართელმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა









ISSN 1987-5762
9 771987 576000

ფასი: 5 ლარი